ციალა არდაშელია

"ყვირილი გვმართებს
დღისით, მზისით"

თბილისი
2011

ციალა არდაშელია:

”ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით”

საგამომცემლო სახლი ”ინოვაცია”. თბილისი. 2011. გვ. 256.

რედაქტორი : ლია სულაქველიძე

მხატვარი : ნუგზარ მგალობლიშვილი

დამკაბადონებელი : თამარ ტყაბლაძე

© ციალა არდაშელია

ISBN 978-9941-9113-6-1

«ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით» წარმოადგენს სხვადასხვა დროს დაწერილი, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების კრებულს, რომელიც გამოიცა 1993 წელს. წიგნი ერთ ქარგაზეა აგებული, იგი კომპოზიციურად ერთ მთლიანობას წარმოადგენს, თუმცა მასში ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, კერძოდ, მესხეთის, აჭარის, ლაზეთის, აფხაზეთ-სამეგრელოს ისტორიულ-კულტურული ვითარება უძველესი დროიდან დღემდე.

ავტორი ცდილობს ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოაჩინოს საქართველოს ამ მრავალჭირნახული მხარეების ავბედობა, გამოავლინოს წარსულის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენები, ამასთან წარსული დაუკავშიროს თანამედროვეობას, დღევანდელი საქართველოს საჭირბოროტო პრობლემებს, გაუღვიძოს მკითხველს სიყვარული თავისი ერისადმი, მისი ისტორიისადმი და ამ ისტორიაზე დაფუძნებულ აწმყოსა და მომავლისადმი.

ნარკვევები – ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევია აგრეთვე ჩვენი ერის მარად უბერებელ, ბრწყინვალე ხელოვნებაზე, ქართველ არქეოლოგთა დიდ მონაპოვარზე.

სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ამ წიგნის ხელახლად გამოცემა.

«ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით...»

ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი

«ციხე-გალავანს სჩქეფს სისხლის წვეთი,
დღე შემმუსვრელი ალთა კიდეებით.
ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?
იგი არ ჰკვდება გულდამშვიდებით
სურო და ხავსი ღალღით, გვრიტებით;
ვამჩნევ თვალებზე ღრუბელთა რონინს,
გაშლილან ნისლთა პირამიდები.
ვაი, დრონი, დრონი!»

გალაკტიონი
«მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება»

ბორცვს თითქოს ყოველი მხრიდან წაჰკიდებოდა ცეცხლი. ჩამავალ მზეზე ლაპლაპებდა თეთრ ტაძართა კრამიტის სახურავები. ალისფრად იწვოდნენ ბროწეულის ყვავილები.

მდუმარედ შესცქეროდა სტუმარი ამ უცხო სანახაობას. მასპინძელიც დუმდა, ცდილობდა, არ დაერღვია სტუმრის გარინდება. ბოლოს სტუმარმა მზერა მოწყვიტა ბორცვზე აღმართულ ქალაქს, ტაბლაზე შეაჩერა თვალი. სავსე თასს ფრთხილად შეავლო გრძელი, ბეჭდებით დაჩორჩხლილი თითები. მერე მის წინ ხისჩუქურთმიან სავარძელში მჯდარ მასპინძელს შეაჩერდა. უსიტყვოდ, ფიქრიანი თვალებით შეჰყურებდა კაცის მშვიდ, სათნო სახეს, ოდნავ შეჭაღარავებულ საფეთქლებს.

– დიახ, ლამაზი ქვეყანაა თქვენი ქვეყანა, – დაარღვია დუმილი სტუმარმა: – ერთობ ლამაზიც.

მასპინძელმა ოდნავ აწკიპა წარბები, იყუჩა. აცალა სტუმარს. სტუმარს კი ისევ მიეპყრო ფიქრიანი მზერა ბორცვზე აღმართული ქალაქისთვის.

– მე ბევრი ქვეყანა მომივლია, ქუჯი ბატონო, – მას დაბალი, ოდნავ მოგუდული ხმა ჰქონდა. სვენებ-სვენებით ამოთქვამდა სიტყვებს. დახვეწილი, სუფთა ბერძნულით ლაპარაკობდა ფინიკიელი მოგზაური და დიდვაჭარი, თუმცა უჭირდა სიტყვების შერჩევა. – მაგრამ ბედმა, ალბათ, საგანგებოდ ბოლოსთვის შემოინახა თქვენი ქვეყანა, რომელზეც იმდენი რამ მსმენია და წამიკითხავს... მართლაც რომ ზღაპრული ყოფილა ოქრომრავალი კოლხეთი...

ვუყურებდი წეღან შენს სტუმრებს, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, შენ შენს უბადლო ნახელავს ურჩევდი იმ წარმტაც ქალს – ყელმოღერებული, გატვრინული რომ იჯდა და ოდნავი ღიმილი რომ დასთამაშებდა ტუჩებზე, თვალებში კი – უცაბედი სევდა ედგა, რაღაცნაირი ჩუმი, თითქოს ნათელი სევდა და...

ყელში მაწვებოდა რაღაც. გულჩვილი კაცი არ გახლავართ საერთოდ, ქუჯი ბატონო. მსგავსი რამ განვიცადე მაშინ, როცა ა, იმ დიდებული ქალაქიდან გადმოვხედე პირველად ფასისის ჭალებს – ხოხბის ბოლოსავით მშვენიერსა და ფერადოვანს;

დიახ, მე ახლა მივხვდი, მე ახლა მესმის, საიდან და როგორ იშვა ის არაჩვეულებრივი სიმღერები, არსად სხვაგან, არც ერთი ხალხისაგან რომ არ მომისმენია. და არსად სხვაგან სილამაზე ასე თანაბრად არ ამშვენებს დიდსა და პატარას, წარჩინებულსა და მდაბიოს, როგორც თქვენში...

თქვენ ჭეშმარიტად უუმშვენიერესი და... უუბედურესი ერი ხართ ამავე დროს, ქუჯი ბატონო. მომიტევეთ, ჩემი გულახდილობა. უუბედურესი იმიტომ, რომ მშვენიერების დაუფლების სურვილი ყოველთვის ექნება როგორც გაუთლელ, ტლანქ ბარბაროსს, ისე განათლებულ, ცივილიზებულ ადამიანს... მე ასე მგონია, ასე მეჩვენება, რომ თქვენი სისხლი მომავალში გამოკვებავს ბევრ ერსა თუ ტომს, თქვენი მშვენიერი ველ-მინდვრები, ალბათ, განუწყვეტლივ იქნება სისხლიანი ბრძოლის ასპარეზი. მე კიდით კიდემდე მოვიარე თქვენი მხარე, მისი მდიდარი დაბა-ქალაქები, უხვი მიწა-წყალი და ამდენი ნასოფლარი, ნაქალაქარი, პარტახი და ნაოხარი ადგილი სხვაგან არსად შემხვედრია. თქვენ, ალბათ, დაილევით, დაიშრიტებით ხმლის ქნევაში. თუ ძალით ვერა, ვერაგობით, ცბიერებით გძლევენ, თუ არადა, შინაგამცემი დაიდებს წილს თქვენს დაღუპვაში ისე, როგორც ოდესღაც თქვენმა მედეამ გიღალატათ და გაგწირათ ბერძენთა გულის საამებლად. და, თუ მოხდა სასწაული და გადაურჩით ყოველივე ამას... ღმერთმა ქნას, რომ გადაურჩეთ. ღმერთმა ქნას. მე გულით შევთხოვ თქვენს მფარველ ღმერთებს ამას...

სტუმარმა თასი გამოცალა და ისევ დადუმდა. მასპინძელიც გაჩუმებული იჯდა, ხმას არ იღებდა, მერე მშვიდი, წყნარი ხმით მიმართა ფინიკიელს:

– მე ერთი უბირი ხელოსანი ვარ მხოლოდ, სახელოვანო მოგზაურო, მაგრამ კარგად მესმის შენი და გულით ვგრძნობ, სიყვარული გალაპარაკებს ასე. მეც ბევრჯერ მიფიქრია ამისთანებზე და მინატრია ხანდახან, იქნებ სჯობდა, დალოცვილ ღმერთებს ჩვენთვის ხრიოკი, უდაბური ადგილი ებოძებინა საცხოვრებლად და არა ესოდენ თვალწარმტაცი ქვეყანა-მეთქი. სხვა დროსაც ბევრჯერ მსმენია უცხოელთაგან აღტაცებული, აღფრთოვანებული სიტყვები – ეს რა ბუნება გაქვთო; ასეთი ნატიფი, ჩამოქნილი სახეები ელინებს თუ ექნებათო. ასეთი ლამაზი ლარნაკების, ასეთი სამკაულების გაკეთება მხოლოდ ბერძნებს თუ შეუძლიათო. დიახ, დახელოვნებული და ჭკვიანი ხალხია ელინები. დიახაც, პატივისცემის ღირსნი არიან ისინი, მაგრამ... ჩვენ ბერძნებამდე ვიყავით, ბერძნებამდე გვქონდა ჩვენი კულტურა, ისტორია... აი, შენ ათვალიერებდი ჩემს ნამუშევრებს. მე ვანის ქალაქის ერთ-ერთი რიგითი ოქრომჭედელი გახლავართ მხოლოდ. მაგრამ შენ მათში იპოვე ჩემი ხალხის თვისება, ბუნება, თავისებურება. არ ვიცი, რამდენად გამომდის ეს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, გავაკეთო ჩემებურად, ჩემს ნახელავში ჩავდო არა მარტო ჩემი სული, ჩემი ფიქრები და წარმოდგენა სილამაზეზე, არამედ ის, რაც ჩემს წინაპრებს, ჩემს დიდ წინამორბედთ მიაჩნდათ სილამაზედ და მშვენიერებად.

დიახ, მე ჩემი უძველესი ხალხის შვილი ვარ და ასეთად ვგრძნობ-მეთქი თავს მაშინაც, როცა ვმუშაობ და ვქმნი. ხოლო, რაც შეეხება შენს წინასწარმეტყველებას, ჩემი აზრითაც, ალბათ დაუსრულებელი იქნება ამ ქვეყნად ჭიდილი სიკეთესა და ბოროტებას შორის, სინათლესა და სიბნელეს შორის, გაუთავებლად იქნება ნგრევა და შენება, დაქცევა და ამაღლება...

შენ ერთ რამეშიც მართალი ხარ, ბრძენკაცო, არაფერი ისე არ დააქცევდა ძველი კოლხეთის დიდებას, როგორც ერთმანეთის შური და მტრობა... დიახ, ხშირად ყოფილა, სამწუხაროდ, ქვეყნის წახდენა ღალატით!

...როცა, რამდენიმე წლის შემდეგ, ფინიკიელი მოგზაური და დიდვაჭარი კვლავ ეწვია კოლხეთს – ქვეყანა მოოხრებული დახვდა. აღარსად იყო დიდებული ციხე-ქალაქები. ნაცარსა და მტვერში იწვა იავარქმნილი, ოდესღაც სახელგანთქმული საკულტო ქალაქი ვანიც, უფრო სწორად, ახლა უკვე ნაქალაქარი. აღარ იწონებდა თავს ბორცვის წვერზე აღმართული მარმარილოს ბრწყინვალე ნაგებობა. დამსხვრეულ-დალეწილი ეგდო ქანდაკება ქალაქის მფარველი ქალღმერთისა. აღარსად იყო ადამიანის ჭაჭანება, ცოცხლებში აღარ იყო კოლხი ოქრომჭედელიც – უზადო ნაკეთობათა დიდოსტატი.

გავიდა სისხლიანი საუკუნეები. დროჟამმა ნაცარსა და მტვერში დაფლა ძველი კოლხეთის მრავალი ქალაქი და დაბა-სოფელი. საუკუნეები გაილია ხმლის ქნევასა და ბედთან ჭიდილში, ათასწლეულების სისხლსა და ცრემლში მიინავლა ძველი კოლხეთის დიდება, მაგრამ... ერთ რამეში მაინც შეცდა სახელოვანი ფინიკიელი მოგზაური: აღარ ეწერა თურმე სიკვდილი კოლხეთის სულს!

***

...სასტუმროს ღია ფანჯარაში სულორის შხუილი შემოდის. სულ ახლოს, ხელის გაწვდენაზეა მდინარე. მთვარის თითბრისფერ სხივებში ცურავს გარსმოჯარული ქედები და «ახვლედიანების გორა». ნაწვიმარი ჰაერი ნესტიანი და გრილია. ცაზე აქა-იქ გაწოლილან მოშავო-მონაცრისფრო ღრუბლები.

სულორი კი შხუის გაუთავებლად. სულორი, სილორი, ილორი (ილორის წმინდა გიორგი, შენ დამიფარე!).

იდუმალებითაა მოცული ღამე, მოქუფრული ცაც თითქოს საიდუმლოებით შენიღბულა. შთაბეჭდილებები, შთაბეჭდილებები... ძილი არა და არ მოდის: ილორის წმინდა გიორგი... რატომ გამახსენდა ახლა ილორის წმინდა გიორგი? სულორი კი შხუის, შხუის გაუთავებლად, გამუდმებით. ხსოვნაში ჩამრჩა ერისწყლის შხუილი, რომლის ნაპირებზეც გავიზარდე. მეამაყებოდა, რომ ასეთი დიდებული სახელი ერქვა ამ პატარა მდინარეს... და კიდევ ენგურის ღრიალი.

სულორი, სილორი, ილორი...

ბავშვობიდანვე ვევედრებოდი რაღაც უხილავ ძალას (იქნებ წმინდა გიორგის, ქვეშეცნეულად?) მაპოვნინე თამარის საფლავი... რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერი-თქო.

ალბათ, ყველა ბავშვის სანუკვარი ოცნებაა ეს. იქნებ ამიტომაც იყო არქეოლოგია შემოსილი ესოდენ რომანტიკული შარავანდედით ჩემს წარმოსახვაში? და, აი, ამდენი ხნის შემდეგ, ამდენი ოცნებისა და ნატვრის შემდეგ პირველი დღე არქეოლოგებთან – ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში!

ძილი არა და არ მეკარება.

...ისე მოულოდნელი და უეცარი იყო ეს შეხვედრა! საუბარ-საუბარში რუსუდან ფუთურიძე და მე ზედ წავდგომივართ ღია საფლავს.

ვცდილობ, უეცარი შეკრთომა დავფარო. ნუთუ ასე ახლოს ვდგავარ ამ საფლავთან?

მერე ეს განცდა არ მასვენებდა მთელი დღე. აი, ახალი მრგვალი სახურავი. თურმე მის ქვეშ – ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილი – მრგვალი ტაძრის ნანგრევია დაცული.

და ასეა ყოველ ნაბიჯზე. ხან რის ნაშთს ვაწყდებოდი, ხან რისას. ან რაა საკვირველი? მე ხომ იმ გორაზე ვიმყოფები, სადაც გაშენებული იყო დიდებული კოლხური საკულტო ქალაქი.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უნდა დაადგა ფეხი ამ მიწას – აქ მიწის ყოველი მტკაველი მორწყულია წინაპართა სისხლით, მოკირწყლულია მათი ძვლებით.

ფეხაკრეფით მივუყვები 23 საუკუნის წინათ ფილებით ნაგებ გზას. აი, საკურთხეველიც...

გაღმა კი, უძველესი ნაგებობის ნანგრევებზე, ოდა-სახლი დგას (მერე გავიგე, ეს სახლი უნდა აიღონ და გათხარონ ის ადგილი). უცნაურად, მკვეთრად მრჩება მეხსიერებაში ეს სურათი – ძველისა და ახლის გვერდიგვერდ არსებობა.

ავდივარ აღმართზე. ვჩერდები წარამარა. აი, ეს ცნობილი კიბეებიც... გორაკების კალთებზე შეფენილი იმერული ოდები. ადრეული შემოდგომის სურნელი ტრიალებს ჰაერში. ჯერ ფოთლები არ შეყვითლებიათ ხეებს.

სულისშემტაცი სურათია. მწვანე ფერების ნიაღვარი დგას. «ღმერთო!» მაგრამ რატომაა ყველაფერი ასე სევდით მოცული? ეს ქედებიც? ეს ჭალებიც? ეს ჰაერიც? იქნებ შემოდგომის შეღამების ბრალია ეს? იქნებ მეჩვენება?

ათასწლეულების სევდით სუნთქვას აქ ყველაფერი...

არა, არც კოლხი ქალის საყურეების წკრიალია მოჩვენება ამ ღამეში, არც ამ მეომრის იარაღის ჟღარუნი, შორეულ ნაცნობ მელოდიას რომ მაგონებს. კოლხი ქალი იღიმება ოდნავ, იღიმება ჩუმი ღიმილით. მენანება, რაღაც ძალიან მენანება...

სულორი შხუის.

ღამე ამძაფრებს განცდებს, ამძაფრებს სევდასაც, წუხილსაც, სინანულსაც.

სანამ ძილს მივეცემოდე, ვნატრობ, აღარ იწვიმოს ხვალ. თენდება მეორე დილა ღრუბლიანი, ნისლიანი და... წვიმიანი.

«ახალი და უცნობი ცივილიზაცია»

პირველი გრძნობა, რაც დაეუფლა, შიშის გრძნობა იყო. უსაზღვრო შიშის – არაფერი მოსვლოდა ამ საგანძურს. დროზე მიეჩინა მათთვის ალაგი. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემოდა იმ სიხარულის განცდას, რასაც არქეოლოგისთვის პოვნის, აღმოჩენის სიხარული ჰქვია. ჰოდა, მოვიდა ოთარ ლორთქიფანიძესთან ეს სიხარულიც.

მანამდე კი, მანამდე იყო გასწორებული დღეები და ღამეები. ორი კვირის განმავლობაში ექსპედიციის ყოველი წევრი ციებ-ცხელებას შეეპყრო, სანამ არქეოლოგის ფრთხილი ხელები მტვერსა და ნაცარს მოაშორებდა წარჩინებული კოლხი ქალისა და მამაკაცის სამკაულებს. ღამით, როცა იდუმალი მდუმარება დაივანებდა გორაზე, როცა წყვდიადში იძირებოდა გურია-აჭარის ქედები, უძილობისაგან დაწითლებულ და აღგზნებულ თვალებში ისახებოდა უძველესი ქალაქის კონტურები, მტკიცე გალავანშემოვლებული სამკუთხა ბორცვი სამ ტერასად დანაწილებული, გალავნის სქელი კედლები და კოშკები, კარიბჭესთან აღმართული ქალაქის მფარველი ქალღმერთის ქანდაკება (კოლხური წესის თანახმად, ქალაქის მფარველი ღვთაება ქალაქის შესასვლელში იდგა) და ტაძრები, მარმარილოს ტაძრები მრგვალგუმბათიანი,

მოზაიკისიატაკიანი ნაგებობები, გრანდიოზული სასახლეები, ქურუმთა სავანეები, კოხტად მოკირწყლული ქუჩები...

ამ ქუჩებს გრძელ მწკრივად ერთმანეთს მიუყვებიან სალოცავად მიმავალი კოლხი ქალები და კაცები. მზის სხივებზე ბრჭყვიალებენ სამკაულები...

და ვით ადრე, არმაზის საფლავიდან წამოიმართა მშვენიერი სერაფიტა, ახლა ოცდახუთი საუკუნის წინანდელი საფლავიდან ფარფატით ამოდის კოლხი ქალის აჩრდილი...

თეთრდარახტულ ცხენზე ამხედრებული მოაგელვებს იგი თავის რაშს უშორესი წარსულიდან – XX საუკუნის. ადამიანებთან შესახვედრად. მხრებზე ოქროსფერი თმა გადმოღვრია, თავს უმშვენებს ოქროს დიდებული დიადემა – კოლხი ოქრომჭედლის ნახელავი. კოლხურია ცვარათი გაწყობილი სხივანა საყურეებიც, ყელსაბამიც, ბეჭდებიც, მძივებიც, სამაჯურებიც.

მერე, უფრო მოგვიანებით მოვიდა ოთარ ლორთქიფანიძესთან მათი მეცნიერული გააზრება, მერე დაადგენს არქეოლოგის მახვილი თვალი, რომ ისინი წმინდა კოლხური თავსამკაულებია და ძველი კოლხეთის რელიგიურ წარმოდგენებს – მიცვალებულის კულტს უკავშირდება, რომ კოლხური თავსამკაულის აუცილებელი ელემენტია საყურეები და სასაფეთქლეები, დგინდება მათი რამდენიმე სახეობა: სხივანა, ბურთულიანი, ჭვირულბურთულიანი, დაღარულბურთულიანი, დაცვარულ-ბურთულიანი და პირამიდულსაკიდიანი ნახევარმთვარისებური და ფიგურსაკიდიანი. სხივანა საყურეების გარდა ვხვდებით ფრინველის მინიატურულ გამოსახულებებსაც. მერე ოთარ ლორთქიფანიძე დაადგენს, რომ ვანში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ძეგლები გამოირჩევა მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით. რომ ვერცხლისა და ოქროს დიადემების რომბისებურ ფირფიტებზე გამოსახული ცხოველთა ჭიდილის სცენები ან ვარდულა და წაგრძელებული – თითისტარისებური ბურცობებიანი ფორმის სამკაულები მხოლოდ საქართველოშია აღმოჩენილი (ერთი ჩრდილოეთ კავკასიაში) და ისინი წმინდა კოლხური თავსამკაულებია, მხოლოდ კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი.

მერე ოთარ ლორთქიფანიძე დამასკოს არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს გააცნობს იმ მასალებს, რაც ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1966-72 წლებში აღმოაჩინა: ქალაქის III – II საუკ. ძვ. წ. გალავნის კედლები და კოშკები, კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსები, ე.წ. მოზაიკისიატაკიანი ტაძარი, მრგვალი და აბსიდიანი ნაგებობანი, საცხოვრებლის ნაშთები. აგრეთვე ორი მდიდრული სამარხი «წარჩინებული კოლხი ქალისა» და «წარჩინებული კოლხი მეომრისა», ჭედური გამოსახულებით შემკული ოქროს დიადემები, ცვარათი მორთული სამკაულები, ქვისაგან გამოკვეთილი ლომის თავების სკულპტურული გამოსახულებანი, ანტიკური ხანის მცირე ხელოვნების ძეგლები (ძვ. წ. V ს.) ნიკეს ქანდაკება, დიონისეს წრის ღვთაებრივი გამოსახულებანი...

დამასკოს კონგრესის უცხოელი სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს არის «ახალი და უცნობი ცივილიზაცია».

***

ეს «ახალი და უცნობი ცივილიზაცია» ძველმა კოლხეთმა შექმნა და მის ადგილობრივ წარმომავლობას ჯერ კიდევ დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ექვ.

თაიყაიშვილი მიუთითებდა, ვანის ოქრომჭედლობის ძეგლთა ადგილობრივ წარმომავლობას აღნიშნავდნენ აგრეთვე თანამედროვე მკვლევარები – ნინო ხოშტარია – პირველი არქეოლოგი ქართველი ქალი, რომელიც წლების განმავლობაში თხრიდა ვანის ნაქალაქარს, შეუპოვრად, მეცნიერული სიჯიუტით. ხოშტარია, ისევე როგორც ექვთიმე თაყაიშვილი, დარწმუნებული იყო, რომ ვანის მიწა მრავალ საიდუმლოებას ინახავდა, რისი ამომზეურებაც ნათელ შუქს მოჰფენდა კოლხეთის უძველეს ისტორიას. რუსუდან ფუთურიძეც – საქმისთვის ასევე ფანატიკურად თავდადებული ქალი – მტკიცედ იცავს ამ თვალსაზრისს.

კოლხეთის უძველესი და უცნობი ცივილიზაცია!.. ჯერ კიდევ ჰენრიხ შლიმანი ოცნებობდა კოლხეთის გათხრებზე. იგი ალღოთი გრძნობდა, რომ კოლხეთის მიწა-წყალი თავის ღრმა შრეებში ინახავდა ფასდაუდებელ საგანძურს, რომ როგორც ტროას ომი არ ყოფილა მოცლილი ფანტაზიის ნაყოფი, ასევე აიეტის ქვეყნის ლეგენდარული სიმდიდრე არ იყო მხოლოდ ლეგენდა: იგი ბევრად უფრო რეალური და კონკრეტული შეიძლებოდა ყოფილიყო, ვიდრე თუნდაც კრეტა-მიკენის სინამდვილე.

ზღაპრული, ოქრომრავალი ფასისი ელოდება არქეოლოგის წერაქვს. ძველი ნოქალაქევი – არქეოპოლისი (ბერძნები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ეძახდნენ მას ძველ ქალაქს), კუტაია, დიოსკურია... და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ნაქალაქარი ინახავს თავის საიდუმლოს.

ვანი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია: დიახაც ბრწყინვალე, დიდებული, მაგრამ მაინც ერთ-ერთი! ჯერ ხომ არ არის მიკვლეული ძველი კოლხეთის დედაქალაქის საგანძური...

და რამდენს დაიტევდა დედაქალაქი, როცა რიგითი ქალაქი, თუნდაც საკულტო – ფლობდა ასეთ აურაცხელ სიმდიდრეს!

და, აი, ნელ-ნელა ჩნდებიან მიწის სიღრმეებიდან ოდესღაც ჩინებულ ნაგებობათა ნაშთები – საუკუნეების მტვერსა და ფერფლში დაფლული ერის საუნჯე.

არქეოლოგები ახალ თავფურცელს შლიან ძველი კოლხეთის ისტორიისას: ხელახლად წასაკითხსა და ამოსახსნელს.

ერთ-ერთი ასეთი დიდებული თავფურცელი გადაიშალა ვანში.

***

წვიმა და უამინდობა მიშლის ნერვებს. ექსპედიციის წევრები წვიმიანი ამინდის გამო საველე სამუშაოებზე ვერ გადიან, თუმცა მათთვის სამუშაოს რა გამოლევს?

არქეოლოგის სამუშაო დღე მიმზიდველი და რომანტიკულია შორიდან, მაგრამ როგორც ყველა სხვა სამუშაო, იგი მძიმე და მომქანცველია, ხოლო როცა არქეოლოგი საველე სამუშაოზე ვერ გადის უამინდობის გამო, ხდება მოპოვებული მასალების კამერული დამუშავება: აღნუსხვა (მერამდენედ!), აღწერა (მერამდენედ!), შესწავლა. უამრავი წვრილმანი თუ მნიშვნელოვანი სამუშაო. ანუ ის, ე.წ. პროზაული მხარე, რაც ყოველ რომანტიკულ საქმეს ახლავს...

შესანიშნავად მოწყობილ ფოტო-ლაბორატორიაში ექსპედიციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, უნივერსიტეტის მე-4 კურსის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი დიმა ახვლედიანი ბეჭდავს ახლად აღმოჩენილი მასალების დიაპოზიტივებს. იგი საქმიანობს, თან ვსაუბრობთ კიდეც. ექსპედიციაში იგი უკვე მეორე წელია. ვატყობ, მას აქ ყველაფერი მოსწონს. ეს მისი საქმეა. მისი გულით საყვარელი საქმე. ასეა აქ ყველა. ახალგაზრდა ისტორიკოსი გურამ კვირკველია დიდი გულმოდგინებით მიხსნის იმ

მასალების მნიშვნელობას, რაც ექსპედიციის ბაზაშია წარმოდგენილი, განსაკუთრებით ქალის გამოსახულებიანი სვეტისთავი იპყრობს ჩემს ყურადღებას. საოცარი, ბრწყინვალე ნაკეთობაა.

აი, კოლხური კერამიკაც. საგულდაგულოდ აღდგენილი, თავს რომ იწონებს თაროებზე, მაგიდებზე.

კოლხური კერამიკა თავის დახვეწილი, ნატიფი ფორმებით, ალბათ, ერთ-ერთი უპირველესია მსოფლიოში და რაოდენი სიფაქიზე, რუდუნება, ოსტატობა და სიყვარულია საჭირო, რომ წვრილი ნამსხვრევებისაგან აღადგინო და დაუბრუნო მათ თითქმის პირვანდელი სახე.

უცნაურად მაღელვებს ეს კოხტატუჩებიანი, ყელყარყარა დოქები, სურები, ლარნაკები... ვინ იცის, რამდენ ვინმესთვის დაუცხრია მათ წყურვილი თავის დროზე! იმ ადამიანების სახსენებელი გაქრა. დოქები კი დარჩნენ და დროჟამის წარმავლობის უტყუარ ნიშნად წარმოჩენილან შთამომავლობისათვის. ვერ ვბედავ ხელი შევახო მათ, თითქოს ამით ჩემი შორეული წინაპრების წინაშე მკრეხელობას ჩავიდენ.

უცნაური შეგრძნებაა, თითქოს გულუბრყვილო, მაგრამ როგორღაც მაინც მძაფრი, მკვეთრი და მტკივნეული.

ექსპედიციის წევრები თვეობით არიან მოწყვეტილნი ოჯახს, დიდი ქალაქის მჩქეფარე ცხოვრებას. ენატრებათ და მერე როგორ – უბრალო ხეტიალი. ზაფხულში აუტანელი, ტენიანი სიცხე იცის ვანში, მომაბეზრებელია გაუთავებელი წვიმებიც, მაგრამ სამუშაო – სამუშაოა. როცა იცი, რომ ნამდვილ საქმეს აკეთებ, რომ შენ თუნდაც მცირე, მაგრამ საკუთარი წვლილი შეგაქვს შენი ქვეყნის ისტორიის კვლევის უკეთილშობილეს საქმეში – ეს უკვე ყველა სიძნელეს გადაგატანინებს.

ყველაზე უფრო თვალში მხვდება ის, რომ ვანის ექსპედიციის ხელმძღვანელიცა და წევრებიც ახალგაზრდები არიან, ახალგაზრდული ხალისი და ენთუზიაზმი იგრძნობა ყოველ მათგანში. ყველანი, როგორც ერთი, შეყვარებულნი არიან თავიანთ საქმეში, მაგრამ ამას გარეშე თვალი უფრო ამჩნევს, ალბათ, თავად კი უხმაუროდ, უპრეტენზიოდ აკეთებენ საქმეს, რომელიც უყვართ და რისი გაკეთებაც ევალებათ. და ეს მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა ათკეცად უფრო ძლიერია მათში, რადგან კაცი, ვინც მათ ხელმძღვანელობს, ვერ ითმენს მცირე დაუდევრობასაც კი და ეს არ ხდება ხაზგასმით. ეს იგულისხმება. ეს ასე უნდა იყოს.

***

რუსუდან ფუთურიძეს ვთხოვ, მიამბოს ნინო ხოშტარიაზე, ვისთანაც წლების განმავლობაში უმუშავნია. ქალბატონი რუსუდანი ლაპარაკობს და ჩემს თვალწინ დგება მიმზიდველი სახე ამ უანგარო, კეთილშობილი და უაღრესად განათლებული პირველი ქართველი არქეოლოგი ქალისა, რომლის ერთადერთი მიზანი ამქვეყნად იყო – სამსახური ქართული კულტურისადმი. ამისათვის იგი არაფერს იშურებდა. არ არსებობდა ნინო ხოშტარიასთვის პირადი ცხოვრება – იყო მხოლოდ ქართული არქეოლოგია, ასე შეუპოვრად რომ იბრძოდა მისი წარმატებისათვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

ასეთივე თავგამოდებას ვამჩნევ რუსუდან ფუთურიძესაც. მაშინაც, როცა სხვებზე ლაპარაკობს მისთვის ჩვეული თბილი, კეთილი ღიმილით, თუ ფინანსურ ანგარიშს ჩაკირკიტებს (იგი ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილეა) უნებურად იწვევს

მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობას, რადგან მასში ადამიანებისადმი სიყვარული შერწყმულია საქმისადმი თავდადებულ სიყვარულთან; ალბათ, ამის ბრალიცაა – ადამიანებისადმი ეს კეთილგანწყობაცაა მიზეზი, ასე უცბად და ერთბაშად რომ შევეთვისე, სწრაფად მოვძებნეთ საერთო ენა.

რაიმეს გარკვევა რომ მჭირდება, უწინარეს ყოვლისა, რუსუდან ფუთურიძესთან გავრბივარ და რატომღაც დარწმუნებული ვარ, იგი არ დამზარდება და თავისებურად ამომწურავად ამიხსნის იმას, რაც მაინტერესებს.

მისი გამგებიანი, კეთილი ღიმილი და თვალებში ჩაღვრილი ნათელი შუქი სიმხნევესა და სითამამეს მმატებს ხოლმე.

***

...ექსპედიციის წევრებს საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე უხმობთ ძლიერი, გაბმული, გამყინავი ზარის ხმა. თავადაც ეცინებათ ამ ხმაზე. ოდა-სახლს, რომელშიც ექსპედიციის წევრები ცხოვრობენ, უკან გრძელი, გადახურული აივანი აქვს. ქალები მორიგეობით შლიან ხოლმე სუფრას.

იმ დღეს ვანის ექსპედიციას ერთი დღით ეწვივნენ კოლხეთის ექსპედიციის ხელმძღვანელი თეიმურაზ მიქელაძე, ქობულეთის ექსპედიციის წევრი დურსუნ ხახუტაიშვილი და სტუმრები თბილისიდან.

სუფრაზე ლაპარაკია იმ აღმოჩენებზე, რითაც «უხვმოსავლიანი» აღმოჩნდა განსაკუთრებით წლევანდელი წელი.

გათხრები ალაზანზე, ნოქალაქევში, ქარელის რაიონში, მუხურჩასთან, ნოსირში, მოდინახეში...

ქობულეთის მახლობლად ტორფში აღმოჩნდა ორიათასი წლის წინანდელი საცხოვრებელი სახლი და მთელი სოფელი. ამაზე დურსუნ ხახუტაიშვილი ყვება. თეიმურაზ მიქელაძე ახლახან დაბრუნებულა საზღვარგარეთიდან და მადრიდში გამართულ არქეოლოგთა კონკრესის გარშემო ლაპარაკობს. იქ დიდი გამოხმაურება ჰქონია თურმე ვანის საგანძურს.

– შენ უნდა ყოფილიყავი იმ კონგრესზე, ოთარ! – ეუბნება მიქელაძე ოთარ ლორთქიფანიძეს.

ოთარ ლორთქიფანიძე ხალისიანი მასპინძელი აღმოჩნდა. თავდაპირველად შემეშინდა კიდეც, თავისთავზე ვერაფერს დავაცდევინებ-მეთქი. შემდეგში ძირითადად ეს ასეც მოხდა.

ჩემდაუნებურად გაფაციცებით ვუგდებ ყურს თითოეულ მათგანს და ასევე უნებურად ვცდილობ, თანამეინახეთა გარეგნობასა თუ სიტყვა-პასუხში ძველი კოლხეთის მკვიდრთა ნიშან-თვისება შევიცნო.

ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი ანეგდოტებს ყვება. ანეგდოტი ხომ იმის ანეგდოტია, რომ გაგაცინოს, მაგრამ მთხრობელს თავადაც უნდა ჰქონდეს მომადლებული იუმორის გრძნობა, ეს ყმაწვილიც უხვად დაუჯილდოებია ბუნებას ამ მხრივ.

სიცილით ვიხოცებით, ბიჭის ლაპარაკის მანერა, ხმის კილო საოცრად ნაცნობია. ვიღაცას ვამსგავსებ, მაგრამ ვის? ვერა და ვერ ვიგონებ.

მერე მეუბნებიან, ქართლოს კასრაძის ვაჟიაო. მერაბ კასრაძე არქიტექტორ-რესტავრატორია და სადიპლომო თემას ამზადებს თურმე ვანის მასალებზე.

საღამოს კიდევ ერთი სტუმარი ჩამოვიდა თბილისიდან – იგი ოთარ ლორთქიფანიძეს მოუწვევია საგანგებოდ. ახალგაზრდა მეცნიერმა მიხეილ ზანდუკელმა, სპეციალობით პალეოზოოლოგმა, უნდა შეისწავლოს და დაადგინოს

ცხოველის რა და რა სახეობა გვხვდება სამარხებში ...იგი მაშინვე შეუდგა მუშაობას. და უკვე საღამოსათვის ექსპედიციის ხელმძღვანელს ბევრი რამ აუწყა ამის თაობაზე.

დრო შევარჩიე და ოთარ ლორთქიფანიძეს ვეკითხები ბერგამოში გამართული ქართული ხელოვნების სიმპოზიუმზე. მაინტერესებს მისი შთაბეჭდილებები. ვიცი, რომ ამ სიმპოზიუმზე მან იტალიურ ენაზე წაიკითხა მოხსენება ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილ საგანძურზე.

– სამწუხაროა, რომ ამ სიმპოზიუმს ვერ დაესწრო ოთარ ჯაფარიძე. იგი ადრეული ბრინჯაოს ხანის ქართულ მასალებს გააშუქებდა და ამით ერთგვარად შეიკვროდა წრე ქართული ხელოვნების განვითარებისა. მით უმეტეს, რომ მომდევნო პერიოდზე კიტი მაჩაბელს ჰქონდა მოხსენება, – ამბობს ოთარ ლორთქიფანიძე და დასძენს, – ბრწყინვალე მოხსენებები წაიკითხა ვახტანგ ბერიძემ. მან თავის პირველ შესავალ მოხსენებაში ზოგადად მიმოიხილა ქართული ხელოვნების განვითარების გზა დასაბამიდან დღემდე, ხოლო შემდეგ ცალკე მოხსენება წაიკითხა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაზე. იგი პარალელს ავლებდა იმ დროის ევროპის არქიტექტურის ძეგლებთან. შესანიშნავი იყო ფოტოგამოფენა, რომელიც მიეძღვნა ქართული ხელოვნების ძეგლებს. ევროპის მეცნიერებისათვის აღმოჩენა იყო ეს ძეგლები და, საერთოდ, საზღვარგარეთ ასე ფართო მასშტაბით სიმპოზიუმის მოწყობა ქართულ ხელოვნებაზე – უპრეცედენტო შემთხვევა გახლავთ.

შემდეგ ოთარ ლორთქიფანიძე «მიმხელს» საიდუმლოს, რომ მაისში ნავარაუდევია იენისა და ჩვენი უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო სხდომები, რომლებიც ქართულ ხელოვნებას მიეძღვნება. რასაკვირველია, აქაც ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიჭერს ანტიკური ხანის კულტურა.

ნელ-ნელა იხსნება ის რკალი, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში მოქცეული იყო ქართული ხელოვნება. ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური საგანძური თანდათან იკვლევს გზას მსოფლიო კულტურის განვითარების საერთო ფარვატერში და თავის საპატიო და კუთვნილ ადგილს იჭერს.

მაგონდება გიორგი ჩუბინაშვილის სიტყვები: «ქართულ ხელოვნებას, კერძოდ, არქიტექტურას, გააჩნია სავსებით თავისებური, თვითმყოფადი განვითარების ისტორია, იგი მხატვრული თვალსაზრისით შეიცავს სავსებით სრულყოფილ, დასრულებულ ნაწარმოებებს და მან გარკვეული წვლილი შეიტანა საერთო საკაცობრიო კულტურის საგანძურში».

გიორგი ჩუბინაშვილის წიგნის იტალიურ ენაზე თარგმნა, მე მგონი, ამ საკაცობრიო წვლილის ერთ-ერთი გამოხატულებაცაა.

ივანე ჯავახიშვილი. ექვთიმე თაყაიშვილი. გიორგი ჩუბინაშვილი. ამ სახელების წინაშე მოწიწებით უნდა მოიდრიკოს ქედი ყოველმა ქართველმა. მათებრი მამულიშვილური თავდადება, მოწამეობრივი თავგანწირვა ქართული კულტურისთვის შეიძლება ჩვენს ერს ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

«სიო მოქრის შებინდების»

...წვიმამ გადაიღო, მაგრამ ნაშუადღევს ცა მოიქუფრა, ისევ წამოჟინჟღლა.

ოთარ ლორთქიფანიძეს სტუმრები მაინც მიჰყავს ნაქალაქარის დასათვალიერებლად. მე როგორღაც ავცდი ამ მომენტს და მერე გული დამწყდა, რომ

თავად ექსპედიციის ხელმძღვანელისგან ვერ მოვისმინე ახსნა-განმარტება ყოველივე იმაზე, რაც ნაქალაქარშია აღმოჩენილი.

საღამოს ესქპედიციის სამუშაო ოთახის კედელზე ოთარ ლორთქიფანიძე სტუმრებს უჩვენებს წელს მოპოვებული მასალების ფერად დიაპოზიტივებს, რაც მის ლაბორატორიაშია დამზადებული.

წლევანდელი აღმოჩენებიც ერთობ მნიშვნელოვანია: გაითხარა საკულტო მონუმენტურ ნაგებობათა კომპლექსი, სვეტებიანი დარბაზი, ქვით ნაგები კიბეები – როგორც ჩანს, სამსხვერპლოსკენ მიმავალი კიბეებია ისინი.

დილით კი ოთარ ლორთქიფანიძემ ძირს გადამახედა და დამანახა დაბლობში ის ადგილი, სადაც წინასწარ სადაზვერვო გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძველი ნაქალაქარი, ე.ი. ბორცვზე განლაგებული ყოფილა საკულტო ქალაქი (ასე მიაჩნია ოთარ ლორთქიფანიძეს), ხოლო ქვევით, დაბლობში იყო ჩვეულებრივი ქალაქი, თავისი სავაჭროებით, სახელოსნოებით, მოქალაქეთა საცხოვრებლებით, მოკირწყლული ქუჩებით, წყალსადენით, ბაზრებით, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ქალაქი...

არქიტექტორი გიორგი ლეჟავა, რომელიც ზომავს ნაქალაქარის ნაგებობებს, მაჩვენებს თავის წარმოსახვაში შექმნილი ქალაქის ნახატებს. ისინი საოცრად ეთანხმიერებიან ჩემს მიერ გონებაში შექმნილს.

გიორგი ლეჟავა გატაცებით ლაპარაკობს ძველ ქართულ არქიტექტურაზე, მის თავისებურებაზე.

მე ჩემთვის ვფიქრობ: როგორი იყო აიეტის სასახლე, ასე რომ განაცვიფრა ბერძნები? ჩვენში საერო ნაგებობანი ხომ თითქმის არ შემორჩენილა. ისინი მომხვდურთა შემოსევების პირველი მსხვერპლნი ხდებოდნენ.

როგორ გამოიყურებოდა მეფის პალატები? რა კონსტრუქციით იყო ნაშენი უზარმაზარი სასახლეები? ხომ არ შეიძლებოდა დანარჩენი ქვეყნებისაგან მოწყვეტილად ეცხოვრათ კოლხ ხუროთმოძღვრებს? რითი სუნთქავდნენ, რა იყო მათი მრწამსი?

ალბათ, ყოველ ეპოქას ჰყავდა თავისი არსაკიძეები და ფარსმან სპარსები. აიეტის დროსაც ეყოლებოდა.

...ღამე ისევ მეწვია კოლხი ქალის აჩრდილი. ისევ აბრჭყვიალდნენ თვალისმომჭრელად მისი უზადო სამკაულები. საყურეები ტოკავენ ქალის თავის ოდნავი შერხევისგან.

ბზინავენ სამკაულები... ისევ მიპყრობს სინანულის გრძნობა. კოლხი ქალის იდუმალი ღიმილი მაფრთხობს: «ყველაფერი გათავდა, წამი წამს ეზიდება, რა ამაო ყოფილა წუთისოფლის დიდება».

ნეტავი რაზე ლოცულობდა იგი, ჩემი შორეული წინაპარი, რომელ ღმერთზე... თუ ღმერთებზე? და, საერთოდ, ვის სწირავდნენ მსხვერპლს ძველი კოლხნი?

პროფ. ოთარ ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ ვანის საკულტო ქალაქი ლევკოთეას სამლოცველო იყო.

მე კი ასე მესახება: ვანის საკულტო ქალაქში რამდენიმე ღვთაების საკულტო ტაძარი უნდა ყოფილიყო აგებული.

ზაფხულის ერთ მშვენიერ კვირა დღეს (ბჟას დღას) ვანის მოქალაქენი და ახლომახლო თუ შორეული დაბა-სოფლებიდან ჩამოსული კოლხნი ოქროსფერ ტანსაცმელში გამოწყობილნი მიემართებოდნენ საკურთხევლისაკენ და მზეს სწირავდნენ მსხვერპლს: სხივნათელ, ბარჩხალა, ბრწყინვალე მზეს. («მზე დედაა ჩემი...»). მზე იყო კოლხეთისთვის სინათლის, სითბოს, იქნებ ნაყოფიერების ღმერთქალიც. «მზე დედაა ჩემი!»

ორშაბათს (თუთაშ-დღა) – მთვარის დღეს – მთვარის ღმერთთან მიჰქონდათ შესაწირავი («მთვარე მამაა ჩემი!»). ალბათ, შემოდგომაზე უსათუოდ თუთარჩელა ღამეში ხდებოდა მსხვერპლთშეწირვა. ფეხშიშველა, ვერცხლისფერტანსაცმლიანი ქალები და კაცები წალიკ-წალიკ მიუყვებიან საკულტო ქალაქისკენ მიმავალ აღმართს და ევედრებიან სავსე მთვარეს – სისავსეს, სიძლიერეს, დღეგრძელობას. იმართება საკულტო რიტუალი, მისტერიები. ქურუმები, განსაკუთრებული იდუმალებით მოსავენ ამ ღვთაებას. იგი ხომ სიმბოლოა მამაკაცური საწყისისა, მამობისა, ვაჟკაცობისა: «მთვარე მამაა ჩემი!»

იქნებ ამიტომაც მოხდა, რომ შემდეგში, მრავალი საუკუნის მერე, ქრისტიანობის გავრცელების ხანაში ხალხი ვერ შეელია თავის საყვარელ ღვთაებას და იგი წმინდა გიორგისთან გააიგივა (ისევე, როგორც მზე მიუსადაგა მარიამ ღვთისმშობელს) და იგი ყველაზე პოპულარული და საყვარელი წმინდანი გახდა. (სამეგრელოში ყველაზე ძლიერ ხატად ითვლებოდა წმინდა გიორგის ხატი ილორისა და ალერტისა).

შემოდგომაზევე იქნებოდა, ალბათ, ვაზის – მევენახეობა-მეღვინეობის ღმერთის დღესასწაული. ტაძარ-მარანში – განსხვავებულ საკულტო ნაგებობაში – ქურუმები მიიღებდნენ შესაწირავს. გაიმართებოდა საყოველთაო-სახალხო ზეიმი, დიონისური მისტერიები, ალბათ, რამდენიმე კვირას გასტანდა. მთელი დღე-ღამის განმავლობაში არ ცხრებოდა, უთუოდ, სოფლებსა და ქალაქებში, მთელ კოლხეთში ვაზის ღვთაების სადიდებლად აღვლენილი ლოცვა-ვედრება, მხიარულება, ხალისი, ცეკვა-თამაში. ოდითგანვე ვაზი ხომ სიმბოლო იყო ქართველი კაცისთვის სიხარულისა, სილამაზისა და დაყურსული შემოდგომისა!

ხუთშაბათი (ცაშ-დღა) – სიწმინდის, შუქნათელობის, სინატიფის, სიფაქიზისა და სინაზის ქალღმერთი – ალბათ, კოლხი ქალწულების ყველაზე საყვარელი და სანუკვარი ღვთაება იქნებოდა. ცის ქალღმერთის უზენაესი ღვთაების – დიდი ნანას – დღესასწაულზე უსათუოდ ცისფერი კაბებით შეიმოსებოდნენ და სამსხვერპლოზე მიიტანდნენ ველის უმშვენიერეს ყვავილებსა და გაზაფხულის ხილის პირველ ნაყოფს.

თახა... ჯუმა... ობი... მეომარი კოლხების მრისხანე ღმერთები!

და შაბათი – ერთადერთი დღის სახელი – ამოვარდნილი მეგრული კალენდრიდან – ალბათ, იყო წყლის ქალღმერთის დღე. ამ ღვთაებას, თეთრ სამოსელში გახვეული კოლხები მსხვერპლს სწირავდნენ.

ამდენი ღვთაების საკულტო ნაგებობა ერთ ქალაქში!

მევე მეღიმება ჩემს ვარაუდზე. თუმცა... იქნებ არც ისე გულუბრყვილო იყოს ეს ვარაუდი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს? ჩვენ ხომ ძალიან ცოტა რამ, თითქმის არაფერი ვიცით კოლხთა ღმერთებზე.

დაბლა კი დუღდა ქალაქური ცხოვრება.

ოქრომჭედლებს თავიანთი დიდებული ნახელავი გამოუფენიათ საჯაროზე. თავს იწონებს განთქმული კოლხური კერამიკა... ქუჩებში კი ირევიან ათასი ჯურის ადამიანები: ფინიკიელნი, ბერძენნი, ასურელნი, ეგვიპტელნი, ინდონი, სპარსნი...

ურმებით, ცხენებით, ფეხით მოდიან კოლხეთის სხვადასხვა კუთხიდან ვანის დიდ ქალაქში სავაჭროდ, საქმეების გასარიგებლად, უბრალოდ ნაცნობ-მოყვარეთა სანახავად, დროს სატარებლადაც კი.

და ირევა ხალხი ქალაქის ქუჩებში, ბაზრებში, სავაჭროებში, დუღს და ჩქეფს ცხოვრება თავისი ყოველდღიურობით, წვრილმანი და მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე...

***

იქნებ მე მეჩვენება ასე, ან იქნებ სიჯიუტე მართლაც საერთოდ აუცილებელი თვისებაა არქეოლოგის ხასიათისა? იქნებ სხვანაირად არც შეიძლება თავი მოაბა ყოველივე იმას, რისი გაკეთებაც უწევს არქეოლოგს და, მით უმეტეს, ექსპედიციის ხელმძღვანელს?

ვანი სახელმწიფო ნაკრძალად არის გამოცხადებული. სახელმწიფო დიდძალ სახსრებს ხარჯავს ექსპედიციის ნორმალური მუშაობისათვის. გათვალისწინებულია არქეოლოგიური მუზეუმის აგება. იგი არქიტექტორ გიორგი ლეჟავას პროექტით აშენდება. ეს ექსპედიციის ხელმძღვანელის შეუპოვრობის შედეგიცაა (უნებურ აღტაცებას იწვევს ჩემში 70 წელს მიტანებული ბატონი გიორგის, ამ მრავალჭირგადახდილი კაცის ენერგია, ენთუზიაზმი, ის მონდომება და სიყვარული, რასაც იგი იჩენს ვანის ნაქალაქარის მიმართ).

მაგონდება რუსუდან ფუთურიძის ნაამბობი: ადრე, ამ რამდენიმე წლის წინ, როცა ექსპედიციას ჯერ კიდევ ნინო ხოშტარია ხელმძღვანელობდა, საკულტო ნაგებობის ერთ-ერთი სვეტის თავი აღმოაჩინეს. ეს დიდი მოვლენა იყო არქეოლოგებისათვის. ჰოდა, რაიონის მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი, ეს ამბავი რომ შეატყობინეს, ამოვიდა ექსპედიციის ბაზაში და ფეხი დაუდევრად წაჰკრა არქეოლოგებისათვის ესოდენ ძვირფას ნივთს. ვითომ ესაა, რაცაარ?

მართლაც რომ ექვთიმე თაყაიშვილისებური მამულიშვილობა იყო საჭირო, უკან არ დაგეხია, არ გამტყდარიყავი, მტკიცედ გერწმუნა, რომ ეს მიწა ინახავს შენი ერისთვის ფასდაუდებელ საგანძურს, რაც მსოფლიოში სახელს გაუთქვამს მას და უცხოელებს ათქმევინებს, დიახ, ეს არის სრულიად უცნობი და ახალი ცივილიზაციაო.

ოთარ ლორთქიფანიძემ ღირსეულად გააგრძელა თავისი წინამორბედების საქმე და თავგამოდებით შეეჭიდა სიძნელეებს და გაიმარჯვა კიდეც. ეს გამარჯვება კი საერთოდ ქართული არქეოლოგიის გამარჯვებაა. საშვილიშვილო საქმეა!

ხასიათის სიმტკიცე, მიზანდასახულობა... იგი ერთბაშად არ მოდის. ეს თვისება თანდათან მუშავდება ადამიანში. მაგრამ ხანდახან რაღაც ბიძგიც არის საამისოდ საჭირო უთუოდ.

იქნებ ეს თვისება ყველაზე მკვეთრად მაშინ გამჟღავნდა მასში, როცა ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა უარი უთხრა, აეყვანა თავისთან ასპირანტად. ოთარ ლორთქიფანიძე ლენინგრადში წავიდა და მიაღწია იმას, რომ გაიდუკევიჩთან და კოლობოვასთან განაგრძო სწავლა.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მტკიცედ ჰქონდა მიზნად დასახული – გამხდარიყო ანტიკური ხანის სპეციალისტი...

ერთი პატარა, თითქოს უმნიშვნელო დეტალი მრჩება მეხსიერებაში...

ახლადგამოსულ რომელიღაც არქეოლოგიურ სახელმძღვანელოს ვათვალიერებდი. ამიერკავკასიისადმი მიძღვნილი თავი გულისყურით წავიკითხე. კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოების წარმოქმნის თარიღი აშკარად არასწორი მეჩვენა. სადილობის ჟამს სხვათა შორის ვუთხარი ამაზე ოთარ ლორთქიფანიძეს. როგორც სჩვევია ხოლმე, ყურადღებით მომისმინა, მაგრამ მგონი არ დამიჯერა. მეგონა, ამით დამთავრდა კიდეც ეს საუბარი-მეთქი, მაგრამ საღამოს, ჩემდა მოულოდნელად, ოთარ ლორთქიფანიძე უცებ მეკითხება, ხომ არ მაჩვენებთ იმ ადგილს, სადაც ის თარიღები ეწერაო. სასწრაფოდ მოვუძებნე წიგნში ის თავი. გულმოდგინედ წაიკითხა. იქვე სხვა მრავალი შეცდომაც

აღმოჩნდა. წერილი უნდა გავუგზავნოთ რედაქციასო, – თქვა მშვიდად, წყნარად, მაგრამ გადაჭრით, შეუვალი ხმით.

უწყვეტი ჯაჭვი

დილით მზემ გამოაჭყიტა. ვისარგებლე ამით და დაბა ვანის დათვალიერებას შევუდექი. საერთოდ, პირველი დღიდანვე მომხიბლა ვანელთა თავაზიანობამ, ზედმიწევნითმა ზრდილობამ, რასაც ისინი ჩამოსულების მიმართ იჩენენ. მე ეს ჩემს თავზეც გამოვცადე. უცნობ ქალაქში ჩამოსული უცნობი ქალისთვის იოლი როდია გზის გაკვლევა. მაგრამ თითქოს შეთანხმებულივით, დიდიან-პატარიანად ყველა მზად იყო, რაღაცაში დამხმარებოდა, თავი შინაურულად მეგრძნო. მეც ამიტომ ლაღად და თავისუფლად ვიყავი, როცა მარტოდმარტო დავეხეტებოდი ქუჩებში.

მოვინახულე ვანის მუზეუმი. კარგი მასალა აქვთ დაგროვილი და კარგადაც არის განლაგებული.

კედელზე გაკრული ვანის რაიონის დიდ რუკაზე ლაზურ-მეგრული ტოპონიმიკა მხვდება თვალში...

მერე გზის გაყოლებით გამოფენილ ბავშვთა ნამუშევრებს ვათვალიერებ. დღევანდელობისა და წარსულის შერწყმის თვალნათელ მაგალითად მესახება ბავშვური გულუბრყვილო ხელებით შექმნილი მშვენიერი ნახატები და ქანდაკებები. მათი დანახვა მახსენებს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ძველი ბრინჯაოს ხანის მასალებს.

როდესაც ვათვალიერებდი ურეკში, ართვინში, თაგილონსა და სხვა ადგილებში ნაპოვნ ბრინჯაოს ცულებზე ამოტვიფრულ საოცრად ნატიფ ორნამეტებსა თუ ცხოველთა ფიგურებს, უნებურად გონებაში ვანგარიშობდი, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან როგორი ხანგრძლივი განვითარების გზა უნდა გამოევლო ამ საოცარ ორნამენტიან იარაღს, სანამ ჩამოყალიბდებოდა ასეთი სრულყოფილი სახის კოლხური ცული – მთელი თავისი ვარიანტებით? და ყველა ისინი ხომ ერთიანია სტრუქტურით, მხატვრული და სტილისტური თავისებურებით. და ყველა ისინი ერთი წრის ხელოსნური ნაწარმია, ერთნაირი ტექნიკური ჩვევებისა და ხერხების ნაყოფია და ეს ყველაფერი განეკუთვნება XIV-XIII საუკუნეებს ჩვ. წ-მდე. ეს სწორედ ის დროა, როცა უძველესი მეტალურგიული წარმოების საფუძველზე ყალიბდება მსოფლიოში ცნობილი ერთიანი, დასავლეთ ქართული, კოლხური კულტურა. ასეთი ცულები, ისევე როგორც თოხები (თავისი მრავალსახეობით), სეგმენტური იარაღები დამახასიათებელია მხოლოდ კოლხური კულტურისათვის და არსად სხვაგან არ გვხვდება. იგი არსებობს კოლხური კულტურის არსებობის მთელ მანძილზე!

ეს უწყვეტი ჯაჭვი კოლხური ცივილიზაციისა ასე ნათლად ვანის ნაქალაქარის საგანძურმაც დაადასტურა.

ის უზადო ორნამეტები, ცხოველთა თუ ფრინველთა ფიგურები, ცულზე რომ არის ამოკვეთილი, ვანის სამკაულებშიაც გვხვდება სახეცვლილი ვარიანტებით. დიახ, ეს უწყვეტი, ერთიანი ჯაჭვია განვითარებისა.

და ახლა ვანელი ბავშვების ამ ნახელავის დათვალიერებისას, ჩემს წინ ცოცხლდება ეს ჯაჭვი, ალაგ-ალაგ გაწყვეტილი, დაშორიშორებული უკუღმართი დრო-ჟამის მიერ, მაგრამ მაინც მთლიანი, ერთიანი! რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონოდა მხატვარ დიმიტრი ყიფშიძეს ამ კულტურისა, თავისი ქვეყნის წარსულისა და მომავლისა, რომ

ასე თავგამოდებით შთაენერგა ბავშვებში ხელოვნების სიყვარული, სიყვარული სილამაზისა, მშვენიერებისა, სიკეთისა, სიყვარული თავისი ერისა.

გენიალურად აქვს ნათქვამი ჩვენს ხალხს: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო, როგორი დიდსულოვანი უნდა ყოფილიყო ხალხი, რომელმაც ნახა და გამოსცადა ამდენი სიმწარე, გამოიარა ტანჯვა-წამების უსაშველოდ გრძელი გზა და მაინც არ დაშრეტოდა სიკეთის ქმნის დაუოკებელი წყურვილი.

ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენჯერ დაქცეულ-დანგრეულ ქვეყანას აბა, რა ძალა აღადგენდა ისევ!

უშრეტი, ულევი ძალა სიკეთისა, სიყვარულისა! და არქეოლოგიც ხომ უშრეტი, ულევი სიყვარულით აღადგენს დროჟამისაგან დანგრეულსა და დაკარგულს, და მისთვის თავდადებული, მებრძოლი რაინდია.

მაგონდება ადგილი ოთარ ლორთქიფანიძის მშვენიერი წერილიდან, ჟურნალ «ცისკარში» რომ დაიბეჭდა: «არქეოლოგია და თანამედროვეობა».

«დღეს, როდესაც ადამიანი გახდა სამყაროს ბატონ-პატრონი, ჩვენი წინაპრების თითოეული ნახელავი და ნააზრევი ისევე ძვირფასია თანამედროვე ადამიანისათვის, როგორც საკუთარი საოჯახო რელიქვია. ვინ მოთვლის წარსული ეპოქის მაღალი აზრისა და ხელოვნების რამდენი უბერებელი ძეგლი დაუბრუნა კაცობრიობას არქეოლოგის ნიჩაბმა. აბა წარმოიდგინეთ, რა ღარიბები ვიქნებოდით დღეს ჩვენ, რომ არ გვქონოდა ნეფერტიტის მშვენიერი სახე და მილოსელი ვენერა, კრეტის სასახლეები და მაიას ქვეყნის პირამიდები, პელას მოზაიკები და ფაიუმის ფრესკები, თრიალეთის, ვანისა და მცხეთის ოქრომჭედლობის განმაცვიფრებელი ნიმუშები...

ძველი ხელოვნების შედევრები ადამიანის მოდგმის კიდევ მრავალ ათეულ თაობას მოიყვანს აღტაცებაში, აამაღლებს მას და გააამაყებს...

...თანამედროვე საზოგადოებაში არქეოლოგიას კიდევ ერთი საპატიო მისია აქვს – დღევანდელ ადამიანსა და მომავალ თაობებს დაუბრუნოს მიწის წიაღში მოქცეული ყველაზე დიდი განძი – ადამიანის ნააზრევი და ნახელავი».

ფრანგული არქეოლოგიური ჟურნალის ანაბეჭდი მიჭირავს ხელში. მასში ოთარ ლორთქიფანიძის ვრცელი წერილია ვანის საგანძურის შესახებ – მშვენიერი ილუსტრაციებით. ამ დიდებულ სამკაულებს რომ დავცქერი, უცხოურ ჟურნალში გამოქვეყნებულს, ისევ ისე მიპყრობს სიამაყის გრძნობა: ეგ ჩემეულია, ჩვენეულია, ჩვენი წინაპრების სულია ჩაქსოვილი მათში, ჩვენი წინაპრების გულის ფეთქავს შევიგრძნობ თითქოს.

***

...გადაიკარა. მაგრამ ღრუბლები მაინც იწეწებიან ცაზე. ექსპედიციაში ყოფნის მესამე დღეა და საველე სამუშაოები მაინც ვერ ვნახე. ვზივარ ექსპედიციის ბაზის ახალ, ჯერ დაუმთავრებელი სახლის აივანზე განმარტოებით და ჩემს წინ გადაშლილი რიონის ოქროსფერ ჭალას გავცქერი.

იქეთ, რიონისა და სულორის შესართავთან არის სოფელი ჭყვიში, ხელმარჯვნივ «დაბინდული ქლიავისფერი» ქედი აღმართულა.

ისეთი დუმილია, თითქოს ქვეყნის შექმნის პირველი დღე იყოს.

«ყოველგან უჩინრად ტირიან დანაკლისს,

თამარის ტაძრები და ძვლები ირაკლის».

რამდენი, აურაცხელი, უთვალავი «დანაკლისია» ჯერაც ჩვენი ერისთვის ისტორიის წყვდიადში მიკარგული.

რამდენი, აურაცხელი, უთვალავი. მხოლოდ ერთ-ერთის ზეობაა ვანის ნაქალაქარი.

ასევე ჰქვია წიგნს, ახლა რომ დავყურებ, ოთარ ლორთქიფანიძე ხატოვნად და ამავე დროს, ლაკონური ენით მოგვითხრობს ვანის გათხრების ისტორიაზე.

შებინდდა. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ სიცივეს ავუტანივარ. ვანის ცაზე ისევ მოჯარდნენ საავდრო ღრუბლები. ისევ აპირებს გაწვიმებას. ხვალ, ალბათ, ისევ გაცდება არქეოლოგის ნიჩაბი და წერაქვი, მაგრამ არ შეწყდება წინაპართა ნააზრევისა და ნახელავის კვლევა-ძიება, აღნუსხვა, შესწავლა.

შეუპოვრად, ჯიუტად, თავგამოდებით გაყვებიან არქეოლოგები წინაპართა ნაკვალევს და კვლავ გადაშლიან არაერთ ბრწყინვალე თავფურცელს ჩვენი უძველესი ცივილიზაციისას.

1975 წ.
ჟურ. «ცისკარი».

ლაზეთი... ლაზეთი...

«დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო», – ნათქვამია ერთ ლაზურ ლექსში. ლაზი მთქმელი საყვედურს ეუბნება თავის ქართველ თანამოძმეს. თითქოს შორეული საუკუნეების ამოკვნესაა ამ სიტყვებში. მასში ის დარდი და კაეშანი მოისმის, რაც ისტორიის ბედუკუღმართობამ მოუტანა ლაზეთის მკვიდრთ.

ლაზეთი... ლაზეთი... ამ სახელის ხსენებას ზღვის ლურჯი ტალღების შრიალი მოაქვს ჩვენთვის. იგი მაღალი, უსაზღვროდ მაღალი და ლურჯი ზეცის მოგონებას იწვევს. იგი ჩვენი ძველი და მოუშუშებელი იარაა და ლეგენდარული კოლხეთის გამო სიამაყეც ამავე დროს. კოლხეთით კი ჩვენი ქვეყნის ისტორია იწყება...

ამ რამდენიმე წლის წინ გამომცემლობა «საბჭოთა საქართველომ» გამოსცა მეტად საინტერესო და საყურადღებო წიგნი «ლაზეთი», რომლის ავტორები არიან სარფელი ლაზები მ. ვანლიში და ა. თანდილავა.

პროფ. სერგი მაკალათია ამ წიგნის წინასიტყვაობაში წერს: «მ. ვანლიშისა და ა. თანდილავას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი «ლაზეთი» მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს ლაზეთის ისტორია და ეთნოგრაფია. ამ ხრივ აღნიშნული ნარკვევი პირველ ცდას წარმოადგენს და ქართულ საისტორიო მწერლობაში წინ გადადგმული ნაბიჯია, ამავე დროს მისასალმებელია ის მოვლენაც, რომ თვითონ ლაზებმა ხელი მოჰკიდეს თავიანთი მშობლიური მხარის შესწავლასა და გაცნობას, რათა ერთგვარი წვლილი შეიტანონ ლაზების გათვითცნობიერებაში».

ხოლო შარშან, ბათუმში გამომცემლობა «საბჭოთა აჭარამ» გამოსცა ახალგაზრდა ლაზი მეცნიერის ზურაბ თანდილავას «ლაზური ხალხური პოეზია».

მოყვანილი ლექსის ნაწყვეტიც ამ წიგნიდანაა ამოღებული.

«გურჯისტანის დიდო რენ არქადაშეფე ჩქინი!
გურჯისტანის რენან-ი ნოსერი ჯუმა ჩქინი?
მჯვეში გურჯიშენ მოხთეს, გიჩქინი. ჯუმა ჩქინი?
ჩქინ გოჭკონდინერი ვორეთ, მჯვეშური ჯუმა ჩქინი!

ლაზი, გურჯი, მეგრელი-თელეთი ჯუმა ჩქინი!
თურქიქ დომჭვეს, დომხალეს, ამბავი ვარ გიჩქინი.
ჩქინ თქვენი ნამუ ვორეთ, აწიშა ვარ მიჩინით...
დიდო ბგორით მჯვეშეფე, აღანი ვარ ვიჩინით...

«საქართველოში ბევრია ჩვენი ამხანაგები!
საქართველოში არიან ჩვენი ჭკვიანი ძმები?
ძველ ქართველთა მოდგმა ვართ, თუ იცი, ჩემო ძმაო?
დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!
ლაზი, ქართველი, მეგრელი, – ჩვენ ძმები ყველანი!
თურქმა დაგვწვა, დაგვადგა, შენ არ იცი ამბავი?
ჩვენ კი თქვენი ვინა ვართ, აქამდე ვერ გვიცანით...
ბევრჯერ ძველნი ვინატრეთ, ახლები ვერ ვიცანით».

მკვლევარი ზ. თანდილავა წიგნის შესავალში მართებულად აღნიშნავს: «ლაზურ ხალხურ პოეზიასა და მუსიკალურ ფოლკლორში დღემდე დაცული ბევრი ნაწარმოები ქართველ ტომთა ფოლკლორული შემოქმედების ადრინდელი საფეხურების მაჩვენებელ ცოცხალ ნიმუშს წარმოადგენს და თითოეულ მათგანს საერთო ქართული მნიშვნელობა აქვს».

წიგნში მიმოხილულია შრომის, მეთევზეობა-ნაოსნობის, საწესჩვეულებო ლექს-სიმღერები, საისტორიო ლექსები...

ლაზთა მეხსიერებაში წმინდად არის დაცული თამარ მეფის სახელი. ერთი ლეგენდის მიხედვით, ლაზეთში ხელოსნობის განვითარებას თამარის სახელს უკავშირებენ. ლაზები ოდითგან განთქმული ხელოსნები იყვნენ. ლაზ ოსტატთა მიერ ნაგები ოდა-სახლები ახლაც ამშვენებს დასავლეთ საქართველოს მრავალ კუთხე-ალაგს. მაგრამ თამარის ეპოქასთან, თამარის სახელთან ლაზების სახელოსნო საქმიანობის დაკავშირება, მიუხედავად ანაქრონიზმისა, ფსიქოლოგიურად სწორი გააზრება გახლავთ.

ზ. თანდილავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაზთა წარმოდგენაში თამარი არა მარტო ამქვეყნიური მეფე ქალია, არამედ იგი, ამასთან, მისნური, ჯადოსნური ძალით აღჭურვილი ზებუნებრივი ადამიანია...

«საუკუნეთა განმავლობაში დაქუცმაცემული საქართველოს გაერთიანებამ და თამარის მეფობის დროს ტრაპიზონის იმპერიის შექმნამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ლაზეთის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და კულტურული ყოფის ამაღლების საქმეშიც, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ლაზთა მეხსიერებაში, ისე როგორც მთელ ქართველ ხალხში, ეს ხანა და თვითონ თამარ მეფე დაუვიწყარი დარჩა. ბუნებრივია ისიც, რომ ლაზები თამარის მიერ დალოცვილად თვლიან თავს და ყოველ ღირსშესანიშნავს მას მიაწერენ. და, ბოლოს, სრულიად ლოგიკურია, მადლიერ ლაზებს ეფიცათ, ელოცათ თამარის სახელზე, პოეტური სიტყვებით შეემკოთ იგი, მიეჩნიათ ქვეყნად ერთადერთ ძლიერ ადამიანად...»

ლაზეთი... ზღაპრული, ლეგენდებით მოცული მხარე! ათასწლეულების სიშორიდან მოაქვს მისი დიდება პონტოს ზღვის ტალღებს, გემმა «არგომ» რომ დაურღვია მყუდროება.

პირველად მაშინ იხილეს ბერძნებმა უჩვეულო სილამაზე – ზურმუხტისფერი ქედების საოცარი სიმსუბუქე – შერწყმული ასევე ზურმუხტისფერი ველ-მინდვრებისა*

და ზღვის უსასრულო სილურჯესთან, ამასთან უცხოელს აქ თვალში ეცემოდა ადგილობრივ მკვიდრთა დახვეწილი, ნატიფი გარეგნობა, გულადობა, რითაც საუკუნეების მანძილზე იყვნენ განთქმული კოლხეთის მკვიდრნი.

«იმ ტომებს შორის, სხვა სახელმწიფოს რომ ემორჩილებიან, არ მეგულება არც ერთი ისეთი სახელგანთქმული და დიდებული ტომი, რომელსაც შეეძლოს შეედაროს მას, როგორც ბარაქა-სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა მრავალრიცხოვნებით, როგორც ვრცელი მიწებითა და უხვი მოსავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით», – წერდა კოლხეთზე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი.

ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გიორგი ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა ლაზეთში სამხედრო-სტრატეგიული დავალებით, აღნიშნავს:

«ზღვისპირა ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან... აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან და ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი პირისახე აქვთ. ამასთანავე ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიითა, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან».

«ნაოსნობა ათასობით ლაზს აცლიდა სამშობლოს, ვაჭრობა და სილამაზეც ხელს უწყობდა მათ გადასახლებას სამშობლოდან. ლაზები ლამაზი ხალხია: ოსმალონი ძალიან მისდევენ მათ ნათესაობას, ლაზთა შვილებს ფულითაც ყიდულობენ», – წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

ხოლო ინგლისელი რობინ ფედენი, რომელმაც დღევანდელი თურქეთის ლაზისტანში იმოგზაურა, აღნიშნავს: «ლაზისტანის ჰავა ისევე განსაცვიფრებელია, როგორც მისი ხალხი...

გარეგნობით ლაზები სანაპიროს მცხოვრებლებს მოგვაგონებდნენ, მაგრამ ჩანს, რომ უფრო თხელ-თხელი, გამძლე და წვრილძვლიანნი იყვნენ, ვიდრე თურქები და უფრო მოგრძო სახეები ჰქონდათ. ქალების უმრავლესობა ძალიან ლამაზი იყო, თავიანთ ჭრელ, ფერადოვან ტანსაცმელში ისინი სამოთხის ჩიტებს წააგავდნენ. ეტყობოდათ ნაყოფიერნიც იყვნენ. იაილებში უამრავი ბავშვი ტრიალებდა ირგვლივ. ბავშვები ძალიან მკვირცხლები და ჯანმრთელნი იყვნენ და ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იშვიათად სადმე თუ გვინახავს შვეიცარიის გარდა, ასეთი ჯანმრთელი მთიელი გლეხობა... ტრადიციული მუსიკა და ცეკვა ჯერაც არსებობს. როცა მივდიოდით ზევით საძოვრებზე, ჩვენი მეგზურები გვამხნევებდნენ თავიანთი გუდა-სტვირებით».

პირველი კარტოგრაფები, განთქმული მეზღვაურები და გემთმშენებლები, ვაჭრები და გულადი მეომრები, პირველი ქრისტიანები საქართველოში, ხალხი, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ესოდენ ცნობილ გვარსა და დინასტიას, შრომისმოყვარე, თავისი ქვეყნისა და ენის უსაზღვროდ მოყვარული – ასე იცნობდნენ ლაზებს ძველ მსოფლიოში. მაგრამ ამ მამაც და ამაყ ტომს იმთავითვე დაუსრულებელ ტრაგედიად ექცა არსებობა.

ხან ერთი იმპერიის ბრძოლის ასპარეზად იქცეოდა ძველი ლაზიკა, ხანაც – მეორის, ერთ მბრძანებელს მეორე ცვლიდა. კეისარს შაჰი მოჰყვებოდა, შაჰს – ხონთქარი... და ასე დაუსრულებლივ.

გოლგოთის გზა არგუნა ბედმა ლაზეთს, ისევე როგორც მთელს ძველ საქართველოს.

ლაზეთი... ძველი და მოუშუშებელი იარა ჩვენი ერის სხეულზე, მისი დაცემა-დაკნინების უტყუარი საბუთი, მისი დაშლა-დაქცევის გულისშემძვრელი მაგალითი.

აღზევების ჟამს ჩვენი დიდი მეფეები გრძნობდნენ ამ იარის სიმწვავეს და ცდილობდნენ, გაეწვდინათ დახმარების ხელი მოძმეთათვის, მაგრამ დროის

მცირეოდენი მონაკვეთიღა არგუნა ბედმა საქართველოს ამ ისტორიული მისიის შესასრულებლად. მერე ისევ აიწეწ-დაიწეწა ყველაფერი, ისევ უკუღმა დატრიალდა ბედის ჩარხი და ნელ-ნელა, ხან ერთი ნაწილი ეკარგებოდა, ხან – მეორე მთლიან სხეულს. მერე ამ დარღვეული სხეულის გულის გადასარჩენად იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი გამართული. ვისღა ეცალა ახლა დანარჩენი ნაწილებისათვის? ან ახსოვდათ კი იგი?

ხსოვნით იქნებ ახსოვდათ კიდევ, მაგრამ თანდათანობით ბუნდოვანი, გაურკვეველი ხდებოდა მოგონება! ასე რომ, დიდი სულხან-საბაც კი დააბნია საუკუნეთა ბურუსმა.

დავიწყების ფერფლი ეყრებოდა წარსულს, თანდათან ქრებოდა თანამოძმეთა ხსოვნაც...

ხოლო უზარმაზარ იმპერიასთან მარტო და პირისპირ დარჩენილი ლაზეთი, ოდესღაც დიდებული და სახელოვანი კოლხეთის მემკვიდრე, სულს ღაფავდა, ამაოდ მოუცვდა ხმალი ქნევაში, ან კი, რა ძალას შეეძლო მაშინ გაერღვია გარს მომდგარი სიბნელე? ფიზიკურად გადარჩენის ინსტინქტიღა შერჩათ ლაზებს, მუსულმანობის ზღვაში ჩაძირულთ.

«დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო»... – ეს საყვედური საქართველოს ისტორიულმა ბედუკუღმართობამ წარმოშვა.

და, თითქოს ამ საყვედურის საპასუხოდ გამოანათა ჩვენს ლიტერატურაში ლაზი კონსტანტინე არსაკიძის სახემ.

ჩვენმა სასიქადულო მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ არსაკიძის ლაზად წარმოჩენით თავისი ეროვნული ვალი მოიხადა ლაზეთის წინაშე. შეუძლებელია, აუღელვებლად მოიგონო ის ეპიზოდი, როცა ჟამიანობის გამო შიშით შეპყრობილ თანამოძმეებს მიმართავს არსაკიძე:

«ლაზებო, მართალია ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამის საფრთხე ყველას გვიქადის...

რას იტყვიან იბერიელები? მშიშარანი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები, ძმებია ჩვენი. აბა, მოიგონონ უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ გიღალატნიათ მათთვის? ახლა ვირთხებისა და რწყილების მიერ გავრცელებულმა ჟამმა რომ გვასწავლოს ღალატი, სირცხვილი იქნება უთუოდ, ლაზებო.

ეგეც იცოდეთ, ძმებო, არავინ ისე საძაგელი არაა ამ ქვეყნად, როგორც ძმების მოღალატე, მშიშარა ვაჟკაცები...

– მართალს ბრძანებს, მართალს ბრძანებს ოსტატი, – მიაძახეს ლაზთა შორის უხუცესებმა».

შემდეგ ნოდარ დუმბაძის რომანში «ნუ გეშინია, დედა», – ახმიანდა მკაფიოდ იგივე პრობლემა, ალი ხორავას კოლორიტული სახით გამოკვეთა მწერალმა თავისი სატკივარი.

«რამდენჯერ ამოსულა სათვალთვალო კოშკზე ალი ხორავა და გაღმა გაუხედავს, ჭოგრიტი გამიწოდებია და არ გამოურთმევია – ისედაც კარგად ვხედავო. დიდხანს უცქერდა, მერე მძიმედ ამოუოხრებია და წაულა. ვინ იცის, რაზე ოხრავს ალი, გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, თუ ლაზეთზე, იქაურ ჩაბნელებულ ოდებზე. მორყეულ დედაბოძებზე, უმინო სარკმლებზე, დაკერებული შარვლებით მოტანტალე

ბავშვებზე, თუ მინარეთის თავზე დარჭობილ ნახევარმთვარეზე. არავინ იცის, რაზე ოხრავს ალი ხორავა, იმიტომ, რომ არასოდეს არავის არაფერს ეუბნება. ერთი კია, რომ ორხავს ხოლმე. ალბათ ყველაფერზე ერთად ოხრავს ალი». ხოლო ეს უთქმელი სევდა საცნაური ხდება. იმ წარმოსახვით დიალოგში, რომანის მთავარ გმირ ავთო ჯაყელსა და გაღმელი მასწავლებლის ცოლს შორის რომ იმართება.

«გიცქერით ჩემს და მოგაფერებს და ჯუმა მოგაფერებს, დავდივარ ყველა ოჯახში, დაგყვებით ყველგან, თქვენთან ვარ, ჩემს სისხლ და ხორცთან, ნათესავებში», – ესიტყვება გაღმელი დობილი თავის გამოღმელ ჯუმა მოგაფერს...

«სულ ჩვენი იყო, ჯაყელო, აქედან ეჰეი... იქამდე. ლაზები ჩვენი ძმებია...»

არის ასეთი მეგრული ძველებური სიმღერა: «დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდვა» – ვაიმე დედა, ნუთუ დავიკარგები, ჩემი ცოდვა?

ბავშვობაში ერთი მოხუცებული მთქმელისაგან გამიგონია: ჩვენი ქვეყანა განძის პატარა კუნძულია, იგი აბობოქრებულ ოკეანეში მოისროლა ღმერთმა და უბრძანა: ებრძოლე აზვირთებულ ტალღებს, ებრძოლე გამუდმებით, თუ ბრძოლას შეწყვეტ, ჩაიძირებიო.

და იბრძოდა. ებრძოდა ათასგვარი ჯურის გადამთიელსა და მტაცებელს. ებრძოდა მეხთა ტეხას. და ცოცხლობდა და ქმნიდა, სისხლის წვიმაში ქმნიდა ოშკსა და გელათს. სვეტიცხოველსა და ალავერდს, ქმნიდა ხახულის კარედს, თავის იგავმიუწვდენელ ფრესკებსა და მინიატურებს, ცოცხლობდა, შრომობდა.

ცოცხლობენ ლაზებიც. ყველას გასაოცრად ახერხებენ შეინარჩუნონ თავიანთი მეობა. მართალია, დაილიენ. ოდესღაც დიდებული და მრავალრიცხოვანი ტომიდან მცირედნიღა დარჩნენ, მაგრამ მაინც არიან, არსებობენ, გამოირჩევიან.

«დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!» – ჩიოდა თავის დედასამშობლოს მოწყვეტილი ლაზი და თანამოძმეთა ეს გულსაკლავი ჩივილი მოჰქონდა ჩვენამდე შავი ზღვის ტალღებს.

1974 წ.
ჟ. «ცისკარი».

გადარჩენილი სული კოლხეთის...

«აღდეგ იერუსალიმ და დადეგ მაღალსა ზედა».

იერემიას გოდება.

«იმ ხანებში ფილტვები დამიავადდა. მამაჩემმა ბახმაროში ამიყვანა. მერე თვითონ წავიდა და დავრჩი მე მარტო. ქართული ენა არ ვიცოდი და თავი ეულად ვიგრძენი. საღამო იყო. აივანზე გავედი მოწყენილი. უცებ მეზობელი ოთახიდან ლაზური ლაპარაკი მომესმა. ყური ვცქვიტე. ნარდის ქვების ჭახაჭუხისა და კამათლების ჩხრიალში აშკარად ვარჩევ ლაზურ სიტყვებს.

ლაზური აქ? ბახმაროში? დავძაბე ყურადღება ისევ. არა, სმენა არ მატყუებს. დიდხანს არ მიფიქრია. შევაღე მეზობლის ოთახის კარი. ორი მამაკაცი მისჯდომია პატარა მაგიდას და ნარდს თამაშობს. ერთი უფრო ხანდაზმული ჩანს, ევროპულად აცვია, სუფთად გაპარსული პირი, თეთრი სახე და ცისფერი თვალები აქვს. მეორე ახალგაზრდაა, დაახლოებით ჩემი ხნის იქნება, ისიც კოხტად ჩაცმული, შავგვრემანი და შავთვალებაა. ისე არიან თამაშში ჩართულნი, ჩემი შემოსვლა არც გაუგიათ. არ შევმცდარვარ, კი. ლაზურად ლაპარაკობენ ნამდვილად. შესაფერ წამს დაველოდე და მერე მორიდებულად ვკითხე უფრო ახალგაზრდას:

– უკაცრავად, ჩემო ბატონო... სადაური ბრძანდებით?

შეწყვიტეს თამაში, ამომხედეს. მე მაშინ, 1926 წელი იყო, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. თავი მომქონდა იმით, რომ კოლეჯი მქონდა დამთავრებული. ჩაცმითაც გამოვირჩეოდი ჩემს თანატოლებში.

დაკვირვებით შემათვალიერეს წამით. მოლოდინითა და ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი ორთავეს. ბოლოს ხანდაზმულმა გამცა პასუხი:

– ხობიდან ვართ ჩვენ, ბიძია.

– ხოფიდან? შეუძლებელია ეს, ხოფში სუყველას ვიცნობ. ხოფში გავიზარდე, მაგრამ თქვენ იქ არ მინახიხართ მე.

– ხოფიდან კი არა, ხობიდან ვართ ჩვენ, ჯიმაია, – ახლა ახალგაზრდამ მითხრა და მასაც გაოცება გამოეხატა სახეზე.

– ხობი? – დავიბენი. – სად არის ხობი?

– სამეგრელოშია, ჯიმაია!

– სამეგრელო? – («პირველად მესმის. სად არის, ნეტავ?»).

– მერედა, ლაზური საიდან იცით?

– ლაზურად კი არა, მეგრულად ვლაპარაკობთ ჩვენ, ბიძია, – ახლა ხანდაზმულმა ჩამოართვა სიტყვა ახალგაზრდას: – შენ ლაზი ხარ, ბიძია, არა?

– კი, ლაზი ვარ მე. ხოფედან. – სულ ავირიე. «ვინ არიან ნეტავი? მართალია, ცოტა გადასხვაფერებულად, მაგრამ მაინც ლაზურად საუბრობენ და იძახიან, მეგრულად ვლაპარაკობთო...»

– ჰოო... ახლა გასაგებია. არასოდეს არაფერი გაგიგია, ბიძია, სამეგრელოზე, მეგრელზე, არა?

– არაფერი, ბატონო.

გადახედეს ერთმანეთს. მერე სკამი შემომთავაზეს. დამსვეს. გვერდით მომიჯდა ხანდაზმული კაცი და დაიწყო...

განათლებული, ისტორიის კარგი მცოდნე აღმოჩნდა ის კაცი, გვარად პაპავა იყო. პირველად იმ საღამოს შემოიჭრა ჩემს სულში სხივი. თითქოს დაბინდული. გონება გადამეწმინდა. იმ დალოცვილმა მაინც ისეთი საუბარი იცოდა!

ხარბად ვუსმენდი, თითქოს ვყლაპავდი თითოეულ სიტყვას. შუაღამემდე ვისხედით. და მელაპარაკებოდა, მელაპარაკებოდა...

«მე თურქი ვარ და თურქის შვილი...

ლაზი ვარ მე და ლაზის შვილი...

ლაზი ვარ მე...

ლაზი.

და არაფერი საერთო არა მაქვს თურქთან არც წარმოშობით, არც ენით, არც ხასიათით, არც ისტორიით.

ლაზი ვარ მე. ეუჰ, სად იწყება თურმე ჩემი სათავე, რა უღრანებში!»

მუხამედ ვანლიშის თქმული.

«სანამ კოჯრის სკოლა-ინტერნატში წაგვიყვანდნენ, ჯერ მარიამ ორახელაშვილმა მიგვიღო თავის კაბინეტში. ოთხნი ვიყავით სარფიდან. მე უკვე მოზრდილი ბიჭი გახლდით.

– ო, ჩემი ლაზი ბიჭები მოვიდნენ! – კარებშივე შემოგვეგება მარიამ ორახელაშვილი, მხარზე გადაგვხვია ხელი. იღიმებოდა. თვალებით გვესიყვარულებოდა. გამოგვკითხა მშობლებზე, სოფელზე, სკოლაზე. როცა გაიგო, რომ უკვე მოზრდილი ყმაწვილი ხელახლა შევედი პირველ კლასში, ახლად გახსნილ ქართულ სკოლაში, გაუხარდა, შემაქო, კარგა ხანს გვესაუბრებოდა. მერე ვიღაცას გამოუძახა, რაღაცა დაავალა.

აბა, თქვენ იცით, ყოჩაღად იყავითო, გვითხრა, გამოგვემშვიდობა თბილად, დედაშვილური ალერსით. კარამდე გამოგვაცილა.

კოჯრის სკოლა-ინტერნატშიც საოცრად თბილად შემოგვეგებნენ. გველოდებოდნენ თურმე. ყველანი ეზოში იყვნენ გამოფენილნი. უცებ თანატოლი ბიჭების რკალში მოვექეცით და... ერთმა-ორმა მკვირცხლმა ბიჭმა მაშინვე ლაზურად გაგვიბა საუბარი. გვესიამოვნა. მეგრელი ბიჭები აღმოჩნდნენ. თურმე საგანგებოდ მოგვიწყეს ეს სიურპრიზი!..

«მე თურქი ვარ და თურქის შვილი»...

შავით და წკვარამით მოსილი ჩემი ხალხის ისტორია, ბედუკუღმართი ისტორია იფურცლება თეთრად გათენებულ ღამეებში.

ლაზი ვარ მე და ლაზის შვილი...

დიახ. ლაზი ვარ მე – დიდი გუბაზისა და ფარტაძის, დიდი ქუჯისა და აიეტის შთამომავალი: დიდი ცოტნეს მოდგმა. დიდი საქართველოს ფესვი და ძირი, მაგრამ... ეს მერე მოვიდა. მოგვიანებით!»

ალი თანდილავას თქმული.

«ისმინეთ ჩემი მსხემნო სიონისანო, რამეთუ
მოიწია ჩუენ ზედა ღმერთმან გლოვა საუკუნე,
ხოლო ვიხილე ტყუეობა ძეთა ჩემთა და ასულთა,
რომელ მოჰხდა მათ ზედა საუკუნომან».

იერემიას გოდება

წყნარი და მშვიდი იყო ზღვა. ოდნავ, სულ ოდნავღა ფშვინავდა ღრმა ძილში წასული გოლიათივით. ცაც მოწმენდილი და კრიალა იყო, ამ ზღვასავით ლურჯი და უძირო. მერე აქა-იქ გამოჩნდნენ ცაზე ნაცრისფერი ღრუბლები. ერთმანეთში აირივნენ, აიწეწნენ, დღე მოიქუფრა. ცოტა წამოჟინჟღლა კიდეც. ზღვაც აიმღვრა, მაგრამ ჯერ თითქოს გულში იბრუნებდა ბოღმას, ნაპირზე არ გადმოდიოდა...

ომარ მემიშიში «სუმი ჯუმას» (სამი ძმის) ქვებს მიჩვენებს, ზღვიდან რომ ამოუყვიათ თავი. აქ ყოველ ქვასა თუ ლოდს თავისი სახელი ჰქვია თურმე.

თევზისა და მლაშე წყლის სუნი ტრიალებს ჰაერში და კიდევ: მანდარინის და ფორთოხლის ყვავილთა სურნელი. ზღვის ნაპირზე მივდივართ და ვცდილობ, ყოველნაირად თავი ავარიდო მეჩეთის სვეტს, გარდუვალი ბედისწერისათვის რომ აღმართულა ორად გაყოფილი სოფლის შუაგულში. ყოველმხრიდან ჩანს იგი თეთრად ასვეტილი.

მომცრო ლოდზე ჩამოვსხედით. ჩემს წინ ამღვრეული ზღვის უსაზღვრო სივრცეა გადაშლილი.

უსაზღვრო? არა, ზღვარდადებული. გაყოფილი გაღმა და გამოღმა პლაჟებად: აქაურების თვალი უკვე შეეჩვია, ალბათ, ამ სურათს. თვალი კი შეეჩვია. მაგრამ... გული?

ბინდდება. ფრენბურთის მოთამაშეთა ჟრიამული მაინც არ წყდება. ბიჭების შეძახილები გარკვევით აღწევს ჩემამდე. ეს სვეტი რომ არა, ზღვისპირა სამეგრელოს რომელიმე სოფელში ვიგრძნობდი თავს.

ომარ მემიშიში – ომარს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური განყოფილება აქვს დამთავრებული და ახლა დისერტაციას ამზადებს ენის ურთულეს საკითხზე – მიყვება სოფლის თითოეული უბნის სახელწოდებებზე. მიხსნის სიტყვების ეტიმოლოგიას. ერთმანეთს ვაშველებთ: მე – მეგრულს, ის ლაზურს და გაუგებარი ერთბაშად გასაგები ხდება. იხსნება ძირძველი სიტყვის მადანი. ომარს ჯერ კიდევ თბილისიდან ვიცნობ. მაგრამ აქ, თავის მშობლიურ გარემოში, თითქოს ხელახლა ვეცნობი, სულ სხვანაირი კუთხიდან ვხედავ. ომარის თვალებში შეფარული სევდა ჩაგუბებულა – იგი იძულებულია დროებით მოწყდეს თავის საქმიანობას ავადმყოფობის გამო. არადა, სამუშაო თავისკენ უხმობს გამუდმებით, გული თბილისისკენ მიუწევს...

ომარი აკაკი შანიძის ბოლო ნაშრომს ახსენებს – გამოკვლევას პეტრიწონის მონასტერზე. ამ დიდ მეცნიერს მარტო ეს ნაშრომი რომ დაეწერა, ამითაც უკვდავი დარჩებოდა ქართული კულტურის ისტორიაშიო. ბევრი, ძალიან ბევრი საიდუმლოს ამოხსნა შეიძლება ლაზურ-მეგრული და სვანური ენების მეშვეობით და ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა აკაკი შანიძის ამ ნაშრომმა. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ის ვარაუდიც, რომ ქართულ ისტორიაში კარგად ცნობილი ბაღვაშნი წარმოშობით ლაზი წარჩინებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ისტორიულად ხომ ცნობილია, რომ სანამ აქ სომეხთა ტომები გამოჩნდებოდნენ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლაზურ-მეგრული წარმომავლობის ტომები სახლობდნენ, რისი ნაკვალევიც ტოპონიმიკაშიც შეიმჩნევა. ერთ-ერთ მათგანზე – ოშკზე – ამახვილებს კიდეც ყურადღებას აკაკი შანიძე.

გუშინ ნოღაზე თავმოყრილი ხანდაზმული ლაზები მიჩვენებდნენ დუდკვათილის (თავმოკვეთილი) მთას: იქ, თურქებთან ბრძოლაში დაღუპული ლაზების მოკვეთილი თავების გროვისაგან მთა აღმართულა თურმე, ხალხური გადმოცემითვე, თხირეფუნას გორაკებიდან მოედინება კალინდერე ანუ სისხლიანი ღელე – ვისაც მუსულმანური სარწმუნოება არ მიუღია, დამპყრობლებს ამ მდინარეში ჩაუყრიათ.

უზარმაზარ იმპერიას პირისპირ შერჩენილი – დედა საქართველოს მოწყვეტილი ლაზები ან ერთიანად უნდა შესკდომოდნენ უთვალავ მტერს, დედაბუდიანად ამოწყვეტილიყვნენ უთანასწორო ბრძოლაში (ამოწყდნენ კიდეც ბევრზე ბევრნი), ანდა აყრილიყვნენ, მიეტოვებინათ თავისი წინაპრების ხორცითა და ძვლებით გაპოხიერებული მიწა-წყალი და...

არსებობდა კიდევ ერთი გზა – ეს იყო გამარჯვებული მოძალადის ჟინი და წყურვილი: ან გაწყდით ერთიანად, შიმშილით იქნება ეს თუ ბრძოლით, ანდა... რაკი სიკვდილს ირჩევს ბევრზე ბევრი, ნელ-ნელა, ეკონომიური შევიწროებით, თანდათან უნდა აიძულო დამარცხებული, შეიცვალოს სარწმუნოება. სარწმუნოების შეცვლა კი იმ შავბნელ ეპოქაში ნიშნავდა ეროვნულ გადაგვარებასაც, მაგრამ ვერა და ვერ მოიშალა ლაზებში ტომობრივი სხვაობის შეგრძნება, რაც მთავარია, შეინარჩუნა ენა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო დამპყრობელის ენასთან.

* * *

«დედაჩემმა და ბებიამ თურქული არ იცოდნენ. სახლში ყველა ლაზურად ვლაპარაკობდით. მიკვირდა, რომ სკოლაში გვიშლიდნენ ლაზურ ლაპარაკს. თურქი მასწავლებლები გვსჯიდნენ. სახაზავს გვირტყამდნენ ხელზე. დაივიწყეთ ლაზური, თქვენ თურქები ხართ, თურქის შვილები.

თურქი ვარ? მაშ, რატომ არ იციან დედამ და ბებიამ თურქული? რატომ გვიშლიან ლაზურ ლაპარაკს?

ეს კითხვები იბადებოდნენ და უპასუხოდვე ქრებოდნენ. ლაზიცა ვარ და თურქიც ამავე დროს? ეს შეუსაბამობა დიდხანს მაწუხებდა, მერე თანდათან შევეჩვიე ამას... ბავშვის გონება დამყოლია, ელასტიური. რაკი სწავლული, განათლებული მასწავლებლები ასე ამბობენ, რაკი მათ ასე მიაჩნიათ, მაშასადამე, ასე იქნება. რაზე უნდა ვიმტვრიო თავი რთული და ამოუხსნელი კითხვებით...

...ხობიდან ვარ მე, შენ – ხოფიდან. მეგრელი ვარ მე და შენ ლაზი. ძმები ვართ ჩვენ, ერთი დედის განაყარი ძმები ვართ ჩვენ, და შენც და მეც – ორივენი ტომით, ჩამომავლობით ვეკუთვნით ქართველ ერს. ოდესღაც ენაც ერთი გვქონდა ქართველებსა და ჩვენ. მერე დროთა ვითარებაში, ბედის უკუღმართობისა და სხვა ათასი უბედურების წყალობით, დავიშალენით, ჩვენი ენაც თანდათან, ნელ-ნელა გამოეყო საერთო დედოენას... მერე უკუღმართმა დრო-ჟამმა ჩვენც, კოლხებიც დაგვშალა, გაგვყო; გაღმით დარჩით თქვენ, გამოღმით ჩვენ. და, აი, შენ გაღმელი ხოფელი შეხვდი გამოღმელ ხობელს. როგორც ეს ორი სიტყვა გავს ერთმანეთს, ასეთივე მსგავსებაა ჩვენ ენებს შორისაც, სისხლიც ერთი გვაქვს. ერთი მოდგმისანი ვართ ჩვენ და, აი, ბნელში, ხელის ფათურით დავეძებთ ერთმანეთს და... ვპოულობთ, დადგა ჩვენი დროც – ჩვენ უნდა მოვნახოთ ერთიმეორე...

იმ ღამეს არ მეძინა. ერთ კვირაში ვისწავლე ქართული ანბანი: ესოდენ მშვენიერი და დიდებული თავისი სიმარტივით. წავიკითხე ქართული წიგნები. ამ წიგნებიდან გავიგე ბევრი რამ და, კერძოდ, ის, თუ ვინ ვიყავით ჩვენ, ლაზები. მერე ლაზური გაზეთიც გამოვეცით ლათინური შრიფტით: «ჭითა მურუცხი» (წითელი ვარსკვლავი) ერქვა. თურქეთში მცხოვრები ლაზები კითხულობდნენ იმ გაზეთს»...

მუხამედ ვანლიშის თქმული.

«წავიდნენ კომისიის წევრები. არ ვიცოდი, როგორ გადაწყდებოდა საქმე, მაგრამ შინაგანად კმაყოფილი ვიყავი. ბავშვები კარგად პასუხობდნენ გამომცდელებს, კარგი ქართულით, მთლად უხარვეზოდ, არა, რასაკვირველია, მაგრამ ეს ხარვეზიც გასაგები და ადვილად ასახსნელი იყო.

...ქართული სკოლა სარფში პირველად 1925 წელს გაიხსნა. მანამდეც იყო ამის მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. მე უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი, კვლავ პირველ კლასში რომ შევედი, რათა ქართულს დავვუფლებოდი. არც მე და არც სარფელებს არასოდეს დაგვავიწყდება ჩვენი პირველი მასწავლებელი პოლიევქტ ხაინდრავა – ქართული ენისა და ქართული კულტურის პირველი მოციქული ჩვენში. მერე მე კოჯრის სკოლა-ინტერნატიც დავამთავრე. 1932 წელს კი – თბილისის სასოფლო-სამეურნეო მუშფაკიც. იმავე წელს სარფში ჩამოვბრუნდი და დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად დავიწყე მუშაობა; ახლა მეც იმავე სკოლაში ვასწავლი, სადაც თვითონ ვსწავლობდი რამდენიმე წლის უკან. მალე დავრწმუნდი, რომ არ ეძინათ გარეშე თუ

შინაურ მტრებს. როგორი და რანაირი ხერხით არ ცდილობდნენ მიზნის მიღწევას: ლაზები ქართველები არ არიან და ამიტომ სარფში სკოლაც ლაზური უნდა იყოს და არა ქართულიო. რამდენჯერმე სამინისტროში დამიბარეს ამის თაობაზე: უნდა შეემოწმებინათ, როგორ ითვისებდნენ ლაზი ბავშვები ქართულს. ის ბრძოლა მაშინ მოვიგეთ, მაგრამ დავრწმუნდი, გულზე ხელების დაკრეფა მაინც არ ეგებოდა, რადგან...»

რადგან ალი თანდილავამ იცოდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო შესასწავლი, შესაცნობი, გასაკეთებელი... და, აი, იგი ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე.

...ომარ მემიშიში სარფის სკოლაზე, დღევანდელ სარფის ცხოვრებაზე მიყვება, მიყვება ალი თანდილავაზე. ომარიც სარფის სკოლაში სწავლობდა და მასაც, როგორც ყოველ სარფელ ბავშვს, ალი თანდილავა ასწავლიდა. ასწავლიდა ქართული ენის სიყვარულს, სამშობლოს სიყვარულს, ვაჟკაცობას, რადგან თავად იყო ყოველი მოსწავლისათვის საზომი კეთილშობილებისა, სინათლისა, სიკეთისა.

...გიორგი ახვლედიანი, იუსტინე აბულაძე, კორნელი კეკელიძე, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე... ამ დიდ მეცნიერთა თანავარსკვლავედი ამკობდა მაშინ, ოცდაათიან-ორმოციან წლებში უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტს. და ამ თანავარსკვლავედში განსაკუთრებული შუქით ბრწყინავდა ივანე ჯავახიშვილი.

იყო განუმეორებელი, წარუშლელი შთაბეჭდილებანი, იყო თეთრად გათენებული ღამეები ივანე ჯავახიშვილის წიგნებზე...

ივანე ჯავახიშვილმა კარგად უწყოდა, კოლხეთის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა საერთო ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოჩენა რომ იყო. იგი მთლიანი საქართველოს მაღალი კოშკიდან უყურებდა ისტორიას და მისთვის, როგორც დიდი მამულიშვილისათვის, წარმოუდგენელი იყო ორღობის პატრიოტიზმი, ისიც კარგად უწყოდა, რომ ქართული ერთიანი კულტურის შექმნაში თანაბრად მონაწილეობდა ყველა ქართული ტომი, – რომ თითოეულ კუთხეს თავისი წვლილი შეჰქონდა ამ ერთიანი კულტურის, ერის სულიერი საგანძურის შექმნაში. ეს უნდა სცოდნოდა ყოველ ქართველს, რომელი კუთხისაც არ უნდა ყოფილიყო იგი. უცოდინარობა ბადებს უგუნურობასა და კუთხურ, ე.წ. ორღობის პატრიოტიზმს.

ალის ხშირად ათენდებოდა ასეთ ფიქრებსა და განსჯაში – საქართველოს წარსულსა და აწმყოზე ფიქრში...

...საქართველოს ისტორიის ეჭვმიუტანელი ავტორიტეტი გახლდათ ეს კეთილშობილი სახის, სუსტი ხმის მქონე პიროვნება, რომლის ლექციებზე ტევა არ იყო და მაინც ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. საქართველოს ისტორიის ახალ-ახალი ფურცლები იშლებოდა ამ ლექციებზე – აქამდე უცნობი, დაფარული, საიდუმლო...

«ასე უნდა იყოს»... «როგორც ჩანს»... «მგონი». «ჩვენის აზრით»... «ვფიქრობთ». – ეს არამოჩვენებითი, არამედ დიდი პიროვნების სულის სიღრმიდან წამოსული მოკრძალება და თავმდაბლობა განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა მას. სულგანაბული, სუნთქვაშეკრული, აღტაცებული თვალებით შეჰყურებდა ამ ბრძენ კაცს აუდიტორია და ალიც გრძნობდა, რომ ეს უხმო თაყვანება მძლავრად იდგამდა ფესვებს მის სულშიც, მთელ მის არსებას იპყრობდა.

და როცა ერთ მშვენიერ დღეს თანაკურსელმა გოგონამ გამოაცხადა, ხვალ თურმე ბატონი ივანეს დაბადების დღე ყოფილაო, მთელი კურსი აფორიაქდა.

გათენდა ეს ხვალეც. და, როცა დიდებული კაცის ფიგურა გამოჩნდა უნივერსიტეტის შემოსასვლელ ჭიშკარში, მოხდა უჩვეულო და წარმოუდგენელი რამ: შემოსასვლელიდან კიბემდე ორმწკრივად მდგარი ახალგაზრდობა მოწიწებით უყრიდა ყვავილებს ფერხთქვეშ დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს.

ამ მოულოდნელი ამბით შემკრთალი და აღელვებული დიდკაცი ჩვეულებისამებრ ქუდმოხდილი, თვალცრემლიანი, ნელა მოაბიჯებდა ცოცხალ დერეფანში და ასე მოეჩვენა ალის და, ალბათ, იგივე აზრი დაებადა იმ წუთში ყველას: ნათლის შარავანდედი ადგა თითქოს თავზე და უჩვეულოდ ანათებდა ის შარავანდედი: ერისთვის თავდადებული წმინდანის შარავანდედი უცნაურ ნათელს გამოაშუქებდა.

და იმ ყვავილების ზღვაში, მის ფერხთქვეშ რომ დაიყარა, ერთი ყვავილი ლაზი ახალგაზრდისგანაც იყო – იქნება მთელს უნივერსიტეტში ერთადერთი ლაზი ბიჭისაგან ალალი გულით მოძღვნილი.

***

«აქ ხალხმრავლობის და მძლავრობის
ვყოფილვარ მოწმე,
და ვიმედოვნებ,
რომ ხელახლა ვიქნები როსმე».

საქართველო მთლიან მუზეუმად წარმოუდგება ადამიანს, აქ მიწის ერთი გოჯიც არ არის, რაიმე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი ან მისი ნაშთი რომ არ იყოს.

წავიდნენ ათასგვარი ჯურის გადამთიელნი – და დარჩა ის, რაც ხალხის გენიამ შექმნა და თავისი უკვდავი სული შთაბერა.

კოლხეთში ცნობილი იყო უძველესი ქალაქები ფასისი, აია, ეგრი (ეგრის დამაარსებლად ნახევრად ლეგენდარული ეგროსი იყო მიჩნეული). ბერძნულმა ლეგენდებმა შემოგვინახეს აიეტის დიდებული სასახლის, უძველესი ქალაქის აიას აღწერილობა, აია ანუ ეა, ანუ ქუჯის ციხე. ძველი არქეოპოლისი – დღევანდელი ნოქალაქევი.

«ეა კოლხების ქალაქია, გაშენებული აიეტის მიერ». (სტეფანე ბიზანტიელის ცნობა), ფასისი (ფოთი) სკილაკის აღწერით (IV ს. ძვ. წ.), მდინარე ფაზისის ზღვის შესართავთანაა გაშენებული. აპოლონიოს როდოსელის პოემის IV წიგნში ფეაკების მეფე ალკინოე ეუბნება თავის მეუღლეს: «აიეტზე უფრო ძლიერი მეფე არ არსებობს, მასთან მოურიდებლობა არ იქნება. მართალია, იგი შორს ცხოვრობს, მაგრამ თუ მოინდომა, ელადას ომს გამოუცხადებს». დიოსკურია, ანუ სებასტოპოლისი – საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო ცენტრი იყო. პიცუნდას (ანუ ბიჭვინთა) სტრაბონი დიდ ქალაქს უწოდებს, პლინიუსი კი – უმდიდრეს სავაჭრო ქალაქს.

ციხე-ქალაქი კიტეა მოხსენიებულია არგონავტების მოგზაურობაში. აპოლონიოს როდოსელი კოტიონად იხსენიებს მას (დღევანდელი ქუთაისი). პროკოპი კესარიელს მოყვანილი აქვს არიანეს თხზულებიდან ცნობა, რომ რიონზე მდებარე ციხეს ბერძნები უწოდებენ კოტიაიონს, ლაზები კი – ქუთაისს.

ციხე-ქალაქი სარაპანი ცნობილია კოლხეთის ისტორიაში, როგორც დიდი ნავსადგური. მსხვილ-ქალაქებთან ერთად კოლხეთში არსებობდა აგრეთვე უფრო მცირე ქალაქებიც, მაგალითად: ციხე სკანდა, ვარდციხე (როდოპოლისი), უქიმერიონი, ვაშნარი, ლოსარიონი და სხვ. სტრაბონის ცნობითვე მდინარე ფასისზე 120 ხიდი ყოფილა გადებული.

სტრაბონისა და პლინიუსის მოწმობით, ყვირილას ნაპირებზე სავაჭრო ხასიათის დიდი შენობები ყოფილა გაშენებული. ნაოსნობა რომ არ შეფერხებულიყო,

ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავდა რიონის, ყვირილასა და მტკვრის ხეობების ამოწმენდასა და სურამის ქედზე გადასასვლელი გზის დაცვა-შეკეთებაზე.

უკვე V საუკ. ძვ. წ. კოლხეთში ჩნდება საკუთარი ფული, ე.წ. «კოლხური თეთრი».

კოლხებს, საერთოდ, მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ შავი ზღვის პირას მდებარე საბერძნეთის ახალშენებთან და ეს გარემოება უთუოდ ხელს უწყობდა კოლხეთის საბერძნეთთან კულტურულ-ეკონომიკურ დაახლოებას.

«კოლხმა მომხატა», «კოლხმა გამაკეთა», თავს იწონებდნენ კოლხეთის ქალქების სახელოსნოებში დამზადებული ყელყარყარა სურები თუ დოქები, ლარნაკები თუ ამფორები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში.

VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი და ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, რომ ლაზებს თავი მოაქვთ იმით, ძველი კოლხეთის ცივილიზაციის მემკვიდრენი რომ არიანო.

«ჩაქვის წყალზე (ზღვის კიდე) არს ციხე ქაჯეთისა. მაგარი, მაღალსა კლდესა ზედა ნაშენი, აქუს გვირაბი. კლდე გამოკვეთილი გზად».

ვახუშტი

პეტრა ახლაც განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. აქ, ამ მიუვალ კედლებთან ილეწებოდა რომაელთა ლეგიონები და სპარსელთა ურდოები. აკად. ს. ჯანაშია ამ ციხე-ქალაქის როლს თბილისის როლთან (აღმოსავლეთ საქართველოში რომ შეასრულა) აიგივებდა: «მართალია, ეგრისში ბიზანტიელთა ძლევამოსილების აღსასრულთან ერთად ჩაესვენა პეტრა-ქაჯეთის ბრწყინვალებაც, მაგრამ იგი სათანადო მნიშვნელობას მოკლებული არც მომდევნო ხანაში იყო. მისი ქართული სახელწოდება «ქაჯეთის ციხე» – ამის ნათელი დადასტურებაა», – აღნიშნავდა ს. ჯანაშია. (XVIII საუკუნის 20-იან წლებში ქაჯეთის ციხე ოსმალებმა დაიპყრეს და ძლიერედაც გაამაგრეს. იგი 1878 წ. ბერლინის ტრაქტატით დედასამშობლოს დაუბრუნდა).

VI საუკუნეში კოლხეთის სანაპიროსთან იყო დაკავშირებული ბიზანტიის ძირითადი სტრატეგიული ინტერესები.

ბიზანტიის ძირითადი მოწინააღმდეგე – სასანიდური ირანი – საბოლოოდ დამკვიდრდა აღმოსავლეთ საქართველოში და საშუალება მიეცა ბიზანტიაში შეჭრილიყო აღმოსავლეთ საქართველოდან ლაზიკის გზით, ხოლო აქედან მთელ სამხრეთ ზღვისპირეთში. ბიზანტიელებმა ასეთ ვითარებაში ააგეს ციხესიმაგრეები. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ პეტრა.

პეტრაში იყო საეპისკოპოსო კათედრალი. პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზების ეპისკოპოსები დამოკიდებულ ტომებს უნიშნავდნენ მღვდლებს. პეტრას საეპისკოპოსო კათედრალმა იარსება X საუკუნემდე...

გვიანელინისტურ ხანაში (ძვ.წ. II საუკუნეში), მდინარე ჭოროხის შესართავთან წარმოიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება – აფსაროსი – დღევადნელი გონიო. ლეგენდარული აფსაროსი! ბერძენი მწერლისა და ისტორიკოსის, ქურუმისა და მხედართმთავრის არიანესათვის ჯერ კიდევ II საუკუნეში (ჩვენი წელთაღრიცხვით) ცნობილი იყო თქმულება იმის შესახებ, რომ აფსარს ეწოდებოდა აფსირტა. ამ ალაგას ვითომ მედეას ხელისაგან დაიღუპა მისი ძმა აფსირტა. აფსირტას საფლავსაც კი აჩვენებდნენ თითქოს, ე.ი. ძველი ტრადიციის მიხედვით, ქალაქის დამაარსებლად

მიჩნეულია კოლხი უფლისწული აფსირტა – არგონავტებზე თქმულების ერთ-ერთი გმირი.

რომაულ ხანაში აფსარი იყო ხალხმრავალი ქალაქი, დიდი გალავნით შემოზღუდული. აქ იყო თეატრი, ჰიპოდრომი და მრავალი სხვა ნაგებობა, რაც, ჩვეულებრივ, ქალაქის სიდიდის მაუწყებელია. აფსაროსში იდგა რომაელთა ყველაზე რიცხვმრავალი გარნიზონი – 5 კოჰორტა.

აფსაროსი ანუ გონიო, ისევე როგორც ბევრი ჩვენი სახელგანთქმული ძეგლი, ყოველთვის იზიდავდა მრავალ მკვლევარს. ბევრი ოცნებობდა მის გათხრაზე და, აი, 1974 წლის ბოლოს გონიოში მოხდა დიდებული აღმოჩენა. ნაპოვნი იქნა ანტიკური ხანის ხელოვნების შედევრები, თავისი მნიშვნელობით რომ აღემატება ყველაფერს, რაც აქამდე იყო აღმოჩენილი გონიოს ტერიტორიაზე...

აქ ნაპოვნი ნივთები ქართული ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშებია. მათში აშკარად შეიმჩნევა როგორც უძველესი ოქრო-მჭედლობის ტრადიციები, ისე ცალკეული ელემენტები და მოტივები, რომელთაც შემდგომი განვითარება პოვეს ფეოდალური ხანის ქართულ მხატვრულ ნაკეთობებში.

თვალის ერთი შევლებითაც ამ შედევრებმა ვანის საგანძური გამახსენა. როცა პატივცემული ალექსანდრე ქათამაძე გვაჩვენებდა გონიოს ამ ბრწყინვალე ნაკეთობებს, გახარებული იმით, რომ ახალგაზრდები დაინტერესებას იჩენენ ძველი კულტურის მიმართ, თვალწინ მედგა ვანში ნაპოვნი შედევრები... ცვარათი გაწყობილი საყურეები და მძივები, დიადემა... ამ ნაკეთობებს თუმცა ატყვია ბერძნული და აღმოსავლური ხელოვნების კვალი, მათში მაინც მკვეთრად საცნაურია ადგილობრივ ხელოსანთა ტრადიციები. და ეს ბუნებრივიცაა. ანტიკური და აღმოსავლეთის ტრადიციები იმიტომაც დამკვიდრდნენ კოლხეთში, რომ აქ უკვე არსებობდა უძველესი კულტურა – ძველი კოლხეთის ცივილიზაციის პირმშო. ეს მართლაც რომ უწყვეტი ჯაჭვია განვითარებისა, რაც ათასწლეულების სიღრმეში იღებს სათავეს და გრძელდება საუკუნეების მანძილზე...

«ფხიზლად! – საქართველოს გარეშემო უვლიან».

შუაღამე გადასულია. მაგრამ პეტრას ციხეში არ სძინავს გუბაზ მეფეს და მის მრჩეველ ფარტაძს.

მეფეს უბრალო კოლხი მეომრის სამოსი მოსავს, თავშიშველაა, ფეხებზე კი წითელი კოლხური წუღა აცვია. ტანმაღალი და ბეჭებგანიერი ვაჟკაცი ოქროსფერი თმითა და გამჭოლი, ცისფერი თვალებით მოუსვენრად სცემს ბოლთას ოთახში. ხის სავარძელში ჩამჯდარი ფარტაძი თვალს არ აცილებს მას და ნაღვლიანად იღიმება. ნახტომისათვის ყალყზე შემართულ, გალიაში გამომწყვდეულ ავაზას ჰგავს ახლა ეს უბადლო სიმამაცის, გასაოცრად ნიჭიერი და ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი. ვიწრო სარკმლიდან ზღვის ჩუმი დვრინი და მეციხოვნეთა ღამეული გადაძახება შემოდის.

გუბაზი კარგა ხანს მიმოდიოდა უსიტყვოდ, მერმე თავადაც სავარძელში ჩაეშვა, ფარტაძის პირისპირ. დაძაბულობისა და დაღლილობისაგან სახეზე ფერი გადასტეტკოდა. ოდნავ ორად გაპობილ ნიკაპზე მოისვა ხელი ფიქრიანად, მერე ბასრი თვალები მიაპყრო ფარტაძს. გუბაზის ამ მზერას ვერავინ უძლებდა: ვერც ბიზანტიელი, ვერც სპარსი და ვერც კოლხი წარჩინებული. ერთადერთი ფარტაძი იყო – გუბაზის სიყრმის მეგობარი და თანამზრახველი – ვისაც შეეძლო მისთვის თვალი გაესწორებინა.

– მაშ ასე: ბიზანტიელებს, ჩვენ, კოლხნი, ცბიერებად და ორპირებად მივაჩნივართ, – გუბაზმა სარკასტულად ჩაიცინა და სავარძლის სახელურს ხელი დაჰკრა. – როგორ ვბედავთ და უდრტვინველად არ გადავეყლაპინებით ლომს. ლომი რის ლომია, წვრილ-წვრილი ნადირი თუ არ გადასანსლა. ამის გამო როდის იყო შფოთავდნენ მცირენი, არა? ვთქვათ და შველმა გადარჩენისათვის რომ იზრუნოს – მე და ჩემმა ღმერთმა, დიდი მკრეხელობაა სწორედ! თუ ყველა ასე მოიქცა, რა უნდა მიირთვას ლომმა? – გუბაზმა გესლიანად ჩაიცინა ისევ...

– მაგრამ არსებობს ხალხური ანდაზა, გუბაზ; დათვი რომ მოგერევაო... ბაბა დაუძახეო. როცა არ არსებობს სხვა გამოსავალი...

– კი, ბატონო. მეც მაქა ვარ. ისე დავკნინდით, რომ ოდესღაც ძლიერი და მაგარი სახელმწიფო, სხვები რომ მოწიწებით იხრიდნენ ქედს მის წინაშე, ახლა თავად გამხდარა მოთარეშე მგლების საჯიჯგნი და სათრევი. გავწყდით, დავილიეთ ხმლის ქმევაში. დაცარიელდა ჩვენი დაბა-ქალაქები და სოფლები. გაუთავებელმა ომებმა ხალხი გაგვიწყვიტა. შენც კარგად იცი, ხმლის ქმევა და ომი არ გვესწავლება კოლხებს. ჩვენ რომ არა, თავის დღეში ბიზანტიელები ვერ შესძლებდნენ ვერც პეტრას, ვერც მუხურისის აღებას. ხომ მოიმტვრიეს ირანელებმა კისერი ციხე-გოჯთან? მაგრამ რა გამოვიდა ამით? ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო, სწორედ ჩვენზეა ზედგამოჭრილი ეს ანდაზა. ბიზანტიელები არანაკლებ ხარბნი და გაუმაძღარნი აღმოჩნდნენ. ბოლოს სულ გადაყლაპვაც მოგვინდომეს – არ დასჯერდნენ მცირედს. ასეთ დროს რა უნდა ეღონა უბედურ წათეს? ორ მტაცებელს შორის გამოჭყლეტილმა ბოლოს მაინც ბიზანტია აირჩია და იუსტინიანეს წარუდგა თხოვნით, მიეღო ლაზიკა თავის მფარველობის ქვეშ, ქრისტიანობაც აღიარა. ძვირფასი საჩუქრებით აავსეს წათე. შერთეს რომაელი დიდებულის ქალიშვილი და დიდი ზარზეიმით გამოისტუმრეს ლაზიკაში. კარგად მოგეხსენება, რა მოჰყვა ამას, რა წრიალი აუტყდა ირანს, რა დიპლომატიური შეხლა-შემოხლა მოხდა ბიზანტიასა და ირანს შორის. ორივე უსირცხვილოდ იჩემებდა ლაზიკას, არა ჩემი ქვეშევრდომია და არა ჩემიო. დიდი კოლხეთი სათამაშო ბურთად გადაიქცა. სიტყვიერად რომ ვერ მორიგდნენ, ახლა ძალაზე მიდგა საქმე. მაგრამ მაშინ კოადსა და მის ლაშქარს კუდი ამოვაძუებინეთ და ეგ ჩვენი წყალობით უფრო იყო, ვიდრე ბიზანტიელების დახმარებით. მერე რა მოხდა? დაიდო «საუკუნო ზავი». იბერია ირანელებს დარჩათ სათარეშოდ, ლაზიკა – ბიზანტიელებს. ბიზანტიელებმა ხელი მიჰყვეს ჩვენში ციხე-სიმაგრეების აშენებას. თავიანთი ჯარები ჩაგვიყენეს, ხოლო იმ ნაძირალა და გაიძვერა იოანე ციბემ სულ არივდარია ჩვენი საქმე. დაჯდა აქ, პეტრაში, როგორც საკუთარ აკროპოლისში და მეწვრილმანე ჩარჩად ქცეულმა, ყველა ჩვენს საქმეში დაიწყო თავისი გრძელი ცხვირის ჩაყოფა. ბოლოს კარგად იცი, სახელიღა შემინარჩუნეს მეფობის, ესეც აღარ იკმარეს: ჩვენი ქალაქების ხელში ჩაგდება განიზრახეს პირადი გამდიდრების მიზნით. გასივდა და გაიბერა ნაძარცვი და ნაპარავი ქონებით იოანე ციბე. რამდენჯერ გავგზავნეთ საჩივარი კეისართან, მაგრამ მან ყურებიც არ შეიბერტყა. ხოლო წურბელა უფრო გაბოროტდა, ფეხებზე დაიკიდა ჩვენი ქვეყანა და ხალხი. ავდექით და ისევ სპარსელებს მივმართეთ.

– მე მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი ამის, გუბაზ! – წყნარი ხმით შეესიტყვა ფარტაძი.

– მართალია, მაგრამ გქვონდა კი სხვა გამოსავალი? მე არ ვიცოდი განა, რომ სპარსელი ჩვენს მფარველად და მოკავშირედ არ გამოდგებოდა? განა რა მფარველი უნდა იყოს მგელი კრავისა? მაგრამ ეს მაინც ხერხი იყო, ბიზანტიისათვის ჭკუის სასწავლი და დროის მოსაგები ხერხი ანუ ფანდი, თუ გნებავთ. სპარსებლებს ჩვენ შევთავაზეთ ხელსაყრელი პირობები: ჯერ ერთი, ისინი ხდებოდნენ უძველესი სამეფოს მფლობელნი. ამასთან, ჩვენი ქვეყნის მეშვეობით უკავშირდებოდნენ ზღვას და,

მაშასადამე, ადვილად მისწვდებოდნენ ბიზანტიასაც. ჩვენ მუდამ ვიყავით კავკასიის მთების საფარი და, თუ მოვისურვებდით, სპარსელებს საშუალება მიეცემოდათ ერბიათ რომაელთა მიწა-წყალი! – გუბაზი გაჩუმდა. დუმდა მისი მრჩეველიც. ბოლოს, ფარტაძმა დაიწყო:

– დიახ, მეფეო, ირანის შაჰმა ხოსრომ დიდებულად განჭვრიტა, რა სარგებლობას მოუტანდა მას ეს წინადადება. ამიტომაც იყო, რომ დრომდე საიდუმლოდ შეინახა იგი. სანამ ჯარს აგროვებდა და ემზადებოდა, განგებ ხმებს ავრცელებდა, იბერიაში მივდივარო, იქაური საქმეების მოსაგვარებლად. ამასობაში გამზადებულ ლაშქარს მეგზურებად ჩვენები ჩაუდგნენ. სპარსელებმა დაუბრკოლებლად გადალახეს ლიხის ქედები და პეტრას ალყა შემოარტყეს. ჩვენების დახმარებით მოახერხეს ამ მიუვალი ციხის აღება. ამასობაში ციბე ჩაძაღლდა. ეშმაკს მიაბარა ცოდვილი სული, მაგრამ მისი დიდძალი ქონება, რომელიც კანონით ჩვენ გვეკუთვნოდა, რადგან ჩვენი მიწა-წყლის ძარცვით ჰქონდა შეძენილი, ხოსრომ მიითვისა. ამასთან, პონტოს ზღვის გასაღებიც ჩაიგდო ხელთ და პონტოს ზღვის ნაპირის ნაოსნობაც. იბერიასაც მოერღვა ზურგი და ჩვენც, ჩვენდა უნებურად, ჩვენს ძმებს და ერთმორწმუნეებს, ლახვარი ჩავეცით ზურგში. გვეშველა კი რამე? ვაგლახ, რომ ვერა. სპარსელებმა არ იკმარეს ძალმომრეობა, შენი მოკვლაც განიზარხეს, რადგან კარგად გრძნობდნენ, შენ რომ მათი გულით ერთგული არასოდეს ყოფილხარ. გარდა იმისა, რომ შენი მოკვლა განიზრახეს, მათ ლაზების მთლიანად მოსპობა და აქ თავიანთი ტომების ჩამოსახლებაც მოინდომეს.

– ვიცოდი, ხოსრო რომ არ დამინდობდა, რადგან განზრახვას მივუხვდი თავიდანვე. ხოსროს გამოგზავნილმა ფაბრიზმა მაინც შეძლო თავის თანამზრახველთა პოვნა აქ, ჩვენში. თავისი ქვეყანა და თავისი მეფე სასიკვდილოდ გაიმეტა და გაწირა ზოგმა ჩვენმა დიდებულმა – ბრჭყვიალა ჩვრებსა და ოქროს დახარბებულმა. ხშირად დავცინით ხოლმე ბიზანტიელებსა და სპარსელებს სიხარბის, ოქროს სიყვარულის გამო, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრა, ფარტაძ: ჩვენები არა თუ ჩამოუვარდებიან სიხარბეში, გაუმაძღრობაში, არამედ ჭარბობენ კიდეც მათ: ზოგი წარჩინებული არა თუ ქვეყანასა და მეფეს, სულს მიჰყიდის ეშმაკს ოქროს გულისთვის. ჩვენების ეს სიხარბე შეიძლება ისე თვალშისაცემი არ იყოს, როგორც სხვების. იგი ღრმად არის მიმალული სულის ხვეულებში და ხელსაყრელ დრო-ჟამს ელოდება, რომ თავისი საზარელი ხახა დააღოს.

გეუბნები ფარტაძ, იქნება მე არ ვიცოცხლო, მაგრამ შენ შეესწრები ამას: ზოგი ჩვენი წარჩინებული ყველაფერ სისაძაგლეს ჩაიდენს, ყოველგვარ საზიზღრობაზე წავა, ოღონდ დაიკმაყოფილოს თავისი პატივმოყვარეობა, პატივმოყვარეობას კი ოქრო და ძალაუფლება კვებავს. როცა ძალაუფლება შერყეულია, ოქრო და ფული – აი, თავი და თავი ყოველივესი, ყველაფრის საზომი. რის ქვეყანა, რა ხალხი? დღეს ვიყოთ მაძღრისად, ხოლო ხვალ, თუნდაც ნუ გათენდება. იუდას ღალატი მონაგონია, ჩვენების ღალატთან შედარებით... მაგრამ მივყვეთ ისევ ფაქტების თანმიმდევრობას, ფარტაძ ჩემო. კეთილი და პატიოსანი, სპარსელების სიკეთე ვიწვნიეთ და განვუდექით მათ. მე ისევ იუსტინიანეს ვუხმე საშველად, ოღონდაც სპარსელთაგან დაგვეღწია თავი. რა მოხდა შემდგომ? იუსტინიანემ მართლა გამოგზავნა ჯარი, გახარებულმა იმით, რომ ჩვენ სპარსეთს ზურგი ვაქციეთ. ახლა შაჰმა არ დააყოვნა და კვლავ ატყდა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიწა-წყალზე სისხლისმღვრელი ომები. ვძლიეთ რამდენჯერმე სპარსებს, განვდევნეთ, მაგრამ შაჰი, კარგად მოგეხსენება, არ დაშოშმინდა და ახალი სარდალი ხურიანი გამოგზავნა დიდი ჯარით. ვძლიეთ ხურიანსაც, მაგრამ რა? ამით მოიშალა მგელმა მგლობა? ბიზანტიამ და სპარსეთმა მტრობა? ის ვიგინდარა დაგისთე ციბეზე ნაკლები როდი გამოდგა. კეთილი და პატიოსანი, დაგისთე, როგორც იქნა,

მოვიშორეთ თავიდან. კეისარმა ბოლოს და ბოლოს შეისმინა ჩვენი საჩივარი. ჩამობრძანდა ახალი სარდალი ბესა. პეტრა ისევ ავიღეთ და განვდევნეთ სპარსელები. არქეოპოლისშიც ვძლიეთ მტერს. მერმეროე იძულებული გახდა, გაგვცლოდა. ისევ დაიდო დროებითი ზავი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. შემდეგ? ბიზანტიელმა სარდლებმა წყლის ამღვრევა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერა დაიწყეს. მერე ის იყო ჩვენმა მოღალატეებმა ხელზე დაიხვიეს ბიზანტიელთა უძლურება და უქიმერიონის ციხესიმაგრე სპარსელებს გადასცეს. უნიჭო და უგერგილო ბიზანტიელი სარდლების წყალობით ზედიზედ დავკარგეთ განახლებულ ომში მუხურისი, ქუთათისი, არქეოპოლისი. მერმეროემ კვლავ ჩაიგდო ისინი ხელში. წყალში ჩაგვეყარა ამდენი შრომა და წვალება. უქმად დაიღვარა ჩვენი ხალხის სისხლი. რას აკეთებენ ამ დროს ჩვენი მოკავშირენი? ისინი ისედაც გაძვალტყავებულ, ამდენი ომისა და უბედურებისაგან წელგაწყვეტილ ხალხს, კიდევ უფრო ყვლეფენ და ძარცვავენ. თავიანთი პირადი ქისის გამოტენით უფრო არიან დაკავებულნი, ვიდრე ომით, რადგან ბიზანტიელებს, ისევე როგორც სპარსელებს, ფეხებზე ჰკიდიათ კოლხეთი და კოლხეთის მკვიდრნი. რაც უფრო აოხრდება, გავერანდება ჩვენი მიწა-წყალი, მით უკეთესი, უკეთ მოიყვანენ მორჩილებაში ერს, უკეთ მოუგრეხენ ქედს. ყოყლოჩინობა და ბაქიობა კი, იცოცხლეთ, ჩვენს ბიზანტიელ სარდლებს კარგად ეხერხებათ. სინამდვილეში კი ღრეობისა, დროსტარებისა და ქალებთან ღლაბუცის მეტი არა შეუძლიათ რა. არ ვიტეხთ, ბატონო, იხტიბარს. ვაგზავნით საჩივარს საჩივარზე კეისართან, მაგრამ რა? ისევ ისე ძველებურად გრძელდება ყველაფერი. ხალხი კი წყდება, გავერანდა ქვეყანა, ნაოხარ, ნაპარტახალ ველად იქცა ოდესღაც მდიდარი და უხვი ჩვენი მიწა-წყალი. ამ არევ-დარევით ისარგებლეს ქვეყნის ორგულებმაც. ბანაკებად დაიყო ლაზიკა, ზოგი სპარსელების მხარეზეა ჩუმად თუ აშკარად, ზოგი – ბიზანტიელების – იმისდა მიხედვით, ვისგან უფრო ხედავენ სარგებელს. ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. სად არის ხსნა და საშველი? ვისღა მივმართოთ კიდევ? როგორღა მოვახერხოთ შევინარჩუნოთ ჩვენი მეობა? ჩვენი წინაპრების საფლავები? სისხლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი? ისევ ბიზანტიელი გვერჩიოსო, სპარსელებს. ერთმორწმუნეები მაინც არიან ბიზანტიელებიო, მეტყვი შენ.

გვაქვს კი არჩევანის საშუალება? არჩევანზე თუ მიდგა საქმე, მე მირჩევნია ჩვენი ქვეყანა ისევ ისე დამოუკიდებელი, მძლავრი და მდიდარი იყოს, როგორც ერთ დროს გახლდათ. ისევ ისე ქუხდეს ძველი კოლხეთის სახელი და დიდება. ერთმორწმუნეო? ქედმაღალ და ყოყლოჩინა ბიზანტიელებს მაინც ვერ დაარწმუნებ, რომ მაგათზე დაბლა არ დგახარ არც ჩამომავლობით, არც ტომით, გინდაც სარწმუნოებით. შენ კარგად იცი, რა საშინელი, ფარული სიძულვილით სძულთ ამ უვიც და ბრიყვ ბიზანტიელ სარდლებს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი. ვერ მოუნელებიათ, რომ ქედს არ ვიდრეკთ მათ წინაშე მონურად, რომ ჩვენ ჩვენი სიამაყე მოგვდგამს, ჩვენი ღირსების შეგრძნება, რომ თავი მოგვაქვს ჩვენი ისტორიით, ჩვენი წარსულით, რომ არ ვეპუებით ბედს და არ ვკარგავთ ხალისსა და სიცოცხლის წყურვილს, არ ვკარგავთ იმედსა და ხვალინდელი დღის რწმენას. შენ გგონია, ვერ ვამჩნევ, რა შეფარული ბოროტებით უელავთ ხოლმე თვალები რუსტიკეს, ბესას და მარტინეს, როცა ხედავენ, რომ ვერაფერში გამაცურებენ. ყოველ წუთს მზად არიან მომვარდნენ და ნაჭერ-ნაჭერ ამკუწონ, ძელზე გამსვან. მეტი რა გინდა? ჩემს საბრძანისში უსატევროდ და უმუზარადოდ ვერ დამიძინია, ყოველ წუთს ველოდები, ჩასაფრებული მონა როდის ჩამცემს მახვილს ზურგში. მე – ლაზიკის მეფეს – ძველი კოლხეთის მემკვიდრეს, ბიზანტიელთა უნებართვოდ დრაქმა ვერ დამიხარჯავს, ჩემი მშიერ-მწყურვალი ხალხი ვერ დამიპურებია, ვერ შემიმოსავს. ბესას უნებართვოდ ცხვირი ვერ დამიცემინებია. ამისდა მიუხედავად, მე მაინც ვცდილობ,

მოვნახო საერთო ენა ბიზანტიელებთან, ტყავიდან ვძვრები, რომ როგორმე ჩავაგონო კეისარს ჩვენთან თანამშრომლობისა და მეგობრობის ხელსაყრელობა, რომ ჩვენი მტრად გადაკიდება ირანს გაუხსნის გზას ბიზანტიისაკენ. თითქოს ავლაგმე და მოვთოკე კიდეც ეს გადამთიელნი, მაგრამ მათი დათაფლული ღიმილისა და ალერსის მიღმა კარგად ვხედავ შხამიან ისრებს, ჩემკენ მომართულს. კარგად იცი, ჩემი პირადი მდგომარეობა ნაკლებად რომ მაწუხებს. არც იმას დავეძებ, რომ ჩემთვის დღე არ არის და ღამე, არც იმას, რომ თვეობით ვერ ვხედავ ცოლ-შვილს. ცხენზე გამუდმებით ამხედრებული არც რბილ საწოლს ვნატრობ და არც ფარჩას მოსასვენებლად. მე ჩემი უბედური ხალხის ტანჯვა არ მასვენებს და გულს მიღონებს. წახდა ჩვენი ძველი დიდება და სახელი, ფარტაძ. ისღა დაგვრჩენია, შევაწყდეთ მტერს ერთიანად, ანდა ვიქნიოთ კუდი მელასავით. და... ვეცადოთ როგორმე ვაამოთ ხან ერთ მოძალადეს, ხან – მეორეს, რომ იქნებ გადავირჩიოთ თავი როგორმე. მაგრამ სანამდე გაგრძელდება ასე?..

გახსოვს, ფარტაძ, მუხურისთან გამარჯვების შემდეგ გავერანებულ-გაპარტახებული სოფლები რომ გამოვიარეთ, ადამიანის ჭაჭანება რომ არ იყო არსად? იავარქმნილი ადგილები გვხვდებოდა მხოლოდ. გამარჯვება აღარ გვახარებდა. ჩვენს ლაშქარსაც სახე ჩამოსტიროდა. ერთ პატარა მდინარეს რომ მივადექით, ანაზდად ვიღაც შაოსანი ქალი შემოგვეფეთა ფეხშიშველი და ძვალ-ტყავადქცეული.

– კარგად მახსოვს, დიდო მეფეო. კარგად მახსოვს ის შემთხვევა, გუბაზ! რაღაც გუმანით რომ გამოიწია შენსკენ, ცხენს ფეხქვეშ რომ ჩაუვარდა და შეგღაღადა:

– ათი შვილი დავკარგე ამ ომში, დიდო მეფევ, და მზად ვარ, რომ მყავდეს, კიდევ ათი შემოგწირო, ოღონდაც მტერს ნუ გაახარებ ჩვენზე, ოღონდ მტერს ნუ ათარეშებ ჩვენს მიწა-წყალზეო. დიახ, ეს იყო ხალხის გულისთქმა, დიდო მეფევ, ხალხი შენ გსახავს თავის მხსნელად, დამცველად, კოლხეთის ძველი დიდების მემკვიდრედ და გამგრძელებლად. ხალხის გული კი უტყუარია: კარგად იცის ნამდვილი გმირის გამორჩევა მოჩვენებითისაგან. შენ ხალხის გულმა მიგიჩნია თავის წინამძღოლად, თავის მოთავედ და უნდა ზიდო, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს, ეგ ტვირთი, რადგან ყველაფერი წარმავალია ამქვეყნად, გარდა ხალხისთვის თავდადებული ვაჟკაცის კეთილი სახელისა, საუკუნეებს რომ გადასწვდება. ჩვენს ქვეყანას სჭირდება მოწამებრივი გმირობა მისი დიდი შვილისა, რათა წმინდა სისხლმა, მისთვის დაღვრილმა, იფხიზლოს, დაიცვას და გადაარჩინოს სული ერისა, გოლგოთის გზა რომ არგუნა უფალმა.

...პატარა მდინარეა გუბაზოული, ჩხრიალით მიაქანებს ანკარა წყალს, ზღვამდე ვეღარც კი აღწევს. სუფსაში იკარგება უჩინრად და უხმაუროდ.

გუბაზოულო, პატარა გუბაზოულო. შენს ნაპირზე დატრიალდა ოდესღაც, თოთხმეტი საუკუნის წინათ, სისხლიანი ტრაგედია. შენს ნაპირზე ვერაგულად ჩასცეს მახვილი შენს რჩეულ შვილს, უშიშარ და უმამაცეს ვაჟკაცს გუბაზ მეფეს. პირდაპირ რომ ვერ სძლიეს, ღალატით ჩასცეს მახვილი. რადგან იცოდნენ, პირისპირ ბრძოლაში უძლეველი იყო გუბაზ დიდი, მტერთა რისხვა და მუქარა, «უშიშარი ვითარცა უხორცო»... თავგანწირვით იცავდა გუბაზ დიდი მშობლიური მიწის ყოველ გოჯს. მის უბადლო ვაჟკაცობაზე ღაღადებდნენ ციხე-კოშკნი გოჯისა, სარაპნისა, მუხურისა, უქიმერიონისა, პეტრასი, სადაც მრავალჯერ სძლია ურდოს სპარსთა, ხანაც ბიზანტიელთა კოჰორტებს, თავად კი იძლია მხოლოდ ვერაგობით, ცბიერებით. მოყვრულად შემოსულმა მტერმა სასიკვდილოდ აძგერა შუბი თავის ქვეყნისთვის თავდადებულ რაინდს და გმირის სისხლით შეიღება პატარა მდინარე, ჩხრიალით რომ მიაქანებს ანკარა, კრიალა ტალღებს. ისე მძლავრი ყოფილა ხალხის რჩეული ვაჟკაცის ეს უმანკო სისხლის ნაკადი, რომ მან არა მარტო ეს ციცქნა მდინარე, სუფსაც შეაფერადა

თურმე და შავი ზღვის ტალღებიც. იმდენხანს ყოფილა თურმე წითელი წყლის ზედაპირი, სანამ კოლხებმა შური არ იძიეს მტერზე. მხოლოდ ამის შემდეგ დაცხრა მდინარე, დაიბრუნა თავისი ჩვეულებრივი კამკამა ფერი, მაგრამ ხალხმა ვერ დაივიწყა ის ვერაგული მკვლელობა და მდინარეს, რომლის ნაპირზეც მოხდა საზარელი ტრაგედია, თავისი რჩეული შვილის სახელი უწოდა.[1]

პატარა მდინარეა გუბაზოული, ერთობ პატარა. მისი ანკარა ტალღები სუფსაში იკარგება, ზღვამდე ვეღარც კი აღწევს, მაგრამ... დიდია გუბაზოული. ყველა მდინარეზე დიდი და მძლავრი, რადგან ხალხისთვის თავდადებული გმირის უკვდავ სახელს ატარებს. ის, რაც ფასეულია მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნად, ის, რაც არ იკარგება საუკუნეთა წყვდიადში, უკვალოდ არ ქრება გმირის დანთხეული სისხლი, იგი შთამომავალთა ძარღვებშიც ჩქეფს და მოედინება უსასრულოდ, იგი ცოტნე დადიანის ძარღვებშიც აჩქროლდა. აყივლდა სისხლი გუბაზ დიდისა ცოტნეს ძარღვებში და...

მამულისათვის დაღვრილი წმინდა სისხლი ჟამთა სიავეში იქცა ერის უკვდავების სიმბოლოდ, გადარჩენის სიმბოლოდ, ახალი სიცოცხლის ყაყაჩოებად რომ ამობიბინდა იგი კრწანისის საფლავებზე.

***

«სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცთუნება არა სძირავდეს».

უკვე არ უკვირთ თანასოფლელებს, რა უნდა აკეთოს აქ, ჩვენთან სოფელში უნივერსიტეტდამთავრებულმა კაცმა მაშინ, როდესაც საშუალება ჰქონდა თბილისში, ასპირანტურაში დარჩენილიყო. მაგრამ მას არ შეეძლო, შინაგანი მოწოდებისათვის ეღალატა. სწორედ სოფელში იყო საჭირო იგი.

...და იწყება კარდაკარ სიარული: არც ერთი ბავშვი არ უნდა დარჩეს უსწავლელი, ყველამ უნდა ისწავლოს ქართული. ყველა ოჯახი უნდა კითხულობდეს ქართულ წიგნებს, ყველამ უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია, რომ უკეთ გაერკვეს აწმყოში, მომავალს იმედიანად შეეგებოს.

ალი თანდილავას მხარში ამოუდგა მეუღლე კამერ მგელაძე – ბათუმელი ქალიშვილი უყოყმანოდ შეუდგა სოფელში პედაგოგიურ მოღვაწეობას. სკოლა სათავეა სიკეთისა და ცოდნისა. სკოლა ნამდვილ მოქალაქეებს ზრდის, როცა მის კედლებში თავგამოდებული პედაგოგები იღწვიან.

და, როცა გაირბინეს წლებმა, როცა 60 წელმა შეუმჩნევლად მიუკაკუნა ალი თანდილავას, უკვე აღარავის უკვირდა, რომ სოფელში არ დარჩენილა ახალგაზრდა, არ დარჩენილა ოჯახი, ამ კეთილშობილი კაცის მადლი რომ არ მოსცხებოდა. ნორაკიძეების, ვანლიშების, ბაქრაძეების, მემიშიშების ბავშვებს ქართულად ალი თანდილავამ აადგმევინა ენა.

თანდილავების ოჯახი ბევრი ქართველი მეცნიერის კეთილ სავანედ იქცა, ყველასათვის, ვინც კი ლაზური ენის კვლევას მიჰყო ხელი, – გულღია მასპინძელია ეს ოჯახი. ლაზური ენის შესახებ არ გამოსულა არც ერთი მეცნიერული შრომა, რომლის

[1] მეფე გუბაზი ხობისწყლის ნაპირზე მოიკლა სინამდვილეში. მაგრამ ავტორმა გუბაზოულზე ლეგენდას მიანიჭა უპირატესობა მიზეზთა გამო.

ავტორისთვისაც ალი თანდილავას ფასდადუებელი სამსახური არ გაეწიოს. ალი თანდილავას ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ აკად. არნ. ჩიქობავა, პროფესორები: სერგი ჟღენტი, გივი მაჭავარიანი, სერგო ჯიქია, ანტონ კიზირია, დოცენტი ნათელა ქუთელია და ბევრი სხვა მეცნიერი და მკვლევარი.

ალი თანდილავა აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამიტომ იყო ასეთი ზეიმით, ასეთი სიყვარულით რომ ჩატარდა ალი თანდილავას იუბილე სარფში. არც ამდენი სტუმარი ახსოვს სარფს სხვა დროს. ალი თანდილავას იუბილე აგრეთვე ზეიმი იყო პოლიევქტ ხაინდრავასიც – იმ კაცის, ვინც პირველი კეთილი მარცვალი დათესა სარფელთა გულში. ის დღე ქართული კულტურის ზეობაც იყო ამავე დროს.

ჩვენი მეცნიერების ტაძარმა, ქართულმა უნივერსიტეტმაც განსაკუთრებული გულისხმიერებით აღნიშნა ეს იუბილე.

მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს თავიანთ ყოფილ სტუდენტს აკაკი შანიძემ, გიორგი ახვლედიანმა, არნოლდ ჩიქობავამ.

«სულით და გულით მივესალმები ჩემს ყოფილ სტუდენტს ალი თანდილავას, რომელსაც უკვე 60 წელი შესრულებია. ამათგან მან ნახევარზე მეტი თავდადებულ მოღვაწეობას შეალია პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე სარფში, რამაც დიდად შეუწყო ხელი განათლების აღორძინებას, ხალხის გამოფხიზლებასა და კულტურული ცხოვრების საქმეს შავიზღვისპირა სოფელში». – აკაკი შანიძე.

«წლების მანძილზე ემსახურება ალი თანდილავა სარფის ქართულ სკოლას და ქართული სწავლა-განათლება შეაქვს ლაზურ მოსახლეობაში, მართალსა და კეთილშობილ საქმეს აკეთებს, – აგრძელებს იმ ტრადიციას, რაც მასწავლებელ პოლიევქტ ხაინდრავას უანგარო მოღვაწეობის მეშვეობით დაინერგა ამ 45 წლის წინ. თუ მაშინდელ მთელ სოფელში მხოლოდ ერთმა პირმა იცოდა ქართული, დღეს გვყავს არა ერთი ლაზი მასწავლებელი, ექიმი, ინჟინერი, სარფის სკოლაში რომ ანბანი გაიკვეთა».

არნ. ჩიქობავა

იმ სადღესასწაულო დღეს ხშირად მოიხსენიებოდა მუხამედ ვანლიშისა და ალი თანდილავას წიგნი «ლაზეთი», გამომცემლობა «საბჭოთა საქართველომ» რომ გამოსცა 1964 წელს. დიახ, ეს ის მუხამედ ვანლიშია, პირველად ბახმაროში რომ მოისმინა, ვინ იყო და საიდან მოდიოდა მისი ფესვი და ძირი. ქვეყნის, თავისი ხალხის სიყვარულმა შეაკავშირა ერთმანეთს ეს ორი მოღვაწე ამ ნაშრომის შესაქმნელად.

***

«სარფი პატარა, სარფი რამხელა
რა გზის ნაჭერი, რა მონაკვეთი,
სარფი სულ ერთი თვალის გახელა
გადარჩენილი სული ლაზეთის».

საღამოა. ზღვისპირის რბილი, თბილი საღამო – გაჟღენთილი ნარინჯის სურნელით.

ბატონი ალი და ჩვენ ვსხედვართ ეზოში, პატარა ფანჩატურის ქვეშ. ბატონი ალი ჟურნალებს ათვალიერებს, ეს რამდენიმე დღეა შეუძლოდ არის და სკოლაში არ დადის. წინა საღამოს ლექსიკონზე შევეკითხე. აგერ უკვე რამდენი წელია მუშაობს იგი ლაზურ-ქართულ-თურქულ ლექსიკონზე. ეს ტექსტი გაწმენდილი უნდა იყოს როგორც ბერძნული, ისე თურქული სიტყვებისაგან, შემდეგ რომ შევიდა ლაზურ ენაში. ამ ლექსიკონს ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება თურქეთში მცხოვრები ლაზებისათვის. ბატონი ალი, აკი ამიტომაც იღწვის ასე გულმოდგინედ.

თანდილავებთან მეზობელი გადმოვიდა, ტანთხელი, მოგრძო სახის მოხუცი, რომელსაც საოცრად ცოცხალი თვალები და მკვირცხლი გამოხედვა აქვს. ლაპარაკობენ ხეხილის მოვლასა და იმაზე, თუ ნარინჯის წლევანდელ მოსავალს რა პირი უჩანს. მე თან ყურს ვუგდებ მოსაუბრეებს და თანაც ვიხსენებ ბატონ ალისთან პირველ შეხვედრას, პირველ შთაბეჭდილებას...

წარმოსადეგი კაცია ალი თანდილავა, მსხვილი, შავი თვალები და კეთილი ღიმილი აქვს, დინჯი, მოზომილი ლაპარაკი იცის. თავშეკავებული, მშვიდი კაცის შთაბეჭდილებას ახდენს თავიდანვე. თუმცა ამ სიმშვიდის მიღმა შეიძლება მოთოკილი სიფიცხეც იმალებოდეს. ასეთი პიროვნებები ყოველთვის თავკაცობდნენ სოფელში. სრულიად განსხვავებული ტიპია მუხამედ ვანლიში, ტანმორჩილი, თხელი, მოძრავი, სხარტი მანერების მქონე, მკვირცხლთვალება მოხუცი.

ლაზურ ხასიათზე ვფიქრობ საერთოდ.

...ეს დატეხილი რელიეფი, ხუჭუჭა გორმახები, დაკიდული ციცაბო კლდეები, ზღვის უსაზღვრო სივრცე, აუწერელი სილამაზის ცა, კოლხეთის შუაგულში ჭაობების ნესტი, ლაქაშები, უღრანი, ტროპიკული ტყეები და ცადაწვდილი, ზვიადი მთები, მწვანე ფერების ნიაღვარი წლის ყოველ დროში ბადებდა ალბათ ხასიათის იმ მრავალფეროვნებას, იმ სიცქვიტეს, სიამაყესა და მედიდურობას, გულადობასა და ცოცხალ გონებას, რასაც განსაკუთრებით აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები. კოლხური სულის უიდუმალესი ხვეულების გამოვლენად მეჩვენება დიდი იოანე ლაზი, პეტრე იბერის მასწავლებელი და მოძღვართმოძღვარი, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ უდიდესი დამსახურების გამო წმინდანად შერაცხა. სამყაროს წვდომის მისეული გაგება, ის მისტიკური საწყისი, რაც მის მოძღვრებაში გვხვდება, კოლხური წარმართული სულის, მისი უძველესი რელიგიის გამოძახილია უთუოდ.

იოანე ლაზმა, ალბათ, ფასისის აკადემიაში მიიღო თავდაპირველი განათლება. ძველი მოგზაურები კოლხეთს მუზების ქვეყანას უწოდებდნენ და შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში ფასისში საქვეყნოდ სახელგანთქმული აკადემია არსებობდა, სადაც პოეზიისა და მუზების სიყვარულის გარდა, ასწავლიდნენ აგრეთვე მჭევრმეტყველებას, რითაც ყოველთვის სახელგანთქმულნი იყვნენ ეგრისელები. არის რაღაც საერთო იოანე ლაზსა და გიორგი ჭყონდიდელს შორის. დავით აღმაშენებლის პირველი ვაზირი გამორჩეულ პიროვნებად წარმოგვიდგება ძველ საქართველოს დიდ მოღვაწეთა შორის. «და თან წარიტანა (დავით აღმაშენებელმა) გიორგი ჭყონდიდელი. მწიგნობართუხუცესი თვისი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცისა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, გამზრახი, სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა»... რომლის სიკვდილი იგლოვა მთელმა ერმა «...ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა».

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ საქართველოს კონსოლიდაციისა და მძლავრი სახელმწიფოს შექმნის ჟამს უჭკვიანეს და უბრძენეს ქართველ მეფეს, რომლის ბადალი ბევრი არ დაიძებნება მსოფლიოს ხალხთა დიდ მოღვაწეთა შორის,

თავის მარჯვენა ხელად და საყრდენად გიორგი ჭყონდიდელი ჰყავდა – ეს ისტორიულად განპირობებული როლი იყო ეგრისისათვის;

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა სინთეზის (რაც საუკუნეებით იყო შემზადებული) მწვერვალად დიდი შოთა მოგვევლინა. რუსთაველის პოეზია – ესაა ამავე დროს კოლხეთისა და იბერიის ტომთა მიერ ათასწლეულების მანძილზე შექმნილი სულიერი საგანძურის სინთეზი – და ბუნებრივია, ასეთი გენიოსი სწორედ XII საუკუნეში უნდა ეშვა ქართველ ერს – თავისი მეობის აღზევების, ყველა კუთხის სულიერი თუ ფიზიკური ერთიანობის ხანაში...

...ქალბატონი კამერი – ალის მეუღლე გვერდით მომიჯდა. ხმადაბლა ვსაუბრობთ. სარფის სკოლაზე ვეკითხები ქალბატონ კამერს. გამოკვეთილად, ოდნავ დამარცვლით გამოთქვამს სიტყვებს ისე, როგორც პედაგოგებს სჩვევიათ ხოლმე ეს, მაგრამ ამასთან საოცარი სირბილე და სითბოა მის ხმაში, მისი ცისფერი თვალების სიღრმეში ვჭვრეტ თითქოს უშორეს წარსულიდან წამოსულ სევდას. კამერის შემყურეს უნებურად მაგონებდა, რომ თავიანთი ჯიშისა და ჯილაგის გასაკეთილშობილებლად თურქები ქართველ ქალებს ირთავდნენ ხოლმე. უნებურ ბოღმას ვიბრუნებ გულში და ვცდილობ, არ გავყვე ამ გულისთქმას. არადა, აქ ყოველი ქვა, თუ მცენარე, ყოველი კუნჭული, ზღვის მობიბინე სილაჟვარდე თუ შეუდარებლად ლამაზი, მაღალი და ლაჟვარდი ცა, ყველაფერი უნებურად იწვევს მტკივნეული წარსულის შეგრძნებებს. ლაზების მშვენიერ, რბილ გამოთქმაში, ხმის კილოში, ყოველ მიხრა-მოხრაში ვკითხულობ უძველესი რასის ნიშან-თვისებებს, თითქოს შეფარულ და მაინც ხილულს, თითქოს შეუმჩნეველს და მაინც თვალში საცემს. ამიტომაა, ალბათ, ცეკვა «ხორუმს», თუ სვანურ ცერულს, «ქართულს» თუ «ნარნარს» როცა ვუყურებ, არ მშორდება იმის შეგრძნება, რომ უშორეს წარსულში, ათასწლეულების მიღმა იღებს სათავეს ჩვენი ფესვი და ძირი, უშორეს ხანაშია ჩაკარგული იგი და... ახლა იმ უიდუმალესი და უშინაგანესის გაცხადების მომსწრე და მხილველნი ვხდებით თითქოს.

კამერის თვალებში შეფარული ეს სევდა სულს მიფორიაქებს, არ მასვენებს...

ერთი ძველი მოგზაური, რომელსაც დიდხანს უცხოვრია კოლხეთში, ამბობდა, სხვაგან არსად შემხვედრია ასეთი მოუსვენარი, მკვირცხლი, ცოცხალი ხასიათები, მოქმედებისათვის გაჩენილნი და ამდენი... თვითმკვლელობაც სხვაგან არსად მინახავსო. მელანქოლიური და მისტიკური საწყისი ძველად განდეგილობასა, მარტვილობასა, მოწამებრივ თავგანწირვასა თუ გმირობაში პოულობდა გამოსავალს ან... თვითმკვლელობაში!.. ხანაც სიმღერებში გადმოპირქვავდებოდა ეს სავსება სულისა და იბადებოდა დახვეწილი, ნატიფი, უფაქიზესი სევდით ათრთოლებული კოლხური სიმღერები. ვინც მახვილი თვალით მოიხილავდა შორეული წარსულიდან მოყოლებული კოლხეთის მიერ გამოვლილ გზას, მოიხილავდა ამ მზიურ, აფეთქებულ სილამაზეს და... აქა-იქ სილამიყრილ, განმარტოებულ ბორცვებს სასაფლაოებისას, აღარ გაიკვირვებდა და არ იუცხოებდა ამ სევდას: თუ ვერ ჩასწვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, გუმანით მაინც იგრძნობდა სევდის სათავეს...

ქალბატონი კამერი სარფის სკოლაზე მელაპარაკება ისევ. ახლა სკოლაში 220-მდე ბავშვი და 20 მასწავლებელია. სკოლაში არის ნორჩ მესაზღვრეთა წრე, ჩამოყალიბებულია ცეკვის, სიმღერის, საგნობრივი წრეები... კამერს ახსოვს ადრე, როდესაც ძალიან მცირერიცხოვანი კონტინგენტი იყო, სიძნელეც მეტი იყო, ორიოდე მასწავლებელსაც მეტი გასაჭირი ადგა, მაგრამ მათი დაძლევის სურვილიცა და ჟინიც დიდი გახლდათ. გონებაში ვანგარიშობ: ადრე არ მინახავს სარფი – დღევანდელი სარფი კი სავსებით თანამედროვე სოფელია, ორსართულიანი, კოხტა სახლებით

დამშვენებული, მდიდარი, კეთილმოწყობილი, მწვანეში ჩაფლული. მწვანე და ლურჯი ფერების სიუხვეა აქ. მწვანე და ლურჯი ფერის ნიაღვარში იძირება ყველაფერი.

...მაგონდება ზღვის პირას თავმოყრილი სარფელი მეთევზეები, ბადეს რომ კემსავდნენ. რა მარჯვედ საქმიანობდნენ, თან ენაკვიმატ ალი ხორავას ნათქვამზე იცინოდნენ გულიანად. ალი ხორავა საოცრად კოლორიტული ფიგურაა სოფელში, 50 წელს მიტანებულ, მაგრამ ახალგაზრდულად დაუდეგარ ალი ხორავას მოსვენებულს ვერ ნახავთ, არც ენით და არც საქმიანობითო, ამბობენ მასზე სოფლელები. დიახ, ეს ის ალი ხორავაა, მერე ნოდარ დუმბაძემ თავის რომანში «ნუ გეშინია დედა» რომ გამოიყვანა, ოღონდ იქ ნამეტანი დააბერაო...

«ლაზები საზღვაო საქმის აკრობატები არიან. ძლიერნი, მარჯვენი, გაბედულნი და საუკეთესო მოცურავენი, ისინი თითქოს თავიანთი სახიფათო პროფესიისათვის დაბადებულან და ამ მხრივ ბადალი არ ჰყავთ», – წერდა მოგზაური პ. შუბინსკი, და რა უნდა იყოს ამაში საკვირველი, როცა ჯერ კიდევ ანტიკური დროის მოგზაურები აღნიშნავდნენ ლაზების ამ თვისებებს. ისინი «შეუდარებელი» მეკობრეებიც ყოფილან ამავე დროს, შიშის ზარს რომ სცემდნენ სავაჭრო გემთა მფლობელებს და არა მარტო პონტოს ზღვას, ხმელთაშუა ზღვასაც გადასწვდებოდნენ ხოლმე. მათთან შედარებით გვიანდელი დროის ესპანელი კონკისტადორები ბალღებად გამოიყურებიანო, – დასძენენ თანამედროვე ავტორები.

უნებურად მაგონდება პოეტი ქალის ფოტულა იანა კოპულოს სიტყვები, რაც მას რევაზ ბაქრაძისთვის – ხელვაჩაურის რაიკომის მაშინდელი მეორე მდივნისთვის – უთქვამს: ლაზებს ბევრი ახლანდელი ბერძენი თავის წინაპრებად თვლის, ისინი ახლაც მიჩნეულნი არიან როგორც შეუდარებელი მეზღვაურებიო. და ხალხური ეტიმოლოგიაც მოუშველიებია. პელ-ლაზ-გოს – ბერძნულად ზღვის მკვიდრს ნიშნავსო. ლაზები და პელაზგები? იქნებ მეტისმეტ სიფრთხილეს ვიჩენთ? იქნებ მეტი გაბედულება, მეტი ჰორიზონტია საჭირო კვლევისას? სტრაბონი ამბობს: «ევრიპიდეს მიხედვით, ელადის მცხოვრებთ წინათ პელაზგები ეწოდებოდათ»-ო.

«საბერძნეთს ბერძნების მოსვლამდე და ბერძნების შემოსვლის კარგა ხნის შემდეგაც «პელაზგია» ეწოდებოდა ადგილობრივ მკვიდრთ – «პელაზგების მიხედვით» (ჰეკატე მილეტელი და სხვა მრავალი ავტორი).

...ქალბატონი კამერი ლაპარაკობს სკოლაზე და ვამჩნევ, რა ფარული სიამაყე და სიყვარული გამოსჭვივის მის ხმაში. ვუსმენ ამ საამო ხმას, დინჯ, დარბაისლურ ლაპარაკს და გონებით ისევ წარსულს ვუბრუნდები – კამერის ოჯახის ტრაგედიას, რამაც სულიერად ვერ გატეხა ქალიშვილი, თითქოს პირიქით, უფრო გამოაწრთო, გამოაბრძმედა, რადგან უბედურება, თავსდატეხილი ჭირი ლაზისათვის მაინც არასდროს არ არის მოულოდნელი და დაუძლეველი. თითქოს უბედურებასთან ჭიდილში იწრთობა კიდეც მისი ხასიათი, ადამიანური ბუნება... ეს კამერის ხასიათშიც ჩანს. იგი გარეგნულად ოდნავ გოროზი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. ადვილად ვერ შეაღწევ მის სულში, იქ ხელს ვერ მოაფათურებ იოლად. კამერი – დარბაისელი ქართველი მანდილოსნის, ჭკვიანი, გონიერი ქალის განსახიერებაა, ყოველთვის ერთგულად რომ უდგას მხარში მეუღლეს – ჭირსა თუ ლხინში, მართლაც ღირსეულ მეუღლეობას რომ უწევს მას.

...ხელვაჩაურის რაიონულ გაზეთს ვათვალიერებ. ამ გაზეთში ხშირად იბეჭდება რევაზ ბაქრაძის წერილები. იგი უყურადღებოდ არ ტოვებს არაფერს, რაც კი ლაზურ ენასა და ისტორიას შეეხება. ასე, მაგალითად, ზურაბ თაბდილავას წიგნს – ლაზური ხალხური პოეზია – იგი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა რაიონულ გაზეთში და რეცენზია უძღვნა მას. ასევე, არც ალი თანდილავას იუბილე დარჩენია უყურადღებოდ

და ვრცელი წერილი მოათავსა გაზეთში ამ იუბილესთან დაკავშირებით. იგი ავტორია ბროშურისა სოფელ სარფზე, სადაც საინტერესოდაა მოთხრობილი ამ საზღვრისპირა სოფლის ისტორია, მისი წარსული და დღევანდელობა. რევაზ ბაქრაძე ამჟამად ხელვაჩაურის აღმასკომის თავმჯომარედ მუშაობს. მას თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. რევაზ ბაქრაძე უფრო ახალგაზრდა თაობაა ლაზების, რომელთაც სწავლა-განათლება საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს და გამოირჩევიან ერუდიციით, განათლებით...

***

სარფიდან რომ მოვდიოდი, წვიმა ცრიდა, გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა. სარფიდან ბათუმამდე გზა მთებში მიიკლაკნება – აუწერელი სილამაზის გზა. ხელმარცხნივ ზღვა ბობოქრობდა, აზავთებული ტალღები ნაპირს აწყდებოდნენ.

ჩამავალი მზე ცაზე ათასნაირ ფერად სურათს ხატავდა: ხან წვერწამახულ კოშკებს ჰგავდნენ ისინი, ხანაც ქონგურებინ ციხე-სიმაგრეებს, გორაკებზე წამომართულებს, ხანაც იალქნიან ნავებს, ზღვის ტალღებზე მოქანავეთ. თითქოს ვხედავდი კიდეც ამ ნავებში ჩამსხდარ გულად ლაზ მეზღვაურებს, თავგამოდებით რომ ებრძვიან გაშმაგებულ სტიქიონს. ეს სანაპირო ხომ ოდითგან უამრავი ქარტეხილების მომსწრეა, ამ სანაპიროზე ხომ ათასგვარი ჯურის გადამთიელს უთარეშნია. ამ სანაპიროზე ოდესღაც ყვაოდა დიდი ცივილიზაცია – რომლის ნაშთი ხან სად და ხან სად იჩენს ხოლმე თავს...

სასიხარულოა, რომ ამ ბოლო წლებში ასე ინტენსიურად მიმდინარეობს არქეოლოგიური ძიებები... რამდენი რამ იქნა მიკვლეული და გამომზეურებული, რამდენ საიდუმლოს აეხადა ფარდა და კიდევ, ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე აღმოჩენა გველოდება.

...მოვდიოდი და ზღვის გუგუნში მესმოდა ათასწლეულების მეხთატეხა, ზავთი და ზრიალი, თითქოს ცხადად ვხედავდი სისხლის ნიაღვრით გადაწითლებულ ჩვენს ველ-მინდვრებსა და მდინარეებს.

მოვდიოდი და ზღვის გუგუნში მომდევდა ყივილი გადარჩენილი კოლხეთის სულისა – ფერფლიდან აღმდგარი, ფესვებმაგარი, ტოტებგაშლილი, ხასხასა და ძლიერი – ქარბორბალასთან საბრძოლველად რომ კვლავაც შემართულა.

და, იქ, პატარა სარფში, ორად გაყოფილ სოფელში არის ამ დიდი სულის ერთი ნატეხი, კაცი, ვინც დარაჯად და ქომაგად უდგას ქართულ კულტურას, ქართულ ენას, უშორეს წარსულში რომ იღებს სათავეს და მარად ახალი ენერგიით მოედინება საუკუნეების წყვდიადიდან – მოედინება დაუშრეტელი, უსასრულო, თავანკარა და დიდებული, «ვითარცა წყარო იგი უკვდევაბის, ხეი იგი სიცოცხლის აღმზევებელი».

1976 წ.

ჟურ. «ცისკარი»

«ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით»...

(ვუძღვნი ოსმალოს უღლისაგან აჭარის
განთავისუფლების ასი წლისთავს)

«უწარჩინებულესი მამანი, საღვთო-საერო
თხზულებათა მთარგმნელნი, სახელოვანნი
მწერალნი ჩვენი ახლანდელი
ოსმალოს საქართველოს შვილნი და
მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო
«ვეფხისტყაოსნის» მთქმელი შოთა
რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო...
ჩვენი ყოველი ცხოვრება იქ აყვავებულა,
ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფია,
ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს
თავისი სახელოვანი დროშა. სწავლა,
განათლება, მამულისათვის თავგამეტებული
სიყვარული, თითქმის იქიდან ეფინებოდა
ჩვენს ქვეყანას. მძლავრობამ, მუხთლობამ,
შავით მოსილმა საქართველოს ბედმა
განგვაშორა ჩვენ – ძმები ერთად სი-
სხლისმღვრელნი, ერთად ღვაწლის
დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად
მოლხინენი».

ილია

«ჭოროხი შენი ცრემლია, თვალთაგან გადმონადენი»

სულ ახლოს მივედი მაღალ ნაპირთან. მდინარეს ჩავხედე. მომწვანო-მოლიბრო ტალღებს მიაქანებდა ჭოროხი – ზღვასთან ჭიდილის სურვილით თითქოს ჟინანთებული, შემართული, ჯიბრიანი.

გაღმა ნაპირზე, მავთულებს მიღმა, მწვანე გორაკზე ოდა-სახლი წამომართულიყო, ქვემოთ ჭალა ლივლივებდა ზურმუხტისფრად.

მოკრიალებულ, ლურჯ ცაზე ღრუბლის პაწია ფთილაც კი არსად ჩანდა.

იდგა მდუმარება და მყუდროება, მდინარის ჩხრიალიღა ისმოდა ძალზე მკაფიოდ, გარკვევით.

გაღმა ნაპირზე მდგარმა კაცმა მდინარეში შეტოპა. ჩვენკენ გამოცურა.

ნუთუ ამ მავთულებს იქით უკვე საზღვარი იწყება და ის ოდა-ასხლიც სხვა ტერიტორიაზეა?

მერე ამიხსნეს, ჯერ საზღვარი არ არის, ის ოდა-სახლიც ჩვენია და ის კაციც ჩვენებურია, მდინარეში რომ ცურავსო.

კაცი მარჯვედ მოაპობდა ტალღებს და თანდათან გვიახლოვდებოდა, აი, გამოაღწია კიდეც ნაპირს. ერთხანს უძრავად იდგა დოინჯშემოყრილი. მერე იქვე, უზარმაზარ ლოდზე აფოფხდა და პირაღმა გაიშოტა.

მდინარის ტალღათა დინებას გავაყოლე თვალი კვლავ.

ჭოროხი... ჭოროხი...

«მე კარგად ვიცი, დარდი რამხელა

მოაქვს ამ ჭოროხს, ღელვით მომავალს», – გახმიანდა გულში პოეტის სიტყვები.

ისე დაჟინებით დაცქერი მის ტალღებს, რომ მეჩვენება, მომწვანო-მოლიბრო კი არა, მეწამული ფერი დაჰკრავს თითქოს... და, აი, საცაა, თვალს მოვკრავ სისხლისფრად დაწინკლულ მის კალმახებსაც-თქო...

პირველად ვარ აქეთ. პირველად მიწევს ხულოში ასვლა და ძალიან მინდა, დღის სინათლეზე ვნახო ჭოროხისა და აჭარისწყლის განთქმული ხეობები, რომლებზეც ამდენი მსმენია და წამიკითხავს. «მთელი ეს მხარე კოპწია გორაკების, მთების, მინდვრებისა და ხევების გროვაა. გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთი, მაგრამ ძნელი გზა ჭოროხზე სანაოსნო გზაა, 80 ვერსის მანძილზე ბათუმიდან ართვინამდე», – წერდა ფრანგი. მოგზაური ჟან მურიე. «ამ მხარეში ნაოსნობის აშკარად სახიფათო პირობების მიუხედავად, უბედური შემთხვევები თითქმის არ ხდება... მენავეს დიდი მოხერხება და გამოცდილება ჭირდება».

ფრანგი მოგზაური აღტაცებული იყო აქაურ მკვიდრთა სიმარჯვითა და მოხერხებულობით, ნავის მართვის საოცარი ოსტატობით.

დარჩა თუ არა მემკვიდრეები იმ მენავეებს? თუ საერთოდ მოისპო ნაოსნობა ჭოროხზე?

აჭარისწყლის ხეობა ღამის სიბნელეში გავიარეთ. ირგვლივ შავი დევებივით წამოზიდულან მაღალი მთები.

თან მოგვდევს მდინარის შხუილი და ელნათურების ციმციმი.

თვალი დამეღალა სიბნელეში ყურებით.

მაინც ვეღარაფერს ვარჩევდი და თვალიერებას შევეშვი. ლაპარაკის ხასიათზეც აღარ ვიყავი. უკვე მთელი არსებით ხვალინდელ დღეს ვეკუთვნოდი, მასზე ვფიქრობდი მხოლოდ.

ხულოში ღამის 12-ის ნახევარზე ჩავედით.

...ასე მეგონა, სასტუმროში დავბინავდებით თუ არა, მაშინვე ძილს მივცემ თავს-მეთქი, მაგრამ რაღაც შინაგანი წრიალი ძილს მიფრთხობდა.

მაშ ასე, ხვალიდან ვიწყებ იმ კუთხის დათვალიერებას, რომელსაც ბავშვობიდან მხოლოდ წაკითხულითა და განაგონით ვიცნობ.

ამინდი ჩინებულია და ხვალიდანვე შეგვიძლია შევუდგეთ საქმეს – კულტურის ძეგლების გადაღებას. მთავარია, ავიდეთ ხიხანზე და ციხესიმაგრე გადავიღოთ. თუმცა ბათუმშივე გაგვაფრთხილეს, ხიხანზე ვეღარ ახვალთო.

ამინდის გამო შიში თანდათან მიიჩქმალა, გულის რომელიღაც შორეულ კუნჭულში მიიყუჟა და ახლა სხვა შთაბეჭდილებები წამოტივტივდა, ყველაფერი ერთმანეთში აირ-დაირია, მერე ძალზე ცხადად, მკაფიოდ გამოიკვეთა ტანკენარი ქალის სილუეტი. წელის გასაოცარი რხევა, თვალების წამიერი, უეცარი გაელვება და ერთბაშად ავარდნილი კოცონი სცენაზე.

«განდაგანა». ბავშვობიდან გულში შემოჭრილი და მერე იქ ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული.

დაუვიწყარი ფატმა კობალაძე – ბავშვობაში ნანახი პირველად სოხუმის სცენაზე.

ფატმა კობალაძე – აბრიალებული კოცონი სცენაზე...

...მერე მეგრული ოდა-სახლის აივანს ამხედრებული ორი ვაჟკაცი მოადგა, ჩაქურაში ჩაცმულნი, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარნი.

მევლუდი ვარ, დიასამიძე, ეს კი ილიასია ხელაძეო, – გააცნეს თავი პატარა გოგოს.

მერე ორივე იქცა ვაჟკაცობის, რაინდობის, ქველობის სიმბოლოდ.

«გაძარცვულ აჭარას რა შერჩენია თავმოყვარეობის გარდა?.. აჭარლები ღარიბები არიან, ქონებრივად ქესატნი, ჭადი ენატრებათ და ჩასაცმელ-დასახურავი. ძალიან ბევრი რამ არა აქვთ და აკლიათ, მაგრამ... თავმოყვარეობა, სინდისი, პატიოსნება არასოდეს არ ჰკლებიათ და ამ სიმდიდრეს ვერც გამოლევენ. შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ...»

მევლუდის აჩრდილი ახლაც მოადგა თითქოს ამ ფანჯარას, შორიდან გამიღიმა მოკრძალებული ღიმილით, თითქოს მეგზურობა უნდა შემოეთავაზებინა ჩემთვის, ამით უნდოდა გამოეხატა მადლიერების გრძნობა იმ ცრემლებისათვის, რაც ბავშვობაში დამიღვრია მის გამო.

და, აი, რამდენი ხნის შემდეგ, წლების შემდეგ პირველად ვარ შენს მხარეში, მევლუდ დიასამიძევ, მაგრამ შენ XIX საუკუნის ტკივილები გალაპარაკებდა და გაბრძოლებდა, მე კი – XX საუკუნის.

ნახევარი აჭარა მოვიარე. ახლა ზემო მხარე დამრჩა სანახავი.

«ბათუმის ოლქის მკვიდრი მოსახლეობა ეკუთვნის ქართულ რასას. სუფთა ქართველებს. მაკრიალისა და ჩხალის ხეობის გარდა, ყველგან ქართულად ლაპარაკობენ. მაკრიალის ხეობის მოსახლეობის ენა თურქულის და ლაზურის ნარევია, ხოლო ჩხალის ხეობაში კი ქართულის და ლაზურის, ლაზები ქართულ რასას ეკუთვნიან, მაგრამ ისინი ლაპარაკობენ მეგრულთან დაახლოებულ ენაზე – ყველა მეგრელს ესმის ლაზური – გარდა თურქული გამოთქმებისა, რომლებითაც აჭრელებულია ლაზური ენა.

ჭოროხის ხეობის ქართველები ლაზებთან ერთად ამ მხარის ყველაზე ძველი მკვიდრნი არიან. ლაზიკა ივერიასთან (ქართლი) და ალბანეთთან (კახეთის ნაწილი) ერთად წარმოადგენდა პროვინციას, რომელიც დროებით ხარკს უხდიდა სპარსეთის მეფეებს. დასავლეთით ლაზებმა დაიკავეს ტერიტორია ტრაპიზონამდე...

...ამაოდ ცდილობდა ისლამი ექვსი საუკუნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ეროვნული (ქართული) ცხოვრების ყოველგვარი ნაშთის მოსპობას, ყოველი წყარო, მიწის ყოველი ნაგლეჯი ჯერ კიდევ მოაგონებს მოგზაურს საქართველოს ძველ ძლიერებას. ჭოროხის აუზში და მტკვრის სათავეების ახლოს ყრია X-XIII საუკუნეში აშენებული ტაძრებისა და სხვა შენობების ნანგრევები, რომლებიც საეკლესიო არქიტექტურის საკმაოდ საყურადღებო ძეგლებს წარმოადგენდნენ.

კლარჯეთი (ჭოროხის აუზის ძველი ქართული სახელწოდება) ბაგრატიონთა დინასტიის მეფეების აკვანი იყო...

მაჰმადიანებმა XIII-XIV საუკუნიდან დიდ განსაცდელში ჩააგდეს კლარჯეთი. XVII საუკუნის დასაწყისიდან თურქებმა ზემო ქართლში ქრისტიანობისა და ქართული პატრიოტიზმის სასტიკი დევნა დაიწყეს. შეუბრალებლად განადგურდა ისტორიისა და ხელოვნების ძეგლები. ერს ძალით მიაღებინეს ისლამი, მაგრამ ეკლესიებისა და ციხეების ის ნანგრევები, რომლებიც ბათუმის ოლქის ხეობებს ავსებს, არა მარტო მტკიცე რელიგიურ რწმენას, არამედ ერის დიდებულ წარსულსაც მოწმობს, ერისას, რომელმაც აზიაში ქრისტიანობის ავანგარდის სახელი დაიმსახურა», – ეს ფრანგი მოგზაურის ჟან მურიეს სიტყვებია, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა საქართველოში. მისი ნაშრომი «ჭოროხი და ჭოროხის აუზი», პარიზში,

გეოგრაფიულ მიმოხილვაში დაიბეჭდა 1886 წელს, ხოლო მომდევნო წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

«კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოგონება».

ხულოელთა ლაპარაკის კილოს ფშაურს ვამსგავსებ, ხანაც – თუშურს. მე ეს ჩემი «აღმოჩენა» მგონია, მაგრამ ერთ-ერთ გამოკვლევაში ამოვიკითხე, რომ ზემო აჭარლებმა და თუშ-ფშავ-ხევსურებმა – როგორც მესხურმა ტომებმა – უკეთ შემოინახეს ძველი ქართული ენის კილოკავი.

ამ ორიოდე წლის წინ პირველად ვიმგზავრე ბათუმ-ქობულეთის გზაზე მანქანით, პირველად ვიხილე ეს ზღაპრული სილამაზე და თან მრცხვენოდა, აღტაცება გამომეხატა. სხვათა შორის, იმავე წლის ერთ ნარკვევში «შეხვედრები აჭარელ ახალგაზრდებთან» ვცადე გამომეთქვა ის გულის წუხილი, რაც მაშინ განვიცადე: ერთი კონდოლელი (სოფელია კახეთში) ნაცნობის ნათქვამი გამახსენდა: რანაირია მანდარინის ხე ან ჩაის ბუჩქი სინამდვილეში არ ვიცი, მხოლოდ კინოში მაქვს ისინი ნანახიო. ალაზნის ზვრები კინოში თუ უნახავთ ამ აჭარელ გოგონებსაც-მეთქი.

საქართველოს სისხლითა და ცრემლით დაწერილ ისტორიას, ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, მის თავგანწირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მის ჟამთა სიავესა და ბედუკუღმართობას ყოველი ქართველი ახალგაზრდა უნდა იცნობდეს – ვინ ააშენა ეს დიდებული ხიდები, ციხე-სიმაგრეები უტყვ, მაგრამ ცოცხალ მატიანეებად რომ გვხვდება ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ვინ ვიყავით, საიდან მოდის ჩვენი ძირი და ფესვი, ეს უნდა იცოდეს ყველამ. ზოგი ახალგაზრდა კი უცხოელი ტურისტისაგან იგებს თავისი ქვეყნის ისტორიას...

გიორგი ლეონიძის გმირი «ნატვრის ხეში» ამბობს: «ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა»-ო.

...განგებ ვითრევ ფეხს ქუჩებში, ბაზარში, მაღაზიებში, ხულოელთა საუბარი რომ უკეთ მოვისმინო.

ასე სუფთა და ძარღვიანი ქართულით ლაპარაკს ბევრი ქალაქი ვერ დაიკვეხნის ჩვენში, – ვფიქრობდი უნებურად.

გამოველაპარაკე ერთ მაღალ, ჭაღარა ბერიკაცს.

ამ ბერიკაცის თავაზიანობამ, მისმა დარბაისლურმა სიტყვა-პასუხმა ჩემს მეხსიერებაში წამსვე ამოატივტივა ერთი ბავშვობისდროინდელი ეპიზოდი: ასე ცხრა-ათი წლის ვიქნებოდი მაშინ. მეზობელთან გადავედი. სტუმარი ჰყოლოდათ სოფლიდან, საოცრად მოხდენილი, თეთრწვერა, თეთრთმიანი, ცისფერთვალება მოხუცი. ოთახში რომ შევედი, მოხუცი ფეხზე ადგომით მომესალმა. არასოდეს დამავიწყდება, ალბათ, ეს სურათი: 80-ოდე წლის ბერიკაცი ცეროდენა გოგონას რომ ფეხზე წამოუდგა და ამით ზრდილობის, თავაზიანობის მაგალითი უჩვენა უსიტყვოდ.

ხულოელი ბერიკაცების ბუნებრივმა, შინაგანად მომდინარე ზრდილობამ და სიტყვა-პასუხმა გამახსენა ახლა ეს ეპიზოდი.

ისევ მურიეს ნაშრომს ვიგონებ, რომელმაც უცხოელისათვის შესაშური დაკვირვებითა და გულისყურით სცადა გადმოეცა ამ კუთხის მკვიდრთა როგორც წარსული, ისე თანამედროვე ცხოვრების სურათები: «აჭარელი შუა ტანისაა, მხარბეჭიანი და კუნთმაგარი, სახით პირხმელი და ფერმკრთალია. კეხიანი ცხვირი აქვს, თხელი ტუჩები, ხშირი შავი წვერი და ჩამოშვებული გრძელი ულვაშები... გამოხედვა

ამაყი აქვს... მოძრაობაში ცქვიტი, დადის თამამად და ვაჟკაცურად, შესანიშნავი ქვეითია და დაუღალავად სამოცი ვერსის გავლა შეუძლია. ცუდი ცხენოსანია. ყოველთვის მზადაა თავდასხმისა და თავდაცვისათვის... ყოველთვის შეიარაღებულია და უმცირეს შეურაცხყოფასაც არ ტოვებს უპასუხოდ...

აჭარელი გარეგნობით, მიხრა-მოხრით, ხასიათით ძალიან გავს გურულს. მასავით კოხტაა, მკვირცხლი და შთაბეჭდილებიანი, მასავით არის ჩაცმულიც...

სიმღერა და ცეკვა ისეთივეა, როგორც გურული და მეგრული. ხალხში იშვიათად ჰყავს ვინმეს ერთ ცოლზე მეტი, თუმცა ყურანი იძლევა პოლიგამიის ნებას, ბეგები კი სარგებლობენ ამ უფლებით.

მზითვად, ისევე როგორც ყველგან საქართველოში, აძლევენ მოძრავ ქონებას, განსაკუთრებით ლოგინს...

...მიწის ნაყოფის ქურდობა აქ ისევე უცნობია, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში...»

***

აჭარისწყალი გადავლახეთ და ფერდობს შევუყევით. კიდევ რამდენიმე კილომეტრი და უკვე ხიხაძირის ხეობაში ვართ.

გზადაგზა გვხვდება კაკლის ჩეროები, წყაროები, რუები, ნაკადულები, ფერდობებზე შეფენილი ოდა-სახლები, ყანები, სათიბები, ტყის კორომები, მწვანე ფერთა ნიაღვარი, გასაოცარი სილამაზის პეიზაჟები.

თვალი ისვენებს. თვალი ხარობს ამ მზიური სილამაზით.

შორიდანვე ვკიდეთ თვალი სხალთის გუმბათს.

ღამდებოდა, სოფელ ხიხაძირში რომ ჩავედით. მდინარის გაღმა მხარეს შუქი იყო, გამოღმა მხარეს კი, იქ, სადაც კანტორის შენობა მდებარეობდა, რაღაც დაზიანებულიყო და ბნელოდა.

საიდანღაც ლამფა გაჩნდა და კანტორის ხის სახლსაც და ირგვლივ გარემოსაც რაღაც ძველებური იერი მიეცა თითქოს.

ეზოში კინოს სანახავად მოსულ, გაწბილებულ ხალხს მოეყარა თავი. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, ხუმრობდნენ. ეტყობა, არ ეჩქარებოდათ სახლებში იმის იმედით, იქნებ შუქი მოვიდესო. მეც ეზოში ჩავედი.

ვიღაცამ ფეხბურთი ახსენა. ტელევიზორიც. ჰო, აქეთობისას ტელევიზიის ანძებს მოვკარი თვალი სახლების სახურავებზე, მაგრამ როგორც შემდეგ ლაპარაკში გაირკვა, ხილვადობა ყველგან ერთნაირი არ არის თურმე, ზოგან კარგად აჩვენებს, ზოგან – ცუდად.

რომ გაიგეს, ხიხანზე უნდა ავსულიყავით ხვალ და ტელევიზიისთვის გადაგვეღო იქაურობა, ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს ჩემმა თანამოსაუბრეებმა.

ერთმანეთის სახეებს ბუნდოვნად ვარჩევდით, მაგრამ ერთობ მეგობრული და გულითადი საუბარი გაიბა ჩვენს შორის.

ამ სჯა-ბაასში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ისტორიის ცოდნით ერთი ხნიერი გლეხი, რომელსაც, როგორც შევატყვე, ყველა მოკრძალებითა და პატივისცემით მიმართავდა.

– იშვიათად ჩამოდიან ჩვენს კუთხეში, შვილო, ძალიან იშვიათად. ცუდად იცნობენ აქაურობას. აქ კი მართლა ბევრი რამ არის სანახავი, დასაწერი, საჩვენებელი.

სამწუხაროდ, ახლა აღარ მაგონდება (მაშინ არ ჩამინიშნავს) ამ საინტერესო კაცის სახელი და გვარი, მაგრამ მთავარია ის, თუ როგორი დაინტერესება გამოიჩინა სუყველამ, როგორ გულთან მიიტანეს ის ამბავი, რომ თბილისიდან ჩამოსულები ყურადღებას აქცევენ თურმე ისტორიულ ძეგლებს და იღებენ კიდეც ტელევიზიისათვისო.

გული მწყდებოდა მათთან დაშორების გამო, მაგრამ უკვე გვიანი იყო და მოსასვენებლად ერთ ოჯახში წაგვიყვანეს.

იმ ღამეს ჩვენი მასპინძლები აღმოჩნდნენ ძმები ბეჟან და ზურაბ ბარათაშვილები.

დიახ, გვმასპინძლობდა ბარათაშვილების ოჯახი ხიხაძირში!

ჭიშკარში შემოგვეგებნენ მასპინძლები: ორივე ძმა ახალგაზრდაა, ორივე წარმოსადეგი, უფროსი უფრო შავგვრემანია, უმცროსი – თეთრი სახის, ჭროღათვალება; შემოგვეგებნენ აგრეთვე უფროსი ძმის მეუღლე და პატარა და.

მამა ადრე გარდაცვლიათ – იოსებ ბარათაშვილს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ უმუშავია კარგა ხანს, დედა და მათი მომდევნო პატარა ძმა – იაილებში ყოფილან წასული – (საზაფხულო საძოვრებზე).

სწრაფად დამყარდა კონტაქტი ბარათაშვილების ახალგაზრდა ოჯახთან...

«ვნახავ აჭარის ტაძრებს, ციხეებს,
და მომინდება ვიტირო დიდხანს,
ფრესკებზე ვარჩევ ნაცნობ სახეებს,
და მინდა ქვამაც რაღაცა მითხრას».

ხიხანის ამ მშვიდსა და წყნარ ღამეში, როდესაც სიჩუმესა და მყუდროებას მდინარის შხული რომ არღვევს, «მინდა ქვამაც რაღაცა მითხრას».

და ხიხანი მიყვება:

...დაიწყო XIII საუკუნიდან, როცა ერთმანეთს გადაება სისხლიანი საუკუნეები, როდესაც ღვარად მოედინებოდა სისხლი და ცრემლი ქართულ მიწა-წყალზე, როდესაც სისხლის წვიმა აწვიმდა ჩვენს ზვრებსა და ყანებს, ბაღებსა და სათიბებს, ჩვენს ტყეებსა და ველ-მინდვრებს, როდესაც შეუბრალებლად ილეწებოდა ციხე-კოშკები, დიდებული ტაძრები და მტრის ისრით თვალდათხრილი უმშვენიერესი ფრესკები ამაოდ შესთხოვდნენ შველას და ხსნას ზეცასა და განგებას.

აღარსად იყო ხსნა და საშველი. «თვითეულ ქვაზე წვეთი სისხლია, თვითეულ ხეში – სული წინაპრის, ყვავილები კი სხივებს ისვრიან, მათი თვალების ჩამქრალ სინათლით...»

და, ამ ჩამქრალ თვალთა სინათლე შემოიჭრა ანაზდეულად ხიხაძირის ოდა-სახლში, წინაპართა ჩამქრალი თვალები აენთნენ ციცინათელებივით ღამის სიბნელეში, ერთბაშად შუბზე წამოგებულ თავს დავლანდე თვალი და გახმიანდა ვაჟკაცური სიტყვა – პირში მიხლილი ჯალათებისათვის, სიტყვა ხონთქრის გასაგონად ისარივით ნატყორცნი, სიტყვა – მოძალადეების გასაგონად, თითქოს მაჭახელას თოფიდან გასროლილი:

«მე მჭრით თავს, მაგრამ იცოდეთ, გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ».

სელიმ ხიმშიაშვილმა ხიხანის ციხეში ექვსჯერ მოიგერია ოსმალთა ჯარების შემოტევა. ვერა და ვერ მოახერხეს მტრებმა მისი შეპყრობა, მხოლოდ შინაგამცემის წყალობით იძლია ხიმშიაშვილი. ღალატიანი, დათაფლული ენის ანკესს წამოეგო უშიშარი ვაჟკაცი.

ღალატით იძლია ხიმშიაშვილი. ღალატით დაეცა ოდესღაც ვარძია, გორი და თბილისი.

ღალატით...

როდის დაიწყო?

ჯერაც მძლავრობდნენ აბუსერისძენი – აჭარის ერისთავთ-ერისთავის ივანეს შვილნი: აბუსერი, ვარდანი, ტბელი – განსწავლული ძმები, მოყვარული მწერლობისა და ფილოსოფიისა, მეცენატნი და მამულიშვილნი; გელათიდან არსენ ამარტოელი წერს აბუსერისძეებს შესანიშნავ ეპისტოლეებს და მათ უწოდებს «მთავართ დიდგუარიანსა და სახელმაღალსა».

ტბელი აბუსერიძე გულდინჯად ჩაკირკიტებს თავის «სულთა მატეანეს» და «ქორონიკონს», რომლებზედაც შვიდი საუკუნის შემდეგ იტყვიან: «ტრაქტატი მდიდარია სხვადასხვა კალენდარული, არითმეტიკული და განსაკუთრებით ასტრონომიული ტერმინებით, ასე რომ, ბროსეს უტყუარი საბუთი ჰქონდა ეთქვა: «ქართველებმა 1233 წელს (როდესაც ეს ნაშრომი დაიწერა) უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომლებმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა კალენდარის შესწორებას», ხოლო ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: «დიდი ნიჭიერებითY შედგენილი სასწაულთა აღწერილობაში იმდროინდელი შინაური ყოფა-ცხოვრება ხორცშესხმულ საბუთად არის წარმოდგენილი და ამ მხრივ იგი ბევრს ახალს და მეტად საგულისხმო ცნობას შეიცავს».

ჯერაც «ზარის განსაცდელად მაღალსა და ტიალსა კლდესა» შენდება ხიხანის ეკლესია და შეუვალად დგას ხიხანის ციხესიმაგრე – აბუსერისძეთა საგვარეულო რეზიდენცია – კლარჯეთ-შავშეთის საკვანძო ადგილას ზვიადად აღმართული...

ჯერაც სხალთის გუმბათიან ლამაზ ეკლესიას ამშვენებს ქართული ფრესკები.

ჯერაც მძლავრობს სული დიდი დავითისა და თამარისა, შოთასი და გიორგი მთაწმინდელისა.

ჯერაც ისმის «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი», რამეთუ, ამ ენასა შინა «დამარხულ არს საიდუმლო ყოველი».

ჯერაც გუგუნებენ ზარები ოშკისა და ხახულისა, ბანისა და პარხალისა, ტბეთისა და იშხანისა, ჯერაც ქართული ცა ოპიზარების მოჭედილი ჩანს, ჯერაც გაუბზარავია ციხე-კოშკის კარები, ჯერაც ლაზების მარჯვე ხელების ნაოსტატარით იფინება საქართველოს მიწა-წყალი, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

ტრაპიზონიდან ჩალისფერი ალმებით გადიან გემები ათონისა თუ პალესტინისკენ, ეგვიპტესა თუ ინდოეთისკენ, აჭარაც საქართველოს შიდა პროვინციაა ჯერაც.

ჯერ არ დაწყებულა საქართველოს დიდი ღამე.

და ხვარაზმელთა «კაცისმჭამელთა ოტებას სრულად საზღვართა საქართველოსაითა», სიხარულითა და კმაყოფილებით აღნიშნავს ტბელი აბუსერისძე.

ის-ის იყო მონღოლთა ურდო უახლოვდებოდა მიჯნებს საქართველოისას.

ტბელი აბუსერისძე, როგორც ჩანს, მოესწრო ამ დიდ უბედურებას და თავისი სიცოცხლის მიმწუხრზე გოდებისა და ზარისთვის აღარც ძალი ეყო, ალბათ აღარც ღონე, აღარც უნარი – დიდი მამულიშვილი ვერ გაისიგრძეგანებდა მაშინ მთელ იმ ტრაგედიას, რაც მის ქვეყანას თავს დაატყდა, ვერ გაისიგრძეგანებდა თავის გვარ-ტომის ამოჟლეტის საზარელ სურათს; რამეთუ...

ჯერ არ გარბოდნენ ხონთქრისა თუ ყაენის კარზე მამულისა და ერის გამყიდველნი, ჯერ ძმას არ გამოედო ძმისთვის ყისტი, ჯერ სამცხე-საათაბაგოს გამგებელნი არ ფაშობდნენ, ჯერ თავის დიდებულ ძმისწულს არ უყრიდა საწამლავს ღვინოში ბიძა და

მერე თავად არ მიაქროლებდა ცხენს სულთნის კარზე რჯულის გამოსაცვლელად, ერის საღალატოდ...

ჯერ არ მიუძღოდნენ შურითა და სიხარბით დაბრმავებულნი, ერთმანეთის მეტოქენი – ოსმალოსა თუ სპარსთა ურდოებს ურთიერთის ასაოხრებლად, ასაწიოკებლად, გასაჟლეტად. ჯერ არ იყიდებოდა სტამბულისა თუ ქაიროს ბაზრებზე ქართველი ყრმა-წულნი და არ «აკეთილშობილებდნენ ახლო აღმოსავლეთის ხალხებს თავიანთი სისხლით», ჯერ არ დაწყებულიყო ძმათა მმუსვრელი და ქვეყნის დამქცევი შინა ომები. ჯერ ჭოროხს არ გამოევლო მეწამულ ფერში და შუა გაკვეთილი მამულის ჩივილი ჯერ არ ზარავდა ქართველ კაცს ტანში, სისხლს არ უყინავდა ძარღვებში.

ჯერ ერთიანი, მთლიანი საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და სამხრეთით – ტრაპიზონამდე და ბასიანამდე იყო გადაჭიმული.

ნაშამქორალი და ნადიდგორალი საქართველოსთვის ჯერ არ დამდგარიყო დიდი ღამე!

ჯერ კიდევ შეუძლია ყვარყვარე ათაბაგს, რომის პაპსა და ბურგუნდიის მეფეს რიხით მისწეროს:

«...ჩემს წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა. მამის ჩემის სიკვდილის შემდეგ ხშირად მომიხდა მათთან ომი და, ღვთის მადლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიან მთავრებთან ომი არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე».

ეს იწერება 1460 წელს.

«...მეზობელ ქრისტიან მთავრებთან რომ ომი არ მომხდენოდა...»

ყვარყვარე ათაბაგის პატივმოყვარული სიტყვების მიღმა საშინელი ტრაგედიის დასაწყისი იმალება.

სულთნის ურდოები საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდნენ, ყვარყვარე ათაბაგი და გიორგი მეფე კი ერთმანეთთან ანგარიშის სწორებით იყვნენ გართულნი!

«ერთმანეთის აოხრების მეტს არაფერს აკეთებდნენ: გიორგი მეფე, ყვარყვარე ათაბაგი და იმერეთის მეფე ბაგრატ ერთმანეთის დაღუპვას ცდილობდნენ – ერთმანეთის შურით თავიანთ მოძმეთა სისხლსა ღვრიდნენ განუწყვეტლად. ამ წეწვა-გლეჯის დროს გიორგი მეფე 1456 წელს ყვარყვარეს ჩაუვარდა ტყვედ», – გულისტკივილით აღნიშნავს შემდეგ ერთი ქართველი მკვლევარი.

განდიდება სურს თითოეულ მთავარს, თითეულ თავადს. შური ახრჩობთ, პატივმოყვარეობის ჭია ღრღნის ყოველ მათგანს, ოქრო გონს უნისლავთ. მზად არიან, ქვეყანა უბან-უბან, ნაწილ-ნაწილ დაყონ, თვითონ თავს წამოაჯდნენ და, თუ ვერ მოერევიან მეზობელს, გარეშე მტერს შემოუძღვნენ, რომ თავისივე მოძმე გვარ-გუჯაბიანად ამოწვან, ამოთხარონ, ამოწყვიტონ.

ურჩობის ალამი პირველმა ყვარყვარე ათაბაგმა აღმართა!

და ამ ძიძგილში, წეწვა-გლეჯაში, – უჩემოდ «ვით იმღერათას» მოძახილში ოსმალოთა უზარმაზარი ურდო კალიასავით მოედო სამხრეთ საქართველოს, სპარსეთისა – აღმოსავლეთს და დადგა სისხლის ტბორები... დაიწყო რბევა-აწიოკება. სისხლით შეიღება ქართლ-კახეთი, ლაზეთი...

თურქი ისტორიკოსი ფეჩევი წერს:

«...ბაიბურთის მბრძანებელმა მაჰმად ხანმა მოიწვია მისი ოლქის მეომრებისა და მოხალისე რაზმების შენაერთები და დაიწყო ქართული ვილაიეთების წინააღმდეგ ბრძოლა. ამათ მედგრად, პირისპირ შეხვდნენ ქართველებიც. თურქებმა ვერც მოასწრეს ძარცვა-გლეჯის დაწყება, რომ დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა.

ამ ბრძოლას ბევრმა ქართველმა შესწირა თავი და ცოცხალი მტერს არ დანებდა. ბრძოლის შემდეგ სულთნის ჯარები შეესივნენ მოსახლეობას და გაძარცვეს, აუარებელი ნადავლი გაიტაცეს, ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შემოიღეს მმართველობის თურქული წესები»...

«...სისხლისმღვრელი ომების შემდეგ პირველად დაიპყრეს ციხესიმაგრე თორთუმი... ბრძოლის შემდეგ თურქებმა გაიტაცეს უთვალავი შევარდნისებური ბიჭები და ლამაზი ქალწულები. ამასთან ერთად ციხე-სიმაგრეებიც დაიპყრეს. მიწასთან გაასწორეს».

მეტად საინტერესოა ერთი დეტალი: როგორც თურქ, ისე სპარსელ ისტორიკოსებს არ ავიწყდებათ, აოხრებისა და ხოცვა-ჟლეტის საშინელი სურათების აღწერასთან ერთად, აღნიშნონ ქართველი ასულებისა და ჭაბუკების, «ამ სამოთხის ანგელოზთა» – საოცარი სილამაზე და მომხიბლაობა, გულადობა და სიმამაცე.

საგანგებოდ გვინდა მოვიყვანოთ ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი მოკლე «ნუსხა» იმ ომებისა, რაც მარტო სამხრეთ საქართველომ გადაიტანა XV-XVI საუკუნეებში.

თანაც განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ: ორი საუკუნის განმავლობაში თითქმის წელი არ გასულა უომრად!

მაშ ასე: დაიწყო ლაზიკიდან. ჯერ ტრაპიზონის სამეფოს უნდა მოღებოდა ბოლო. ტრაპიზონი ხომ საქართველოს სამხრეთის ფორპოსტი გახლდათ და მისი ტერიტორია ქართველური მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. (შუა საუკუნეების ბერძნულ წყაროებში ტრაპიზონი სამეგრელოს დედაქალაქად მოიხსენიება).

1452 წელი. ლაზებმა დაამარცხეს ოსმალოს ჯარები

1453 წელი. ოსმალონი ჩუმად შემოიპარნენ ლაზისტანში, იმედი ჰქონდათ, ჩუმად, მოტყუებით, ქრთამებით დაეყოლიებინათ მცხოვრებნი, მაგრამ დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

1461 წელი. ყვარყვარე ათაბაგმა სძლია ოსმალოთ.

1462 წელი. ყვარყვარე ათაბაგმა გურიელის დახმარებით სძლია და გააძევა ოსმალო.

1472 წელი. სპარსეთის ყაენი უზუნ ჰასანი იძლია და გააძევეს სამცხედან.

1475 წელი. სამცხეში შემოიპარნენ ოსმალონი. ქართველებმა სძლიეს.

1483 წელი. იმერეთის მეფე კონსტანტინე და ყვარყვარე ათაბაგი დაერივნენ ერთმანეთს. ათაბაგს დაეხმარა კახაბერ გურიელი.

1484 წელი. იაყუბ ყაენი შემოვიდა სამცხეში. ათაბაგს ეხმარებოდნენ აჭარელნი და შავშელნი. სძლიეს მტერს.

1488 წელი. კვლავ ქართველებმა გაიმარჯვეს ოსმალებზე.

1496 წელი. ქართველებმა სძლიეს შაჰ-ისმაილს.

1500 წელი. ბათუმთან მოხდა დიდი ბრძოლა. ოსმალები დამარცხდნენ.

ქართველთა მეთაური ქაიხოსრო ათაბაგი დაიღუპა ამ ბრძოლაში.

ოსმალებმა პოლიტიკა შეცვალეს. დაიწყეს თავადაზნაურობის მოსყიდვა. ოსმალებს შეუერთდა მზეჭაბუკ ათაბაგი და თურქებმა მზეჭაბუკის დახმარებით მოაოხრეს გურია, იმერეთი, გადაწვეს გელათი, ბაგრატის ტაძარი. ეტყობა, მზეჭაბუკის ღალატიან სულში ამ ბარბაროსობამ რაღაც ეროვნული ძარღვი შეატოკა. იგი ოსმალებს განუდგა. ქართველებმა დაამარცხეს მტერი, ჩაქვამდე მირეკეს. ჩაქველებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. ამ ბრძოლაში თავი ისახელეს ჩაქველმა გორგაძეებმა, ბოლქვაძეებმა, ცეცხლაძეებმა და სხვებმა.

1509 წელი. მზეჭაბუკი ცდილობს, ლუთერანობა მიიღოს. ბათუმში დამკვიდრდნენ მისიონერები. ქობულეთში 60 კომლი დაუკავშირდა ლუთერანობას, ბათუმში – 40 – კომლი. მისიონერებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ამან შეაფერხა მათი გავლენა.

1511 წელი. ლაზებმა სძლიეს ოსმალებს და განდევნეს თავიანთი მიწა-წყლიდან.

1513 წელი. ოსმალონი სამცხე-საათაბაგოში ზოგ ადგილებში შემოიპარნენ, ფორჩხის გზით გადმოვიდნენ. ლაზები და ქართველები გაერთიანებული ძალით შეებნენ ოსმალოთ. ბრძოლა კახაბრის ველზე მოხდა. ისე გაწყვიტეს ოსმალონი, რომ ამბის მიმტანიც არ დარჩენილა.

1519 წელი. ბათუმთან მოხდა დიდი ბრძოლა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან თითქმის ყოველი კუთხის წარმომადგენელთა ლაშქარი იცავდა ბათუმის ციხესიმაგრეს. სულ 25 ათასი კაცი.

ჯარს მეთაურობდა კახაბერი, რომელმაც მათ მიმართა სიტყვით: «ქართველებო!@ იცოდეთ, რომ ეს ადგილები და ქალაქი ბათუმიც ჩვენი წინაპარი ქართველებისა იყო და არა სხვების. ქართველნი ერთ მტკაველ მიწას არავის დაუთმობენ ადვილათ. თითო გოჯ მიწაში ჩვენი წინაპრებისაგან თითო ჩაფი სისხლია ჩაღვრილი და ისეა იგი დაცული და შენახული».

მარადიდელებმა და მაჭახელელებმა ერთხმად შესძახეს:

«კახაბერ ბატონო! დედა შეერთოს ცოლათ, ვინც ოსმალებს და ან სხვებს მტკაველ მიწას დაუთმობს, ჩვენც ისევე ვიქმთ და ჩვენ მიწის მტკაველს არავის დავუთმობთ. ჩვენ ფეხს არ მოვიცვლით, აქედან არსად წავალთ და ჩვენს მტერს ოსმალებს კი აქ არ შემოვუშვებთ».

კახაბერის გმირობაზე ლეგენდები შექმნა ხალხმა. კახაბერის სახელი უწოდა იმ დიდ ველს, სადაც ბრძოლა მოხდა. და თითქოს ხალხს ამ კახაბერზე უთქვამს: «ყველა კაი კაცია, კახაბერი კი სულ სხვაარ».

XV საუკუნეში საქართველოში პოლიტიკური წესრიგის დაცემის შემდეგ გურიამ, აჭარამ და ჭანეთმა (დღ. ლაზეთი) გურიელების დინასტიის ხელისუფლების ქვეშ ქართული დამოუკიდებელი სამთავრო შექმნეს.

კახაბერ გურიელმა წარმატებით მოიგერია თურქები და არ მოუშვა ისინი ლაზეთთან, როცა მათ ტრაპიზონის პროვინცია დაიპყრეს.

ბათუმის პროვინციის მთები და ველები უქრობ შარავანდედით არის მოსილი კახაბრის – ქრისტიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამ გმირის მოღვაწეობის წყალობით.

1529 წელი. სულთანი სულეიმანი სამცხე-საათაბაგოში შემოვიდა. აჭარლებმა დაამარცხეს და განდევნეს ოსმალონი. აქ ომი ისეთი ძლიერი იყო, რომ აჭარლებსა და ქობულეთელებს მეგრელები და გურულები შველოდნენ. ამ ომში მოკლეს მთავარი დადიანი, გურიელი კი ტყვედ ჩავარდა, რომელიც შემდეგ მისმა შვილმა როსტომმა დაიხსნა.

1565 წელი. ჭოროხის ხეობაში დიდი ომი მოხდა. ამ ომსაც კახაბერი ხელმძღვანელობდა. ზოგი მკვლევარი ამ კახაბერს აბაშიძეთა გვარს მიაკუთვნებს. ბათუმის მერმინდელი სანჯაყ-ბეგები ამ კახაბერ აბაშიძის შთამომავალნი უნდა იყვნენ. ქართველებმა გაიმარჯვეს.

«ვინც დიადია, მისი ჯინი აქვთ...»

მერე წელი წელს მისდევს: 1578, 1579, 1580, 1594, 1596, 1616, 1624, 1625.

გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომები! აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1628 წელი.

1628 წელი. სტამბული. ხონთქრის სასახლე. როგორც მანამდე, ისე მას შემდეგაც, მრავალი ქართველი პირველი თუ მეორე ვეზირი თავს გამოიჩენს ოსმალთა სულთნებისა თუ სპარსეთის შაჰების კარზე, ოსმალთა თუ სპარსელთა იმპერიების გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში (და არც ერთ მათგანს მადლიერების გრძნობით არ მოიხსენიებს ამ ქვეყნების ისტორია. ასეთია ბედი ყოველი კონდოტიერისა – თავისი ერისა და სამშობლოს გამყიდველისა. ისტორია ყოველთვის სამაგიეროს მიუზღავს მათ, რითაც შურს იძიებს გაყიდული სამშობლოს სახელით!)

სტამბულის კარზე «მოღვაწე» ქართველთა დახმარებით, ალბათ ქრთამის მეოხეობით, სამცხე-საათაბაგოს გამგებელი, მანუჩარ ათაბაგი ახერხებს შეხვდეს და პირადად ესაუბროს სულთანს. როგორი მჭევრმეტყველების უნარი, მოხერხება და ალღო უნდა გქონდეს და, რაც მთავარია, რა მხურვალედ უნდა გიცემდეს გული შენი მამულის სიყვარულით, რომ დაიყოლიო ამ უზარმაზარი იმპერიის მმართველი იმ პირობებზე, რომელიც ამ მომენტში ხელს აძლევს შენს ქვეყანას.

სულთანი არ მოიწადინებს ქართველთა ძალით გამუსლიმანებას, ათაბაგობა ისევ ძალაში დარჩება, სამაგიეროდ, სამცხე-საათაბაგო მორჩილებას უცხადებს ოსმალოს და მის ქვეშევრდომობას აღიარებს.

მანუჩარმა მოიგო ეს დიპლომატიური ომი, რადგან ქართველმა ხალხმა მანამდე არაერთგზის აზღვევინა თურქებს ქართველობის უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი.

...მანუჩარი გახარებული მოაგელვებს ცხენს სამშობლოში. სამცხე-საათაბაგოს ქართველობა გადარჩენილია უსაზმნო, გაუთავებელ სისხლისღვრასა და აწიოკებას, გადარჩენილია გარკვეულ ხანს, სულის მოთქმამდე მაინც. ქართველი ხალხისთვის მშვიდობიანი მცირე დროის მონაკვეთიც ბედნიერებაა, ასე უწირავს თითქოს მისთვის განგებას.

მანუჩარის უდიდესი სიხარული პირველად ვინ უნდა გაიზიაროს სამშობლოში, თუ არა ბექა ჯაყელმა – მისმა სისხლმა და ხორცმა?

მანუჩარმა გადაუხვია გზიდან, საკუთარ სახლ-კარს გვერდი აუარა და ბიძის სასახლეს მიადგა: პირველი მახარობელი თავად უნდა იყოს ბექასი.

არა, ბევრი სტუმარი არ სურს მანუჩარს ამაღამ. თავად საყვარელი ბიძის სახლობა კმარა. ბექასთან უფრო უპრიანია ამ ღამეს საუბარი, სულის ღელვისა და სტამბულის მშფოთვარე დღეების გახსენება: ბექა უნდა იყოს ამაღამ უეჭველად იმ დიდი სიხარულის ზიარი, რასაც მანუჩარი განიცდის, რასაც მისი არსება შეუპყრია.

«ვერა მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, თუ ერთად ვიქნებით, თუ ერთმანეთს გავიტანთ, მხარში ამოვუდგებით ერთმანეთს. ჩვენი უბედურება ჩვენივე გათიშულობაა, შური და სიხარბეა. ხომ ხედავ, რა ხდება ქართლსა და კახეთში, იმერეთსა თუ მთელ საქართველოში, თუმცა სადღაა მთლიანი, ერთიანი დიდი საქართველო? ჩვენვე მოვშალეთ იგი, ჩვენმა უგუნურებამ მოურღვია მას სამანები და საჯიჯგნად გადაუგდო მგლებისა და აფთრების ხროვას.

რამდენი ჩვენებური ვიხილე სულთნის კარზე, თავისი ერის და ქვეყნის საღალატოდ მტრის ბუნაგში შეფარებული, მტრისთვის თავგამოდებული და ხმალამოწვდილი.

ეს იციან ჩვენმა მტრებმა. ამით ცდილობენ ჩვენს დაღუპვას – ქრთამით, ოქროთი გვიბრმავებენ თვალებს. თანდათან, მოხერხებულად, მარჯვედ გვაგებენ ანკესზე, რომ მერე ერთბაშად გადაგვყლაპონ. როგორც კი ერთად ვიქნებით, ყოველთვის კუდით ქვას ვასროლინებთ, როგორც არაერთხელ გვიქნია სხვა დროს, რა ძლიერიც არ უნდა იყოს მომხვდური. ამას მოწმობს ჩვენში თუნდაც კახაბრის მაგალითიც, მზეჭაბუკის მაგალითიც...»

და კიდევ, ვინ იცის, რას ამბობდა იმ ღამეს გახარებული მანუჩარ ათაბაგი, მარაბდის გმირი და თავდადებული მებრძოლი ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისათვის.

«ჩვენისთანა ცა და მიწა, დამერწმუნე, სხვაგან არსად არის, არც ჩვენისთანა ჰაერია სადმე, არც ჩვენნაირი მოლხენა, სიმღერა თუ თამაში იციან სადმე. არც ჩვენი ასულებისა და ჭაბუკების დარი სილამაზე შემხვედრია სხვაგან. იქნებ ამიტომაც გვმტრობენ ყოველთვის ჯუჯა, უსახური გადამთიელნი, დღემდე რომ ჩვენი სისხლით იკვებებიან სვავებივით; ვინ არ წაგვღლიტა, რა არ გვესესხა, მაინც ვერ ძღებიან – ყველაფრის წართმევა უნდათ – სულის, ხორცის მშვენების, ზნე-ჩვეულების, ოჯახის წესის, ჰანგის, თუ ცეკვა-თამაშის, სარჩო-საბადებლის, ჩვენს მოუღლელ ხალხს რომ მოუწევია თავისი შრომისმოყვარეობით, შეუპოვრობით, სიბეჯითით.

ყველაფრის დასაკუთრება უნდათ. ვერა, ვერ მოუნელებიათ ჩვენი ქალ-ვაჟის სიტურფე, ახოვანება, გულშემართება, სიმკვირცხლე თუ გონების ნიჭიერება, ნიჭიერება, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, სხვის კარზე იფურჩქნება და ჰყვავის ხშირად.

ჩვენი სისხლით იკვებებიან, ჩვენი ტვინით, ჩვენი მიწის ნაყოფით და მაინც გვერჩიან, მაინც უნდათ მოვისპოთ, აღვიგავოთ პირისაგან მიწისა, რამეთუ... ეშინიათ ჩვენი! დიახ, დიახ, ხომ თითქოს ასე პატარა ერი ვართ, ასე მცირერიცხოვანი ამჟამად და ეშინიათ მაინც. ეშინიათ ჩვენი ერთობის, ჩვენი სულის სიდიადის, ჩვენი შემართების და ჩვენი ნიჭიერების, რაც ასე უხვად მოუმადლებია ბუნებასა და განგებას ჩვენი ხალხისათვის და რაიც ერთმანეთში ცილობის, შურის და მტრობის საბაბიც გამხდარა.

სტამბულში ბევრი რამ ვნახე, ბიძა ბატონო, ბევრ რამეს, თითქოს ახლებურად შევხედე, ბევრ რამეზე, თითქოს პირველად ამეხილა თვალი, ახლებურად გავიაზრე, გავისიგრძეგანე...

ყველაფერი იყავი, ოღონდ გურჯი ნუ იქნები. მიიღე ისლამი, გამუსლიმანდი, გათათრდი, გაკათოლიკდი, გაბერძნდი, გასომხდი, რაც გინდა იყავი, ოღონდ ქართველი, ანუ მართლმადიდებელი, ნუ იქნები. ყველას აქვს საშველი, გამოსავალი – ყველასათვის ჯალათი და მტარვალია ოსმალო, მაგრამ მაინც პაწია საშველი სუყველას აქვს, ოღონდ ქართველს – არა. გურჯი უნდა მოითხაროს ძირფესვიანად, გვარ-გუჯაბიანად, უნდა დაშრეს და დაიწრიტოს გურჯის სისხლი, მოისპოს მისი სახსენებელი. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავს თავისუფლად სულთანი თუ ყაენი.

ჩვენი მეობის დაშრეტა, ჩვენი წარმომავლობის ხსოვნის დაკარგვა, ჩვენი გონების, განათლების დაბნელება – აი, უმთავრესი პირობა ქართველების მოსპობისა ძირ-ფესვიანად ან... სხვა ერში აღრევისა და გათქვეფისა. ჩვენი ზღაპრისა არ იყოს, დათვი მართალი გამოდგა მელიასთან და მგელთან, რადგან ძალით ერეოდა მათ. ამაზედაა ნათქვამი: ძალა აღმართსა ხნავსო...»

კიდევ რა, რა შეიძლება ეთქვა ძმისწულს ბიძისთვის, რომლის ქვებუდანა სულში ღალატის მარცვალი ღვიოდა და შხამისა და ბოღმის გადმონთხევას ლამობდა?

«ვიდოდა მტრობა, გესლით მავალი და სისინებდა ქვეწარმავალი».

ოღონდ მე აღვზევდე. მე ვიგდო ხელთ ძალაუფლება, მე დავტკბე ყოველგვარი სიკეთით, მე ვიყო მეუფე – დანარჩენი ერი, ბერი? წყალს და მეწყერს წაუღია!

მტერზე გამარჯვების სასმისი უნდა დაილიოს უეჭველად ამ ღამეს.

და ...მანუჩარ ათაბაგმა დალია ღვინო და საწამლავი ერთად.

დილით ბიძა ცბიერად შეიცხადებს ძმისწულის გარდაცვალებას. გამოხდება ხანი, – შეკაზმავს ცხენს და სტამბულისკენ გაქუსლავს.

სტამბულში მოღვაწე ოდესღაც ქართველი, ახლა კი ფულსა და ეშმაკზე სულგაყიდულ ვაზირთა წყალობით, ისევ ფულისა და ოქროს მეოხებით, ბექა ჯაყელი წარსდგება სულთნის წინაშე და დაითაფლება იუდას ენა – თასმასავით მოქნილი და სხარტი.

მზად ვარ, დიდებულო სულთანო, ახლავე მივიღო მაჰმადიანობა და ჩემს ხალხსაც მივაღებინო, ოღონდაც გარდაცვლილი ძმისწულის ტახტი მე უნდა მერგოს, მე უნდა ვიყო განმგებელი სამცხე-საათაბაგოსი.

ასეთ უეცარ ბედის წყალობას ალბათ თვით ნებიერი სულთანიც არ მოელოდა.

დიახაც, შეუსრულებს ამ წადილს ჯაყელთა «ღირსეულ» წარმომადგენელს, დიახაც რომ ყოველთვის დახმარებასა და შემწეობას გაუწევენ ბექას, არც პატივსა და დიდებას მოაკლებენ, მაგრამ რატომ ათაბაგობა? ათაბაგობა მაინც ქართული მოხელეობაა, ათაბაგობას ქართველი მეფე უბოძებდა ხოლმე თავის მთავარს. არა ქართული ათაბაგობა, არამედ თურქული ვალი-ფაშობა უფრო უპრიანია სამცხის გამგებლისათვის. რატომ ბექა – რაკიღა რჯულს იცვლი – სახელიც უნდა შეიცვალო... არა ბექა – არამედ საფარი.

საფარ-ვალი ფაშა – ასე უფრო საამოდ ჟღერს თურქული ყურისათვის.

და ასევე საამოდ უნდა იჟღეროს მან გურჯებისთვისაც: დროა, ქართველები ერთხელ და სამუდამოდ იქცნენ სულით ხორცამდე თურქებად.

ამისათვის იზრუნებს, ოსმალოთ გარდა, თავად საფარ-ვალი-ფაშა-ყოფილი ბექა ჯაყელი.

და შეუდგნენ:

სამცხე-საათაბაგო დაიყო 24 სანჯაყად, ლაზისტანი – 7-ად, აჭარა ლაზისტანის სანჯაყში შედიოდა. იმხანად ქართული სოფელი 2700 იყო სამცხე-სათაბაგოში, 1800 – ლაზისტანში.

დაიწყო ოსმალური წესების დანერგვა, ოსმალური გადასახადების შემოღება.

ქართული მიწა-წყალი გადავიდა სულთნის მოხელეების ხელში. მოსახლეობის გამაჰმადიანობისთვის ოსმალეთი, ცეცხლისა და მახვილის გარდა, მიმართავდა ხერხს: ან გამუსლიმანება – სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწის შენარჩუნება, ან მამულის, ქონების დაკარგვა და გადასახლება. ასეთი იყო თურქული წესი!

გადასახლება. ნაცადი ხერხი ყოველგვარი ჯურის დამპყრობლისა ყველა დროსა და ეპოქაში.

ისევ სტატისტიკას მივმართოთ: 1640-1660 წლებში ოსმალეთში გადაასახლეს და დაფანტეს 40 ათასზე მეტი სული. ასე, მაგალითად, გადაასახლეს ლიგანის ხეველნი, ჩაქველნი, ქობულეთელნი.

1708 წელს 2700 ქართული სოფლიდან 1300 სოფელი გადაასახლეს უშორეს ადგილებში.

1829 წელს 300 ათასი ლაზი აყარეს და გაფანტეს შიდა თურქეთში და ასე ხდებოდა პერიოდულად, ბარბაროსული მეთოდურობით.

აყარე. მიმოფანტე ათიათასობით, ასიათასობით...

ვის რას ვერჩოდით, ვის რა დავუშავეთ, ილია ჭავჭავაძის გულიდან ამოხეთქილი ეს სიტყვები უნებურად გადგება ენაზე და სიმწრითა და ბოღმით ავსებს გულს.

«...სიმართლე რომ ითქვას, ქართველი ქალები ყველაზე ლამაზნი არიან მთელს აზიაში»...

«მე მიმაჩნია ქართველები ერთ-ერთ ულამაზეს ხალხად მთელს მსოფლიოში», – წერს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე.

ფრანგი მოგზაური ჟან-ბატისტ ტავერნიე აღნიშნავს: «ძლიერ იშვიათია სპარსელთა შორის შაჰიდან მის უმდაბლეს ქვეშევრდომამდე ისეთი ადამიანი, რომ დედა ან მამა ქართველი არ ჰყავდეს, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში».

პატრი პავლე მარია ფაიანცელი კი ამბობს: «კაცები თეთრნი არიან და მშვენიერი სახისა... ძლიერ მკვირცხლი ნიჭი აქვსთ და გულფიცხელნი არიან...

დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან, ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ მშვილდისარი და ისართსაწყობები».

«ქართველი ქალების უმეტესი ნაწილისათვის ბუნებას მიუნიჭებია ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება». ამასთან, სხვა სიკეთესთან ერთად: «ქართველი ქალები არიან მახვილის გონებისანი და თავაზიანნი», «ცოდნა-ხელოვნების მოყვარულნი, დახელოვნებული კალიგრაფ-გადამწერნი, თან რომ ატარებენ განუშორებლივ სასულიერო თუ საერო ხასიათის წიგნებსა და ხელნაწერებს».

არქანჯელო ლამბერტის, შარდენს, იოსებ დელაპორტს, ქრისტეფორე კასტელისა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ უცხოელს აღუნიშნავს ბუნების მიერ მომადლებული ეს სიტურფე და გონების სიმკვირცხლე ჩვენი ხალხისა.

«ოსმალონი ლაზებს უმეტესად მიტომ აპნევდნენ ოსმალეთის სხვადასხვა ადგილებში, რადგან ლაზები ლამაზი ხალხია. ოსმალონი ძალიან მისდევენ ამათ ნათესაობას – ლაზთა შვილებს ფულითაც ყიდულობდნენ და ისე იმორჩილებდნენ. ოსმალომ შეჭამა და დაამხო მთელი ლაზისტანის ტომი».

ერთი გერმანელი ეთნოგრაფი კი პირდაპირ შენიშნავს: ქართველების სისხლმა გააკეთილშობილა ახლო აღმოსავლეთის ხალხებიო.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ქართველებს: «ანაგებით არიან კაცნი და ქალნი მშვენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალწარბთმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი... წერწეტნი, უმეტეს ქალნი იშვიათ სქელნი, მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერ, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარულნი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა ჰრიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა; სტუმართა და უცხოთა მოყვარულნი, მხიარულნი...»

ესეც არ იყოს, საქართველო ხომ ის ხიდი იყო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის რომ იდო. ოსმალეთის უზარმაზარი იმპერიაც ხომ ამ ხიდისთვის ეომებოდა სპარსეთს, რომელსაც ასევე თავისი პრეტენზიები ჰქონდა...

და ამგვარად, ორი დიდი მტაცებლის ინტერესი ეჯახებოდა ურთიერთს ამ პატარა ქვეყნის გამო, რომელიც თითქოს, მისდა საუბედუროდ, ყოველგვარი სიკეთით შეემკო ბუნებას თუ არსთა გამრიგეს.

ორსავ მხარეს უწევდა ქართველს ხმლის ქნევა და განა მარტო ორ ვეშაპს ერკინებოდა?

შინაურ მტრობას და შურს უფრო მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე გარეშე მტრის მახვილს...

ღალატი, როგორც წესი, ფეოდალთა კლასის ბანაკიდან დაიწყო: საფარ-ვალი ფაშას მიმდევრები გამოუჩნდნენ.

ერთ-ერთი პირველთაგანი სტამბულის კარზე გაქცეულა გურული გიორგი-ალი, მაგრამ დროზე შეუტყვიათ გურულებს მისი ღალატი, დაუჭერიათ, ხეზე გაუკრავთ და ასე დაუცხრილავთ ხალხისა და ქვეყნის მოღალატე.

ღალატი ყოველთვის საშინელ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს ხალხში. მაგრამ თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილის გადაბირებას მაინც ახერხებდა ოსმალეთი.

ხალხი კი იოლად როდი თმობდა თავის ქართველობას, იოლად როდი «თათრდებოდა». აჯანყებებს აჯანყებები ცვლიდა.

ისევ ქრონიკას მივმართოთ:

1632 წელი. ლაზები აუჯანყდნენ ტრაპიზონის ვალი-ფაშას.

1633 წელი. ხელმეორედ აჯანყდნენ ლაზისტანში.

1680 წელი. აჯანყდა აჭარა.

1685 წელი. კვლავ აჯანყდნენ აჭარლები.

1690 წელი. კვლავ აჯანყდნენ შავშელნი.

1697 წელი. მთელი სამუსლიმანო საქართველო აჯანყდა და თურქეთის მთავრობამ კვლავ მიმართა ნაცად ხერხს: ხალხის აყრასა და შიდა რაიონებში გადასახლებას.

«ძველი თურქეთი ეროვნებათა კონგლომერატს წარმოადგენდა და კომპაქტური თურქი მოსახლეობა მხოლოდ ანატოლიაში იყო»...

«სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მხრივ თურქები გაცილებით ჩამორჩებოდნენ თავიანთი ბატონობის ქვეშ მყოფ მრავალ ხალხს, თურქი ასიმილატორები ყველაზე სასტიკი ასიმილატორები იყვნენ, რომლებიც ასეული წლების მანძილზე ფლეთდნენ და ასახიჩრებდნენ დაპყრობილ ერებს...»

«სოფლის მეურნეობა თურქეთში იმავე საფეხურზე იმყოფება, რომელზედაც ორი ათასი წლის წინ იყო», – ვკითხულობთ მრავალ მკვლევართა ნაწერებში.

მაჰმადიანური ოთხი სექტიდან ლაზებსა და ქართველებს ოსმალებმა მიაღებინეს ყველაზე ფანატიკური – მეოთხე სექტა.

აქედან: ქართველი მუსლიმანები ფანატიკოსობით ყველა მუსულმანს სჭარბობდნენ.

კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ ყურანსა და მასზე დაფუძნებულ მუსლიმანურ კანონმდებლობას მთელ მსოფლიოს ხალხთა გეოგრაფია, ეთნოგრაფია დაჰყავს მარტივსა და ხელსაყრელ ფორმულამდე: ორ ნაწილად ჰყოფს ყველას – მართლმორწმუნეებად და ურწმუნოებად, ურჯულო – ეს არის «გიაური» – ეს არის მტერი. ისლამი წყევლის ურჯულო ხალხებს და წარმოქმნის უწყვეტი მტრობის მდგომარეობას მუსლიმანებსა და ურჯულოებს შორის.

ყურანი მოუწოდებს ერთმორწმუნეებს: ებრძოლეთ მათ, რომელთაც არა სწამთ ალაჰი. ფეხზე დააყენეთ მთელი ჯარები, რომ შეაშინოთ ალაჰის მტრები. დახოცეთ ისინი, სადაც კი ჰპოვოთ! თუ ალაჰი თქვენს შემწედ მოვიდა, ვისღა უნდა შეეძლოს თქვენი ძლევა? თქვენ კი არა, ალაჰი ხოცავს მათ. მოციქულო, მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად, ოცმა მათ შორის ორასი ურჯულო დაამარცხოს, ასმა – ათასი, რადგანაც არა სწამთ ალაჰი და არაფერი გაეგებათ. ვინც ალაჰის სასწაულები არ იწამოს, საშინელი სასჯელი მოელის, ალაჰი ყოვლისშემძლეა და შურისმგებელი! მორწმუნენო, ებრძოლეთ ურჯულოებს, რომლებიც გმეზობლობენ, თქვენც ნუ ეძებთ მათ შორის ნურც მფარველს და ნურც მეგობარს!

ალაჰის არის აღმოსავლეთი და დასავლეთი...[2]

«რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოსთქვას თვითეული იმდროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი!.. ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზედ გაკრულს ბაწრებით გუდად იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწად სჭრიდნენ ხმლითა და ვის ხანჯლით გულმუცელს უპობდნენ, ვის შამფურზედ გაცმულს ცოცხლებრივ ცეცხლზე მწვადივით სწვავდნენ. ვის შიშველს გახურებულ საჯდომზე აგებდნენ... რკინის საწვავებით ხვრეტდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში სწვავდნენ», – ეს უკვე ამ საშინელი სურათის თვითმხილველის სიტყვებია.

– «ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მის ეროვნულ კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა» – (ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია).

***

1630 წელს საფარ-ფაშამ ლაზისტანი მოაცილა სამცხე-საათაბაგოს. ტრაპიზონში დაინიშნა ვალი-ფაშა.

XVII საუკუნეში ტრაპიზონში მოისპო ყოველივე ქართული. ტრაპიზონში ქართული ეპისკოპოსის კათედრაზე ბერძნებმა დასვეს ბერძნის ეპისკოპოსი და სახელად «ხალთის» – ქართლის – ეპისკოპოსი უწოდეს (მთელი ლაზისტანი საეპისკოპოსოდ იყო დაყოფილი, მთავარი საეპისკოპოსო ტრაპიზონში იყო). ლაზისტანის სანჯაყში შედიოდა აჭარა.

მუსლიმანმა ქართველებმა ოსმალური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ, ქრისტიანმა ქართველებმა – ბერძნული ენა და გაბერძნდნენ, ლაზებისა და ქართველების ერთი ნაწილი კი – გრიგორიანებს დაუკავშირდა და გასომხდნენ (ოღონდ ქართველი ნუ იქნებოდა!).

სამცხე-საათაბაგოში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს – «მისიონერებმა მტკიცედ დააცვევინეს კათოლიკობა და ოსმალოს მთავრობისაგან მოიპოვეს ის პრივილეგია, რომ არც ერთი გაკათოლიკებულსთვის ძალა არავის დაეტანებია მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. პაპის ძლიერი მფარველობით აღმოსავლეთში კათოლიკობა შეიქმნა ქრისტიანობის მტკიცე შესახიზნარი. ისინიც თავისუფლად იქცეოდნენ კათოლიკედ, რათა დევნილობა თავიდან აეცილებინათ. ქართველმა კათოლიკებმაც თავიანთ თავს ფრანგები უწოდეს და ესრედ გააერთიანეს სარწმუნოება და ერობა» (მიხეილ თამარაშვილი). მერე სამცხე-საათაბაგოში სომხობა ეცდება ამ გაკათოლიკებული ქართველების გასომხებას, ამისათვის დაირაზმებიან სომხეთის კათალიკოსი, ეპისკოპოსები, მაგრამ ეს უფრო გვიან მოხდება...

[2] თ. ნატროშვილი, «მაშრიყით მაღრიბამდე».

1758 წელს ოსმალეთის მთავრობამ ქართველი მაჰმადიანებს აუკრძალა თავიანთი წოდების ტარება. მოსპო თავადობა და მის მაგიერ ბეგობა შემოიღო, მოისპო აზნაურობა და მის ნაცვლად აზნაურებს აღები ეწოდათ.

ოსმალეთის იმპერია ყოველნაირი ხრიკებით ცდილობს, ძირფესვიანად აღმოფხვრას ყოველივე ქართული, ეროვნული, და, ცხადია, ეს, უწინარეს ყოვლისა, ძალადობის გარდა, თავადაზნაურობის მოსყიდვის გზით ხდება.

რა მდგომარეობაა ამ დროს აჭარაში? 1770 წლისათვის აჭარაში სრულიად სპობენ ქრისტიანობას. 1780 წელს ახალციხე უქმდება და მის მაგიერ ბათუმი ხდება მთავარი ქალაქი. ბათუმის გამგედ ნიშნავენ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეს.

1778 წელს ქობულეთშიც ვრცელდება ისლამი. პირველი ჯამეც ქობულეთში იგება.

მაგრამ აჭარის დამორჩილების მიზნით ოსმალეთის მთავრობა დასაწყისში იძულებულია დათმობაზე წავიდეს და ადგილობრივ ბეგებს გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები შეუნარჩუნოს.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აჭარაში უამრავი სანჯაყბეგები იყვნენ – ხიმშიაშვილები, აბაშიძეები, თავდგირიძეები, მაშინ როდესაც ტერიტორიულად აჭარა ერთი სანჯაყის მოცულობას თუ გაუტოლდებოდა.

და შემდეგ: «საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ოსმალების მიერ დაპყრობილ თითქმის ყველა ქვეყანაში მიწისმფლობელების უმრავლესობა, როგორც წესი, თურქები იყვნენ. აჭარა არის, თუ არ ვცდებით, ერთადერთი ქვეყანა, სადაც თურქმა მფლობელებმა ფეხი ვერ მოიკიდეს და თითქმის მთელი მიწა-წყალი ქართველი მფლობელების ხელში დარჩა» (ა. ავალიანი).

მაგრამ «თვით ეს დათმობანი მეტად ორაზროვან ხასიათს ატარებდნენ, ვინაიდან მთავრობა ქართველი ფეოდალებისაგან მათ სანაცვლოდ სამსახურს მოითხოვდა. ეს სამსახური ქართველი ფეოდალებისათვის არ ამოიწურებოდა მხოლოდ ომებში მონაწილეობით. გარდა ამისა, ისინი იძულებული იყვნენ თანდათანობით, მაგრამ მუდმივად დაენერგათ ოსმალური წეს-წყობილება თავისივე სამფლობელოებში, ე.ი. საკუთარი ხელებით ძირს უთხრიდნენ იმ ფუძეს, რომელსაც ემყარებოდა მათი შეღავათები და პრივილეგიები», – შენიშნავს გიორგი ყაზბეგი და მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევარი ამის დასტური იქნება.

«მაღლა ძახილივით მძაფრი ხიხანია...»

ვეშურებით ხიხანის ციხისკენ.

«ვილისი» ცოტა «მოფამფალებულია». ჩვენი მძღოლი ბიჭიკო სოლომონიძე გვაფრთხილებს, არავინ ჩასვათ ზედმეტი, მანქანა აღმართზე გვიმტყუნებსო.

არადა, ყველას გულით გვწადია თან გვახლდეს ზურაბ ბარათაშვილი – ეს საოცრად მკვირცხლი, ცოცხალი, დაუდეგარი ბიჭი, რომელმაც მოასწრო სულ ერთი საღამოს განმავლობაში თავი შეეყვარებინა ყველა ჩვენგანისათვის.

უხერხულად ვიღიმებით, დამნაშავესავით შევცქერით ზურაბს. ნუთუ ზურაბის გარეშე მოგვიწევს ხიხანზე ასვლა?

ზურაბიც გვიღიმის, არა უშავს, თქვენ წადითო, როგორღაც გაურკვევლად ამბობს.

სინანულით ვემშვიდობებით, უფრო სწორად, იმედი გვაქვს მაინც რაღაცის.

დიდებული ამინდია. მზე უკვე საკმაოდ აცხუნებს. სანამ ძალიან ჩამოცხება, უნდა მოვასწროთ ხიხანზე ასვლა.

რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ. ირგვლივ თვალწარმტაცი პანორამაა. ცა ლურჯია, უსაზღვროდ ლურჯი და დაუსაბამო. ზვიადი მთების გრეხილები მოგვდევს თან.

– ხიხანი... ხიხანი... – წამოიძახა უცებ რომელიღაცამ.

ნუთუ ესაა?

თავი გავყავი მანქანაში, რომ უკეთ დამენახა ციხე-სიმაგრე.

რამ სიმაღლეზეა! ნუთუ ამ მიუვალ, ციცაბო მთაზე მოგვიწევს ასვლა?

როგორ? რანაირად? ჩვენ ხომ ალპინისტები არა ვართ, მთაზე ასვლის გამოცდილება, ყოველ შემთხვევაში, მე სულ არა მაქვს.

«არწივის ბუდე გინახავთ?
გინახავთ მაღალ მთაზედა?
ჰო, ასეთია ხიხანიც
ლაჟვარდი ხურავს თავზედა...»

პოეტ მამია ვარშანიძის პოემა «ხიხანის არწივებიდან» უნებურად ამოტივტივდა ეს სტროფი.

არწივის ბუდე... მართლაც რომ მხოლოდ არწივების ბუდე შეიძლებოდა ყოფილიყო იგი.

საქართველოში არ მაგონდება მეორე ისეთი ციხე-სიმაგრე, ამ სიმაღლეზე რომ იყოს ზღვის დონიდან.

აი, თურმე რატომ გვეუბნებოდნენ ბათუმში, ვერ ახვალთო იქ.

რა დიდებული რამ არის. რა გოროზი... ამაყი.

და მართლაც, რა ხელმა აზიდა, რა ნიჭმა ააგო?

მანქანიდან ის-ის იყო გადმოვედით, რომ ანაზდად ბექობზე შეფენილი ბუჩქებიდან თავი ამოყო ზურაბ ბარათაშვილმა. წელს ზემოთ შიშველს, პერანგი კისერთან გაენასკვა და გვიღიმოდა ოფლში გახვითქული.

თვალებს არ ვუჯერებთ. როგორ, საიდან გაჩნდა აქ? აი, ზემოდან ვიარე და გზა მოგიჭერითო.

გზა მოგიჭერითო... რა უბრალოდ თქვა.

«აჭარელი შესანიშნავი ქვეითია და დაუღლელად დღეში სამოცი ვერსის გავლა შეუძლია», – თითქოს ჟან მურიეს სიტყვების დასტურად, ზურაბ ბარათაშვილი ხალისიანად გვიღიმის. თვალებში ეშმაკური ნაპერწკლები კიაფობენ.

ესეც ხიხანი, უფრო სწორად, ხიხანის ძირში ვართ. ისტორიულად საკვანძო ადგილი სამცხე-აჭარასა და ჯავახეთ-შავშეთს შორის. აქვეა სადღაც, ოღონდ რომელიღაც ქედის კალთაზე – ყველის განთქმული ციხე-სიმაგრე. ტბეთიც სადღაც ახლომახლოსაა. – მტბევართა საეპისკოპოსო რეზიდენცია. მეორე ტბეთი ამ მთებს გადაღმაა.

...ამ მთების გადაღმაა ოშკი და ხახული, ბებერი ტაო...

აქედან დაიწყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ხელახალი აღორძინება. ერთიანი, მთლიანი საქართველოს იდეას აქ ჩაეყარა საფუძველი.

აქ მოღვაწეობდა დიდი გრიგოლ ხანძთელი. აქ აღეშენა ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლები, ახლაც რომ ანცვიფრებს მნახველს. აქ იწერებოდა, ითარგმნებოდა და აქედან ვრცელდებოდა მთელს საქართველოში საერო თუ საღვთო თხზულებანი.

დიდი ილიას თქმის არ იყოს, აქ აყვავდა ჩვენი ყოველი ცხოვრება, ჩვენი სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელოვანი დროშა.

აქედან წავიდა ქართული ლაშქარი დიდი თორნიკეს მეთაურობით გაჭირვებაში ჩავარდნილ ბერძენთა მისაშველებლად.

და როცა საქართველოს ამ ურჩეულეს კუთხეს ძნელბედობის ჟამი დაუდგა, იგავმიუწვდენელი ხელოვნების ნიმუშებმა და უძვირფასესმა ხელთნაწერებმა აქედან შიდა საქართველოში პოვეს თავშესაფარი. აქედანაა ხახულის ღვთისმშობლის კარედი, ივერიის სახელგანთქმული ღვთისმშობლის ხატიც, ათონის ივერთა მონასტერს რომ ამშვენებს.

...მესაზღვრეები განსაკუთრებული ხალისით ხვდებიან ბატონ კოლია ანასტასიევს. აქ მისი ძველი ნაცნობები აღმოჩნდნენ. ზურაბსაც იცნობენ. ზურაბი ხომ ხიხაძირის კოლმეურნეობის ახალგაზრდების ხემლძღვანელია, თემურსაც იცნობენ, აბაშიძეს.

სანამ ხიხანზე ასვლას შევუდგებოდით, ბატონმა კოლიამ თავისი საქმეების მოგვარება გადაწყვიტა – სურათები უნდა გადაუღოს მასპინძლებს.

მანამდე ჩვენ დაგვათვალიერებინეს ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა.

აქვე მშვენივრად კეთილმოწყობილი ფრენბურთის მოედანიცაა. ჩვენი ბიჭები გამოცოცხლდნენ. განსაკუთრებით აქტიურობს ზურაბი. ხან მძლეოსნობის იარაღებს ეჭიდება, ხანაც ბურთაობს. სხვათა შორის, შტანგაც ასწია.

– რა კარგი ბიჭია, – ამბობს ანზორ თალაკვაძე, ჩვენი ტელერეჟისორი, – ყველაფერში მარჯვე, სხარტი, საზრიანი.

მართლაც, ვერცხლისწყალივითაა. ცნობისწადილით ანთებულ თვალებში კეთილი ღიმილი ჩაუდგება ხოლმე, ბაგეზე კეთილი ღილიმი დასთამაშებს. მუდამ მზად არის, ვინმეს გამოადგეს, ამასთან უაღრესად თავაზიანი, ზრდილი და მოკრძალებულია ურთიერთობაში, არასოდეს კარგავს შინაგანი ღირსების გრძნობას.

გალაკტიონის თქმისა არ იყოს, მასში – «მზერა ქართულია». ამ «მზერას ვინმე მესხისას» ათასში გამოარჩევ. არ შეგეშლება სხვა ვინმეში. ეს შენია, შენეული. შენი სისხლისა და ჯიშის, შენი ჯილაგის...

ზურაბმა, სხვათა შორის, ხიხანზე ასვლის დროსაც და შემდეგაც მრავალჯერ გამოიჩინა თავი სიმარჯვითა და სიმკვირცხლით. ის და ბიჭიკო სოლომონიძე რომ არა, ალბათ, საეჭვო იქნებოდა ჩვენი ასვლა ხიხანზე.

ბიჭიკოც გონებამკვირცხლი ბიჭია, ისიც ზურაბის კბილაა თითქმის, მაგრამ უფრო დინჯია, სიტყვაძუნწი, ბიჭიკო ჯარგამოვლილია, ოჯახს მოკიდებული და ეს მატებს, ალბათ, ამ პატარა ტანის, გამხდარ ახალგაზრდას სიდინჯესაც და დარბაისლობასაც.

ბატონი კოლია ანასტასიადი, როგორც იქნა, მორჩა თავის «ობიექტებს» და ჩვენც ორი გამყოლის თანხლებით, გზას გავუდექით.

ფეხით შევუყევით მდინარის კალაპოტს. კალაპოტი კი, უფრო სწორად, მდინარის ნაპირი, სულ უფრო და უფრო დამრეცი, ციცაბო ხდება.

მერე მოგვიწია ფლატეებზე ბობღიალი. ხან შქერის ბუჩქებს ვეკიდებოდით, ხანაც დიდ ქვებს ვებღაუჭებოდით, ფეხები გვიცურდებოდა ნამიან ბალახზე; ხელები ისე დაგვესუსხა ჭინჭრისაგან, ტკივილის შეგრძნების უნარი დავკარგეთ.

დიდი ვაი-ვაგლახით, მაგრამ ჯიუტად, შეუპოვრად მივიწევთ წინ, მაღლა.

...9 ჰექტარზე გადაჭიმული ციხე-სიმაგრე გრანდიოზული ნაგებობაა, აქეთ-იქით დახრამულფლატეებიანი და ქარაფებიანი.

ხიხანის 9 კოშკიდან ამჟამად ოთხია შემონახული. დანგრეული გალავნისა და კოშკების უზარმაზარი ლოდები ფერდობებზე ყრია. ჩამოსვლის დროს ამ ლოდებზე ჩამოვიარეთ და ამით უფრო შევიმოკლეთ და გავიიოლეთ კიდეც გზა. ამოსვლისას

შეგვეშინდა, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ ისინი, მაგრამ რა დაძრავს თურმე ამ გოლიათებს, ისე არიან ერთმანეთში ჩაჭედილ-ჩახერგილნი.

როგორ ამოიტანეს, რა ტრანსპორტით, რა ხელებით, რომელი გზითაო, ვეკითხებით ერთმანეთს, ხანაც საკუთარ თავს და პასუხი არ ჩანს. რამსისქე კედლებია, რა მონუმენტური კოშკები, მართლაც რომ «ზარის განსაკდელად მაღალსა და ტიალსა კლდესა» ნაგები ეს უზარმაზარი ციხესიმაგრე მტერთათვის ნამდვილად შეუღწეველი იქნებოდა, მაგრამ რა გასაჭირი უნდა დასდგომოდათ ჩვენს წინაპრებს, რომ ასეთ მიუვალ ალაგას ეშენებინათ ციხე-კოშკები – მომხვდურთა გამუდმებული შემოსევებისაგან თავდასაცავი ნაგებობანი.

ხიხაძირის ხეობა... ირგვლივ მთების გრეხილები... დახრამული ქარაფები, ღარტაფები... შიშველი, ციცაბო კლდეები...

«უძველესი ციხის
ჩანს ნანგრევები შორი,
ჩქარის მდინარის რიყეს
რგოლებს აზომებს ქორი...»

და მართლაც, დაბარებულივით, კლდის ქიმზე ქორის თუ შევარდნის სილუეტი გამოიკვეთა.

...ამ მთების გადაღმაა შავშეთი, ტაო-კლარჯეთი. ამ მთების გადაღმაა ხანძთა, ოშკი, ბანა, ხახული, ოპიზა...

უკანასკნელად 1917 წელი იყო იქ ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ ექსპედიციასა და თავის შთაბეჭდილებებზე საინტერესოდ წერს ლადო გუდიაშვილი: «მშვენიერი, თვალის წარმტაცი სილამაზისაა თორთუმის ხეობა, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებს დიდებული ქართული ტაძრები... გვაოცებდა ამ ხეობაში ასეთი უზარმაზარი ძეგლების არსებობა...

...ვმუშაობდით ყარსის, არტაანისა და ოლთისის ვრცელ უბანზე. აქ მდებარე ძეგლთა შორის არის ჩვენი ხუროთმოძღვრების შედევრებიც – იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია და პარხალი...

მე დამატყვევა ამ ტაძრების კედლის მხატვრობამ, ფრესკები გასაოცარი ჰარმონიით რომ ერწყმოდნენ ტაძართა არქიტექტურას, ნაგებობათა მთელ გარემოს, უნატიფესსა და ულამაზეს წმინდანებს მზექალებისა და მზეჭაბუკების სახეები ჰქონდათ...

უმშვენიერესი ბუნების გარემოცვაში უპატრონოდ იდგნენ ეს ბუმბერაზი ძეგლები...

ძეგლთა უხვ სამკაულებს შორის განსაკუთრებით დამამახსოვრდა ხახულში ნანახი, ქვაში ამოტვიფრული სიმბოლო – ქართული ფასკუნჯი. მუდმივი აღორძინების იდეა...»

...რა დროს დასვენებაა? სწრაფად უნდა გადაიღოს ოპერატორმა ყველაფერი – აქ ხომ პირველად ამოვიდა ადამიანი კინო-კამერით ხელში.

აი, მარანიც, მარანი ძველად სპეციალურ შენობაში – საღვინე სახლში იყო მოთავსებული. ასეთი «საღვინე სახლი» უნდა იყოს ეს ნაგებობაც...

ოღრო-ჩოღრო, მაღალი ბალახით დაფარულ ეზოში ყვავიან გვირილები... და ველის ათასგვარი ყვავილები.

აღბეჭდე, ანზორ, ეს კადრები: ეს გვირილებიც, ეს ყვავილებიც, ეს შაშვისფერი, დახრამული მთებიც, ეს ხეობაც, ეს ცაც... რომელთაც ვარამი სჭირთ ხახულისა და შავშეთის.

აღბეჭდე, ეს დალეწილი და მაინც დიდებული ციხე-კოშკები და გალავნები, ეს მარანი, ეს ნანგრევი ეკლესიისა...

***

ჩამოვედით თუ არა, ხიხანზე ნისლი დაიძრა, თან გამოგვედევნა, მაგრამ დროზე გამოვასწარით.

მანქანაში რომ ვსხდებოდით, უცებ ბიჭიკო სოლომონიძე ამბობს: ამის შემდეგ ვიღაცა რომ თათარს დაგიძახებს, არ უნდა გაუხეთქო თავიო?

როგორღაც ერთბაშად, ბოღმიანად აღმოხდა ამ პატარა ბიჭს ეს სიტყვები.

«მდაბიო ხალხიდან დაწყებული მოინტელიგენტო პირებამდე ქრისტიანთაგან გვესმის ჩვენი სჯულის და ფანატიკოსთა კიცხვა. ამას კი სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს...

სარწმუნოებას არ შეუძლია ეროვნების გამოცვლა... თვით ქვანიც კი ღაღადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ!» – მახსენდება ჰაიდარ აბაშიძის სიტყვები.

ხმამაღლა ვიმეორებ:

– თვით ქვანიც კი ღაღადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ!

«ციხის ნანგრევზე სადმე დავჯდები,
ლოყაზე კურცხალს ჩამოვაგორებ».

საღამოს ისევ ბარათაშვილების ოჯახს ვეწვიეთ. გვიან ღამემდე მესმოდა მეორე ოთახიდან თანამგზავრთა ლაპარაკი და ხმაური, ისინი თავიანთ აპარატებს აწესრიგებდნენ. ზურაბი ეხმარებოდა მათ. ამ ბიჭს ყველაფერი აინტერესებს, მით უმეტეს, ფოტო-აპარატები... წარმოდგენილი მაქვს მისი ბავშვური ცნობისწადილით ანთებული თვალები, როცა ამ აპარატებს უკირკიტებენ... და მეღიმება.

საშინელი დაღლილობის მიუხედავად, ვერ ვიძინებ, თვალწინ მიდგას არსიანის გადაჭიმული ქედები, ღარტაფები, ფლატეები, ნაპრალებითა და გიგანტური კონუსებით დაფარული სივრცე...

და ზვიადი ხირხათი.

ძილბურანში მესმის ცხენთა ფლოქვების თქარუნი, იარაღის ჟღარუნი, უცნაური შეძახილები...

გვირილებითა და ყაყაჩოებით დაფარულ ფერდობზე მოაგელვებენ ცხენებს ჩაქურებიანი ვაჟკაცები...

მერე ჭაღარა ვაჟკაცი ჩამოხტება ცხენიდან, მუზარადს მოიხდის, ცალ მუხლზე დაიჩოქებს და... ჩამქრალი თვალებიდან ისევ გადმოიღვრება სხივთა ჩქერალი.

და მესმის ჩურჩულით ნათქვამი: «ჯერ ყველა ტკივილს არ გაუვლია».

აღარ ჩანს ბევრის საფლავიც. აღარც ტბელის საფლავია სადმე...

შენი მოკვეთილი თავი, შენი ჩამქრალი თვალების სიშავე მაბედვინებს გავიხსენო წარსულის სურათები, ჩვენო დიდო წინაპარო:

...ერეკლე მეორე, იოსებ მიშკარბაშს წერს: «ეცადე, რომ ჩვენი ძმა სელიმ-ბეგ თბილისს მობრძანდესო».

სელიმს ფარული ურთიერთობა აქვს მეფე ერეკლე მეორესთან, იგი, ჯერ როგორც აჭარის მმართველი, ამოცანად ისახავს ამ მხარის ოსმალო ფაშებისაგან განთავისუფლებას და მის საქართველოსთან შეერთებას. მერე მთელ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებას ცდილობს და იწყებს შეუპოვარ ბრძოლას ჯერ ახალციხის ფაშას წინააღმდეგ.

მაგრამ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მარტო სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი ქართველები როდი კმარა: სელიმი უკავშირდება ერეკლე მეორეს, იმერეთის მეფე სოლომონს.

სელიმ ხიმშიაშვილი ერეკლეს სიკვდილის შემდეგაც ცდილობს, ახალციხის მხარის შეერთებას საქართველოსთან.

მაგრამ ამიერკავკასიის მთავარსარდლობასა და სელიმს შორის უთანხმოება ჩამოვარდება, რადგან მეფის გენერლები სელიმს მხოლოდ დაპირებებით ატყუებენ და საჭიროების დროს დახმარებას არ უწევენ. ეს მეფის რუსეთის ნაცადი პოლიტიკა გახლდათ.

რუსეთთან ურთიერთობის გამო სელიმ ხიმშიაშვილი საბოლოოდ დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას. იმის ნაცვლად, რომ რუსეთის სარდლობას ამით ესარგებლა, თავისი ორპირული პოლიტიკით ყოველნაირად ხელს უშლის მას.

სულთანმა სელიმ ხიმშიაშვილი მოღალატედ გამოაცხადა და გამოსცა ფირმანი ფაშობიდან მისი გადაყენებისა და დასჯის შესახებ.

ამ დროისათვის აჭარამ კავშირი შეკრა ლაზებთან. მოგზაური პ. ჟაბერი 1805-1807 წლებში აღნიშნავდა: კონსტანტინოპოლიდან ფირმანის მიღება ამ ხალხის დამორჩილების შესახებ გაცილებით ადვილია, ხოლო მათი ცხოვრებაში გატარება კი – ძნელიო.

იუსუფ ფაშას 25-ათასიანი ჯარით ვერაფერს გახდა ლაზების წინააღმდეგ, ვერც დიპლომატურმა ხერხმა გაჭრა, შემდეგ ამ მხარეს შემოესია საზღვაო ფლოტი თახირ-ფაშას სარდლობით. მაგრამ ოსმალონი დამარცხდნენ და თახირ-ფაშამ თავს აფხაზეთში გაქცევით უშველა (ოსმალეთმა 1726 წლიდან მოახერხა აფხაზეთის სამთავროს დამორჩილება და მოსახლეობის ნაწილის გამუსლიმანება. ოსმალებმა ფოთიც აიღეს ერთხანს, მაგრამ 1710 წელს დადიანმა გააძევა თურქები იქედან).

1815 წელს სულთანი საწადელს ეწია... სელიმი შეიპყრეს და თავი მოჭვეთეს.

შემდეგ სელიმის შვილი ახმედ-ფაშა აწყობდა ისეთ სამზადისს, რომ მთელი სამუსლიმანო საქართველო უნდა შემოერთებოდა საქრისტიანო საქართველოს. ეს საქმე ჩაშალა იმ დროის ომის მთავარსარდალმა ბებუთოვმა.[3]

1830 წელს ჯავახეთ-მესხეთიდან აყარეს და ოსმალეთში გადაასახლეს 30 ათასი ქართველი მაჰმადიანი. იმავე დროს ჩამოიყვანეს და ჩაასახლეს 30 ათასი სომეხი.

რუსეთის მთავრობაზე განაწყენებული ახმედ-ფაშა ოსმალეთის მხარეზე გადავიდა და... აჭარაში თურქეთის სახელმწიფოს უფლებების გულმოდგინე გამტარებელი გახდა.

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ბეგების საგვარეულო წევრები გამოიძახეს სტამბულში, სადაც გამოეცხადათ, რომ უნდა გადაისინჯოს მათი

[3] ეს ის ნასომხარი ბებუთოვია, შემდეგ, მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მთავარმმართებელ პასკევიჩთან ერთად, ინიციატორი რომ გახლდათ გასახლებული ქართველი მაჰმადიანების ადგილზე თურქეთიდან დევნილი 30 ათასი სომეხი კომლის დამკვიდრებისა სამცხე-ჯავახეთში, დღეს თავის მიწა-წყლად რომ მიაჩნიათ «ჯავახკებს».

საგვარეულო ფირმანები და შეიცვალოს ახალი წესების კვალობაზეო; ბეგები მთავრობის მოთხოვნას მაშინვე დაემორჩილნენ და დაპირებებით მოხიბლულებმა, გადასცეს მას, მათი წინაპართათვის როგორც ქართველი მეფეების, ის თურქეთის სულთანის მიერ ნაბოძები საბუთები. ამ საბუთების ხელში ჩაგდების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა (თანზიმათის ცნობილი სიტყვები): «იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს».

ოსმალეთის მთავრობამ მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა ქართველი ბეგები.

«როცა აჭარელი ბეგები ამ მახეში გაებნენ, ოპოზიციაში ჩადგნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამ უკმაყოფილების ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ ბეგები და ხალხი ახლა ერთ ბანაკში მოექცნენ». (ა. ავალიანი).

აჯანყდა სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი (სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილი), შავშეთის გამგებელი, მაგრამ აჯანყებულები დამარცხდნენ.

ოპოზიციაში ჩადგა სელიმის მეორე შვილიშვილი შერიფ ხიმშიაშვილი.

შერიფ-ბეგმა თავისი დიდი პაპის ანდერძის შესასრულებლად მართლაც რომ დიდი გმირობა გამოიჩინა.

«მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოძმეთა გამოხსნას ჩემი ქვეყნითურთ ოსმალთა ხელიდან, – წერდა იგი «დროებაში» 1879 წ. – როდესაც ჩვენ ძმებთან – ქართველებთან შევერთდით, ღამის უკუნი ბნელი ბრწყინვალე დღედ გადამექცა, სიმწუხარე-სიხარულად და ჭირი ლხინად შეიცვალა»...

1877 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართველი ხალხის მთავარი მიზანი იყო სამხრეთ საქართველოს გამოხსნა ოსმალოთა კლანჭებიდან.

ხელახლა ვათვალიერებ ხარიტონ ახვლედიანის შესანიშნავ წიგნს «სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში». ამ წიგნში მრავალი საყურადღებო მასალაა თავმოყრილი და გაშუქებული.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა ილია ჭავჭავაძემ ხომ არა ერთხელ უძღვნა ამ საკითხს თავისი ბრწყინვალე წერილები:

ოსმალოს საქართველოს «დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისათვის. გარდა ამისა, ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონდა... არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანობის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმებს ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერ გულზეც ძმას ძმურადვე მიეყრდნობა თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდგება და თავს არ შესწირავს მათს, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა».

1878 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისში, მუხრან-ბატონის სასახლეში გაიმართა ბანკეტი აჭარის დელეგაციის პატივსაცემად. მასპინძელთა შორის იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, დავით ყიფიანი, აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვ.

მრავალი შესანიშნავი სიტყვა ითქვა. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკი წერეთლის სიტყვა:

«...ჩვენი გაყოფა ორად ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის... ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის. ორივე ნახევარი ცალ-ცალკე ყოველთვის უსულო ნაწილებად დავრჩებით, მაგრამ ერთად შეერთებით კი ერთ სულს შევადგენთ. დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი ვართ, ერთ ბედქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის».

«ჩვენი გაყოფა ორად ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის». – ეს შესანიშნავად იცოდა მეფის რუსეთმაც, «ხალხთა საპყრობილე» და «ევროპის ჟანდარმი» რომ გახლდათ იმ დროისათვის. საქართველოს გაძლიერება და გაერთიანება სულაც არ ეპიტნავებოდა მეფის მთავრობას. პირიქით, სწორედ გაყოფისა და საქართველოს ძალის განახევრებისათვის იღვწოდა იგი და არა საქართველოს შეერთებისა და გაძლიერებისათვის.

ცარიზმს ყველაზე მეტად სწორედ ქართველების ერთიანობა აკრთობდა.

«თქვენ თურქები ხართ და ქართველებთან არაფერი საერთო არა გაქვთ», – გაჰკიოდნენ მოლები და ხოჯები და რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

აქედან – აჭარიდან, მესხეთიდან აყრილი ათიათასობით, ასიათასობით ოჯახი...

ხალხის მასიური გასახლება... წამების ჯვარი, ნაზიდი გოლგოთაზე.

გასახლება – შედეგი ყოველი ვერაგული პოლიტიკისა.

ისედაც მცირერიცხოვანი ქვეყანა, წელში გაწყვეტილი ისტორიული უკუღმართობის წყალობით, ახლა უომრად, უსისხლოდ კარგავდა მკვიდრ მოსახლეობას, კვლავ იცლებოდა და ტრამალდებოდა მისი მიწა-წყალი.

კავკასია მიეკუთვნებოდა რეფორმამდელ, ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის იმ კოლონიას, რომელსაც ლენინი უწოდებდა «სუფთა ტიპის» კოლონიებს. ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა, კავკასიის მიწა-წყლის დაცლას ადგილობრივი მოსახლეობისაგან ფართო კოლონიზაციის მიზნით და სამხედრო სტრატეგიული მოსაზრებით (მეფის მთავრობამ გამოყო 500 ათასი მანეთი გასახლებულთა მიწების შესასყიდად. ცარიზმი განთავისუფლებულ მიწა-წყალზე ასახლებდა რუსეთის შიდა გუბერნიის მოსახლეობას).

რუსი ველიკოდერჟაველი ისტორიკოსი ფადეევი აღნიშნავდა, რომ იმიერყუბანის მიწა სჭირდება სახელმწიფოს და არა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასო.

«Будем действовать осмотрительно, но решительно, чтобы окончательно очистить вес Черноморские побережье», – წერდა პირად წერილში ალექსანდრე მეორეს 1864 წ. კავკასიის მთავარმართებელი.

«Переселенческий фонд образуется путем вопиющего нарушения земельных прав туземцев, а переселение из России производится во славу все того же националистического принципа «русификации окраин» – წერდა ლენინი და შემდეგ:

«Выступление политического протеста под религиозной оболочкой явление, свойственное всем народам на известной стадии их развития...»

მეფის რუსეთის ამ პოლიტიკას ხელს უწყობდა ზოგიერთი გადაგვარებული ფეოდალი, რომელთაც დაკარგეს წინანდელი ძალაუფლება, მდგომარეობა და ახლა თვითონ მიდიოდნენ რა თურქეთში, უნდოდათ, ქვეშევრდომებიც თან წაეყვანათ, რათა ძველებურად ეპარპაშათ თავიანთ ყმებზე. მათ ეროვნული საქმე, ქართველობა და ქვეყნის ინტერესი ყველაზე ნაკლებად აწუხებდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ალი, ოსმან და ასლან თავდგირიძეები.

ალი ფაშა ეწია თავის საწადელს: «მისის შრომით ოსმალეთში მრავლად გადასახლდა ქართველი მაჰმადიანობა. მით ალი ფაშამაც სულთნის წინაშე მიაღწია საწადელს, ნდობა მოიპოვა», – წერდა ზ. ჭიჭინაძე. ნდობა მოიპოვა ქართველობის გაყიდვის ხარჯზე! მისი გულმოდგინე მოწადინების წყალობით მარტო სამი წლის

განმავლობაში გადასახლდა ოცი ათასი ქობულეთელი. საერთოდ კი, იმ ხანებში ორმოცი ათასი ქართველი მაჰმადიანი გადაასახლეს.

მუჰაჯირობით, ცხადია, დაინტერესებული იყო ოსმალეთიც. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბათუმის კორპუსის მეთაური დერვიშ-ფაშა სტამბულის დავალებით ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი გაესახლებინა თურქეთში. ამისათვის იყენებდნენ მოლებისა და ხოჯების აგიტაციას. ამ საქმეში ასევე დიდი როლი მიუძღვის ინგლისის აგენტურას...

«ძნელია ითქვას ყველა ის ტანჯვა, რაც კი ქობულეთელთ ფანატიკოსების წყალობით გაჭირება გამოსცადეს, ცრემლი, ვაება და მსხვერპლის შეწირვაც კი... ოსმალეთში მყოფი ქობულეთელნი წყევლით მოიგონებენ იმ პირთა სახელებს, ვინც იგინი წააქეზა სამშობლოდან გადასახლებაში და შორს წასვლაზედ...» – გულისტკენით წერდა იმ ხანებში ზაქარია ჭიჭინაძე.

თითქმის დაცარიელდა ბათუმის ოლქი. მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის გადასახლება თურქეთში განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო ყარსის ოლქში.

ჯერ კიდევ 1875 წელს სერგი მესხი წერდა: «ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგა. სახე ნამდვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი, ხალხი თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია» – აი, ამ ხალხს ასახლებდნენ თურქეთში!..

ქართველი და, საერთოდ, კავკასიის მოსახლეობის გადასახლების გამო გრიგოლ ორბელიანი წერდა: «აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება მოსახლეობის გადასახლება თურქეთში შიდა ტერიტორიებზე... მოსახლეობა გარბის...».

ამას მოჰყვა დიდი ილიას მწარე ამონაკვნესი: «...თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება... ხალხი რათ უნდა მირბოდეს ოსმალეთში... მერე როგორ? თავის მამა-პაპეულის ბინას, სახლ-კარს, მამულ-დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, სუყველაფერზე ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია? რაო? რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა და თუ მართლა მართალი ამბავია!.. ეს დაუჯერელი, ტვინის შემარყეველი ამბავი შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთამდე?»

ცარიზმმა დაცარიელებულ მიწებზე მაშინვე დაიწყო სექტანტების, დუხობორების, დემობილიზებული ჯარისკაცების, და სხვათა დასახლება, ამას – «საიმედო ელემენტების» დასახლებას სასაზღვრო რაიონებში – მოითხოვდა ცარიზმის ეკონომიკური ინტერესები. ასე, მაგალითად, 1881 წელს მარტო ყარსის ოლქში გასახლებულ ქართველთა ნაცვლად დაასახლეს 3.344 ოჯახი არაქართველების.

ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამიერკავკასიის მთავარსარდალმა ლორის-მელიქოვმა. მან მართლაც დიდად იმოღვაწა ცარიზმის საამებლად და ქართველი მაჰმადიანების საზიანოდ (იგივე პროცესი მიმდინარეობდა აფხაზეთშიც...).

«...გურჯისტანის ქალი და კაცი სიტიტვლეს და სიღატაკეს ჩვეულები არ არიან. მათთვის დიდი სირცხვილია, რომ დაგლეჯილს ტანთსაცმელით იარონ, ტანზე არა ეცვათ რა და ფეხზედ. ოსმალეთში კი ხშირად ნახავდით ამ თავმომწონე შესანიშნავ მშვენიერს ქართველ მაჰმადიანთ ვაჟკაცთ და ყმაწვილებსაც, რომელთაც ტანზედ ძველი დაგლეჯილი ტანთ საცმელი ეცვათ და ფეხზედ დაგლეჯილი ჩუსტები. აღარც აქაური სუფთა ტანთ საცმელი, აღარც მაჭახლის იარაღი, აღარც ფული და აღარც ქართული ფაქიზი გული და მედიდურობა. იქ ქართველი მაჰმადიანები მიკედლებულნი სხვათა კედელს და კარის წინ, იყო მარად ჟამს მობუზული, მოკატუნებული, თავ-დაბალიც,

რასაც იგი თავის სამშობლოში ვერ აიტანდა და არავის რას დაუთმობდა, იმას იგი ხელმოკლეობით იტანდა და ითმენდა უცხოობაში მყოფი, სხვათა კარს მიკედლებული», – წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

ალექსანდრე ყაზბეგმა მხატვრულ ლიტერატურაში პირველმა ასახა შემზარავი სურათი ხალხის მასობრივი აყრისა და გადასახლებისა. დაუვიწყარია ანზორ ჩერბიჟის სახე, დაუვიწყარია ვაჟა და ელისო, მათი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი... ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ქართველმა კინორეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ პირველმა აჩვენა ეს საზარელი მოვლენა თავის ბრწყინვალე ფილმში «ელისო». ამ სურათის საერთო-სახალხო გლოვის სცენა ყველაზე მეტად, ალბათ მაინც ქართველი კაცის გულს შესძრავს, ვინაიდან მისი მუდმივი თანმდევი იყო ეს უბედურება – ტრაგიკული ისტორიის გრძელ გზა-სავალზე!

***

«ასი მოგონება ფრთხიალობს
ასი – დაჭრილივით ბღავის,
ასიც – ყვავილივით იალებს,
და კუბოს ფიცრამდე ჰყვავის».

დილით პატარა ესქპედიცია ორად გაიყო: ბატონი კოლია თავისთვის საჭირო ობიექტების გადაღებას შეუდგა. მან ზურაბ ბარათაშვილი შეარჩია დამხმარედ.

ანზორ თალაკვაძესა და მე, ბეჟან ბარათაშვილი დაგვემგზავრა. ბატონი კოლია განსაკუთრებით სკოლის მშენებლობით დაინტერესდა წინა დღეს და ახლა საშუალება მიეცა, გადაეღო ის.

ვარდციხისკენ მიმავალ შუკას რომ დავუყევით, გზაზე პატარა ცუგრუმელა გოგონა შემოგვხვდა, თუნგით წყალი მოჰქონდა.

შევაჩერეთ. გამოვკითხეთ სახელი და გვარი. იქვე ყოფილა თურმე მისი სახლიც. წყალი წყაროდან მოჰქონდა. წყაროები და ნაკადულები ხომ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ხიხაძირში.

გოგონას დედამ გამოგვხედა ჭიშკრიდან, გამოვესაუბრეთ. როგორც წესი, მოკრძალებული და თავაზიანი იყო აჭარელი ქალის სიტყვა-პასუხი.

რამდენი შვილი გყავთ-მეთქი, რომ ვკითხე, ცხრა შვილიო, – მიპასუხა დამორცხვებული ღიმილით.

ცხრა შვილი ჰყავს ჯერაც ახალგაზრდა ქალს!

რამდენი ასეთი ოჯახია აჭარაში!

სახეცქრიალა, თვალხატულა გოგონები და ბიჭუნები შემოგვცქერიან ცისფერი, ლურჯი, თაფლისფერი თვალების ციმციმით. ამ თვალებში ხან ბავშვური ცნობისწადილია ჩამდგარი, ხანაც პაწია ჭინკები უზით შიგ და გრძელი წამწამების ჩრდილით ფარავენ მათს ეშმაკურ ხტუნვა-თამაშს...

ანზორი და ბეჟანი ვარდციხის გადასაღებად წავიდნენ: მე განზე გადავუხვიე და მდინარეს მივაშურე.

საშინელი დაღლილობა, რომლისაგან სხეულის ყოველი ძარღვი მითრთოდა, მდინარეში ბანაობამ გამიქარვა თითქოს, მერე ლოდზე გავწექი და მთის თაკარა მზეს შევეფიცხე.

მდინარის ჩხრიალი, იისფერი, კრიალა ცის ღიმილი, დილის ნამით დაცვარული მინდორი, დაბურული, მწვანე ტყეების მდუმარება, ფრთოსანთა ჟრიამული – ყველაფერი ეს სიმშვიდეს მისადგურებს სულში.

ძილ-ბურანში ვიძირები... წამით თითქოს ქობულეთის ზღვის სანაპიროს ქვიშის მხურვალებას შევიგრძნობ. ახლა კარგია ზღვაც. მისი ჩუმი, რბილი ტალღების შრიალი.

შთაბეჭდილებები... შთაბეჭდილებები არ მასვენებენ.

ოცნებით გვარაში გადავდივარ.

...გულიკო მემარნეს შვიდი შვილი ჰყავს, მის რძალს ნინოს, მასავით ახალგაზრდა ქალს – ოთხი...

მაგონდება, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მოწინავე მეჩაიე ქალიშვილის ეთერ მალაყმაძის მრავალრიცხოვანი, ტკბილი ოჯახი მახოში, სურმანიძეებისა – ახალშენში. სადაც არ მივედი, ყველგან ვნახე აჭარელი ქალის კაიდედობის, კაიოჯახიშვილობის მაგალითები. «ბედნიერია ის ერი, ვისაც კარგი ქალები ჰყავს», – ბრძანდება დიდი ილია.

თვალწინ მიდგას გვარაში მცხოვრები ეხსენ დავითაძის ქალი – კალთაში ბოხვერა შვილიშვილი რომ უზის, ირგვლივაც შვილიშვილები ახვევია და ბედნიერი ღიმილით იღიმება.

იგი ჩემს წარმოსახვაში სამუდამოდ რჩება, როგორც ნამდვილი დედაბოძი ოჯახისა, როგორც დიდი ნენე – მარად ქალურის, მარად დედურის სიმბოლო, მისი ნიშან-ხატი.

ამნაირმა ქალებმა გადაარჩინეს ჩვენი მოდგმა და ჯილაგი, ამნაირმა ქალებმა ზიდეს დიდი ტვირთი ოჯახისა, ქალობისა, დედობისა.

განა ვინ არის? ერთი უბრალო გლეხის ქალია, დიდი სიკეთით სავსე გულის პატრონი. ეს სიკეთე მან მისხალ-მისხალ დაუნაწილა თავის მოდგმას – სამსავე ვაჟს, რძლებსა და შვილიშვილებს. და მაინც ულეველი, დაუხარჯავი აღმოჩნდა ეს სიკეთე; ეს სიკეთეა რომ უნათებს სახეს, ღიმილს უშუქებს. ეს სიკეთე, როგორც სახის და თვალების ფერი, ისე გამოჰყვა მის შვილებსა და შვილიშვილებს.

და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო გამრავლდება მისი მოდგმა, ქართველი ქალების – ოდითგანვე სილამაზითა და ზნეობრივი სიწმინდით განთქმული ქალების ნაშიერნი მოეფინებიან ქვეყანას, იმათი შთამომავლობა – ვის გაწყვეტასა და კვირტში ამოყვანას ასე ცდილობდნენ ყველა დროსა და ეპოქაში ათასგვარი ჯურის გადამთიელნი.

***

ესეც სხალთა – აბუსერიძეთა საგვარეულო ტაძარი.

იგი დიდი ზომის დარბაზული ნაგებობაა, რომელსაც სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან მიდგუმლი ჰქონია კარიბჭეები.

ამჟამად ერთი მათგანის მხოლოდ თაღოვანი შესასვლელიღა შემონახულა. საერთოდ ტაძარი მშვენივრადაა რესტავრირებული. სანიმუშო სისუფთავეა ირგვლივაც: ეზოსა თუ მის შემოგარენში.

შიგნით პატარა მუზეუმიც გაუხსნიათ. აქ XI-XIII საუკუნეების საქართველოს კულტურის ძეგლთა ფოტოები და სხვადასხვა ისტორიული მასალებია.

თალაკვაძე საგულდაგულოდ იღებს გადარჩენილ მშვენიერ ფრესკებს, ჩუქურთმებს. უამრავი წარწერებია შიგ: კამარაზე, კედლებზე, ფრესკებზე, მაგრამ განათება არ ყოფნის და ამიტომ ვერ ახერხებს მათ დაფიქსირებას. ისე, აქაც შემოუღწევიათ თანამედროვე ბარბაროსებს და თავიანთი წარწერებით აუჭრელებიათ კედლები. მაგრამ შედარებით მაინც იშვიათად გვხვდება აქ მათი «ნახელავი».

შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ნასახლარს ალბათ ვერ ვნახავთ, – თურქებმა გადასწვეს მისი სასახლე, ვერ ვნახავთ ვერც მისი საფლავის ლოდს, რომელიც გადარჩენილა თურმე. ვერ ვასწრებთ.

მენანება განშორება ამ დიდებულ ძეგლთან, ასევე დამენანა ბარათაშვილების ოჯახთან განშორებაც. ვინ იცის, კიდევ როდის ვნახავთ ერთმანეთს? ან მომიწევს კი საერთოდ აქეთ ყოფნა?

მივდივართ და თვალი მრჩება სხალთის გუმბათზე. რა ჰარმონიულადაა იგი შერწყმული ამ ბუნებასთან. როგორი გემოვნებით იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა ადგილის შერჩევა და ნაგებობის შეხამება გარემოსთან.

«გაღვიძებული სხალთის ტაძარო,
მაგ სამასი წლით ნაწყენ გუმბათებს
ეს დღევანდელი სიტყვის ტაძარი,
ეს დღევანდელი ხმები კურნავდეს».

პოეტის, ზურაბ გორგილაძის ამ გულშიჩამწვდომი სტროფით ვემშვიდობები სხალთის ტაძარს.

...ილევა სხალთის ხეობა. მალე შევალთ აჭარისწყლის ხეობის საუფლოში.

მეგობრობის წყაროსთან, ხის ფანჩატურში სახელდახელოდ ვისადილეთ და მერე პირდაპირ გოდერძის უღელტეხილისკენ გავწიეთ. ოცნებაში ღორჯომის ნახვასაც ვესწრაფვი, მაგრამ არარეალური ჩანს ამჟამად ეს ოცნება.

ეს ის ღორჯომია, პირველად სამი საუკუნის შემდეგ, საქართველოდან რომ მოინახულა ქართველმა კაცმა. იგი გურიელის ამალაში მყოფი, გადაცმული გიორგი ყაზბეგი გახლდათ.

***

...ისევ აჭარისწყლის ულამაზესი ხეობა. მართლაც დიადი და თვალწარმტაცი პანორამა იშლება ჩვენს წინ. გინდა, სუყველაფერი აღბეჭდო ფირზე, სუყველაფერი; უჩვენო ქვეყანას, დაანახო ყველას ეს დიდებულება, ეს სულისშემტაცი სილამაზე. დაანახო, გაახარო და დაატკბო.

მაგრამ რამდენი შრომა დასჭირდა აჭარელ გლეხს, რომ ამ მიუვალი მთებისა და გორაკებისათვის გამოეგლიჯა მიწის პატარა ნაკვეთი და შიგ კარ-მიდამო გაემართა, ყანა დაეთესა...

XIX საუკუნის 70-იან წლებში ზემო აჭარაში იმოგზაურა გიორგი ყაზბეგმა. იგი წერდა: «ტოპოგრაფიული თავისებურებანი ადამიანს გასაქანს არ აძლევს დასასახლებლად. მთის ციცაბო ფერდობზე შეფენილია ტყე და აქა-იქ თუ რჩება სახნავ-სათესად გამოსადეგი მცირე მინდორი. ასეთი სახნავ-სათესი ადგილების მახლობლად, სადაც ქვეითად გავლაც კი ჭირს, აჭარელთა სახლებია შეფენილი».

აჭარელი გლეხის განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობასა და მუყაითობას, მის სიბეჯითესა და გარჯილობას ხომ უცხოელი მოგზაურებიც აღნიშნავდნენ.

«ზემო აჭარის მცხოვრები მთელი დღე შრომობს, სახლის გარეთ ყველაფერს მამაკაცი აკეთებს, სამაგიეროდ, სახლში დიასახლისი უძღვება ყველა საქმეს. ქალი თითქმის კერაზეა მიჯაჭვული» (ჟ. მურიე).

გზად მიმავალ ტანკენარ ქალიშვილს ჩავუარეთ, ყველამ გავხედეთ უნებლიე აღტაცებით, აქაური ექთანიაო, – გვითხრა თემურ აბაშიძემ.

აი, ეს ჯიში, შინაგანი ღირსების საოცარი გრძნობა და მშვენება სტაცებდა თვალს ჩვენს მტერ-მოყვარეს. ასეთი ლამაზი ქალები იყიდებოდა ათიათასობით, ასიათასობით აღმოსავლეთის ბაზრებზე...

ისევ იშლება ზღვარი აწმყოსა და წარსულს შორის... ვერა და ვერ დამიღწევია თავი მტკივნეული წარსულის მოგონებებისათვის, რამეთუ აქ «თვითეულ ქვაზე წვეთი სისხლია, თვითეულ ხეში – სული წინაპრის...»

და წინაპართა სულები თითქოს მომდევენ კვალდაკვალ, ხან წინ შემომეფეთებიან და ჩამქრალი თვალებიდან სხივებს მესვრიან, თითქოს რაღაცას უხმოდ იხვეწებიან... ამაყი დუმილით ამბობენ რაღაც იდუმალ სათქმელს... ხანაც... უკან მოგვდევენ...

ანზორი მანქანიდან გადადის და ჩამავალ მზეს უმარჯვებს კინო-კამერას.

გაქვავებულნი ვსხედვართ და უხმოდ შევცქერით დიდებულ სურათს – მზის გარდაცვალებას. «მზე მიიცვალა რაღაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით. მას გახელილი დარჩა თვალები, ოჰ, გახელილი დარჩა თვალები».

მზის უმწეო და საოცარი გარდაცვალება... ასეთი რამ მხოლოდ ქართველ პოეტს შეეძლო ეთქვა.

...გოდერძის უღელტეხილზე შებინდებისას ავედით. სასტუმროს დირექტორმა გენჯალ აბაშიძემ, საოცრად კოლორიტულმა და ამ მხარეში საკმაოდ ცნობილმა პიროვნებამ, გულითადი მასპინძლობა გაგვიწია.

კომფორტულ ლუქსში, გოდერძის უღელტეხილის სასტუმროს რომ აღმოაჩნდა და თავაზიანად მე შემომთავაზეს, გვიან ღამემდე ვათვალიერებდი ჩანაწერებს.

ისევ თავიდან ვიწყებდი თითქოს მოგზაურობას ჭოროხისა და ხიხაძირის ხეობებში.

გონებით კვლავ მოვიხილავდი ხიხაძირის ღარტაფებს, კლდეებს, ფლატეებსა თუ მთათა გრეხილებს, ხიხანის ციხე-სიმაგრეს, სხალთას...

***

ზემო აჭარის შემდეგ გადასაღები გვრჩება ქვემო აჭარის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლები.

ბათუმსა და საერთოდ, აჭარაში მოგზაურობის დროს ბევრი საინტერესო პიროვნება გავიცანი, რომელნიც ძლიერ დამეხმარნენ აჭარის წარსულისა თუ მისი დღევანდელობის გაცნობაში.

ალბათ კიდევ მომიწევს მათი ნახვა, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს შესაცნობი, დასადგენი, გასარკვევი.

...ისტორიულმა ავბედობამ ერთხელ კიდევ დაატრიალა თავისი ჩარხი სამხრეთ საქართველოს თავზე.

პირველ იმპერიალისტურ ომში ჩაება ოსმალეთიც. მან ისარგებლა ამ ფრონტზე რუსეთის ჯარის სისუსტით და დაარბია სამხრეთ საქართველო, განსაკუთრებით

დაზარალდა აჭარის მოსახლეობა. ერთხელ კიდევ მიმართეს მომხვდურებმა ძველ, ნაცად საშუალებას – ხალხის აყრასა და გადასახლებას.

ამ შავბნელ ვითარებაში აჭარის პროგრესული ძალები დაირაზმნენ ცალკე მუსლიმან ფანატიკოსების, ე.ი. სედაი მილეთელებისა და ცალკე ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ.

მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, ხასან თხილაიშვილის, მემედ ჭყონიას, ისმაილ დიასამიძისა და სხვათა სახელები ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლთა შარავანდედით არის მოსილი.

ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება ახალგაზრდა ჰაიდარ აბაშიძის მგზნებარე წერილები. იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო მუსლიმანი ფანატიკოსების წინააღმდეგ ბრძოლით, იგი პირუთვნელად ძრახავდა იმ ვაი ინტელიგენტებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე აჭარლებს ქართული ეროვნებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი დაკარგული აქვთო:

«მუსლიმან ქართველებს», «თათარს», «თურქს», ზოგჯერ «გურჯს» ეძახდნენ. «გურჯობაში» ისინი ეროვნებას გულისხმობდნენ, ხოლო «თათრობაში» სარწმუნოებას. თურქები მათ «გურჯებს» ეძახდნენ», – წერდა ჰაიდარ აბაშიძე.

ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი გაზეთ «სახალხო გაზეთში» აქვეყნებს წერილს სათაურით: «ტბეთის სვეტი შავშეთში», რომელსაც ჰაიდარ აბაშიძეს უძღვნის.

ამ დიდი განსაცდელის ჟამს მთელი ქართველი საზოგადოებრიობა აღსდგა თავისი ძმების – მუსლიმან ქართველების დასახმარებლად. შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება. 1915 წელს გამოიცა სპეციალური ფურცელი-ალმანახი ¹ 1 – «ძმური სიტყვა» დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ».

«თეატრისა და ცხოვრების» რედაქტორი იოსებ იმედაშვილი წერდა: «სწორედ ახლა გვმართებს, როგორც იტყვიან, ფოლადის ქალამანის ჩაცმა, რკინის კვერთხის ხელში დაჭერა და ქვეყნითი ქვეყნად სიარული, რათა დაუმტკიცოთ ყველას, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ღვიძლი ძმებია და მათი აკლება ჩვენი აკლებაც არის».

საქართველოს საზოგადოებამ შექმნა იურიდიული კომისია, რომელმაც აჭარლების გასამართლების საქმეში დიდი თავდადება გამოიჩინა. დამტკიცდა აჭარელთა უდანაშაულობა, მაგრამ მეფის რუსეთის სასამართლოს სულაც არ აძლევდა ხელს მათი გამართლება.

პრესამაც სასტიკად გაილაშქრა სასამართლოს თვითნებობის წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ ხაფიზ მეხეშიძე, განსხვავებით მოლებისა და ხოჯების უმრავლესობისაგან, პირველი მიესალმა და პრესის საშუალებით გამოხატა მადლიერების გრძნობა თავისი ქრისტიანი თანამოძმეების მიმართ:

«ოდესღაც ეს მამაცი და ამაყი ხალხი, დღეს კი ეკონომიკურად და გონებრივად დაბეჩავებული, მიტოვებულია ღვთის ანაბრად...

რა გაუკეთა მათ ოსმალეთმა იმდენი ხნის განმავლობაში, როცა იგი მის ხელში იმყოფებოდა? ის, რომ გამოუცვალა რჯული და აღმოფხვრა მასში კულტურის ნასახიც კი!» – ჰაიდარ აბაშიძის კალამი ბასრი ხმალივით ჭრიდა...

ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში არ იყო არც ერთი სამოქალაქო სკოლა და რაიმე კულტურული დაწესებულება.

«განათლების სისტემა» ამოიწურებოდა ერთადერთი მაჰმადიანური რელიგიური სასკოლო განათლებით – მედრესეთი – სადაც ასწავლიდნენ სასულიერო პირები – ხოჯები და მოლები: «ყოველ ჯამესთან არის სკოლა, სადაც უმთავრესად ისწავლება ყურანი... ასეთ სკოლებთან მისვლისას მოისმის საშინელი ხმაური, რაღაც გოდების

მსგავსი! ეს ანბანის მოზეპირე ბავშვებია. ამათგან იშვიათად თუ ვინმე ისწავლის წერა-კითხვას», – წერდა ფრანკელი.

მეფის რუსეთმა კი იმდენი მედრესე და ჯამები გახსნა აჭარაში, რაც ერთად არ ყოფილა სამი საუკუნის მანძილზე მთელ სამხრეთ საქართველოში. ეს, ცხადია, ცარიზმის შავბნელი პოლიტიკის შედეგი იყო. ამასთან, სამოქალაქო სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

აჭარაში ქართული სკოლის გახსნის თაოსნობა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ», რასაკვირველია, ილიას მხარდაჭერითა და მოწადინებით, მიხაკო შერვაშიძე გაგზავნა ბათუმის სკოლის დირექტორად.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნა აქტუალური საკითხი იყო. პირველი მერცხალი, ბათუმის პირველი სკოლა იყო. ქართველი მუსლიმანები თავიანთ მშობლიურ ენაზე უნდა დაუფლებოდნენ წერა-კითხვას, თურქოფილები კი მოითხოვდნენ თურქულ-აზერბაიჯანული სკოლების გახსნასა და მასწავლებელთა მოწვევას სხვა ქვეყნებიდან. მაგრამ ქართული სკოლის გახსნის იდეას მხარს უჭერდნენ შეგნებული აჭარლები. ერთ-ერთმა პირველთაგანმა გული აღა კაიკაციშვილმა აიმაღლა ხმა და მოითხოვა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება. მან თავისი შვილები ქართულ გიმნაზიაში შეიყვანა, ამასთან, თავისი მამულიდან უსასყიდლოდ გადასცა ქობულეთის სკოლას 3 ქცევა მიწა...

ქართული სკოლები გაიხსნა ყოროლის თავში, ხუცუბანში, მარადიდში, ჩხუტუნეთში, ალამბარსა და სხვაგან.

ყოროლისათვის სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ჰაიდარ აბაშიძემ წარმოთქვა პატრიოტული სიტყვა, მან ქართველ მოღვაწეებს ასე მიმართა: «საჭიროა, მაჰმადიან ქართველებში შეგნების შეტანა და მათი გათვითცნობიერება. ეს კი უნდა ითავოთ თქვენ, ქრისტიანმა ქართველებმა. ჩვენ დღეს თქვენგან მოველით მტკიცე საძირკველის ჩადგმას და ცხოვრების გზაზე გამოსვლას. შეიძლება ამ შენობაში თქვენ ბევრი დაბრკოლება გადაგეღობოთ წინ, საყვედურებიც გაიგოთ, და ბევრი შრომაც დახარჯოთ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, უნდა დაგვეხმაროთ ჩამორჩენილ ძმებს, მით უმეტეს, თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის... წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგვიყენეთ თქვენს გვერდით. ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია. ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილიცაა, რადგან ჩვენ ერთნი ვართ».

***

«მრავალ არიან წარჩინებულ,
და მცირედ რჩეულ».

«გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამუსლიმანო საქართველოს ხელმძღვანელობა მე მარგუნა ბედმა და ხალხიც ყოველთვის დიდი ნდობით და პატივისცემით მეპყრობოდა», – სწორედ რომ მემედ აბაშიძეს უნდა ეთქვა ეს ვაჟკაცური სიტყვები.

ახლა გოდერძის უღელტეხილზე მყოფი, ღამის სიბნელეში, გონებით თბილისში ვარ ისევ. მწერალთა სახლში, მემედ აბაშიძეს ხსოვნის საღამოზე.

ვზივარ დარბაზში და ყურს ვუგდებ სიტყვით გამოსულთ. სიტყვით, მოგონებით გამოდიან სერგო კლდიაშვილი, დემნა შენგელაია, ვალერიან კანდელაკი...

მემედ აბაშიძე – მასზე წიგნები უნდა დაიწეროს. განა ერთი და ორი? ბევრი.

ვის შეიძლება იგი შევუდაროთ წინაპართა დიდებულ აჩრდილებს შორის, რომელთა სახელებიც ერის თავმოთნეობისა და ღირსების სიმბოლოდ ქცეულა?

მემედ აბაშიძე.

ჩემს წინ იკვეთება უზარმაზარი ფიგურა. თითქოს მოქანდაკის უხილავი ხელი ძერწავს მას – დიდი მამულიშვილის, დიდი ერისკაცის, ბრძენკაცის ფიგურას.

განსაკუთრებული განსაცდელის ჟამს ჩვენს ქვეყანას ყოველთვის მოევლინებოდა ხოლმე პიროვნება, თავს რომ მოუყრიდა ერის პოტენციურ შესაძლებლობას, მის ენერგიას, სიბრძნეს, უნარს – და ზნეობრივი გმირობის ნიმუშს მისცემდა თითქოს განწირულ ხალხს, ფენიქსივით აღადგენდა მასში მინავლებულ ეროვნულ მაჯისცემას, ეროვნულ თვითშეგნებას.

ასეთი გმირია ცოტნე დადიანი, ილია ჭავჭავაძე, ასეთი იყო მემედ აბაშიძე.

«განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიარა ჩემს თვალწინ, როგორც კინემატოგრაფის ლენტმა. ბეგობის ტიტულს ფორმალურად ამოფარებულს, არაერთხელ და ორხელ მიმიღია მხურვალე მონაწილეობა ამ მოძრაობაში... როგორც აბდულ ჰამიდის და «მლადო-თურქების» რეჟიმმა, აგრეთვე მეფის რუსეთმა სათანადოდ შეაფასეს ჩემი მოღვაწეობა და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: დევნა-დატუსაღება, ციხე-კატორღა და სიკვდილის განაჩენი ჩემთვის არ მოუკლიათ».

დევნა-დატუსაღება, ციხე-კატორღა...

ხან ოსმალეთის მთავრობა სვამდა სატუსაღოში, ხანაც მეფის რუსეთი. თითქოს მართლაც შეჯიბრი ჰქონდათ გამართული ერთმანეთში.

ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიალიზმი მხარდამხარ იდგნენ, როცა საქმე შეეხებოდა დაჩაგრულ ერს.

«სამუსლიმანო საქართველო ორი ძალის ბრძოლის ასპარეზს შეადგენდა და საჭირო იყო უმთავრეს საბედისწერო მომენტში ორ ფრონტზე ბრძოლის წარმოება: პირველი – ოსმალეთის ბნელი ზრახვებისა და მეორე – რუსეთის იმპერიალისტური დაპყრობითი მონობის წინააღმდეგ, საქართველოს გაერთიანებისათვის; ამ ორ იმპერიალისტურ ქვეყანას ძილს უფრთხობდა მათ მიერ დაპყრობილი და დაქუცმაცებული საქართველოს მთლიანობა; ვინაიდან, თუ საქართველოს მთლიანობის იდეა ხორცს შეისხამდა, მაშინ, არც თუ ისე ადვილი იქნებოდა მისი დათრგუნვა, თუნდაც მეფის დიდი რუსეთისთვისაც კი. სწორედ ამიტომ იყო, რომ სოციალური, ეროვნული და რევოლუციური იდეების პირებს ეს ორი იმპერიალისტური სახელმწიფო სასტიკად დევნიდა», – წერდა მემედ აბაშიძე.

მემედ აბაშიძეს, როგორც პოპულარულ პიროვნებასა და საქართველოს ორიენტაციის კაცს, ერთი ხანობა გადმობირებასაც კი უპირებდა ოსმალეთის სულთანი. სპეციალური ფირმანიც გამოუგზავნა მან მემედ აბაშიძეს. რას არ პირდებოდა ამ ფირმანში, ოღონდ ხელი აეღო ქართველობაზე. მაგრამ მემედ აბაშიძე რჩებოდა ურყევი და მტკიცე თავის ბრძოლაში ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა ერთობისათვის, ერთიანი, მთლიანი საქართველოსათვის.

...მწერალთა სასახლეში, მემედ აბაშიძის ხსოვნის საღამოზე სიტყვით გამოსულებს ვუსმენდი და ჩემს წინ ცოცხლდებოდა საოცრად ვაჟკაცური, მომხიბლავი პიროვნება, არაჩვეულებრივად მჭევრმეტყველი, წარმოსადეგი გარეგნობის მგზნებარე პატრიოტი, უაღრესად განათლებული, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა არაბული, თურქული, სპარსული... მისი თარგმანები ომარ ხაიამიდან დღესაც საყურადღებოა...

1917 წელს მორიგი გადასახლებიდან დაბრუნებულმა მემედმა თავის გარშემო შემოიკრიბა აჭარის პროგრესული ახალგაზრდობა: სულეიმან დიასამიძე, ჰაიდარ

აბაშიძე, ზექერია შერვაშიძე, ხასან თხილაიშვილი, რეჯებ ნიჟარაძე, იუსუფ ქათამაძე, ჯემალ ქიქავა და სხვ. შექმნა ბათუმის ოლქის ქართველ-მუსლიმანთა კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა ბრძოლას პანისლამისტების წინააღმდეგ. კომიტეტის თავმჯდომარედ ყრილობამ მემედ აბაშიძე აირჩია. იმავე წელს შეიქმნა ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც 1918 წელს გაერთიანდა საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებასთან. ამ საზოგადოების თავმჯდომარეც მემედ აბაშიძეა.

1918 წლის პირველ აპრილს ბათუმში შემოვიდა ოსმალთა საოკუპაციო ჯარი, ბათუმის საზოგადოების დავალებით მემედმა სიტყვით მიმართა ოსმალთა სარდლობას და მიესალმა მათ, როგორც სტუმრებს: «ჩვენ, ქართველებმა, ვიცით სტუმრის მიღება და პატივისცემა, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ სტუმარს უფლებას არ მივცემთ, ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიოს!»

მემედის გაბედული სიტყვა და მისი თავგამოდება თურქთა მიერ დახვრეტილი რამდენიმე აჭარელი ახალგაზრდის გამო, არ მოეწონა ენვერ ფაშას. მემედ აბაშიძე დააპატიმრეს და (უკვე მერამდენედ) მოათავსეს ტრაპიზონის ციხეში.

იმავე წელს ოსმალებმა სცადეს რეფერენდუმის ჩატარება სოფელ ფიჭვნარში, მოიწვიეს მოსახლეობის ზედა ფენების წარმომადგენლები. შეკრებას ესწრებოდა თვითონ ვალი-ფაშა; მოლები და ხოჯები ოსმალთა სასარგებლოდ ეწეოდნენ აგიტაციას. გაზეთი «ერთობა» ამის თაობაზე წერდა:

«სანამ ხმის მიცემას დაიწყებდნენ, ერთმა შეგნებულმა პირმა მოისურვა ხალხისათვის სიმართლე გაეგებინებინა და კიდევაც შეძლო რამდენიმე პირის მიმხრობა. დღეს, აქ, როგორც გუბერნატორი (ფაშა) მოუწოდებს, ისე არ დგას კითხვაო, აქ სარწმუნოება არაფერ შუაშია, აქ არსებობს პოლიტიკური საკითხი და არ მოვსტყუვდეთ და არ მივცეთ ხმა ოსმალებს, ყველამ მივცეთ ხმა ჩვენს ძმებს – ქართველებსო. ეს შეამჩნიეს. გუბერნატორმა მიიწვია თავისთან და შეეკითხა:

– შენ მუსლიმანი ხარ, თუ ქრისტიანი?

პასუხი: – მე ქართველი მუსლიმანი ვარ.

გუბერნატორი: – ახლა შენ მუსლიმანობა გინდა თუ ქრისტიანობა?

პასუხი: – მე მუსლიმანობა მინდა, მაგრამ სულთანის ფაშების და ბეგების მონობა არ მინდა.

მაშინ გუბერნატორი (ფაშა) განრისხდა და ასკერებს უბრძანა, ეს კაცი ჟანდარმერიის უფროსს მიჰგვარეთო. შემდეგ მიიყვანეს ყუთთან ხმის მისაცემად. და მან იმდენი ხალხის წინაშე საქართველოს ხმა მისცა».

ეს კაცი იყო მემედ აბაშიძის თანამებრძოლი ხასან თხილაიშვილი.

«იგი შეიპყრეს, ტანზე გახადეს და ზარბაზანზე ტიტველი ააკრეს, ოფიცერი ბრძანებას ელოდა, რომ ზარბაზანი გაესროლა. ხალხი ამ დროს აღელვებული გაიძახოდა, არ გაბედოთ, გაგწყვეტთ ყველასო. სედაიმილეთელები კი დაცინვით ამბობდნენ: ზღვაში არ გაისროლოთ, ზღვა არ გაგვისვაროსო.

თავად ხასანი ამბობდა: «მე ერთი წუთითაც წარბი არ შემიხრია. ვიცოდი, რისთვის ვკვდებოდი».

ვიღაც მაღალი თანამდებობის ოფიცერი ეუბნება ფაშას: ჩვენ აქ სასამართლო კი არა, არჩევნები გვაქვს და არ შეიძლება, ხალხს სიტყვა ავუკრძალოთო.

ხასანი შემთხვევით გადარჩა და ოზურგეთში გადაიმალა. რეფერენდუმი სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

ხასან თხილაიშვილმა გადამწყვეტ ჟამს თავის განწირვა იკისრა საქართველოსთვის.

ამასობაში ტრაპიზონის ციხიდან ლაზებმა გამოაპარეს მემედ აბაშიძე და ფოთში ჩამოაცილეს ალი ჯაფარიძის დახმარებით.

იგი ფოთიდან თბილისში ჩავიდა, სადაც იმ დროს ბათუმიდან დევნილი პროგრესული აჭარლები იყვნენ.

სწორედ აქ დააარსა სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, ზია აბაშიძე, სულეიმან ბეჟანიძე, ქემალ ნოღაიდელი, იუსუფ ქათამაძე და სხვ.

კომიტეტს სათავეში თვითონ ჩაუდგა.

1919 წ. 31 აგვისტოს მოიწვიეს ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი (საბჭო). მეჯლისმა დაადგინა – საქართველოსთან აჭარის შეერთება ავტონომიის საფუძველზე.

მემედ აბაშიძე მეჯლისის თავმჯდომარეა და მუდმივი კონფლიქტი აქვს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელ ბენია ჩხიკვიშვილთან,

მენშევიკური მთავრობის გაქცევის შემდეგ ბათუმში ფაქტიურად არ არსებობს ხელისუფლება. ამით ისარგებლეს სედაიმილეთელებმა და ქიაზიმ ბეიმ ოსმალეთის მთავრობის სახელით თავი ბათუმის გუბერნატორად გამოაცხადა.

ანგორის დელეგაცია მეჯლისის თავმჯდომარესთან გამოცხადდა და წინადადება მისცა, გადაესინჯა საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით გამოეტანა დადგენილება – ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადაცემოდა ანგორის მთავრობას.

ისევ, ისტორიული ავბედითობის წყალობით, დადგა ოსმალეთის დამპყრობლურ ზრახვათა ჟამი.

მაგრამ ამჯერად ბედი, რომელიც ასეთი სასტიკი და შეუბრალებელი იყო საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის მიმართ, ხალხისა, რომელსაც გამუდმებით «თვალბედითი სდევდა ყორანი» – მის სასიკეთოდ შეტრიალდა.

და სამუსლიმანო საქართველოს ერთი პატარა, მაგრამ ურჩეულესი კუთხე – აჭარა თავის დედასამშობლოსთან ერთად აღმოჩნდა.

...პოეტმა ზურაბ გორგილაძემ წაიკითხა მემედ აბაშიძისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსი, რომელმაც კიდევ უფრო დაამშვენა ეს სხოვნის საღამო:

«ქოხების ყორყში ამოსული ქართული სულის,
დიდო პატრონო,
ვაზის ძირებში მიმალული ქართული ენის,
დიდო პატრონო,
ტაძრის ზარებში შეყუჟული ქართული სიტყვის,
დიდო პატრონო,
ლოდების ძირში შემოდებულ ქართული ძვლების,
ძველო პატრონო,
დიდება შენდა, დიდება და ცხონება შენი,
მემედ ბატონო!»

***

«შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...»

ნისლიანი გათენდა 3 აგვისტო გოდერძის უღელტეხილზე. ნისლიანი და... წვიმიანი. ყველას წაგვიხდა გუნება-განწყობილება. ოთხი დღე თითქოს მოწყალება გაიღო ბუნებამ და გვაჩუქა დარი. ახლა ისევ აურია.

ვეღარც ღორჯომსა და ტბეთს ვნახავთ, ვეღარც ვერნებს, ვეღარც მაჭახლის ხეობას, ვეღარც მწვანე ტბას... გადაღებაზე ფიქრიც ხომ ზედმეტია.

გამოვემშვიდობეთ გულითად მასპინძელს გენჯალ აბაშიძეს და თავქვე დავეშვით – კვლავ აჭარისწყლის ხეობა იშლება ჩვენს თვალწინ.

გვეგონა, ნისლი და წვიმა უკან მოვიტოვეთ, მაგრამ, ეტყობა, ფეხდაფეხ მოგვდევდა და სადაცაა წამოგვეწეოდა.

ბატონი კოლია ფარ-ხმალს მაინც არ ყრის და გზადაგზა ირჩევს მისთვის საინტერესო «ობიექტებს». აგერ მთიბავები შენიშნა, გადავიდა მანქანიდან, მივიდა მათთან, გამოელაპარაკა, ახალგაზრდული ბრიგადის წევრები აღმოჩნდნენ.

გზის გადაღმა, სულ ახლოს ჩვენგან ოდა-სახლი დგას, ეზოში მწვანე ზოლს მოვკარი თვალი, ღობის გასწვრივ რუ მორაკრაკებს.

უცებ ის აჭარული ხის სახლი დამიდგა თვალწინ, პირველად რომ ვნახე თბილისის მუზეუმში, ღია ცის ქვეშ. ოღონდ, სხვათა შორს, იგი შიგნით ჯერაც არ არის მოწყობილი; არადა, აჭარული ოდა-სახლის სწორედ შიგნითა მოწყობილობაა განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესო. მათ თავისებურებას ჯერ კიდევ ჟან მურიე აღნიშნავდა:

«ამ სახლების აუცილებელი ავეჯია ლავგარდანებით და ჩუქურთმებით მორთული თლილი ქვის უზარმაზარი ბუხარი, რაც უფრო მდიდარია სახლი, მით უფრო მეტად არის მორთული ბუხარი ფაქიზი ჩუქურთმებითა და ხის სამკაულებით. სახლები არა მარტო გარედანაა მორთული ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით, რაც მათ სასიამოვნო შეხედულებას აძლევს, არამედ დარაბებიანი ფანჯრები, ტახტები, ჭაღები და ჭერიც მოჩუქურთმებულია».

ეს ფაქიზი ჩუქურთმები, ეს წმინდა ქართული ორნამენტები – ლაზი ოსტატების ნახელავი – ვიხილე იმ ჯამეშიც, სოფელ დიდაჭარიდან რომ გადმოუტანიათ მუზეუმში.

თითქოს ხახულის კარედის ოსტატების, ბექა და ბეშქენ ოპიზარების ხელი შეიცნობა ამ მორთულობაში, ხის წნულებში, ორნამენტებში, ჩუქურთმებში, მართლაც სიზმარი რომ გეგონება. ამ ჩუქურთმებში ჩააქსოვა ოსტატმა თავისი ხალხის შემოქმედებითი სული, მისი სწრაფვა სილამაზისაკენ, სინატიფისაკენ, მშვენიერებისაკენ, ის თვისებები, რაც უცხოელებსაც შეუნიშნავთ ჩვენი ერისთვის: ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი რომანტიკულობა, სილამაზისა და მშვენიერების წვდომისა და აღქმის განსაკუთრებული უნარი. და არც უნდა იყოს საკვირველი ის, რომ თავისი ხალხის შემოქმედებითი გენიის გამოსხივება იყოს ლაზი

თუ აჭარელი ოსტატების ნახელავი – ეს ქრისტიანული საყდარი იქნება თუ მუსლიმანური ჯამე, ოდა-სახლის ბუხარი თუ ჭერი, აივანი თუ სახლის დედა-ბოძი.

ეს მუზეუმი უთუოდ დიდი ეროვნული საქმეა და ყველა, რითაც და როგორც შეუძლია, უნდა შეეწიოს ამ დიდ წამოწყებას, თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო საქმეში.

...იმ დღეს მაინც ვახერხებთ მახუნცეთისა და დანდალოს ხიდების გადაღებას. ზოგი მკვლევარი ამ ხიდებს მიაწერს VII-VIII საუკუნეებს, როცა ტაო-კლარჯეთის სამეფოს აღზევება დაიწყო, ზოგიც XI-XII საუკუნეებს. ეს დიდებული თაღოვანი ხიდები დაამშვენებდა რომელიც გნებავთ ერის ცივილიზაციას. ამ ხიდების შემყურეს უნებურად გაგონდება ანტიკური ხანის ავტორთა ცნობა იმის შესახებ, რომ მდინარე რიონზე (ფასისზე) 120 ხიდი იდოო.

დანდალოში წამოგვეწია წვიმა. ბათუმი კი მერეხით შეგვხვდა. მერე წვიმიანი დღეები ერთმანეთს გადაება: ამასობაში შვებულების ვადაც მიმთავრდებოდა.

ქვემო აჭარის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების გადაღება კვლავ ჭიანურდებოდა.

***

დეკემბერში ისევ ვეწვიე ბათუმს. ამჯერად გონიოსა და პეტრას ციხის გადაღება მაინც უნდა მოგვესწრო როგორმე, ხოლო, რაც შეეხება ფიჭვნარს, ელიას ციხეს, ალამბარს, ხინოს ეკლესიასა და სხვებს, ამინდის ჭირვეულობის გამო, საეჭვო იყო მათი გადაღება.

...ცა იყო უსაზღვროდ ლურჯი და კაშკაშა. პაწია ლაქაც, ღრუბლის პაწია ფთილაც კი არსად ჩანდა. ზღვაც მუქმწვანე და ლურჯ ფერს გადაიკრავდა და სულაც არ იყო ისეთი შავი და მრისხანე, თავდაპირველად რომ მოეჩვენათ. გემი «არგოც» სწრაფად მიაპობდა ტალღებს, მარჯვედ გაურბოდა მდევრებს, ასევე მარჯვედ რომ უსვამდნენ ნიჩბებს და ის-ის იყო უნდა დასწეოდნენ კიდეც ავაზაკებს – უცხო ქვეყნიდან შემოპარულებს. – რომელთაც მიჰქონდათ ქვეყნის სიმდიდრის ნიშანი – ოქროს საწმისი და მიჰყავდათ ქვეყნის მშვენება – ოქროსთმიანი გრძნეული ასული მზის შვილის – აიეტისა.

უკვე ილანდებოდა ქალწულის ოქროსფრად დაფენილი გაშლილი თმები, ნიავი რომ უფრიალებდა და უწეწავდა, მზეზე ბრწყინავდა ოქროს დიდებული დიადემა – კოლხი დიდოსტატის მიერ საგანგებოდ ნაჩუქურთმევი მზისდარი ქალწულისათვის.

კიდევ ცოტა და, აფსირტას ძლიერი ხელი სწვდება თმაში მოღალატე დას, დაითრევს და გემბანზე ახლევინებს თავს ან... იქნებ სულაც დაუყვავოს, აპატიოს და შეუნდოს მშობლების ღალატი, ქვეყნის ღალატი... მაგრამ შეიწყნარებს კი მრისხანე აიეტი თავის შემარცხვენელ ასულს?

შიშითა და სასოწარკვეთით ინისლება ქალწულის ზღვისფერი თვალები. გემის ჭვინტთან შემართული კოლხი უფლისწული ანაზდად შეტორტმანდა. მერე ნელ-ნელა ჩაიკეცა და... ჩაქრა მზის ბრწყინვალება. დაბნელდა და დაუკუნეთდა ირგვლივ ყოველი.

«არგოდან» წივილით გამოსროლილი ისარი კოლხი უფლისწულის გულს ჩაესო.

მოულოდნელი ვერაგობით თავზარდაცემული კოლხნი გარს შემოეხვივნენ ჭაბუკ უფლისწულს, რომლის მშვენიერი, ცისფერი თვალები უსიტყვოდ, უხმოდ გამოხატავდნენ საყვედურს...

«არგომ» კი ისარგებლა კოლხთა დაბნეულობით და ნადავლით დამშვენებული და გამარჯვებით გალაღებული, ქარზე უსწრაფესად გაქანდა ელადის ნაპირებისკენ.

ვითღა ეახლონ კოლხნი თავიანთ ბრწყინვალე მეფეს – ოქრომრავალი კოლხეთის მრისხანე და დიდებულ ხელმწიფეს?.. ვითღა მიუსამძიმრონ ქალის დაკარგვა, მემკვიდრე უფლისწულის დაღუპვა?

კოლხურმა კოხტა და მსუბუქმა ორჩხომელამ ჭვინტით გააპო მდინარის ტალღები ზღვის შესართავთან და აღმა აუყვა მდინარეს, ტყით დაბურული გორაკებისკენ.

მერე ნაპირზე გადმოასვენეს უფლისწულის გაციებული გვამი და კოლხური წესისამებრ დაიტირეს. კოლხური ზარითვე გაუთხარეს სამარე და შიგ ჩაასვენეს ოქროსქოჩრიანი ჭაბუკი.

თავად გაერიდნენ გოროზი აიეტის რისხვას და ზოგი სად გადაიკარგა და ზოგი სად.

იმ ადგილას კი, სადაც უფლისწული მიწას მიაბარეს, კოლხებმა შემდგომ დიდი ქალაქი გააშენეს და მას აფსირტას პატივსაცემად აფსაროსი უწოდეს.

ამრიგად, ჭოროხის შესართავთან დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ შეიქმნა უძველესი კოლხური ქალაქი – აფსაროსი.

ასე გადმოგვცემს ლეგენდა. ამ ლეგენდას იცნობდა ბერძენი მწერალი და ქურუმი, ისტორიკოსი და მხედართმთავარი ფლავიუს არიანეც ჩვ. წ. II საუკუნეში.

აფსაროსი შეიქმნა მაშინ, როდესაც ლეგენდის თანახმადაც და ისტორიულადაც არსებობდნენ კოლხური ქალაქები კუტაია, ეგრი, ფასისი.

მაშ ასე: II საუკუნეში ჩვ. წ. აღ-ით აფსაროსი ანუ დღევანდელი. გონიო დიდი გალავნით შემოზღუდული ხალხმრავალი ქალაქია, სადაც აქვთ თეატრი, იპოდრომი და მრავალი სხვა ნაგებობა, რაც, ჩვეულებრივ, ქალაქის სიდიდის მაუწყებელია ხოლმე.

და სადაც, სხვათა შორის, ადგილობრივი მკვიდრნი უჩვენებენ თურმე კოლხი უფლისწულის, აფსირტას საფლავს და ამით ხაზს უსვამენ უცხოელის წინაშე თავის უძველეს წარმომავლობას.

***

...ციხის ქონგურზე ჩამოვჯექი და აქედან ვუყურებ ოპერატორების ანზორ თალაკვაძისა და სულიკო კვირიკაძის საქმიანობას.

გალავნის კედლებში აშკარად გამოიყოფა რამდენიმე ფენა. ეს სწორხაზოვნად ნაწყობი, დიდი და ფაქიზად გათლილი კვადრები უძველესია, რიყის ქვის ფენა კი, რომლითაც კედლების ზემო ნაწილია ნაგები – (უსწორმასწორო წყობა) – უახლესი. ამ უკანასკნელს მკვლევარები ათარიღებენ XVI საუკუნით, როდესაც ოსმალებმა «აღაშენეს» ახლად მიტაცებული გონიო. ვარაუდობენ, რომ აქ სარესტავრაციო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო გენუელების ყოფნის ხანაშიც (XIV-XV სს.).

ასე იყო თუ ისე, XVI საუკუნეში იგი საქართველოს წაგლიჯეს ისევე, როგორც წაგლიჯეს ტრაპიზონი და ხოფე. სამცხე და აჭარა...

XVII-XVIII საუკუნეებში გონიო ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტია სადაც გაჩაღებული იყო ტყვეთა სყიდვა (გონიოში ერთხანს თავს აფარებდა სვეგამწარებული თეიმურაზ პირველი, გონიო გამოიარა ევროპიდან მომავალმა სულხან-საბა ორბელიანმა...).

საბამ აქ ნახა ტყვეებით ვაჭრობის შემზარავი სურათი.

გამუდმებულმა, გაუთავებელმა სისხლიანმა ომებმა, ხოცვა-ჟლეტამ, აწიოკება-აოხრებამ, მომხვდურთა ბარბაროსობამ საყოველთაოდ დასცა ზნე-ჩვეულება, ხალხი შეიპყრო საშინელმა უიმედობამ, სასოწარკვეთილებამ. სიბნელესა და სიღატაკეში ჩავარდნილი, ვერსაიდან ხედავდა ხსნასა და საშველს. ძალმომრეობამ, ველურთა

ყოვლისშემძლეობამ, სისასტიკემ – საუკუნეების მანძილზე (ხანდახან ათეული წლებიც კმარა ზნეობის შესარყევად ფრიად ცივილიზებულ, თანამედროვე ერებშიც) – გააღვიძა ქვენა, ბნელი ინსტინქტები... და როგორც ყოვეთვის ხდებოდა, გადაგვარება, ზნეობრივი დაცემა დაიწყო ფეოდალთა კლასიდან...

ავი სენი თანდათან ფეხს იკიდებდა, მძლავრდებოდა... გასტეხს ქვასაცა მაგარსაო, აკი უთქვამს კიდეც ჩვენს ძველებს. თუ ფიზიკურად ვერ ხერხდებოდა ხალხის მოსპობა, ზნეობრივად უნდა გადაეგვარებინათ იგი. ეს იყო ყოველი დამპყრობელის მიზანთ-მიზანი.

ტყვეთა სყიდვა!

მრავალი უცხოელი მოგზაური თუ მისიონერი გულისტკივილით აღწერდა ამ ამაზრზენ მოვლენას. იტალიელი მისიონერი პატრი ავიტაბილე ტყვეთა სყიდვისა და ზნეობის საყოველთაოდ დაცემის მიზეზად თვლიდა ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტებას საქართველოში, რაც თავის მხრივ, ცხადია, მუსულმანური სარწმუნოების მქონე ირანისა და თურქეთის გაუთავებელი, სისხლისმღვრელი შემოსევების შედეგად იყო გამოწვეული.

ტყვეთა სყიდვა! ათიათასობით გაყიდული თმაქოჩორა, მალხაზი ბიჭები და თვალხატულა გოგონები!..

სტამბულის, ისპაჰანის, ქაიროს, ბაღდადის ბაზრები იყო ის უზარმაზარი ობობა, თავისი გაუმაძღარი საცეცებით რომ იზიდავდა და ისრუტავდა უამრავ, უთვალავ ადამიანებს, სადაც პირუტყვებივით იყიდებოდა დარჩეული ქართველი გოგო-ბიჭები... რომელთა სისხლითაც მერე უხვად ირწყვებოდა ეგვიპტისა და ერაყის ცხელი ქვიშები. მამლუქებისა და იანიჩრების ღიად დარჩენილი, ჩამქრალი თვალები...

იცლებოდა გამუდმებული ომებისაგან ისედაც სისხლდაცლილი საქართველო... იცლებოდა, იწრიტებოდა, იშრიტებოდა სისხლი იმ ერისა, რომელსაც ორი საუკუნეც არ აღირსა მშვიდობა არსთა გამრიგემ თუ ისტორიის უსამართლობამ.

დაუძლურებულ-დაძაბუნებულს კი ყველა წაეტანა, ყველამ წაკრა თითო ყისტი – გარეშე თუ შინაურმა მტერმა, მეზობელმა თუ შორებელმა.

ხოლო მოყვარულად შემოპარული მტერი, გულთბილად მიღებული სტუმართმოყვარე, უცხოთმოყვარე ხალხის მიერ, ხელსაყრელ ჟამს იხდიდა ნიღაბს და... ეპატრონებოდა მის მიწა-წყალს, მის სარჩო-საბადებელს.

საქართველოს ჭირსა და ვარამს, მართლაც ვერავინ მოთვლის, ვერც ერთი ბრძენი ქვეყნად, ვერც ერთი ენამჭევრი ჟამთაღმწერელი...

...მაგრამ იმ შორეულ ხანაში, როცა პონტოს სანაპიროებზე ყვაოდნენ კოლხური ქალაქები, როგორი იყო ეს ციხე-ქალაქი, როგორ გამოიყურებოდა მისი ნაგებობანი, ქუჩები, სასახლეები?

ბათუმის მუზეუმში მიჩვენეს გონიოში შემთხვევით ნაპოვნი განძი – ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები. ეს განძი ხომ სულ მცირედი ნაწილია იმისა, რაც იყო და გადაურჩა დროსა და უკეთურის ხელებს. და რამდენია ასე უგზო-უკვლოდ დაკარგული, მიტაცებული, გაქურდული, გაყიდული და გადანახული, რამდენ საიდუმლოს ინახავს ჯერაც ეს მიწა! მაგრამ ის, რაც ნაპოვნია...

ეს ნაკეთობანი იმ წინაპართა ნახელავია, რომელთა შთამომავლობამაც მომდევნო ხანაში შექმნა სწორუპოვარი ოშკი და ბანა, სვეტიცხოველი და ალავერდი, ბაგრატის ტაძარი და ხახული, ოპიზა და ტბეთი, უფლისციხე და ვარძია, ხირხათი და კვეტერა, მარტვილი და ბედია, შატილი და მუცო, დავით-გარეჯი და ხორნაბუჯი, სვანური ციხე-კოშკები, სხალთა და იკორთა, ნიკორწმინდა და ბიჭვინთა, ანაკოფია და თმოგვის ციხე-სიმაგრე, არტანუჯი...

და საოცარი ის არის, რომ ქართველმა ხალხმა, რომლის ცხოვრებაც დასაბამიდან იყო დაუსრულებელი ბრძოლა არსებობისათვის, უთანასწორო ჭიდილი ბედისწერასთან, რომლის თავზეც ცა მუდამ რისხვით იყო მოქურუხებული, რომელსაც მუდამ თან სდევდა ავბედითი შავი ყორანი, შეძლო შეექმნა ეს შედევრები. მიუხედავად ყველაფრისა, აშენებდა და შიგ აქსოვდა თავის დიად სულს, რომ მარად ეცოცხლა ამ სულს, ეცოცხლა და ნიშნი მოეგო ყოველგვარი ჯურის მომხვდურთათვის, ისტორიის უსამართლობისათვის: აი, მე ვდგევარ, მე ვარსებობ, მე ვცოცხლობ... მრავალჯერ დანგრეული, იავარქმნილი, მიწასთან გასწორებული და მაინც მარად უბერებელი, უკვდავი, ცოცხალი, დიადი!

რამეთუ, რასაც მტრობა ანგრევდა, ქართველი კაცის მარჯვენა აღაშენებდა ისევ და ისევ.

და ამის დასტურად, მართლაც რომ ყოველ მაღლობზე წამომართულა ციხე-კოშკი და ტაძარი. დგანან გვერდებშელეწილნი, სახურავჩანგრეულნი და ფრესკებშელანძღულნი, მაგრამ მაინც ამაყნი, ზვიადნი, გოროზნი – ქვებში გაცოცხლებული სული ჩვენი ხალხისა.

საქართველოში აღრიცხულ ძეგლთა რაოდენობა 5000-ს აღწევს და რამდენია აღურიცხველი, შეუსწავლელი, ჯერაც მტვერსა და ფერფლში დაფარულ-დამარხული, არქეოლოგის ნიჩაბს რომ ელოდება.

ჩვენში მართლაც თითოეული ქვა, თითოეული მტკაველი მიწისა ყვება თავის მრავალსაუკუნოვან თავგადასავალს, ყვება ამბავს ნგრევისას და აშენებისას, დაქცევისას და აღზევებისას.

და ეს დიდებული ძეგლნი წარსულისა მართლაც რომ «დუმილითაც წამებენ და ხმამაღლა ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა შემოქმედთა...»

«და მე მეგონა მიწა კი არა,
გადაეკვეთათ ჩემი სხეული».

***

შორს ინაკვთებოდა მთების გრეხილი – ესოდენ მახლობელი და საყვარელი. მერე ის მთები თანდათან დაპატარავდნენ, გაილივნენ და ბოლოს სულ გაქრნენ თვალსაწიერიდან.

მერე იყო უცხო ცა და უცხო მიწა-წყალი. იყვნენ დიდი და პატარა ქალაქები, იყო შეხვედრები თანამემამულეებთან, იყო გაჭირვება და ჭიდილი ცხოვრებასთან, იყო ხეირიანი საქმეც და იღბლიანი შემთხვევითობაც, გამარჯვება მცირე და დიდი წუხილიც და სევდაც, სინანულიც და გულისტკივილიც, იყო ყველაფერი ცოტ-ცოტა, მაგრამ აღარსად იყვნენ ის მშვენიერი, ამაყი მთები, აღარსად იყო იისფრად მოღაღანე ცა და ზღვა;

აღარც იმგვარი ალვის ხეები იყვნენ სადმე და თითბრისფერი მთვარეც იმნაირად არ ამინანქრებდა ტყესა და მდელოს. აღარც აჭარისწყლის გაუთავებელი ჩხრიალი ჩაესმოდა, უცნაურად ტკბილ სიმღერებს რომ დვრინით ბუტბუტებდა და გულს ტკბილ-მწარე ნაღვლით უვსებდა.

აღარ ესმოდა იმნაირი «ოჰოი ნანა» – იქით, ცხრა მთის გადაღმა რომ უფორიაქებდა სულს. აღარც სიმინდების ტაროების ფუჩეჩის სურნელი ატკბობდა მის გამძაფრებულ ყნოსვას.

და მაინც ეძებდა მათ დიდი თუ პატარა ქალაქების ქუჩებში, ეძებდა ყველგან, ეძებდა დაჟინებით, ჯიუტად. მაგრამ... ამაო იყო ყველაფერი.

და, რაკიღა ვეღარ პოულობდა ცხადში, მით უფრო მძაფრად ინახავდა ხსოვნა მათ ხატებას.

ინახავდა და ელოდა. ელოდა დრო-ჟამს. დრო კი მიდიოდა, წლები წლებს მისდევდა – მრავალი ქარტეხილიანი წლები. გორაძეების ოჯახი ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა უცხო მიწა-წყალზე: შრომობდა, ოფლს ღვრიდა, იძენდა, მრავლდებოდა.

ლუკმა არ ენატრებოდათ, მაგრამ პოეტის თქმისა არ იყოს, სამშობლოთი იყვნენ ღარიბნი.

და იბრაიმ გორაძეც მოთმინებით, მაგრამ ჯიუტად და დაჟინებით ელოდა დრო-ჟამს.

დადგა ეს ჟამიც.

...ხალხით გაჭედილ, ვეებერთელა დარბაზში იჯდა სახედასხეპილი და ანთებული თვალებით მისჩერებოდა მძიმე ფარდას, რომლის ყოველი შერხევა გულს უთრთოლებდა.

ამ ფარდის მიღმა კი იყო მისი სიყრმისდროინდელი ზღაპრები და მირაჟები, ოცნებანი და ხილვანი უძილო ღამეთა.

რამდენი მანძილი გამოიარა ავტობუსით, რომ ამ ქალაქში ჩამოსულიყო. იქნებ ბილეთიც ვეღარ ეშოვა, იქნებ ვეღარც ამ დარბაზში მოხვედრილიყო, მაგრამ ამაზე მაშინ არ ფიქრობდა. ერთ აზრსღა შეეპყრო ძალუმად მთელი მისი არსება: უნდა როგორმე ჩამოსულიყო სტამბულში. უნდა ენახა თავის თვისტომნი.

და, აი, ზის ახლა დარბაზში და ელოდება ფარდის ახდას, ელოდება და ცდილობს, დაიოკოს კანკალი, ძარღვებს რომ მოსდებია უნებურად. ზოგჯერ ცერად თუ გადახედავს აზუზუნებულ დარბაზს. ვინ იცის, აქ რამდენი მისნაირი ზის ახლა და გულისკანკალით ელოდება... ელოდება სასწაულს, ელოდება ოცნებათა ახდენას.

მერე ნელა აიწია ფარდა და სცენაზე თითქოს ერთბაშად დაიღვარა შუქის ჩქერალი.

ნარნარმა, სახემწყაზარმა ფერიებმა შემოიტანეს ეს უჩვეულო სინათლე.

შავჩოხიანი, ჩაუქი ბიჭები – ავაზასავით მოქნილნი და სხარტნი – ცერებზე შემდგარნი გარშემო უვლიდნენ ამ ტანლერწამა, თეთრსამოსიან ასულებს.

...თითქოს ზეცის თაღიდან ნელი რხევით დაეშვნენ ძირს, მიწაზე მზის ქალწულნი, თეთრი, სპეტაკი სამოსი რომ ეცვათ ტანზე, თავზე კი ნიავივით მსუბუქი ლეჩაქები ეხურათ. შავი, გრძელი ნაწნავები ოდნავღა ტოკავენ უმტვერო, თეთრ სამოსელზე.

დაგოგმანობენ მზის ასულები კდემამოსილი ღიმილით და ამაოდ ცდილობენ დაუსხლტნენ შავჩოხიანი ვაჟკაცების შევარდენის ფრთებივით გაშლილ მკლავებს.

და მოეჩვენა, რომ სცენაზე ველის ნაზი და ჰაეროვანი ყვავილები დაფარფატებენ, ხოლო ცისფერნაბდიან მთებს ფეხი აუდგამთ და ფერხულს უვლიან, როკავენ ცისფერნაბდიანი, ზვიადი მთები და მძლავრად გუგუნებს «ჰოიდა ლილეოს» ჰანგი...

და უცებ, ერთბაშად დაინახა ის მაღალი, უსაშველოდ მაღალი, იისფერი ცის თავანიც, ასე სულიმწარედ რომ ეძებდა. დაინახა ლურჯად მობიბინე თავისი ზღვაც და დაცვარული კორდიც. ძველი ციხის ნანგრევიც და ხიხანის მძლავრი ბურჯებიც, მკაფიოდ ჩაესმა მდინარის გაბმული დვრინიც და ალვის ფოთოლთა ღამეული ჩურჩულიც – «ოჰოი ნანას» რომ ათილისმებდა ღამის მდუმარებაში.

მის გამახვილებულ სმენას მისწვდა სიმინდის ფუჩეჩის ესოდენ ნაცნობი სურნელიც.

ახლოს, სულ ახლოს ჩხრიალებდა აჭარისწყალი. მდინარის გაღმა ლურჯად ჩაბინდული ტყე მდუმარებდა, შორს გორაკზე ძველისძველი ციხის ნანგრევი ცურავდა მთვარის თითბრისფერ სხივებში, ღამე მოდიოდა უცნაური და აღსავსე ზღაპრული იდუმალებით. მთვარით დაფერილი ოდა-სახლის აივანზე მიყუჟული პატარა ბიჭი თვალს არ აშორებდა მაღალ ცას – უბეს რომ ივსებდა თვალებბრიალა ვარსკვლავებით.

შხუოდა მდინარე. იგი იდუმალი ხმით ყვებოდა გასაოცარ, ჯადოსნურ ზღაპარს ოქროსთმიან მზეთუნახავსა და ცხრათავიან დევებზე, ვეებერთელა ხავსიან ლოდებად რომ ეყარნენ მდინარის ნაპირზე, ღამით კი გავეშებულნი, თვალების კვესებით დაეძებდნენ მზეთუნახავს, რომ ხელში ჩაეგდოთ და მიუვალი კოშკის ცხრაკლიტულში ჩაემწყვდიათ იგი, რათა თავის დღეში არ ეხილა დიდი, თბილი მზე და მზის ნათელი.

იჭერდნენ მაინც მზეთუნახავს ცხრათავიანი დევები, ამწყვდევდნენ ცხრაკლიტულში, მიუვალ კოშკში, მაგრამ მზის ასულის დასახსნელად მოქროდა მზეჭაბუკი თეთრჩოხიანი, თეთრ დარახტულ რაშზე ამხედრებული, მოქროდა და იქნევდა გრძნეულ ხმალს – ოქროსფრად მოჭედილს, იქნევდა მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან. და ცვიოდნენ ძირს დევების გადასხეპილი თავები, მაგრამ მათ ნაცვლად სწრაფად იზრდებოდნენ ახლები და ხელახლა სხეპავდა მათ მზეჭაბუკი თეთრჩოხიანი. არ იღლებოდა მზეჭაბუკი.

ცხრაკლიტულში დამწყვდეული მზეთუნახავი კი – მზეს და მზის ნათელს მოწყურებულ-დანატრებული, ელოდა თავის მხსნელს, ელოდა თეთრჩოხიან რაინდს.

ელოდა და სჯეროდა – გადაკაფავდა მზეჭაბუკი დევების ურიცხვ თავებს, შელეწავდა მიუვალ ციხე-კოშკს, დაიხსნიდა მზის ასულს ურჩხულთა ტყვეობიდან, შემოისვამდა თავის თეთრ მერანზე და გააქროლებდა მთათა მწვერვალებისაკენ, მზის საბრძანისში.

ასე სწამდა და სჯეროდა ოქროსთმიან მზეთუნახავს, ასე სწამდა და სჯეროდა პატარა ბიჭსაც. პატარა ბიჭი იმ ხალხის შვილი იყო, ვინც გამუდმებით ებრძოდა ქაჯებსა და დევებს, ვისაც სწამდა და სჯეროდა სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე, სინათლისა – სიბნელეზე.

სცენაზე კი ისევ ისე ნავარდობდნენ არწივებივით ფრთაგაშლილი ვაჟკაცები.

როკადნენ მზის სწორი ქალწულნი. იყო სულის ზეაღმტაცი სწრაფვა მზისკენ, სინათლისკენ.

ეს იყო მისი სამშობლოს ფერთა დღესასწაული, მისი თვალწარმტაცი ველ-მინდვრების ყვავილთა ზეიმი.

...და გულის სიღრმიდან დაიძრა ის რაღაც, დედის ხელივით თბილი და სათუთი, დაიძრა ჯერ პატარა ტალღებად, ისევე, როგორც ეს სჩვეოდა ბალღობისას, როცა უსმენდა ზღაპარს ოქროსთმიან ასულსა და მზეჭაბუკზე – მისი მრავალტანჯული ხალხის ხატებად რომ ესახებოდა ახლა...

ტალღა თანდათან იზრდებოდა, იქოჩრებოდა. ლამის წაელეკა მთელი სხეული და სუნთქვაშეკრულმა უნებლიეთ თვალი მოავლო განაბულ დარბაზს. მაყურებელთა თვალებიღა ანათებდნენ ჩაბნელებულ სივრცეს, სახეზე რაღაცნაირი, აუხსნელი სასოება, რიდი და მოკრძალება ეხატებათ.

ნუთუ შეიძლება, არსებობდეს ამგვარი სილამაზე? ნუთუ შეიძლება, რეალურად არსებობდნენ ასე მშვენიერი ასულები და ვაჟები? ცხოვრობდეს ხალხი, ვინც ქმნის და ასაზრდოებს ამ ღვთაებრივ მშვენიერებას?

კითხულობდნენ გაფართოებული თვალები უსიტყვოდ, უხმოდ.

თავად ხომ იცის, რომ მთელი არსებით, სისხლის ყოველი უჯრედით ეკუთვნის ამ ჯილაგს, ამ რასას, იმათ, ვინც გასაოცარი რხევით სულისშემტაც სიმფონიას ქმნის სილამაზისა, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია იმათი, ვის თვალებშიც ჩამდგარა ზვიადი სიამაყე და ქედუხრელობა მაღალი მთებისა, მათ სამშობლოს რომ რკალად შემორტყმია.

...უკანასკნელი აკორდი, ხორუმის სიმფონიაში ასვეტილი, ერთმანეთს გადაჭდობილი მხრები, შხვართი ფეხების უკანასკნელი გასმა...

აყალყებულმა სისხლის ტალღამ ერთბაშად გადათქერა, წალეკა ყოველგვარი ჯებირი... და გალურსულ დარბაზში გაისმა: – გაუმარჯოს საქართველოს!

ეს თითქოს ნიშანი იყო. მთელი დარბაზი ფეხზე დადგა.

ტაშისცემისაგან ზანზარებდა ჭერი. გვერდით მჯდომ ხანში შესულ მამაკაცს ეცა იბრაიმი, გადაეხვია, გადაკოცნა და... გზა იპოვა აქამდე შეგუბებულმა ცრემლის ნაკადმა.

მერე, როცა ოდნავ დაწყნარდა, როცა შეეძლო ხმის ამოღება და აზრის მოკრეფა, გვერდით მჯდომი კაცი რაღაცას ელაპარაკებოდა. იგი მემლექეთიდან ჩამოსული კინო-რეჟისორი გიორგი ასათიანი აღმოჩნდა.

მერე ერთმანეთს გადაება იბრაიმ გორაძისთვის უძილო, აფორიაქებული დღეები და ღამეები.

რითი და როგორ შეუძლია დაეხმაროს მემლექეთიდან ჩამოსულ თანამემამულეს?

და იბრაიმ გორაძე ფარულად დაატარებდა კინო-რეჟისორს ქართულ სოფლებში.

ოდესღაც იერემია გოდებდა თავისი დაქცეული და იავარქმნილი მამულის გამო... ბაბილონში გადასახლებულ ათი ათას თვისტომთა ბედის გამო.

მესხეთის ხვედრის გამო კი თვით იერემიასაც არ ეყოფოდა ალბათ ცრემლი და გოდება; ათი კი არა, ასიათასობით გადასახლებული მესხები... ძირფესვიანად მოთხრილი მესხური სოფლები...

დაატარებდა მემლექეთიდან ჩამოსულ კინორეჟისორს მესხთა მიერ ნაშენ სოფლებში და პოეტის ფრიდონ ხალვაშის სიტყვებით ეუბნებოდა სათქმელს.

«წამო, ა, მთაზე ჩვენი სოფლებია,
ოდა-სახლებია გურჯთა-მუჰაჯირთა,
განა კერიები დაგვიობლებია?
ქოხსაც საქართველოდ ვგულობთ თუ გაჭირდა.

სარის ღობეებთან გვიდგას ნალიები,
და ბაღ-ბოსტნები რომ მწვანედ ინთებიან,
მრავლის მგალობელნი, მრავალნაირები
ჩიტნი სამშობლოდან ჩამოფრინდებიან.

მოაქვთ საქართველოს ზეცა ნისკარტებით.
და ჩვენს ტუჩგაპობილ კვირტებს აწვეთებენ,
ვჭექავ «ჰოიდა ნანას», წელში ვიმართები,
და მაქვს სიყვარული, რაც კი დამეტევა.

ვეღარ დაეტია სიყვარული იბრაიმ გორაძის სულში.
აფორიაქებული სული ეძახდა სამშობლოსკენ.

თურქეთის ქართულ სოფლებში მოსმენილი ბერიკაცის და კინო-რეჟისორის დიალოგი ნიადაგ ყურში ჩაესმოდა, სულს უწეწავდა, გულს უკაწრავდა ბასრი ბრჭყალებით:

«– შენ ქართველი ხარ, ძიაკაცო?

– მე გურჯი ვარ.

– გურჯი და ქართველი ერთია».

სინათლის შუქი უნდა შეიჭრას ჩაბნელებულ გონებაში.

იბრაიმს შეუძლია სიტყვით მოქსოვოს სინათლის სვეტი. შეუძლია.

...ხელთ მიჭირავს სტამბულში, მელაშვილის სტამბაში გამოცემული წიგნი: მას «გურჯისტანი» ჰქვია.

ნათლად და გასაგებად მოუთხრობს ეს წიგნი თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, ვინ არიან ისინი, სად არის მათი სამშობლო – გურჯისტანი – საქართველო, მის კულტურაზე... მის ხალხზე.

იქაურმა ქართველებმა ხომ ბევრი რამ არ იციან, არ წაუკითხავთ ქართული წიგნები, არ იცნობენ თავიანთ მშობლიურ ლიტერატურას. მართალია, ლუკმით არ არიან ღარიბები, მაგრამ «სამშობლოთი ღარიბები არიან».

უსამშობლობა – ამაზე დიდი წყევლა, ალბათ, არ იცის ისტორიამ ხალხისათვის. მესხებს კი სამშობლო წაართვა ისტორიულმა ავბედითობამ, დამპყრობლის ძალადობამ და მახვილმა, ჩვენს ძირძველ ფესვსა და მოდგმას სამშობლო ენატრება.

«მითხარ, როგორ არის მემლექეთი»... – კითხულობდა მრავალტანჯული კუთხის შვილი და უნდა უთხრას, ვიღაცამ უნდა გააგებინოს, უნდა ამოიღოს ხმა ვიღაცამ...

და იბრაიმ გორაძემ, როგორც შეუძლია, როგორი ძალა და უნარიც შესწევს, ისე უნდა უთხრას თვისტომთ სათქმელი, ამისათვის კი თავი უნდა დაიგულოს იქ, საიდანაც არის მისი ფესვი და ძირი. ამისათვის სჭირდება სამშობლოს ჰაერი, სამშობლოს ველ-მინდვრების სუნთქვა სჭირდება. და ათი წელი იბრძვის იგი ამ უფლებისთვის. იბრძვის გამწარებით. იბრძვის კბილებით, ფრჩხილებით, რითაც შეუძლია.

და მიაღწია მიზანს, ეწია საწადელს, მთელი ჯალაბით ის ახლა აქ არის, თავის მამა-პაპათა მიწა-წყალზე, მაგრამ...

ეს როდი კმარა. ყველამ უნდა გაიგოს, ვინ არიან ისინი, სადაურები, რა ჯურის ხალხია, რა უბედურება დატრიალდა მათ თავზე, რამეთუ:

«მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,
ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული.
და შენი სიტყვის გადასარჩენად
ილეწებოდა ჩემი სხეული.

გამომივლია ჭირი ყოველი,
ღიმილიც ვიცი, დარდის მოთმენაც...
მე ჭოროხ გაღმა ორი სოფელი
დამრჩა ნახევარ ქართლის ოდენა».

«მამელუქი» – უიარაღოს ეს თითქოს სისხლით დაწერილი მოთხრობა უნდა წაიკითხოს თურქეთში მცხოვრებმა ქართველმა. ასე მიაჩნია იბრაიმს.

და თურქულ ენაზე თარგმნის ამ პატრიოტულ ნაწარმოებს.

მელაშვილი სცემს მას სტამბულში. კიდევ: კიდევ თარგმნის სიმონ ქვარიანის «დიდ მოურავს», მერე აკაკის – «ბაში აჩუკს». მერე...

შევცქერი ბატონ იბრაიმის სახეს და რატომღაც განსვენებული კონსტანტინე გამსახურდიას გამოხედვას ვიჭერ მის თვალებში.

დაღლილი მიმინოს გამოხედვა... მიმინოს, რომელიც კიდევ წამი და ფრთებს გაშლის, შეინავარდებს ცის უსაზღვროებაში.

რატომ მეჩვენება, რომ ახლა ჩემს წინ ზის სწორედ დიდი კონსტანტინე! თითქოს მწერლის სახის ნაკვეთებს ვხედავ ამ დახვეწილი, ნატიფი მანერების მქონე, 60 წელს მიტანებულ დარბაისელ ადამიანში.

მაჩვენებს სტამბულში გადაღებულ თავისიანების სურათებს.

ეს დიდრონი, ბუდეშურა, ქართული თვალები არავისში არ აგერევა, არ შეგეშლება! ეს შენია. შენი სისხლია. შენი ხორცია...

– წიგნებიდან აღებული ჰონორარი? – კითხულობს ბატონი იბრაიმი. იმ ჰონორარით უფასოდ უნდა დაურიგდეს თურქეთში მცხოვრებ ქართველებს მის მიერ თარგმნილი ქართული წიგნები.

ასე მიაჩნია საჭიროდ იბრაიმ გორაძეს და აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია მისი ორი ვაჟი – გერმანიაში რომ მუშაობენ და ცხოვრობენ ამჟამად («ათი წლის წინ რომ მომეხერხებინა აქ ჩამოსვლა, მაშინ ჩემი ცხრავე შვილი, მთელი ჩემი ოჯახი დაუშლელად აქ მეყოლებოდა»-ო, – ასე ამბობს ბატონი იბრაიმი), თავიანთი ცოლ-შვილითურთ ჩამოიყვანოს აქ, საქართველოში. აქ უნდა დასახლდნენ ისინი, აქ უნდა იცხოვრონ და იმუშაონ, – ასე მიაჩნია მამას – ოჯახის უფროსს.

არა მხოლოდ პურითა ერთითაო...

უსამშობლოდ ჰაერიც მწარეაო, თუნდაც ფუმფულა პურს მაძღრისად მიირთმევდეო.

«ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა სამშობლოთი ღარიბი ხარ. შესანიშნავად აქვს ნათქვამი პოეტ ფრიდონ ხალვაშს. სხვაც ბევრი რამ აქვს ჩინებულად ნათქვამი, მაგრამ ეს ლექსი... ეს ლექსი. მაინც სხვანაირად ხვდება გულს», – იბრაიმი ჩუმდება.

ეს ლექსი გულს კაწრავს მტკივნეულად, ეს ორად გაყოფილი მამულის ჩივილია, მისი დაჭრილი გულის კვნესაა, ეს იერემიას მოთქმა და გოდებაზე უფრო მწარეა, უფრო მძაფრია, რადგან იგი დღევანდელი ტკივილიცაა – არა მხოლოდ წარსული, არა მხოლოდ ისტორია.

«...მითხარ, როგორ არის მემლექეთი»... როცა ისეთი შვილები ჰყავს სამშობლოს, როგორიც ბატონი იბრაიმ გორაძეა, იგი ცოცხალია, იგი იბრძვის, იგი გადარჩენილია.

მიწის ქვეშ დამარხული ქალაქი

ჩვენს წინ უზარმაზარი – ორმოც ჰექტარამდე გადაჭიმული ნაქალაქარია.

დეკემბრის საოცრად ნათელი, მზიანი ამინდი დგას. გურია-აჭარის მთები თოვლს დაუფარავს, აქ კი – ბარში – თითქოს ზაფხულია.

ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ამირან კახიძე და ახალგაზრდა არქეოლოგი იური დავითაძე ახსნა-განმარტებას მაძლევენ ნაქალაქარზე.

ფიჭვნარის დასახლება – ნაქალაქარი გაშლილი ყოფილა მდინარე ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეც.

17 წელია ამირან კახიძე ფიჭვნარს თხრის... ბოლო წლებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაპოვარი შესძინა მეცნიერებას. გათხრილია 150-მდე სამარხი. კოლხურ და ბერძნულ სამაროვნებს 28 ჰექტარამდე ფართობი უჭირავთ. ასეთი გრანდიოზული სამაროვანი ჯერჯერობით ერთადერთია მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. თანაც მეზობლად გვერდი-გვერდ აღმოჩნდა ბერძნული და კოლხური სასაფლაოები.

ამას გარდა, გაითხარა რაღაც საკულტო კოლხური ნაგებობა. ამირან კახიძის ვარაუდით, შესაძლოა, ამ ქვიშა-ბორცვებზე ყოფილიყო საერთო სატომო-საგვარეულო ადგილები, სადაც წელიწადის გარკვეულ დროს სრულდებოდა ხარისა თუ სულის კულტთან ან ზღვის ღვთაებასთან დაკავშირებული საკულტო ცერემონიალი.

ამ ვეებერთელა ნაქალაქარის მხოლოდ მცირე ფართობია გათხრილი.

შორს, თვალსაწიერზე მოჩანს ზღვის ლურჯი ზოლი, ჩრდილო-აღმოსავლეთით, გორაკებზე, მინდა თვალი ვკიდო ჩოლოქის ტერასებს, სადაც ტორფნარში პროფ. დურსუნ ხახუტაიშვილის არქეოლოგიურმა ესქპედიციამ დიდი ნასოფლარი – 4500-5000 წლის წინანდელი დასახლება აღმოაჩინა. მაშინ ზღვის ნაპირი სწორედ იმ ადგილას გადიოდა თურმე. მერე ზღვას დაუხევია 1 – 1,5 კილომეტრით. საინტერესოა, რომ ტორფიც ამავე დროის აღმოჩნდა. ამავე დროისაა ტორფები ფოთისა და ანაკლიის მიდამოებშიც. ზღვის დახევის პროცესი მიმდინარეობდა ერთიანად – გონიოდან სოხუმის მიდამოებამდე.

მიწათმოქმედი და მეტალურგი ტომების სულიერი კულტურის მძლავრი დანაშრევებია აქ, ზღვისპირა ქვიშიან ზვინულებსა და მთელ ამ ვრცელ ტერიტორიაზე.

ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში გამოვლენილია ბრინჯაოს, წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური და ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენები. მიკვლეულია სახელოსნო უბნები, საკულტო ადგილები, ვრცელი სამაროვნები.

«ქობულეთის ქვეყნის» ეკონომიურ დაწინაურებას, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი და მძლავრი კერის – ჭოროხის აუზის სიახლოვემ... და, საერთოდ, რკინის მეტალურგიის მძლავრი კერის არსებობა იყო ალბათ ამ ადრეანტიკური ქალაქის წარმოქმნის საფუძველი. რკინის მომპოვებელ სახელოსნოთა ნანგრევები დაცულია დიდ ტერიტორიაზე და 100-მდე ერთეულს მიითვლის. სახელოსნოების ერთი ჯგუფი უკვე შესწავლილია...

მდინარე ჩოლოქის აუზისა და ჭარნალის გათხრებმა დაადასტურა ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აქაური მემთამადნე ტომები ნედლეულად ზღვის სანაპირო ზოლში ჭარბად არსებულ მაგნეტიტურ ქვიშას იყენებდნენ. ყურადღებას იქცევს ფსევდო არისტოტელეს ცნობა რკინის გამოდნობის, ე. წ. ხალიბური და ამისური წესის შესახებ.

ხუთი ათასი წლის წინ ეწეოდა ქართველთა წინაპარი სამჭედლო საქმიანობას.

«თობელი, ესე იყო კვერით ხურო, მჭედელი რვალისა და რკინისა» («შესაქმეთა წიგნი»). «თობელისგანაა თობელები, ახლანდელი იბერები», აღნიშნავს VIII საუკუნის ბიზანტიელი მწერალი გიორგი სანგელოზი.

ამასვე ადასტურებენ ძველი ბერძნული მითები... ჰეფესტო ღმერთის სასწაულებს მიაწერდნენ ბერძნები კოლხთა საცარ შადრევნებს, სპილენძისფეხებიან მძლავრ ხარებს, რომელთაც სპინელნძისავე ხახები ჰქონდათ და ცეცხლის ალი ამოსდიოდათ. თითქოს ჰეფესტომ გამოუჭედა კოლხებს რვალის გუთანი, მტკიცე და მთლიანი... პრომეთე-ამირანის თქმულებაც შემთხვევით როდი უკავშირდება კავკასიას...

ქსენოფონტეს ცნობით, «კარდუხების სახლები სავსეა ბრინჯაოს ნივთებით», ხალიბების საარსებო საშუალება რკინის დამუშავებაა.

ძველი ბერძნები ფოლადს «ხალვიფს» – «ხალვიბდიკოს» უწოდებენ.

უკანასკნელმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ძველი კოლხეთი წარმოადგენდა იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრს რკინის მოპოვებისა და დამუშავების საქმეში. ამასთან, კოლხური ცენტრი ლითონს ამზადებდა არამარტო საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ გაჰქონდა იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ახლო აღმოსავლეთის ისეთ ქვეყნებში, როგორიც იყო ურარტუ, ასირია და სხვ.

ამიტომაცაა, ბიბლიური და ბერძნული გადმოცემები, ქართველ, კერძოდ, კოლხურ ტომებს – ფოლადის გამომგონებლად მიიჩნევენ...

ადრე რკინის ხანის კოლხურ საწარმოო ცენტრის ერთ-ერთ კერას სწორედ ჩოლოქ-ოჩხამური წარმოადგენს...

ბათუმის ისტორიისა და არქეოლოგიის მუზეუმში ამირან კახიძემ მაჩვენა თიხის ჭურჭელზე ნაკაწრი გამოსახულებები, რომლის შესახებაც პროფ. ა. აფაქიძე წერს:

«თიხის ჭურჭლებსა და სამარხში აღმოჩენილი, ქვებზე შენიშნული ნაკაწრი გამოსახულებები განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ, პირველყოვლისა, იმის გამო, რომ ასე «ნაწერის» ნაწილი მაინც შეიძლება სიმბოლურ ნიშნებს წარმოადგენდეს ან ყოველი მათგანი ცალკე ცნებას გამოხატავდეს ისევე, როგორც, მაგალითად, არქაული დამწერლობის ნიმუშები, აღმოჩენილი ურუქში, ჯუმლეთ-ნასრაში, ურსა თუ სხვაგან...

ჯავახეთში აღმოჩენილ გამოსახულებებში რომ დამწერლობის არქაული ჯგუფის ერთ-ერთი სახეობა ვივარაუდოთ, გამორიცხული არ უნდა იყოს».

პროფ. ო. ჯაფარიძემ თრიალეთში აღმოაჩინა ასეთი 180-მდე ამოკაწრული ნიშნიანი ქვა. ნიშანთა შორის გვხვდება სამკუთხედები, რომბები, კვადრატები, ხარის სქემური გამოსახულებანი და სხვ. არქეოლოგების ვარაუდით, ისინი დაკავშირებული არიან მაგიურ თუ რიტუალურ წრესთან.

«ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ისინი ამოშიფრეს, ამოიკითხეს და აალაპარაკეს მეცნიერებმა. ხომ შეიძლება დადგეს ასეთი დროც? არქეოლოგიას არა ერთი ასეთი შემთხვევა ახსოვს».

დიახ, არქეოლოგიას არა ერთი ასეთი შემთხვევა ახსოვს. შეიძლება დადგეს დრო, როცა მიკვლეულ იქნება ძველი კოლხური დამწერლობაც. იქნებ ალაპარაკდნენ კირბებიც: გვიამბონ თავიანთი ქვეყნისა და ერის თავგადასავალი, ერისა, ვისაც უხსოვარ დროში უცხოვრია, უბრძოლია, უშრომია, უმოღვაწია, შეუქმნია არა ერთი ბრწყინვალე ნიმუში ხელოვნებისა...

«შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წვრილსვეტები და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა» – («არგონავტიკა» – აპოლონიოს როდოსელი).

სვიდას ლექსიკონი გადმოგვცემს, რომ «კირბები სამწახნაგა დაფებია ქვისგან აღმართული სვეტებზე მიკრული. ამ დაფებზე სასულიერო და საერო კანონები იწერებოდა»-ო.

აპოლოდორე თხზულებაში «ღმერთთა შესახებ», ამბობს, რომ კირბები შეიცავდნენ ნაწერ კანონებს, რომ ყველა საზოგადო საბუთს და კანონებს კირბისი ერქვა, რომ ძველები ქვებს აღმართავდნენ და ზედ გადაწყვეტილებებს წერდნენ... კირბისი წმინდა წარწერათა შემცველი ბოძიაო.

«...ქართველი ტომები ჩანან არამარტო მფლობელნი დიდად განვითარებული კულტურის ძეგლებისა: ისინი იყვნენ, როგორც ირკვევა, ამ კულტურული

მონაპოვრების შემქმნელნიც. ამაში ჩანს ქართველ ტომთა თვალსაჩინო წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციაში» (ა. აფაქიძე).

«გამოირკვა, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ამ სამი ათას ხუთასი წლის წინ არსებობდა მაღალი კულტურის ადგილობრივი კერა, თანადროული ხეთური იმპერიისა (მცირე აზიაში) და მითანის სამეფოსი (შუა ევფრატზე), უფრო ძველი, ვიდრე ასურეთის მონარქია, რომელიც ძვ. წ. მე-12 საუკუნიდან ებრძოდა მუსკებსა და თაბალებს სირიისა და კილიკიის საზღვრებზე» (ვ. კუფტინი).

...ფიჭვნარი ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ქალაქი ჩანს, სადაც განუწყვეტელი საქალაქო ცხოვრებაა დადასტურებული ათასწლეულების მანძილზე. ის იქნებ აიეტის თანადროულიცაა...

უფრო მოგვიანებით, VI–IV საუკუნეებში ჩვ. წ.-მდე, იბერიისა და კოლხეთის ქალაქების წარმოქმნა და მათ შორის ფიჭვნარის დაწინაურება, როგორც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებისა, განაპირობა მონათმფლობელობის განვითარებამ, როცა ქვეყანაში ჩამოყალიბდა სახელმწიფოები და მიწათმფლობელურმა ურთიერთობამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

დაახლოებით ამავე ხანებში იწყება ბერძნების მიერ ინტენსიური კოლონიზაცია შავიზღვისპირეთისა, მაგრამ კოლხეთის სანაპიროზე მდებარე ქალაქები დიდ და მძლავრ სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ბერძნებს, რასაკვირველია, უხდებოდათ ანგარიშის გაწევა ამ გარემოებისათვის – კოლონიზაციის პროცესი აქ ისე არ მიმდინარეობდა, როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ანდა სიცილიაში.

ბერძნებს, ეტყობა, კოლხური ქალაქის გარკვეული უბანი ეჭირათ და აქედან ჰქონდათ სავაჭრო თუ კულტურული ურთიერთობა როგორც ადგილობრივ სამეფოსთან, ისე სხვადასხვა ქვეყნებთან.

კოლხური თეთრი – მსოფლიოს უძველესი მონეტა – (მე-6, მე-4 სს. ჩ. წ.-ამდე) უამრავი იქნა მიკვლეული ფიჭვნარის სამარხებში. 291 კოლხური თეთრის აღმოჩენა ერთ სამარხში (მე-5 საუკუნეში ჩვ. წ.-მდე) – ქიზიკურ უიშვიათეს მონეტასთან ერთად – მართლაც რომ სენსაციური ამბავია.

«კოლხური თეთრისა და უცხოური მონეტების თანაარსებობა იმის უდავო მანიშნებელი უნდა იყოს, რომ კოლხები ეწეოდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობას», – აღნიშნავს ამირან კახიძე, ხოლო განსვენებული ნინო ხოშტარია ამის თაობაზე წერდა: «ფიჭვნარი იძლევა კოლხურ თეთრთან უცხოური მონეტების აღმოჩენის პირველ უდავო შემთხვევას, რაც კოლხური თეთრის სათანადო მნიშვნელობას მოწმობს».

ქობულეთ-ფიჭვნარის (სინოპური მონეტებისა და კოლხური თეთრის) განძის მნიშვნელობა დიდია წმინდა ნუმიზმატიკური თვალსაზრისითაც. ამ ჯგუფის სინოპური დრაქმები თითქმის უცნობი იყო ნუმიზმატიკის ლიტერატურაში ქობულეთის განძის პუბლიკაციამდე.

...დავყურებ ოქროს პაწია კოლხურ მონეტას (სულ 0,13, გრამი თუ იქნება), რომელზეც საოცარი დიდოსტატობითაა გამოსახული ჩიტი და ქალის თავი. ეს მონეტა ფიჭვნარის უნიკალურ აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება. სულ 3 ცალია ნაპოვნი (სამივე ჩ.წ.-ამდე V საუკუნეს მიეკუთვნება).

«ფიჭვნარი, ეტყობა, წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, საერთოდ კი – ელინური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. აქ, V საუკ. 80-70-იანი წლებიდან ადგილობრივი კოლხური სამოსახლოს გვერდით გაჩენილი ბერძნული დასახლება... ათენთან არის დაკავშირებული...» (ა. კახიძე).

ბოსფორის ქალაქებში, ქ. ნიმფეაში კოლხური კერამიკული ნაწარმის და მონეტების აღმოჩენა (ძვ. წ. V საუკუნე), ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ბერძნულ ახალშენებთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთკავშირის გაფართოება, ეტყობა, კანონზომიერი მოვლენა იყო იმ დროისათვის. საინტერესოა, რომ ფიჭვნარმაც დაადასტურა ის მოსაზრება, რომ კოლხეთში «კერამიკული წარმოების ტრადიციები ისე ძველი და ძლიერი ყოფილა, რომ მასზე გავლენა ვერ მოუხდენია ბერძნული მხატვრული ნაწარმის საკმაოდ ინტენსიურ შემოტანასაც კი... პირიქით, ადრეანტიკური ხანის ფიჭვნარის მოსახლეობაში კიდევ უფრო დაწინაურებული ჩანს კერამიკული წარმოება. იგი კვლავაც საზრდოობს ადგილობრივი ფესვებით» (ა. კახიძე).

ფიჭვნარის საგანძურში ნაპოვნია სვასტიკიანი გამოსახულებანიც... ბრინჯაოს სვასტიკა – მზის მუდმივი მოძრაობის სიმბოლო, მიწათმოქმედი ხალხის კულტურაში რომ იჩენს თავს (ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ანტიკური სამყარო) და ასე ხშირად რომ გვხვდება ქართული მიწის წიაღში. მიწათმოქმედი ხალხი – გეორგოს – ასე უწოდეს ბერძნებმა ქართველებს: გეა – მიწა (სვანური – გიმ).

არგონავტები კოლხეთის მიწაზე, ფაზისის ნაპირზე ღმერთქალ გეას და სხვა აქაურ ღმერთთა პატივსაცემად ღვრიან ზედაშეს და ევედრებიან შემწეობას, ხელის მომართვას. შესაძლოა, ძველი ქართველი ტომებისათვის ყველაზე დიდი ღვთაება იყო ღმერთების დედა – მიწის ქალღმერთი გეა (სვანეთში შემორჩენილია თურმე ფიცილი: მიწისა და ცის მადლმაო – დეცეგიმი ლამზურღო, მეგრულში – ღვთაება ცა – ცაშდღა – ცაშხა – ცის ღვთაების – ნანას დღე).

იასონი პელაზგი იყო და მისთვის კოლხური ღვთაებანი არც ისე უცხო და უცნობი უნდა ყოფილიყო...

კოლხურ მონეტებზე აგრეთვე ხშირადაა გამოსახული ხარის თავები – ხარის კულტის არსებობის უტყუარი ნიშანი. საგულისხმოა მზის გამოსახულებიანი კოლხური მათარები თუ სხვადასხვა ჭურჭელი – კოლხ ოსტატთა ბრწყინვალე ნახელავი.

...ფიჭვნარის მოსახლეობა მისდევდა მეთევზეობას, მევენახეობა-მეღვინეობას (აღსანიშნავია ქვევრების სიმრავლე), მეთუნეობას, მეტალურგიას... აქედან ტოპონიმები: ოჩხამური (სათევზაო ადგილი), ნამჭედური, ნაპურვალი... აშენებდა ხის სახლებს, შიგნიდან ბათქაშით შელესილს – ნესტისაგან დასაცავად, ჰქონდათ ლამაზი, წვრილი კენჭებით მოკირწყლული ეზოები, კეთილმოწყობილი ქუჩები, სასახლეები, რომელთა სვეტებზეც ვაზი იყო შემოხვეული, კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებდათ ახალმოსახლე ბერძნებთან, ერთად ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ვაჭრობდნენ, ლხინობდნენ, კვდებოდნენ...

იყვნენ ღარიბებიც, მდიდრებიც. ჰქონდათ თავიანთი სალოცავები, საკუთარი სამაროვნები, მაგრამ მშვიდობიანად თანაარსებობდნენ; ბერძნები ხომ პატივს სცემდნენ კოლხებს, ღმერთების შთამომავლებად მიიჩნევდნენ მათ (ბერძნები, კი როგორც ცნობილია, ყველა არაბერძენს ბარბაროს ეძახდნენ!). აიეტი ხომ ბერძნულმა მითოლოგიამ მზის შვილად შერაცხა.

«და მზის ღვთაების შვილის გარშემო ცხოვრობს
კოლხების ურიცხვი ტომი.
თვით აიეტი არესს ედრება, ღონით, დიდებით,
მქუხარე ხმითა».

ძლევამოსილი და მრისხანე კოლხეთის მეფის საბრძანისს მზის სამეფოს უწოდებდნენ, მის მკვიდრთ – მამაც და უშიშარ მებრძოლებს:

«კოლხეთის გმირნი, ყმაწვილნი, ქალნი, ომში მამაცნი
და უშიშარნი», – ამბობს დიდი ბერძენი პოეტი ესქილე კოლხებზე.
აიეტის დამ – კირკემ თვალებით იცნო ძმისწული, რომელიც მანამდე არ ენახა:

«რაწამს ჩახედა თვალში მედეას, ცნო ჰელიოსის
შთამომავალი,
რადგან მზის ღმერთის მემკვიდრეები აფრქვევენ
თითქოს სხივებს შორიდან,
და ეს ნიშანი საგვარეულო იყო ადვილი გამოსაცნობი».

ასე სწამდა და სჯეროდა აპოლონიოს როდოსელსაც.
ერთ-ერთ კოლხურ მათარაზე ბორჯღალა მზეა ამოტვიფრული.

«...და მთვარე თეთრი

სიასამური მირეკავს კრავებს».

...ციხის კედელში გაჭრილი სარკმლიდან თავი გავყავი და ზღვას ჩავხედე.

სულ ახლოს იწვა ზღვა, წყნარი და მშვიდი. და თითქოს წარმოუდგენელი იყო ახლა, რომ სულ ერთი დღის წინ ეს რბილი და ალერსიანი ტალღები ყალყზე იყვნენ შემართული, ზათქითა და ღრიალით აწყდებოდნენ ნაპირს, გრუხუნებდნენ, ბრდღვინავდნენ, იგლიჯებოდნენ. ცაც ჩაშავებულ-ჩამოძონძილი იყო და ქარიც თითქოს თმით ათრევდა ყომრალ ღრუბლებს.

ამ ციხის კედლებთან იჟლიტებოდა რომაელების კოჰორტები და სპარსელთა ურდოები. მაგრამ მისი აღება ვერა და ვერ ხერხდებოდა. პეტრა მიუვალ, აუღებელ ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ხაზგასმით აღნიშნავდა პეტრას უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას, ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი კი წერს: «ჩაქვის წყალზე (ზღვის კიდეს) არს ციხე ქაჯეთისა. მაგარი, მაღალსა კლდესა ზედა ნაშენი», აკად. სიმონ ჯანაშიას აზრით, პეტრამ ისეთივე როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოში, როგორიც თბილისმა აღმოსავლეთ საქართველოში.

პეტრა, ისევე როგორც უჯარმა აღმოსავლეთ საქართველოში, ციხე-ქალაქის ტიპურ წარმომადგენლადაა მიჩნეული. როგორც უჯარმა, ისე პეტრა და ვაშნარი, ერთიანი გეგმითაა ნაგები. ციხესთან ერთად შენდებოდა ქალაქის ზღუდეც.

1961-62 წლებში პეტრას აკროპოლის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

აღმოჩენილ იქნა ადრეფეოდალური ხანის ნაგებობის ნანგრევი – ბაზილიკისა და აბანოსი. პეტრაში იმყოფებოდა საეპისკოპოსო კათედრალი. მაშასადამე, არსებობდა

კათედრალური ტაძარიც – ამით აიხსნება ციხისძირის ბაზილიკის სიდიდეც დასავლეთ საქართველოს სხვა, ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკებთან შედარებით. იგი მხოლოდ ციხე-გოჯის ბაზილიკას თუ ჩამოუვარდება. ბუნებრივია, დედაქალაქის ბაზილიკა უფრო დიდი იქნებოდა. ეს ციხე-გოჯის (ნოქალაქევის) ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა.

V-VI საუკუეებში ერთმანეთს შეეჯახა ორი მძლავრი სახელმწიფოს – ბიზანტიისა და სპარსეთის ინტერესები. ცილობის ობიქტი ისევ საქართველო აღმოჩნდა, კერძოდ, ლაზიკა, რომელიც კოლხეთის მემკვიდრედაა მიჩნეული. ეგრისი ანუ ლაზიკა იქცა სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად. იჟლიტებოდა ხალხი გაუთავებელ ბრძოლებში, იწვოდა ქალაქები, ინგრეოდა ციხე-კოშკები, ტაძრები, სასახლეები.

რა ხერხს არ მიმართავდნენ მომხვდურები, რა საშუალებას, ოღონდაც ძირფესვიანად მოესპოთ ამ ურჩი, ამაყი ხალხის სახსენებელი.

არადა, რომ არ ხერხდებოდა მაინც მისი ამოძირკვა? რომ არ ილეოდა მის მიწა-წყალზე გუბაზისდარი გმირები, ფაფარგაშლილ ცხენებს რომ დააგელვებდნენ ხმალშემართულნი და წინ მიუძღოდნენ ბრძოლებში თავის მცირერიცხოვან, მაგრამ გულად ხალხს უთვალავი მტრების წინააღმდეგ.

...დიდი ცდის შემდეგ სპარსელებმა მაინც შეძლეს მიეკვლიათ გუბაზზე განაწყენებული წარჩინებული კოლხისათვის.

და აღუთქვეს ბარსანეს... აბა, რას არ აღუთქვამდა ცბიერი სპარსი კოლხს, ოღონდაც მას ვერაგულად მოეკლა თავისი ქვეყნის უმამაცესი და ურჩეულესი მეფე, მისი ღირსებისა და ვაჟკაცობის სიმბოლო, სახალხო გმირი, რომელიც ერთნაირად საყვარელი და მომხიბლავი იყო როგორც წარჩინებული, ისე უბრალო ადამიანებისათვის, თავისი შეუპოვრობის, სიმართლისმოყვარეობის, გულადობის, უბრალოებისა და კეთილშობილების გამო, რომელიც კბილებითა და ფრჩხილებით იცავდა კოლხი ხალხის მეობას, მის უფლებას ამქვეყნად არსებობისა, და ამდენად, ათმაგად უფრო საძულველი, საშიში და სახიფათო იყო იგი ორივე მხარისათვის – ბიზანტიისთვისაც და ირანისთვისაც.

მაშ ასე: ერთხელ კიდევ მიმართეს მტრებმა იუდას ხერხს – ღალატით განწირვას დიდი მამულიშვილისა.

ადამიანის ქვენა, უმდაბლეს გრძნობებზე დაყრდნობით მიზნის მიღწევა, სხვათა შორის, ესეც ნაცადი და უძველესი ხერხია ყოველი ტირანისა ამქვეყნად, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში.

მაგრამ ყველა დროის დესპოტსა და ტირანს – თავად ნაძირალასა და ავაზაკს – მუდამ ერთი შეცდომა მოსდის: «ავიწყდება» კეთილშობილების არსებობა ქვეყანაზე:

ამჯერად რაოდენი უნდა ყოფილიყო სპარსელთა გაცოფება, როცა მათ მიერ ასე საგანგებოდ ნალოლიავებმა ბოროტებამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

ბარსანემ გუბაზს გაუმხილა სპარსელთა ზრახვანი... მასში პირადი წყენა დაჩრდილა საერთო-საქვეყნო საქმემ, თავისი ერის ინტერესმა, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძოდა გუბაზ მეფე... მაგრამ ის, რაც ვერ შეძლეს სპარსელებმა, მოგვიანებით შეძლეს ბიზანტიელებმა. ოღონდ ვერაგული მახვილი ამჯერად უკვე თავად ბიზანტიელ სარდალს ეჭირა ხელში.

მტერთათვის ესოდენ საძულველი და საშიში პიროვნება მაინც გაიწირა განგების მიერ, რათა მერე უკვდავება მოეპოვებინა თავისი მრავალტანჯული ხალხის გულში...

«შენი თვალები ანთებული ცისფერი ცეცხლით,
ო, იმ დღეს იყო იდუმალი, როგორც ოდიში.

შეურხეველი იდგნენ ლანდები
და მათთან ერთად ჩვენც ვიდექით
მტრის მოლოდინში».

...ეს საღამო თითქოს იმპროვიზებული პოეზიის საღამო იყო. სუფრის არაოფიციალური თამადა, მისი გამგებელი იყო პოეზია და პოეტი. სხვათა შორის, ეს არ იყო პირველი შემთხვევა: ასე ხდებოდა ბათუმშიც, ქობულეთშიც...

ქობულეთში, პეტრას გადაღების დამთავრების «აღსანიშნავ» საღამოზე, ბიჭები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების თქმაში და ეს მოხდა სრულიად ძალდაუტანებლად, ბუნებრივად...

ვუყურებდი ამ შესანიშნავ ახალგაზრდებს და, ჩემდა უნებურად, ვფიქრობდი... ჭეშმარიტად, ქართული სუფრა, როგორი პატარაც არ უნდა იყოს იგი, უსათუოდ არის ქართველი კაცის შინაგანი პოეტური ბუნების გამოვლინების ასპარეზი; საქართველოს წარსულის დიდებული გმირების, მათი უკვდავი სულის მოსახსენიებლად იყო თქმული ეს ლექსებიც...

და ასეთი მძაფრი აღქმა პოეზიისა, ასეთი უშუალო განცდა სიტყვის მშვენებისა სხვაგან იშვიათად თუ მინახავს.

როგორი ლაღნი, ხალისიანნი, მჭევრმეტყველნი იყვნენ სუყველანი! რა გულწრფელად, მგზნებარედ ჟღერდა გალაკტიონის, მურმან ლებანიძის, ლადო ასათიანის, ბერნსის ლექსები...

შევყურებდი ამ ცოცხალ, მეტყველსახიან, მკვირცხლსა და უაღრესად, ზედმიწევნით ზრდილ ბიჭებს და გული სიამაყით მევსებოდა: «ენით შებღალული და დაჩაგრული მაჰმადიანი ქართველები», – რა უცხოდ გახმიანდებოდა ახლა ეს სიტყვები, ხმამაღლა რომ წარმოეთქვა ვინმეს; არადა, ამ სამოციოდე წლის წინ ასე სწუხდა თავის თანამოძმეებზე ჰაიდარ აბაშიძე.

...ბათუმში, ციხისძირსა თუ ხულოში, მახოსა თუ სარფში, ხიხაძირსა თუ გოდერძის უღელტეხილზე, ყველგან, სადაც კი მომიწია ყოფნა, თან მახლდა უჩინრად ჩვენი წინაპრების აჩრდილები და მინდოდა, მათაც მოესმინათ ამ ახალგაზრდებისათვის, დაენახათ, განახლებული თავიანთი კუთხე.

...ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ილანდებოდა სარკმლიდან და ზღვის ჩუმი შრიალი შემოდიოდა პაწია ოთახში, პეტრას გალავანთან რომ იყო მიყუჟული, ხანაც ავაზას მოქნილი ტანი აისვეტებოდა თითქოს ღამის სიბნელეში და ცეცხლს დააკვესებდა თვალებიდან...

პოეტი ზურაბ გორგილაძე ჯადოქრობდა წინაპართა სუნთქვით ათრთოლებულ ციხისძირის ღამეს, ქართული ლექსის ეშხით მოსევადებული ღამე თვალფხიზლობდა უთვალავი ვარსკვლავებით, გაოცებით რომ ახამხამებდნენ ოქროსფერ წამწამებს.

ეს იყო ღამე, უსასრულო, უკიდეგანო პოეზიის, ჟამი მისი აღზევების...

აქ, ამ პაწია ოთახში, თითქოს მეჭიბონე ამბობდა თავის უკვდავ და უბერებელ სიმღერას.

ეს იყო სავსება სულისა, იმ სულისა, რისი ამღვრევა და შებილწვა სანუკვარი ოცნება იყო ყოველი ჯურის გადამთიელისათვის.

გარეთ კი, პეტრას დიდებული ციხე გადმოჰყურებდა ამ ღამეს და მის ნახევრად დალეწილ ქონგურებზე კვლავაც მომდგარიყვნენ აბჯარასხმული მეომრები და სულგანაბულნი უსმენდნენ მარგალიტებად ასხმულ და აკინძულ ქართულ სიტყვას...

«...სულ ახლოს იდგა მეფე გუბაზი,

მეფეს ჩაეცვა წყვდიადის ტოგა
და ერეოდა ჩვენს საუბარში.
თითქოს თხუთმეტი საუკუნე გაქრა უეცრად,
რომაელების წერილს ველოდით.
იყო სიბნელით შესუსტებული
ძალაუფლება დღევანდელობის...»

და ერთი ამბავი მენიშნა: ზურაბ გორგილაძის შესანიშნავი ლექსის, «კოხტა კოლხის» ადრესატი ბონდო ჯიქია აქვე უჯდა სუფრას. ეს ჩვენი უძველესი ფესვების ერთიანობის ნიშანი განსაკუთრებით ახლა მეცა თვალში.

დიახ, ქობულეთის მახლობლად, ციხისძირში, ამ რაიონის ხელმძღვანელი კოლხი თამადობდა სუფრას, სადაც მესხთა მოდგმის ერთი ჩინებული პოეტი მარგალიტებივით ჰკინძავდა ლექსებს. მერე კოლხმა ჩამოართვა სიტყვა მესხს – ახლა თავად ბონდო ჯიქია ამბობდა პოეტის ლექსებს – მენიშნა ისიც: უძველეს კოლხურ მიწაზე, ქაჯეთის ციხის ძირას, ჟღერდა ქართველი პოეტების მარადცოცხალი, უკვდავი ლექსები...

ჩანჩქერივით ქუხდა და ჯავარობდა ღვთით კურთხეული ქართული სიტყვა.

...მერე, როცა იუსუფ კობალაძის იუბილეზე ბათუმის თეატრის დარბაზშDი ვიჯექი, დატყვევებული დიდი მსახიობის ოსტატობით, მსახიობის, რომლის თვალებშიც ვიჭერდი გამოხედვას «იმ ერთი ვინმე მესხისას», სცენაზე უჩინრად შემოფარფატდა ტანწერწეტა ასული ფატმა კობალაძე და ერთბაშად აბრიალდა ყველაფერი, აენთო, გაბრწყინდა.

არა, ფატმა კობალაძე არ ცეკვავდა იმ საღამოს. ეს «ხორუმი» და «განდაგანა» იყო. ეს «ოჰოი ნანა»-ს მღეროდნენ გოგონები. ეს მგალობელი აჭარა გახლდათ!

ხოლო, იქ გულში, სადღაც მის სიღრმეში «ჭოროხგაღმელი» ნაღვლიანად კითხულობდა:

«მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო.
რამე იმნაირი გამაგონე
გული დაკოდილი გავამრთელო»...

ჩაუქი ბიჭები «ხორუმს» უვლიდნენ სცენაზე. მოსხლეტილი, ავაზასავით მოქნილი ბიჭები ცეკვავდნენ საქართველოს სიფხიზლის სიმფონიას:

ფხიზლად! ფხიზლად!
ლომური კამარისთვის წახრილან.
ფხიზლად! ფხიზლად! – ხორუმი
გრგვინავს სულის ძახილად...

– ფხიზლად! – საქართველოს
გარეშემო უვლიან.
– არავინ გადათელოს
აჭარა და გურია...
...ბრძოლებით გვიპოვნია, –
ჰკითხე სარფს და ციხისძირს, –
ხორუმი – სიმფონია

საქართველოს სიფხიზლის.

...ხარბი ინდოთ მეფე არ დასჯერდა თავის სიმდიდრეს, კარ-მიდამოს, ლამაზ ცოლებს და მისმა გაუმაძღარმა გულმა მოიწადინა, თავის საბრძანისში სამოთხის გაშენება და შიგ ციური ანგელოზების დასახლება. მისმა ნაზირ-ვეზირებმა მთელ ქვეყანაში შეიპყრეს ყველა ანგელოზი და დატყვევებულნი ინდოეთის გზას გაუყენეს. იმ ადგილას, სადაც ახლა საქართველოა, ამბავი მოუვიდათ: ინდოთ მეფეს ზედმეტი თავგასულობისა და კადნიერებისათვის ღმერთი გაურისხდა და სასტიკად დასაჯაო: გველები შეუსია და შეაჭმევინაო იგი.

ტყვე ანგელოზებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, აღარ დამორჩილდნენ ნაზირ-ვეზირებს, ინდოეთში აღარ გაჰყვნენ, არც ცაში დაბრუნება ისურვეს: მოეწონათ ეს ნათელი, მზიანი, ყოველმხრივ შემკული ლამაზი ადგილი და საბოლოოდ აქ დარჩენა გადაწყვიტეს.

ასე დასახლდნენ საქართველოს მიწა-წყალზე ციური ანგელოზები და ქართველი ასულებიც თურმე იმ ანგელოზთა შთამომავალნი არიან, ასე რომ ატყვევებენ ადამიანის თვალებს და საქართველოც იმ დღიდან დაერქვა თურმე, რადგან ინდურ ენაზე ქართული ლამაზს ნიშნავს...

ეს ლეგენდა მაგონდებოდა, როცა ვუყურებდი მშვენიერ ქალთა დახვეწილ, ნატიფ მოძრაობებს სცენაზე, როცა სულში შემოდიოდა «ოჰოი ნანას» უტკბილესი ჰანგები.

...დახოცე, გაჟლიტე, აყარე, მიმოფანტე, სხვა მოდგმის ხალხი დაასახლე მის ნაფუძარზე, შეუმღვრიე სისხლი, ხორცის მშვენება, წაართვი, წაღლიტე, გამოწოვე სისხლი ნელ-ნელა, გადააგვარე, გადააჯიშე, გადააშენე...

რამდენჯერ დამდგარა საბედისწერო ჟამი!

დაამცირე და დააკნინე, წაახდინე და დააბეჩავე – და ეს ხდებოდა ჯიუტად, დაჟინებით, საუკუნეების მანძილზე...

და მაინც არ დაეცე. არ გადაშენდე. და მაინც ამაყად იდგე ფეხზე. და... ქმნიდე!

ბრძოლა სიკეთისა ბოროტებასთან, სინათლისა – ბნელეთთან – აი, უმთავრესი დედაარსი რუსთველის უკვდავი პოემისა. «ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია» – ეს იყო წმიდათა წმიდა, შეურყეველი რწმენა ქართველი ერისა, რომლის მთელი ცხოვრება დასაბამიდან იყო უთანასწორო ჭიდილი «თვალბედით შავ ყორანთან», წყვდიადთან, შავბნელ ძალებთან – ცხრათავიანი დევებისა და ქაჯების სახით რომ ჰყავდა წარმოდგენილი ხალხურ ფანტაზიას.

გამოწვევა ამ უსამართლო ბედისა, ბედის სამძღვრის გადალახვა, ძლევა ჭირთა მრავალთა, ძლევა და სწრაფვა მზისკენ, სინათლისკენ – აი, მიზანთ მიზანი მერანის თავგანწირული ქროლვისა.

რწმენა – სიკეთის, მშვენიერებისა და სილამაზის გამარჯვებისა – არის ალბათ იმ ზღაპრული ფასკუნჯის – ხახულის ტაძარზე რომაა ამოკვეთილი – ჩვენი ეროვნული განახლება-აღორძინების სიმბოლოს – უკვდავების მიზეზი. ეს არის მიზეზი, ისევ ისე რომ «ციმციმებს საქართველოს ლურჯი ტატნობი».

...იმ ღამეს, ციხისძირის იდუმალ, ნათელ ღამეს, «ცას მილურსმული კოშკები თუ ცით მოფრენილი ტაძრები» – ცერზე შემდგარიყვნენ.

სუფრის გამგებელი, მისი თამადა იყო ქართული პოეზია, მარად უბერებელი და უკვდავი სული ჩვენი ერისა.

1978 წ.

«დაშთომილ ვართ ყურესა ამას»...

«უნაგირას ძირში არს ნოქალაქევი
ციხე-გოჯად წოდებული».
ვახუშტი

უპირველესი და უდიდესი

შიდა ციხიდან, ანუ აკროპოლისიდან როგორც ხელისგულზე, ისე იშლება კოლხეთის ვრცელი დაბლობი, რომელიც ერთიმეორეში დიდი და პატარა მდინარეებითაა გადახლართული. დაკლაკნილი ტეხურა ერთგან თითქოს სამკუთხედს ჰქმნის.

შორს, თვალსაწიერზე ილანდება ზღვის ცისფერი ბლონდი, სიფრიფანა ნისლში გახვეული. ხელმარცხნივ მარტვილის ტაძრის თეთრი სილუეტი მოჩანს, ხელმარჯვნივ კი, მაღლობზე, მართლაც ოცნებასავით აღმართულა შხეფის ციხე-სიმაგრე.

სახელგანთქმულ მოგზაურ სტენლის, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში დაკარგულ ლივინგსტონს დაეძებდა, იქაური ოაზისები თავისი ბუნების სიმშვენიერით, სამეგრელოს აგონებდა. კ. ბოროზდინის თქმით კი: «საკმარისია კაცი ავიდეს რომელიმე ამ ქედზე, რომელნიც ქობასავით შემოჰკვრიან ველს და საიდანაც უნდა იქიდან გადმოიხედოს, ყველა ადგილიდან დაინახავს გრანდიოზულს და თავისის სიმშვენიერით გასაოცარ პანორამებს... სული გიგუბდება, როცა ამ თვალუწვდენ სივრცეს უყურებ და ასეთ დახატულ ჩარჩოში ბუნებამ ჩასვა კავკასიის უნაყოფიერესი ველთაგანი, სადაც ხარობს ძალზე მრავალფერი კულტურა მცენარეთა სამეფოდან».

ქართული მატიანეები სამზღუდიან ქალაქ-ციხედ მოიხსენიებენ ციხე-გოჯს, ხოლო პროკოპი კესარიელის დახასიათებით, იგი «უდიდესი და ძველი ქალაქთაგანია», «ძალიან გამაგრებული და მთავარი, უპირველესი და უდიდესი», ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ციხე-გოჯი ლეგენდარულ აიასთან გააიგივა, რადგან მის წარმოსახვაში აიას თუ გაუტოლდებოდა ესოდენ უზარმაზარი ნაქალაქარი.

უძველესი გალავნის ზედა ნაწილში აგებულია ექვსი კოშკი. ამ კოშკებთან ორი შესასვლელი ჭიშკარი იყო. კარების ასეთი განლაგება მკვლევარ ვ. ლექვინაძის აზრით, უცნობია გვიან ანტიკური ხანის სიმაგრეებში ბარში აშენებული ციხეებისათვის. იგი დამახასიათებელია არქაული დროისათვის – ჩვ. წ. აღიცხვამდე XIV–XIII საუკუნეებისათვის. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსები მას არქეოპოლისს, ანუ ძველ ქალაქს უწოდებენ, არქეოპოლისი წარმოადგენდა ადგილობრივ საქალაქო ცენტრს, აგებულს ბევრად უფრო ადრე, ვიდრე კოლხეთის შიდა ოლქებში რომაელები შემოაღწევდნენ.

პროფ. პ. ზაქარაია ნოქალაქევის განლაგებას ამსგავსებს მცხეთისას – ერთი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად გვევლინება, მეორე – აღმოსავლეთისა.

ნოქალაქევის ტერიტორიაზე გათხრილია ყველაზე დიდი აბანო საქართველოში: იგი ცენტრალური გათბობის სისტემით მუშაობდა. ირგვლივ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სასახლეები, ეკლესიების ნანგრევები... ე.წ. «ორმოც მოწამეთა ეკლესია» თავდაპირველად წარმოადგენდა სამნავიან ბაზილიკას, რომელიც შემდგომ რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული. ექსპედიციამ აღმოაჩინა აგრეთვე სამნავიანი

ბაზილიკა (V ს.), იგი უდიდესია მთელ დასავლეთ საქართველოში. სიდიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბაზილიკა უთუოდ საეპისკოპოსო კათედრალი უნდა ყოფილიყო. დიდი სამეფო აბანოს გარდა, გაითხარა შესანიშნავი კონსტრუქციის პატარა აბანო – ცივი, თბილი, ცხელი აბაზანებით.

თლილი ქვებით ნაგები კიბის საფეხურებიანი გვირაბი ტეხურაზე გამოდის. ძველად, აქ, ამ ალაგას მოადგებოდნენ ხოლმე ნავები...

გარს მოჯარული ქედები ჯაგნარითაა დაფარული. ვინ იცის, რამდენ საიდუმლოებას ინახავენ ისინი! გათხრილი სამაროვნებიდან ხომ არც ერთი არაა მეფის ან წარჩინებულის. სად იმარხებოდნენ ლაზიკის მეფეები? სადაა თუნდაც დიდი გუბაზის საფლავის ადგილ-სამყოფელი?

პროფ. პარმენ ზაქარაია მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით გამოთქვამს ვარაუდს: ისინი სადღაც აქვე უნდა იყვნენ, ეგების ამ ფერდობებზეც. შესაძლოა, ბედნიერმა შემთხვევამ წარმოაჩინოს რომელიმე მათგანი და თავისი მდიდრული ინვენტარით, ოქრო-ვერცხლის სიმრავლით დაჩრდილოს კიდეც ვანში აღმოჩენილი კოლხი დიდებულების სამაროვნები, ეს ბუნებრივიც იქნება: მეფეთა სამარხები, ცხადია, უფრო მდიდრული იქნებოდა, ვიდრე ქვეშევრდომთა. მანამდე კი... გეგმაზომიერად ხდება ნაქალაქარის ტერიტორიის გათხრა, განსაკუთრებული ინტენსივობით 1974 წლიდან რომ გაიშალა, თუმცა მის გათხრებს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს...

ნოჯიხევის ჭალაში გათხრილია რვააბსიდიანი ტაძარი – ასეთი ტაძარი პირველად აღმოჩნდა არა მარტო დასავლეთ, არამედ მთელს საქართველოშიც. ნაპოვნი იქნა მე-10 საუკუნის ფერადწარწერებიანი ნახატები. ასომთავრული წარწერებით დამშვენებული ეს ნახატები ახლა დაცულია მარტვილის მუზეუმში. საოცარია, შედარებით ესოდენ მცირე ფართობზე ამდენი ნოჯიხევი, ნაჯახუ-ნაციხარები, ნატაძრალები, ნასახლარები და აბანოები გვხვდება, ხოლო რაიმე წერილობითი ცნობა მათზე არ შემონახულა. არქეოლოგის ნიჩაბი და ბარი რომ არა, არაფერი გვეცოდინებოდა, საიდუმლოებით მოცული იქნებოდა ჩვენთვის ვანიც და ურეკიც, ფიჭვნარიც და საირხეც, და მრავალი სხვა.

შედარებით ახალი პერიოდის კოლხეთის ისტორია რომ ასე მწირია ცნობებით, შორეულ ეპოქებზე როგორ უნდა ჭირდეს ლაპარაკი და წერა...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ნოქალაქევს, რომლის ფართობი 15 ჰექტარზეა გადაჭიმული. ქალაქი ოთხივე მხრიდან შემოზღუდული იყო ქვის კედლებით, ხოლო ის მხარე, სადაც მას იცავდა მდინარე ტეხურა და ციცაბო კლდიანი ხრამი, მხოლოდ ერთწყება კედლით გახლდათ შემოფარგლული. აღმოსავლეთის მხრიდან ქალაქი განსაკუთრებით იყო გამაგრებული. ამჟამად გათხრილია და ჩანს სამი წყება პარალელური კედლებისა, მესამე – შიგნითა – ყველაზე მძლავრი კედელია, მონუმენტური ოთხკუთხა კოშკებით დამშვენებული. ამ სიმაგრის დაგეგმარება, მასალა, კომპოზიცია და სამშენებლო ტექნიკა მაუწყებელია საფორტიფიკაციო ხელოვნების მაღალი დონისა. ქვედა ნაწილში იმყოფებოდა საინტერესო ძეგლი-კოშკი, ქალაქში საგანგებოდ გამოყოფილ სამეფო კვარტალს რომ იცავდა. აქ მეფის სასახლე, დიდი ბაზილიკური ეკლესია და სხვა ნაგებობანი იყო განლაგებული. ამ კოშკიდან გადარჩენილია მხოლოდ თაღით გადახურული პირველი სართული, კოშკი კარგად თლილი მსხვილი კვადრებისგანაა ნაშენი.

ქალაქის მეორე ნაწილი, ბორცვის დაქანებულ ფერდობებზე რომ იყო გაშენებული, გარნიზონისთვის ყოფილა განკუთვნილი. ეს ფერდობები ახლა მთლიანად ბუჩქებითაა დაფარული. აქ შემონახულა მხოლოდ სამხრეთის კედელი, ჭიშკარი და დიდი კოშკი. აღმოსავლეთის მხრიდან ბორცვის დაქანებული ნაწილი დაცულია მძლავრი

მსხვილკვადროვანი კედლით, თანდათან რომ მაღლდება, კედლის ყოველი მოსახვევი გამაგრებულია კოშკით. კოშკის გვერდზე პატარა ჭიშკრებია.

აკროპოლს უჭირავს მთის წვერი. იგი 200 მეტრით მაღალია ზღვის დონიდან. სწორედ აქაა ორი კოშკი და პატარა ეკლესია, რომელიც, ეტყობა, ციხის დამცველთათვის აუგიათ. აქედან იშლება კოლხეთის თვალწარმტაცი დაბლობის ხედი...

ცნობილია, რომ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებას დაესწრო ბიჭვინთის ეპისკოპოსი. მაშასადამე, მკვლევარები ახლა ერთხმად აღნიშნავენ, რომ ლაზიკაში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნის პირველ ნახევარში ისევე, როგორც ეს მოხდა იბერიაში (და არა მე-6 საუკუნეში, როგორც აქამდე ფიქრობდნენ). გადმოცემით კი ჯერ კიდევ ანდრია მოციქულმა, სიმონ კანანელთან ერთად, იქადაგა საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთსა და ეგრისში ქრისტიანული სარწმუნოება. გადმოცემის თანახმადვე, სიმონ კანანელი დაკრძალულია საქართველოში, ახალი ათონის მახლობლად.

...ლაზეთის ანუ ეგრისის სამეფოში ქრისტიანული კულტურის გაფურჩქვნა ემთხვევა იმ დროს, როცა იგი ბიზანტიაშიც მძლავრ აღმავლობას განიცდის.

კონსტანტინე იმპერატორმა 330 წელს დაბა ბიზანტიონის ადგილას დაიწყო ახალი ქალაქის მშენებლობა. ბიზანტიაში გადამწყვეტი გახდა ორი ელემენტი – აღმოსავლურობა და ქრისტიანობა. ქრისტიანული კულტურის შექმნის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სირია-პალესტინამ, კაპადოკიამ და პონტოს სამეფომ.

ძველი სამყარო კაპადოკიის ტერიტორიაზე ძირითადად მესხებსა და ტაბალებს[1] (იბერებს) იცნობს. მესხები არიან ახლანდელი კაპადოკიელებიო, აღნიშნავენ ევსტატი ანტიოქელი, იოსებ ფლაბიოსი, ლეონ გრამატიკოსი.

გ. გოზალიშვილის მოსაზრებით, «კაპადოკიის ტერიტორიაზე ახ. წ. IV საუკუნეში ჯერ კიდევ მოსახლეობენ მესხები, რომლებიც კაპადოკიელებად იწოდებიან» და რომ «კაპადოკიელებში ყოველთვის... ტაბალები და მისი მონათესავე სხვა ძირითადი ქართველური ტომები იგულისხმებიან, ამ ტერიტორიას რომ ფლობდნენ ისტორიულად, რომლებზედაც ეს ახალი სახელწოდება (იგულისხმება კაპადოკია, (ც. ა.) დამპყრობლებმა მექანიკურად გაავრცელეს... ამ მიდამოებში, მთელი ისტორიის მანძილზე და თვით სტრაბონის დროსაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. კაპადოკიელებად სწორედ ესენი არიან წოდებული... აქაური მოსახლეობის აღსანიშნავი ტერმინი კაპადოკია შედარებით გვიან შემოდის ხმარებაში»[1] (კაპადოკია სპარსულად ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს).

ჰეკატე მილეტელის ცნობით, «მესხები კოლხური ტომია». ბიზანტიური წყაროებით, VI საუკუნეშიც აქ (კაპადოკიაში) ძლიერი ტომია ჭანები. VIII საუკუნეში შექმნილ ადმინისტრაციულ-სამხედრო ოლქს ხალდიის თემი უწოდეს. «ყველა ქართველი ტომების სამშობლო... ქალდია იყო», შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი.

რაც შეეხება პონტოს სამეფოს, მის მოსახლეობას ძირითადად ტიბარენები, ჭანები (ანუ ხალდები) და კოლხები შეადგენდნენ.

---

[1] გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1969 წ. გვ. 148.

2. აკ. შანიძის აზრით, ტაბალ უძ. ქართველური ტომის სახელწოდება, იშლება ქართულ სიტყვად «ტბა», რაც ნიშნავს ზღვას (ძველად), ტბას, მაშასადამე, საერთოდ დიდ «წყლის საცავს» და «წყალს» და ქართველურსავე სუფიქსად (ტაბა-ხმელა, ტაბა-წყური ანუ ტბის ყური. დასავლეთ საქართველოში «ტაბაყურა» და სხვ). ახ. ქართულში «ტბა» მოდის ძვ. ქართული «ტაბადან», მეგ-ში მას შეესატყვისება «ტობა», სვანურში: ტომბი, ტვიბ, ტვიბრა (მდინარე, ღელე), ჭანურში ტობას გარდა გვაქვს «ტიბა». ივ. ჯავახიშვილის აზრით, ტაბალ – ქართების გამოთქმაა, ტუბალ-ტობალ მეგ. ჭანური, ხოლო ტიბარ – სვანური.

«პონტოს სამეფოს ან აწინდელ ტრაპეზონის საფაშოში მკვიდრი მოსახლენი იყვნენ ჭანელნი, რომელთა ენაც სრულიად ემსგავსება მეგრელთა ენას».[4]

ქართველი მეცნიერების აზრით (ე. ხინთიბიძე, გ. გოზალიშვილი, ი. ლოლაშვილი) ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი – დიდი საეკლესიო მოღვაწენი, წარმოშობით ქართველები არიან, ცხოვრობდნენ კაპადოკიაში და მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნაში. ამათ, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ კაცობრიობას დაუტოვეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მართლმადიდებლური ეკლესიის ცხოვრებაში და ღრმა კვალი დააჩნია შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიურ და დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის განვითარებას. ქრისტიანულ მსოფლიოში ეს მწერლები ითვლებიან წმინდათა წმინდა ავტორიტეტებად. სწორედ კაპადოკია გახლდათ ის რელიგიური და სამწერლო ცენტრი, საიდანაც ჩვენში გავრცელდა ქრისტიანობა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო – კაპადოკიელია. ასევე კაპადოკიელია დიდმოწამე წმინდა გიორგი, რომლის კულტი თეთრ გიორგისთან არის დაკავშირებული და ვისი სახელობის 365 ტაძარი იყო საქართველოში.

ამ ახალი სარწმუნოების განმტკიცებას უთუოდ დიდად უწყობდა ხელს ლაზიკის, ანუ ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერე, რომელმაც განსაკუთრებულად თავი იჩინა სწორედ IV-VI საუკუნეებში.

გ. ქიქოძის აზრით, საქართველო ევროპაზე ადრე გაეცნო დიდ კლასიკურ აზრებს, რომელნიც ქრისტიანულ ტანსაცმელში გახვეულნი, შეუშფოთებლად ცხოვრობდნენ ანტიოქიაში, ეფესოსა და ედესაში.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ფაზისის მახლობლად არსებობდა აკადემია, სადაც განსწავლას გადიოდნენ როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე ბერძნებიც. პეტრე იბერის მასწავლებელი იოანე ლაზიც ამ აკადემიაში სწავლობდა ალბათ.

შ. ნუცუბიძის აზრით: «დღეს მეცნიერებაში დადგენილია, რომ პროკლეს პირველი განმმარტებელი იყო ის მოაზროვნე, მოდგმით ქართველი (ლაზი), რომელმაც პროკლეს ნააზრევში სწორედ პირველი მიზეზი აითვალა, როგორც კვლევის საგანი...

...პეტრე იბერს ამოსავალ წერტილად მიუღია არა პროკლეს «კავშირნი», არამედ ის, რაც ამ წიგნიდან ამოკრიფა მისმა მასწავლებელმა იოანე ლაზმა, მისგან იეროთეოსად სახელდებულმა»[5]

უეჭველია, ფაზისის აკადემიამ უდიდესი როლი ითამაშა როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრმა. ამ რიტორიკული სკოლის ბრწყინვალე მუშაობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ «კოლხეთში (ლაზებში) რიტორიკული ხელოვნება, როგორც ეს ჩანს VI საუკუნის ისტორიკოსთა – პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებიდან, დიდ სიმაღლეზე იდგა» (ს. ყაუჩხიშვილი). ბუნებრივია, ძველი კოლხეთის კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად ერწყმოდა დასავლურ, რომაულ-ბიზანტიური კულტურის ელემენტებს.

334 წ. «ქრონიკას» ხალხთა წარმომავლობის შესახებ დაუცავს ასეთი უწყება: «იბერიელებს აქვთ დამწერლობაო».

აპ. როდოსელის (II ს. ძვ. წ. აღრიცხვით) მიხედვით, კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათა ნაწერი... რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია

---

[4] დ. ჩუბინაშვილი, ეთნ. განხილვა ძველთა და ახალთა კაცთა ან ჭანეთის მკვიდრთა – გაზ. «ივერია», 1877 წ. [1]171.

[5] შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, თბ. 1966 წ. გვ. 49.

ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი... კირბები შეიცავენ ნაწერ კანონებს... ძველები ქვებს აღმართავდნენ ხოლმე და ზედ გადაწყვეტილებებს წერდნენ. ამგვარად, კვირბები წმინდა წარწერათა შემცველი ბოძია». ცნობილია, რა ქედმაღლურად უყურებდნენ ბერძნები ყველა არაბერძენს და ამდენად, თუ საამისო ღრმა საფუძველი არ გააჩნდათ, არავითარ შემთხვევაში არ მიაწერდნენ «ბარბაროსებს» იმას, რაც სინამდვილეში არ მოეპოვებოდათ.

ჩვ.წ. აღიცხვამდე II საუკუნის მწერალს ხარაქს პერგამელს დაცული აქვს ცნობა: «ოქროს საწმისი ეს არისო «ოქრო დამწერლობა», ანუ «ხრისოგრაფია», ანუ განსაკუთრებული ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა; ოქროს ასოებით წერის ხელოვნება აღწერილი იყო ტყავებზე და რომ არგონავტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურესო კოლხეთში, ე.ი. ხრისოგრაფია საბერძნეთში კოლხებისგან გავრცელდაო. პ. ინგოროყვას სიტყვებით რომ ვთქვათ, ხარაქსის ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ მწიგნობრობა კოლხეთში უძველესი ხანიდან, თვით არგონაველთა ეპოქიდან მომდინარეობდა. ივ. ჯავახიშვილი «ქართველი ერის ისტორიაში» წერს: «ლაზიკაში მწერლობა არსებობდა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდნენ თურმე... ლაზების დესპანების სიტყვით, მათ შენახული ჰქონდათ ზავის წიგნები და ხელშეკრულებათა პირობის წერილები, რომლებითაც ლაზები ოდესმე სპარსელებს შეჰკვრიან».[6]

უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ამავე ბერძნების მოწმობით, თუ აიეტის სამეფო ისე ძლიერი, მდიდარი და განვითარებული ყოფილა, რომ ბერძნებს მსგავსი არაფერი ენახათ, მაშ, აიეტიც თავის სამეფოს მართავდა და განაგებდა არა ბერძნული, არამედ საკუთარი ენით და სამეფო ბეჭედზეც კოლხური ასო-ნიშანი ექნებოდა ამოტვიფრული.

იპოლიტე პორტოელი თავის «შთამომავლობათა წიგნში» იაფეტის ტომთაგან იხსენიებს კოლხებს, საკუთარი ენის მქონე ტომთა შორის ისევ კოლხებს და სანნებს. ხოლო ბიზანტიურ ხანაში თითქმის უკლებლივ ძვ. ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს თუ მწერლებს «ლაზი» კოლხების ახალ სახელად მიაჩნდათ. «V საუკუნიდან «ლაზი» უდრის თანამედროვე მეგრელს. ლაზების სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინი ლაზი გადადის ჭანებზე, რომელთაც ადრე ასე არასოდეს უწოდებდნენ».[7] ლაზი ნ. მარის მიხედვით, არის ელინიზირებული ფორმა «სანნების» ქვეყნის სახელწოდებისა. «ლაზი» მოდის «ლაზან-იდან. ეს უკანასკნელი კი არის ადგილის სახელის სვანური ფორმა. შემდეგ, «ლაზი», «ლაზგოს» და «პე-ლაზ-გოს» ფუძის ერთ თავისებურ სახედ მიაჩნია. საყურადღებოა, რომ «არგონავტიკა» როგორღაც იფარგლება კოლხურ და პელაზგურ სამყაროთა სფეროში. იგი, როგორც ჩანს, კოლხურ-პელაზგურ თქმულებებზეა აღმოცენებული» (თ. მიქელაძე). საინტერესოა აგრეთვე ის გარემოება, რომ არგონავტებზე თქმულება განსაკუთრებით პოპულარული იყო საბერძნეთში. ამ დროს ბერძნებს არაფერი საამაყო ამ თქმულების მიხედვით არა აქვთ.

პელასგები არა მარტო თესალიის უძველესი მოსახლეობაა, არამედ, პელოპონესის აქაიისა და ბეოტიისაც, საიდანაც არიან ჰელე და ფრიქსე. არგო-ს სახელწოდება პელაზგურიდანაა მიღებული (არგოსი – არგ-მა-არგ-ალ-ი), ხოლო პელაზგები – არაბერძნული მოსახლეობაა. მინიები და კრეტის ლეგენდარული მეფე მინოსიც – პელაზგები არიან. მინოსის მეუღლე პასიფაეა – კირკეს დაა, ჰელიოსის ქალიშვილი.

---

[6] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ. 1983 წ. გვ. 297.

[7] ს. ჯანაშია, შრომები. ტ. III, თბ. 1952 წ. გვ. 22.

ე. ფერის აზრით, ქარხემიშის ხატოვან წარწერებში მთელი მათი ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრამით, რომელიც იხსნება, როგორც «წყალი» – წყლის ანუ ზღვის ხალხის ქვეყანა. პელაზგი – ეთნიკური ტერმინი ბერძნული ეტიმოლოგიის სახელია – სიტყვიდან «პელაგოს», რაც ბერძნულად ზღვას ნიშნავს (უძვ. ფორმა: «პელაგ-სკოი», მეგ. სკო-სკუ შვილს ნიშნავს). თავისი ჰიპოთეზის ისტორიული დასაბუთებისათვის ე. ფერის მოჰყავს ორი ძველი ბერძნული გადმოცემა:

1. მეორე ათასწლეულის დამლევს ჩვ. წ. აღრიცხვამდე ზღვაზე ბატონობდნენ პელასგები

2. პელასგების დამწერლობა განირჩევა ფინიკიურისაგან და უძველესი პოეტები ლინე, ორფეოსი და პრონაპიდე, ჰომეროსის მასწავლებლი, სწორედ პელაგსურ დამწერლობას ხმარობდნენო.[8]

XIII–XIV საუკუნეებისათვის ჩვ. წ. აღრიცხვამდე ხდება ენათა აღრევა. თვით კლასიკურ საბერძნეთშიაც კი იცოდნენ, თუ როგორ შეიცვლა ელადის ზოგიერთ რაიონში თანაფარდობა პელასგურსა და ბერძნულს შორის და როგორ გაქრა თანდათანობით პელასგური.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულა მოსაზრება წინაბერძნული მოსახლეობის ქართველურ ტომებთან ნათესაობის შესახებ. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გარკვეული მონაცემები იძლევა: ქართული და ბერძნული ლექსთწყობის შედარებითი ანალიზი, ორივე ხალხის კულტურის აკვნად მცირე აზიის მიჩნევა, ანტიკური მითოლოგიის მონაცემები, ცალკეული ლინგვისტური დაკვირვებანი, ტოპონიმიკის, ონომასტიკონის შესწავლა და ა.შ.

პროტოქართულ მოდგმას ზოგი მკვლევარი ლიგურიულ-იბერიულ ანუ ეუსკარო-ალაროდიულს უწოდებს, ზოგი იაფეტურს ანუ იბერიულ-კავკასიურს. სწორედ ეს მოდგმა ბატონობდა ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზსა და მცირე აზიაში. იგი უშლიდა ხელს ინდოევროპელთა მოძალებას და ამასთან, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა და გავლენას ახდენდა მომხვდურთა კულტურაზე.

***

არქეოპოლისი, ანუ ძველი ქალაქი, ბერძნების მოწმობით, IV–VI საუკუნეებში ლაზიკის ანუ ეგრისის დედაქალაქად გვევლინება[9] ხოლო ზღვისპირა ქალაქები, რომლებიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და იქნებ უადრეს ხანებშიც, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ, მეტად განვითარებული სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები არიან და ადგილობრივ მოსახლეობას წამყვანი როლი უჭირავს ამ ქალაქების ცხოვრებაში, ხოლო ეს ზღვისპირა ქალაქები სასიცოცხლო ძალებს ეგრისის შიდა რაიონებიდან იღებენ, როგორიცაა: მოხირისი, ქუთათისი, როდოპოლისი (ვარდციხე), სკანდა, შორაპანი...

ბიჭვინთა, ფაზისი, სევასტოპოლისი (ცხუმი) სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთათვის, არამედ შორეული ქვეყნებიდან – ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსული ვაჭრებისთვისაც. კერამიკაში წამყვანსა და

[8] რ. გორდეზიანი, «ილიადა» და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ. 1977 წ. გვ. 280.

[9] ქართული წყაროებით – ციხე-გოჯი ერისმთავარ ქუჯის მიერაა დაარსებული. ეს ის ქუჯი ერისმთავარია, რომელმაც ფარნავაზს შესთავაზა სამეფოების გაერთიანება და თავად ფარნავაზის ქვეშევრდომობა იკისრა.

ძირითადს კვლავ წმინდა ადგილობრივი ფორმები და ორნამენტული სახეები შეადგენს. ხოლო იმპორტული კერამიკა, მინა – დასავლურ-რომაული, ბიზანტიური ტანსაცმელი და მორთულობა ჩვეულებრივი იყო როგორც ზღვისპირა ქალაქების, ისე ეგრისის შიდა რაიონების შემლებულ წევრთათვის. I–III საუკუნეებში თუ პირველყოფილი თემური ურთიერთობის საწყისები არსებობენ, IV-V სს. უკვე ფეოდალიზაციის აშკარა პროცესი შეიმჩნევა. ხოლო პოლიტიკურად: «ბიზანტიის კეისრისაგან დამოკიდებულება იმით გამოიხატებოდა, რომ ახლად ტახტზე ამავალ მეფეს კეისარი სამეფო ნიშნებს და სამკაულს უგზავნიდა ხოლმე. არავითარ ხარკს ხალხი და ლაზიკის ბატონი ბიზანტიის მთავრობას არ აძლევდნენ. 532 წლამდე ლაზიკაში ბიზანტიელებს მუდმივი ჯარიც კი არ ჰყოლიათ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სპარსეთმა იბერიის სამეფო მოსპო და ლაზიკის დაპყრობას ცდილობდა, კეისარმა ლაზიკის ზოგიერთ ციხეებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საზღვარზე და ზღვის პირას საგანგებო ჯარი ჩააყენა», – წერს ივ. ჯავახიშვილი.

არქეოპოლისი მიუვალ ციხე-სიმაგრედ ითვლება. სპარსეთის სარდალი მერმეროე აქ ორჯერ დამარცხდა. არც ნახორაგანს გაუმართლა – არქეოპოლისთან დამარცხების გამო სპარსეთის შაჰმა ხოსროვმა მას ცოცხლად ტყავი გააძრო.

...»ყურესა ამას მცირესა დაშთომილ ვართ»-ო, ჩიოდა ქართლის მემატიანე. მაგრამ ამ მცირე ყურესაც არ ანებებდნენ მის ხალხს, თანდათან აცლიდნენ საკუთარ მიწა-წყალს და კიდურებმოგლეჯილი, მაინც გამეტებით იბრძოდა თავისი მეობის შესანარჩუნებლად.

აღმავლობას, დაწყებულს I–IV საუკუნეებში, წერტილი დაესვა VIII საუკუნეში.

მერამდენედ ჩაქრა კოლხური კულტურის კერა? მერამდენედ ჩაეცა ლახვარი მის არსებობას?

...კოლხი ტომები უხსოვარ დროიდან ბინადრობდნენ მცირე აზიაში. ჯერ კიდევ XII–XIII საუკ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე ბერძნულმა მითებმა ასახეს უძველესი კოლხური სამეფოს არსებობა და მისი მაღალი კულტურა. «უფრო მართებული ჩანს კოლხეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიის დაწყება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან მაინც და არა ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებიდან, როგორც ეს მიღებულია დღემდე იმის გამო, რომ ამ დროიდან ჩნდება მოჭრილი მონეტა კოლხური თეთრის სახით», და შემდეგ:

«...ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია და არა საქრათველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოებისა, უნდა ...დავიწყოთ ძვ.წ. XI საუკუნიდან მაინც. ძველი ბერძნული წყაროების აია-კოლხეთის სამეფოდან».[10] ეს პერიოდი გრძელდება VIII საუკ. შუახანებამდე. პლინიუსის მოწმობით, კოლხეთში სეროსტრისის დროს (ძვ.წ. XIV ს. დასასრული და XIII ს. დასაწყისი) მეფობდა აიეტის შთამომავალი სავლაკი და აგვიწერს მის გასაოცარ სიმდიდრეს. უცხოელთა ჩვენებით, ძვ. წ.V საუკუნეში კოლხეთს კვლავ აეტიდები განაგებენ.

კოლხეთი ტრაპეზუნტ-კერასუნტის მხარესაც ერქვა (ისევე, როგორც მოგვიანებით მეგრელთა მთავარ ქალაქად ტრაპეზუნტი იყო მიჩნეული).

...აია მიწათმოქმედების მთავარ ღვთაებად გვევლინება: აია მიშლადეღ-აიას კვირადღე (სვანურად). ეს ტრადიცია თამაშობდა ალბათ გარკვეულ როლს, როცა მომდევნო ხანებში უცხოელებმა გეორგოს (ქართველთა ბერძნული სახელწოდება) მიწათმოქმედებას დაუკავშირეს.

---

[10] თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ. 1974 წ. გვ. 164.

აია-კოლხეთს თავს ესხმიან ეგეოსელი ზღვაოსნები, ასურეთი, შემდეგ ურარტუ... კოლხეთის სამეფო ტერიტორიულად იკუმშება, განუწყვეტელი ბრძოლებისგან იგი იძულებული ხდება უფრო ჩრდილოეთისკენ წაიწიოს. ძვ. წ. აღ.-ით VIII საუკუნეში წარმოიქმნა ქართველურ ტომთა ახალი გაერთიანება – კულხას სამეფო. ასურულ-ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაიაენი (დიაენი) კულხას სამეფოდაა დამოწმებული. კულხას სამეფო სამხრეთ საქართველოს მოიცავდა ღალისისპირითურთ და ქართველ ტომთა ერთ-ერთი უძლიერესი გაერთიანება იყო: ერთგვარი დაკნინებისა და ტერიტორიული თუ მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირების მიუხედავად, კვლავ მოხდა ქართველ ტომთა აღზევება და სახელმწიფოებრობის შექმნა, მაგრამ ისევ დატრიალდა ავბედითი ჩარხი ისტორიისა. «ამ ხანებში შემცირდა ქართველ ტომების მოსახლეობა და მასთან ერთად, ამ ტომებმა თავისი მსოფლიო ისტორიული პოზიციებიც დაკარგეს» (ს. ჯანაშია). კვლავ შეიკუმშა მისი ტერიტორია. მტერი ამჟამადაც ზეიმობდა გამარჯვებას – საბოლოოდ დავიმორჩილე ეს ურჩი, გაუტეხელი მოდგმაო. მაგრამ ირკვეოდა, რომ «კიდევ დარჩენილა საქართველოში თავისუფლების კერა, რომელიც წინააღმდეგობის ცეცხლს ჰკვებავდა». ასეთი კერა ჩვ.წ. აღრიცხვამდე VI–IV საუკუნეებში შეიქმნა კოლხეთის ახალი სამეფოს სახით. ჩვენამდე მრავლად მოაღწია ამ სამეფოში მოჭრილმა მონეტებმა, რომელიც «კოლხური თეთრით» არის ცნობილი. სწორედ ამ ხანებში გაცხოველდა სავაჭრო ურთიერთობა ახლადდარსებულ ბერძნულ პოლისებთან – კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიდა კოლხური კულტურა. მაგრამ მტრების გაუთავებელმა შემოსევებმა მალე ძირს დასცეს კოლხეთის ეს სამეფოც.

ხელახლა აღორძინდა იგი ახალი წელთაღრიცხვით IV–VII საუკუნეებში ლაზიკის, ანუ ეგრისის სახელწოდებით (როდესაც მოირღვა სამხრეთის სამანები, როდესაც კოლხური სანაპირო ტრაპეზუნტი, სინოპე, ხოფე ვერ უმკლავდებოდა რომაელების მოძალეობას, კოლხურმა ცენტრმა კვლავ ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა, კოლხურ ტომებში დაწინაურდნენ ლაზები, ეგრები. შეიქმნა ლაზიკის სამეფო, ანუ ეგრისი).

მტერს ტომით სიმრავლე მოსდგამდა იმთავითვე. არჩილ მეფე, როცა მარაბდის ომს აღწერს, ამბობს: «მათი იდგა თვალუწვდენი, სიმრავლე სჭირს მათ გვარიდამ»-ო. ტომით სიმრავლეს, რიცხვმრავლობას და ძალას ქართველმა ხალხმა ს. ჯანაშიას თქმით, თავიდანვე დაუპირისპირა ორგანიზაცია და მოხერხება... «როგორ უნდა ავხსნათ ეს საოცარი გამძლეობა, როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვლავ აღდგინებულს არარაისაგან, როგორც ამბობდა პოეტი გრ. ორბელიანი? რით დაიცვა ქართველმა ხალხმა თავისი თავი, თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და ღირსება? პასუხია: სიცოცხლის უკვდავი წყურვილით, თავისუფლების უდრეკი მნებელობით, გამარჯვების უტეხი რწმენით». ხოლო როცა საჭიროება დადგებოდა, ქართველი ერი წარმოშობდა შორსმჭვრეტელს, მაღალნიჭიერს, მტკიცე სახელმწიფო მოღვაწეებს და სარდლებს, რომელნიც რაზმავდნენ ხალხის ენერგიას. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე იყო გუბაზ II – ლაზიკის მეფე.

...მე-6 საუკუნეში ეგრისი იქცა განუწყვეტელი ბრძოლის არენად ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. თავგანწირვით ებრძოდნენ ლაზები ორ მოსისხლე, მოძალადე იმპერიას, ხან მარჯვნივ იქნევდნენ ხმალს, ხან მარცხნივ, «ბევრი ნავნებიც ქმნეს», მაგრამ «ტომით სიმრავლე» მოსდგამდა მტერს.

საჭირო იყო ხერხითა და სიმარჯვით, ჭკუითა და ეშმაკობით ეჯობნათ ურიცხვი მტრისათვის.

სწორედ ეს მოხერხება და გამჭრიახობა გამოიჩინა გუბაზ II, როცა ირან-ბიზანტიას შორის ომი ატყდა. გუბაზმა კარგად იცოდა ბიზანტიის კარის დიდმპყრობელური

ზრახვები – კეისარი იუსტინიანე არც ერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა, რომ თავისი იმპერია კიდევ უფრო გაეფართოებინა. «ღვთისმოსავი» კეისარი არ ინდობდა არავის – არც ქრისტიანებს და არც წარმართებს.

ქრისტიანობა გარეგანი სამოსი გახლდათ ბიზანტიის კეისართათვის. კაცთმოყვარეობა, სათნოება და სიკეთე, ის, რაც ქრისტიანული მოძღვრების დედააზრი იყო, მხოლოდ მოჩვენებით თუ ამკობდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა: ამისი ცოცხალი მაგალითი იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქის იოანე ოქროპირის ცხოვრება. როგორც კი იგი დაუპირისპირდა ბიზანტიის ხელისუფალთ, როგორც კი წმინდა ქრისტიანულ-მორალური პოზიციებიდან დაუწყო მათ მხილება, სასტიკად დასაჯეს: საქართველოში, ბიჭვინთაში გამოაძევეს და აქვე აღესრულა. ასევე მოექცნენ მაქსიმე აღმსარებელს: მარჯვენა მკლავი მოაჭრეს, ენა ამოაძრეს და განდევნეს ბიზანტიიდან.

კეისრებს ხელს არ აძლევდა მხილება. ქრისტიანული პრინციპი: არა კაც ჰკლა, გიყვარდეს მოყვასი შენი და არა მარტო მოყვასი, მტერსაც კი ულოცვიდეო, მათი ბუნებისთვის სავსებით უცხო და მიუღებელი გახლდათ. კეისრები მიელტვოდნენ პოლიტიკურად და ეკონომიკურად სხვა ქვეყნების დამორჩილებასა და დამონებას და ამ გზაზე ისინი არ ერიდებოდნენ არანაირ საშუალებას: ინტრიგებს, ფარისევლობას, ვერაგობას, ცბიერებას, მკვლელობას... სინამდვილეში სულ ერთი იყო, რა აღმსარებლობის იქნებოდნენ ლაზიკის მეფეები, ოღონდ მორჩილი ყოფილიყვნენ კეისრებისა. ქრისტიანობა ამ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკური იარაღი იყო ბიზანტიელების ხელში. ეს, ცხადია, კარგად იცოდნენ ეგრისის მეფეებმა. მით უმეტეს გუბაზისთვის ნაცნობი იყო ბიზანტიის იმპერიის მესვეურთა ვერაგობა და დაუნდობლობა. ამდენად, გუბაზისთვის ბიზანტიაზე ორიენტაცია მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური აქტი გახლდათ. ბიზანტია ისეთივე მოძალადე და დამპყრობელი იყო, როგორც სპარსეთი. კოლხებს უნდა ებრძოლათ ორივეს წინააღმდეგ თანაბარი გააფთრებით და შემართებით. საგულისხმოა ერთ-ერთი ბრძოლის ეპიზოდი, აღწერილი რომაელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მიერ. ისტორიკოსი ბიზანტიელთა და კოლხთა გაერთიანებულ ლაშქრობას აღწერს ირანის წინააღმდეგ და შენიშნავს ერთ გარემოებას: «რომაელები ბრძოლაში წასვლით არც სამშობლოსათვის იგდებდნენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ კი, ლაზებს, საფრთხე მოელისო შვილებისათვის, ცოლებისათვის და სამშობლო ქვეყნისათვის. ასე რომ, ლაზებს თავიანთი ცოლების უნდა შერცხვეთ, თუ ისინი მოწინააღმდეგისაგან დამარცხებულ იქმნებიან». საინტერესოა, რომ გუბაზმა ცალკე მოუხმო ლაზთა ლაშქარს და ბიზანტიელებისაგან მოშორებით მდგართ, ასე მიმართა: «მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენ აღსაფრთოვანებლად... არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმას, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რასაც ამჟამად ჩვენთან ვხედავთ: საფრთხე მოელის ხომ ცოლ-შვილს, სამშობლო ქვეყანას და ერთი სიტყვით, ყველაფერს, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს... არავინ არ დაუთმობს მტერს, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს კაცს იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის...

ნუ გაქრება ლაზების სახელი!»

გუბაზის ცხოვრების დევიზი სწორედ ეს მიზანი იყო: ნუ გაქრება ქვეყნად ლაზების სახელი! გუბაზმა უკეთ უწყოდა თავისი სამშობლო-ქვეყნის ისტორია, მისი წარსული დიდება, ის, თუ რა სულიერი და ფიზიკური უნარის მქონე იყო მისი ხალხი. ეს თავმოწონება, სიამაყე თავისი ჯიშისა და ჯილაგის გამო იმთავითვე მოსდგამდათ კოლხებს. ეს თვისება მტრებსაც ჰქონდათ შემჩნეული და მოყვრებსაც. ზომაზე მეტად

ქედმაღლობენ კოლხის სახელით, თუმცა უსაფუძვლო არაა მათი ეს სიამაყეო, აკი შენიშნავენ უცხოელი ისტორიკოსები... ვითარება შეიცვალა VI საუკუნეში, როცა ირან-ბიზანტიის კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია.

გუბაზ II წინაშე განსაკუთრებული სიცხადით წამოიჭრა პრობლემა: არ გამქარლიყო ქვეყნად ლაზთა სახსენებელი, ვინაიდან მტერი აღარ სჯერდებოდა მარტო პოლიტიკურ დამონებას, იგი მის ძირფესვიანად აღმოფხვრას მიესწრაფვოდა: უნდა აეყარათ ლაზები თავისი მამა-პაპათა მიწა-წყლიდან და მათ ნაცვლად ჩამოესახლებინათ სხვები. თანამედროვე ადამიანში ეს გეგმები მწარე და თანაც ირონიულ ღიმილს იწვევს. ყოველი ჯურის და ეპოქის დამპყრობელთ ერთი და იგივე მეთოდი აქვთ, ერთი მიზანი და ოცნება ამოქმედებთ ხოლმე მუდამჟამ: ქართველთა სახსენებლის მოსპობა-გაქრობა! სულ ერთია – რა გზით და რა საშუალებით!

სწორედ მტრის ამ ბარბაროსულ და ვერაგულ გეგმებს ებრძოდა შეუპოვრად და მედგრად გუბაზ II და მთელი ხალხი. სწორედ ქართველთა, კოლხთა გადარჩენისათვის იღვწოდა იგი ასე თავგამომეტებით და ვაჟკაცურად. თუ რამდენად საშიში იყო გუბაზ II თავისი გამჭრიახობით, ნიჭით და უტეხი ნებით, იქიდან ჩანს, რომ ორივე დამპყრობელი, ორი უზარმაზარი იმპერიის მფლობელი: როგორც ერთმორწმუნე, ისე სხვა რწმენის, მის ფიზიკურ მოსპობაზე ოცნებობდა და საამისოდ ხლართავდა მუხანათურ ქსელს.

ბიზანტიელებს უფრო გაუღიმა ბედმა: ამჯერად ისინი უფრო მარჯვენი და ცბიერნი აღმოჩნდნენ სპარსელებთან შედარებით. გუბაზი მოიკლა. ლაზთა ყოფნა არ ყოფნის პრობლემა უფრო გამძაფრდა და გამოიკვეთა. ეს კარგად ჩანს კოლხ ორატორთა სიტყვებში. სპარსეთის ორიენტაციის მქონე აიეტი ამბობს: «გაქრა კოლხების ძველი დიდება. მე მინდა, რომ კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი წინანდელი ძლიერება, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოელების დახმარება გარედან. რომ როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს იგი მხოლოდ თავის თავს ეყრდნობოდეს... მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით, ანდა ორივე მიზეზით ისე დავუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან».

ხოლო ბიზანტიის ორიენტაციის ფარტაძისათვის უმთავრესია, რომ «სასოწარკვეთილებასა და გულჩვილობას კი არ ავყვეთ... და მონებივით კი არ უნდა მოვიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების შეგნებით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი უღირსი და მამაპაპური წესების შემბღალავი».

მამაპაპური წესების შებღალვა... გახლდათ «აღრევა უცხო ერში» – უმთავრესი ბოროტება, რის წინააღმდეგ იყო მიმართული დასაბამიდან საქართველოს ძალა და ენერგია. «თავდაცვამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგვცეს საიმედო, მტკიცე შედეგი, როცა თავდაცვა აქტიურია და არა პასიური».

...გუბაზ მეფის მოკვლით თითოეულ კოლხს ვერაგულად ჩასცეს მახვილი ზურგში. თითოეული კოლხის ოჯახში შემოვიდა უბედურება, რადგან გუბაზ მეფე განასახიერებდა ყოველივე იმას, რაც საუკეთესო და ღირებული იყო ხალხის ბუნებისთვის: გარეგნულ სილამაზესა და მოხდენილობას, ღრმა ჭკუა-გონებასა და გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს და გულოვნებას, ვაჟკაცობასა და გამტანობას, გულითადობასა და გულმოწყალებას, სიკეთესა და სიყვარულს მოძმისადმი, მოყვასისადმი და სულის იმ სინაზეს, ია-იას ღიმილად რომ ჩაღვრილიყო მის მშვენიერ, ზღვისფერ თვალებში. გუბაზის ვერაგული მკვლელობა სწორედ ამ ღირსებათა

უტყუარი დასტური გახლდათ: ის ამბავი, რომ უგონიერესი ვაჟკაცი უიარაღოდ, დანდობილად შეეგება ბერძნებს – მაინც მოკავშირეებს და, მაშასადამე, უკვე ერთიანი მიზნით ფიცშეკრულებს, მის სულიერ სიწრფელეს, უზაკველობასა და რაინდობას მოასწავებდა. უმუხთლო ასეთ კაცს – მით უმეტეს ქვეყნის გამგებელს – აღემატებოდა ყოველი, თუნდაც უღირსი კოლხის გაგების უნარს. ასეთი ვერაგობა და ქვეგამხედვარობა წარმოუდგენელი ჩანდა ერთმორწმუნეთაგან, თუნდაც შურით, ბოღმით, სულმდაბლობითა და სიმხდალით ყოფილიყო იგი ნაკარნახევი. ცნობილია, რომ მანამდე სპარსთა მეფემ სცადა გუბაზის მოკვლა. სპარსთა ჯაშუშებმა დიდი მცდელობის შემდეგ ძლივს იპოვეს გუბაზზე განაწყენებული წარჩინებული და თითქოს დაიყოლიეს იგი, რომ გუბაზი მოეკლა. მაგრამ მან გუბაზს გაუმხილა სპარსთა განზრახული და ამგვარად ჩაიშალა მტრის ვერაგული გეგმა.

...საყოველთაო იყო აღშფოთება. ყოვლისმომცველი და ყოვლის წამლეკავი შურისგების გრძნობა და... ბიზანტიის ვერაგი იმპერატორი შედრკა კოლხთა ამ საყოველთაო რისხვის წინაშე. იგი იძულებული გახდა კოლხთა მოთხოვნის თანახმად, დაესაჯა გუბაზ მეფის უშუალო მკვლელნი, თავად კი როგორც ბოროტმომქმედთ სჩვევიათ ხოლმე, უცოდველი კაცის იერი მიეღო, რადგან კარგად უწყოდა, მის ხელქვეითთაგან ძეხორციელი ვერავინ გაბედავდა მისთვის საჯაროდ ხელი დაედო, ვითარცა მკვლელობის სულისჩამდგმელისა და მოთავისათვის.

***

...თანდათან გვიახლოვდება მარტვილის ტაძრის სილუეტი. ლანდშაფტი მკვეთრად, კონტრასტულად კი არ იცვლება, არამედ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, საფხეურებივით მაღლდება. საოცრად ჰაეროვანი, მსუბუქი ჩანან ბორცვები, თითქოს ეს-ესაა მოწყდებიან მიწას და ჰაერში განიქრებიანო, შორს კი, მოცისფრო-მოლიბრო ნისლში ჩაძირულა კავკასიონის ქედები.

მარტვილის ტაძარი საგანგებოდ შერჩეულ გორაკზეა წამომდგარი და სანამ ტაძრამდე მიაღწევდე, კარგა გვარიანი აღმართი უნდა აათავო. ძნელ გზაზე მეტი მოწიწებისა და ღვთისმოსაობის გრძნობა უნდა დაუფლებოდა მორწმუნეს, უნდა ჩამორეცხოდა ამქვეყნიური ჭუჭყი და სიბინძურე, და ფიქრებითა და აზრითაც განწმენდილს, ელოცა საყდარში.

ალბათ ვერც ერთ მოკვდავს ვერ ძალუძს იმ სილამაზის აღწერა, რასაც აქ იხილავს.

თვით ტაძარი – ქართული არქიტექტურის თვალმარგალიტი – აგებულია VII საუკუნეში იმ ადგილზე, სადაც წარმართულ ხანაში მდგარა დიდი ჭყონი (მუხა), რომელსაც თაყვანს სცემდნენ ეგრისელები. გადმოცემით, მუხა ანდრია პირველწოდებულს მოუჭრია და სანაცვლოდ ჯვარი აღუმართავს. შემდგომში ქრისტიანებს დიდი ტაძარი აუგიათ ამ ოდესღაც წარმართული სალოცავის ადგილზე.

შუა საუკუნეებში მარტვილი ქრისტიანული კულტურის მძლავრ კერად იქცა მთელ დასავლეთ საქართველოში.

მარტვილის მოხერხებული გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობა განაპირობებდა აგრეთვე იმას, რომ იგი კონტროლს უწევდა არგვეთიდან კლისურასკენ მიმავალ გზას, ყოველ რიგით მოგზაურს, სახელმწიფო, საფოსტო თუ სხვა სახის ტრანსპორტს.

პ. ზაქარაიასა და გ. ელიავას მიერ დიდი გემოვნებითა და სიყვარულით შედგენილ გზამკვლევში ვკითხულობთ: «მარტვილის მონასტრის კომპლექსში შედის გალავნის კარიბჭეზე მდგარი სამსართულიანი მინიატურული ჯვრის ტიპის გუმბათიანი

ნაგებობა. იგი ქართული არქიტექტურის ნამდვილი საოცრებაა. ოდესღაც ამ ნაგებობაში შედიოდა გალავნის გარედან პროპილეი. დღეს მხოლოდ პროპილეის ნანგრევია შემორჩენილი. მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის კიდურზე დგას სვეტის ნანგრევი. იგი X საუკუნეშია ნაგები და თავისი მხატვრული და არქიტექტურული აღნაგობით აოცებს მნახველს. მონასტრის გულია ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც თავდაპირველად ჯვრის ფორმის გეგმით ყოფილა ნაგები. შემდეგ ოთხივე კედელი სწორი კედლით ამოუვსიათ და ჯვრის ტოტები (შვერილები და ნიშები) მოუშლიათ. მხოლოდ აღმოსავლეთით ხელშეუხებლად შემორჩენილა წახნაგოვანი შვერილი, ორივე მხარეზე ღრმა ნიშით... იგი VII ს. ნაკეთობაა, ასეთივე შვერილია დასავლეთის მხრივ... კარის შუბლზე X საუკუნის მარიამის (ღვთისმშობელი ჩვილით) ხატი ყოფილა მოზაიკით შესრულებული. მონასტერს ადგას 16-ფანჯრიანი მაღალი გუმბათი. ეკლესიის შიდა კედლებზე შემორჩენილია XVI–XVII საუკუნეების მეტად საინტერესო ისტორიული და რელიგიური ხასიათის ფრესკები». ეკლესიაში დაკრძალულია ისტორიული პიროვნებანი: ლევან V დადიანი, დავით დადიანი, ნიკო და ანდრია დადიანები, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და სხვ.

«ქართლის ცხოვრების» ცნობით, მარტვილში დაუკრძალავთ სრულიად საქართველოს მეფე ბაგრატ IV.

აქ, მეათე საუკუნეში უმოღვაწიათ საქართველოს ცნობილ პოეტებს სტეფანე სანანოისძეს და იოანე მინჩხს. აქ მოღვაწეობდა დავით აღმაშენებლის აღმზრდელი, «მეფის მამად» წოდებული გიორგი ჭყონდიდელი, შემდგომში საქართველოს ვაზირთ უპირველესი, მწიგნობართუხუცესი.

...საუკუნეთა სიღრმიდან უჩვეულო ძალისხმევით შემოგვცქერის გიორგი ჭყონდიდელის, დავით აღმაშენებლის სულიერი მამისა და გამზრდელის-ფიგურა-დიამეტრალურად საწინააღმდეგო ხასიათი ლიპარიტ ბაღვაშისა და მრავალ სხვა «ქუეგამხედვართა» და «ქუაბავაზაკთა» წყებაში, – მეფეთა წინაშე ურჩობითა და ზნედაცემულობით რომ გამოირჩეოდნენ ხოლმე. გიორგი ჭყონდიდელი ლაშქრობებში ჯვრით ხელში თან ახლდა მეფეს და მასთან ერთად თავდაუზოგავად იღვწოდა ქვეყნის ასაღორძინებლად, მისი ძლიერებისა და განდიდებისათვის.

საყურადღებოა, რომ ჩვენი დიდი სასულიერო მოღვაწენი არასდროს შემოფარგლულან ორთოდოქსალურ-დოგმატური დოქტრინების ჩარჩოში. ისინი შორს იდგნენ ყოველგვარი ფანატიზმისგან და ესეც ქართული სულის გამოვლენა იყო უთუოდ.

საქართველოს სულიერი აღზევება, მისი აღორძინების იმპულსი სულიერ-ზნეობრივ ასპექტში გრიგოლ ხანძთელით დაიწყო და შემდეგ, თანდათან, ვით ბრძმედში, იწრთობოდა და კაჟდებოდა სულისმიერი ლაშქარი – მამულისა და ერის აღზევების საძირკვლად და ქვაკუთხედად რომ იქცა. ამ წმინდა ძმობას – ქრისტეს მოძღვრებით ზეშთაგონებულს, წინ მიუძღოდნენ მოწაფენი გრიგოლ ხანძთელისა: გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, მიქელ მოდრეკილი და მრავალი სხვა, და ბოლოს დიდი მთაწმინდელების მთელი პლეადა – თვალშეუდგამი, სულის ზეაღმტაცი ხატებანი ქართული ეროვნული ხასიათისა. ხოლო მთაწმინდელთა შორის განსაკუთრებული შარავანდედით არის მოსილი გიორგის სახე. მარტო ის რად ღირს, ოთხმოცი მცირეწლოვანი ბავშვი რომ მოკრიბა საშინელი შიმშილობის დროს, დააპურა, შემოსა, ასწავლა მათ და არამცთუ ადამიანებად, დიდი ივანე ჯავახიშვილის თქმით, საზოგადოების მარგებელ წევრებად აქცია ისინი. ამ დიდი ღვაწლის შესაფასებლად მისი ისტორიკოსი გიორგი ხუცეს-მონაზონი ყველა მაგალითს იხსენებს, რომელნიც ძველსა და ახალ აღთქმებში, წმინდა მამათა ცხოვრებებსა და საეკლესიო ისტორიებშია

მოყვანილი და დასძენს: «ვგონებ, თუ დასაბამითგან სოფლისათ და ვიდრე აქამომდე ვერავის ხელყოფიეს და ვერცავინ ხელყოფს და შეკადრებს, დაღაცათუ ვინ სად ხელჰყოფ ესე ანუ ქალაქთა შინა გინა სოფელთა, მცირეთაგანმან ვინმე წარმართა, კუალად ათნი ვინე, გინა ათ-ხუთმეტნი, გინა თუ ოცნი შეიწყნარნა და ესეცა ჰასაკად მოსრულნი»-ო.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის სულიერ მამად, მის თანამზრახველად და თანამოსაგრედ გვევლინება გიორგი ჭყონდიდელი – მარტვილის ეკლესიის წინამძღვარი, დიდი მთაწმინდელების სულიერი მემკვიდრე. სწორედ გიორგი ჭყონდიდელის თანადგომითა და თანამზრახველობით შეძლო დავით აღმაშენებელმა გაეტარებინა ის დემოკრატიული რეფორმები, რისი განხორციელებაც თავის დროზე სცადა გიორგი მთაწმინდელმა.

სწორედ აქ, მარტვილში, უმდიდრესი ტრადიციების მქონე ტაძარში, გაიწურთნა და გაიწაფა დიდი ბერის გონება, სწორედ აქ, ამ წმინდა სავანეში სანთლის შუქზე ათენ-აღამებდა საღმრთო და საფილოსოფოსო წიგნთა კითხვა-სწავლაში. აქ, ამ დიდებულ ტაძარში ელოლიავებოდა იმ დიდ მიზანს, რისი ხორცშესხმისთვის აქეზებდა და აგულიანებდა თავის დიდებულ შეგირდს, ასაკით თითქმის თანატოლს. სწორედ მის აღზრდილს უნდა გამოეყვანა ქვეყანა იმ შეჭირვებიდან, რომელშიც იგი «დიდმა თურქობამ» ჩააგდო: «რამეთუ მეფე იქნა რა დავით, მოოხრებული იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადმე არა სადა იყო სოფელსა შინა, არცარა შენებულთა».

ქვეყნის გაპარტახება-გავერანებას მოჰყვა მისი ზნეობრივი დაცემაც, რაც სასულიერო წოდებას დაეტყო უწინარეს ყოვლისა: «რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს».

დავით აღმაშენებელის ხელი ამ «ქუაბ-ავაზაკთ» მიწვდა უწინარეს ყოვლისა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, რომლის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გიორგი ჭყონდიდელმა, მოსპო წოდებრიობის უპირატესობა ეკლესიაში, ანუ უარყო გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის, ხოლო პირადს ღირსებას მიანიჭა შესაფერისი პატივი და უფლება. ამგვარად, რუის-ურბნისის კრებამ განახორციელა და დააკანონა ის, რასაც ორმოცი წლის წინათ ჰქადაგებდა გიორგი მთაწმინდელი.

დავითის დროს ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მწიგნობართუხუცესი, ანუ პირველი ვაზირი გახდა სახელმწიფოსი. ამასთან, დავითმა მწიგნობართუხუცესი დანიშნა ახლად დაარსებული სამი კაცისგან შედგენილი, უზენაესი სასამართლოს – «სააჯოს კარის» მეთაურად. ამრიგად, მწიგნობართუხუცესის ხელში გაერთიანდა უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლება. ეს თავისებური სახელო იყო, რომლის ბადალი არც ერთ მეზობელ სახელმწიფოში არ გვხვდება. როგორც ცნობილია, მწერლისა და მწიგნობრის ინსტიტუტი უძველესი დროიდან არსებობდა საქართველოში, ხოლო დაახლოებით მეათე საუკუნიდან – მწიგნობართუხუცესისა. თავდაპირველად მწიგნობართუხუცესი საერო პირი იყო, მერე – სამღვდელო. ამიერიდან კი ჭყონდიდლობა მწიგნობართუხუცესის კუთვნილებად იქცა. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, მწიგნობართუხუცესი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო ეკლესიაში და ეკლესიისა მთავრობაში. ამით დავით აღმაშენებელმა უმტკივნეულოდ შეძლო ეკლესიის დაქვემდებარება ხელისუფლებისადმი.

გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც «თანაგამკაფელ იყო... ყოველთა გზათა და ღუაწლთა მისთა», ვინც თავს ადგა თავის პატრონს «მსახურებად მისდა» და დიადი

საქმეებისთვის წარმართავდა და გზას ულოცავდა, ვინც გვერდით ახლდა განუშორებლივ ჭირსა თუ ლხინში და ძალასა და სიმხნევეს ჰმატებდა მას თავისი გონიერებითა და «განმზრახი ჭკუით», ვისი ხელმძღვანელობით შემოუერთეს სამეფოს სამშვილდე და რუსთავი და ვინც ერთ-ერთი მოთავე გახლდათ მუდმივი ჯარის შექმნისა და ყივჩაღთა ჩამოსახლებისა, მოულოდნელად გარდაიცვალა სწორედ თავისი უკანასკნელი მისიის შესრულების დროს.

«იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან, ვითა მამა და უმეტესად მამისა, შემოსითა შავისა ორმეოც დღე» და მხოლოდ მემკვიდრის დაბადების გამო შეწყვიტა მეფემ გლოვა.

გიორგი ჭყონდიდელის საფლავიც ისევე დაიკარგა, როგორც მრავალ სხვათა, ერის გამორჩეულ შვილთა... ვარაუდით კი იგი მარტვილში უნდა იყოს დაკრძალული.

...მარტვილის გალავანზე შემდგარი დიდხანს გავცქეროდი ჩემს წინ გადაშლილ საუცხოო ხედს. დროდადრო მზერადაძაბული ვიყურებოდი იქითკენ, სადაც ქუთაისი და გელათი მეგულებოდა. სანამ აქეთ გამოვწევდი, ერთხელ კიდევ მოვინახულე მოწამეთა, გელათი, ბაგრატის ტაძარი.

რამდენჯერაც არ უნდა ვნახო ბაგრატის ტაძარი, ყოველთვის მიპყრობს განცვიფრებისა და აღტაცების გრძნობა. ბანას ტაძარი თუ აღემატებოდა თურმე ქუთაისისას – გრანდიოზულობითა და სიმშვენიერით. ქუთაისის ტაძარი აგებულია მაშინ, როდესაც მიქაელ მოდრეკილის კრებული უკვე გამზადებული იყო, ხოლო იოანე მინჩხმა თავისი შესანიშნავი საგალობლებით უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია. ერთი თანამედროვე მკვლევარის თქმის არ იყოს, ეს ის დროა, როცა ბევრი, დღეს ცივილიზებული ერი, ანბანს ქმნის და მწერლობას იწყებს. (მინჩხის სადაურობის ერთ-ერთი პრეტენდენტი «ინჩხი» და «ინჩხურა», აქვე ახლოს, საჭყონდიდლოში მდებარეობს).

ხოლო გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან ისეთ სურათს შევესწარი, რომელსაც დღემდე გონებიდან ვერ ვიშორებ.

...ქარი სანთლებს გვიქრობდა და მაინც ყოველი ჩვენგანი ცდილობდა, როგორმე ხელახლა აენთო ისინი. მოფარებულში მდგარმა, ანაზდად თვალი ვკიდე ახალგაზრდა კაცს, პატარა გოგო-ბიჭისთვის რომ ხელი ჩაეკიდა და საფლავისკენ მოდიოდა. მან ბავშვები წინ დაიყენა, სანთლები აანთებინა, მერე დაიხარა და:

– დაიხსომეთ! აქ დაკრძალულია ყველაზე დიდი ქართველი!

ხმადაბლა იყო ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ მე მაინც გავიგონე ისინი.

ერთხანს მდუმარედ იდგნენ სამთავენი, მერე გატრიალდნენ და წავიდნენ.

გენათი!

გადმოცემით, წმინდა გრაალის რაინდმა ძველი კოლხური მისტერიების ადგილზე ააგო მეორე ათინად და მეორე იერუსალიმად წოდებული აკადემია და დიდებული ტაძარი. თავადაც ფიზიკურად მონაწილეობდა თურმე მშენებლობაში. თავის ზურგით მოუტანია უზარმაზარი ქვა, რომლის აწევა მხოლოდ მისებრ გოლიათს თუ შეეძლო...

გენათი! ანუ ადგილი, სადაც მოხდა ნათლობა, ადგილი, რომელიც განათდა ღვთისადმი რწმენით.

გელათის მახლობლად სასახლის ნაშთი აღმოჩნდა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი დღესაც ლაზურ სახელს «ოხორეს» ეძახიან და რომელიც ჯერაც არ არის შესწავლილი. ვარაუდით იგი მესამე-მეორე ათასწლეულის მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

დავით აღმაშენებელმა, ცხადია, ჩვენზე უკეთ უწყოდა, სად, რა ადგილას აშენებდა თავის საძვალეს და აკადემიას, ქართველთა განათლების მძლავრ კერად რომ უნდა ქცეულიყო მომავალში!

***

მინიატურული მუზეუმი ღია ცის ქვეშ – ასე შეიძლება ეწოდოს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელსაც დიდი რუდუნებით თავს დასტრიალებს მისი დირექტორი ბატონი გივი ელიავა.

როცა ბატონმა გივიმ აბაშისა და მარტვილის რაიონების თავისი ხელით შედგენილი ტოპონიმიკური რუკა გვაჩვენა, აღტაცება ვერ დავფარე.

კოლხურ ტოპონიმებში ხომ უდიდესი წარმართული კულტურის დანალექებია: ბჟეთი, ბჟერი, ჩხორია – მზის კულტის აღმნიშვნელი სახელებია, ისევ როგორც წარმართული დროის გვარებია: ბჟალა-ვა, ბჟანია, ცაა-ვა, თუთაშხია, ანთია, მირცხულა-ვა (მურიცხი ვარსკვლავს ნიშნავს მეგრულად, ქართულად – ურიცხვი), ჩხოლარია და ა.შ.

ბერძნების მიერ აღნიშნული ფასიანეს ქანდაკება, ფაზისის ქალაქის შესასვლელ კარიბჭესთან რომ იდგა და ხელში წინწილა ეჭირა, ფერხთით კი ორი ლომი ეწვა – დიდი ნანას – ცის ღვთაების გამოსახულება იყო უთუოდ და როგორც ბერძნებს სჩვეოდათ, იგი თავიანთ ქალღვთაებას გაუტოლეს.

ნ. მარის აზრით, თუბალ-კაინში შემონახულია ზანური კინ-ტომის სახელწოდება, რომელიც რკინის – მეტალურგიის შემქმნელი ტომებიდან მოდის: «თუბალ-კაინი-მჭედელი რკინისა და რვალისა». აკი ჭოროხის აუზი ითვლება მსოფლიო მეტალურგიის კერად, ქართველური ტომები კი – მეტალურგიის შემქმნელებად. ხოლო მეტალურგიამ წარმოშვა ზეცის კულტი საქართველოში: თავის მხრივ, ცის კულტმა გამოიწვია მზის, მთვარისა და ვარსკვლავების თაყვანება. მზე – ქალად წარმოიდგინებოდა, მთვარე – მამაკაცად: «ბჟა-დია ჩქიმი, თუთა-მუმა ჩქიმი, ხვიჩა, ხვიჩა მურიცხები და დო ჯიმა ჩქიმი». ივ. ჯავახიშვილის აზრით, ღმერთი თავდაპირველად სწორედ რომ მდედრობითი სქესის ღვთაება უნდა ყოფილიყო, ანუ იგივე ცის ღვთაება აფროდიტე, დიდი ნანა-ცის დედა-უფალი (დიოფალი). დროთა ვითარებაში, როგორც ჩანს, მზის თაყვანება შეიცვალა მთვარის თაყვანებად, ანუ მამრულმა საწყისმა სძლია მდედრულს. ხოლო ქრისტიანობამ მთვარის ღვთაება გააიგივა წმ. გიორგისთან. აქედანაა წმინდა გიორგის საოცარი პოპულარობა საქართველოში.

ქართული წელთაღრიცხვა ქვეყნის გაჩენიდან «დასაბამითგან» ახ. წ. –აღმდე 5604 წელს ანგარიშობს. უძველესი ქართული კალენდარი მთვარის მოძრაობის ანგარიშზე იყო დამყარებული.

...მუზეუმის ეზოში ფერადწარწერებიანი ქვების ნამტვრევებს ვათვალიერებ: ახლადგათხრილი ეკლესიის ნანგრევებიდან მოუტანიათ აქ. მეათე საუკუნის პირველ ნახევარს ვარაუდობენ მკვლევარები. ულამაზესი ასომთავრული ასოები... ჩემი ფიქრები კვლავ ძველ კოლხურ-იბერიულ დამწერლობას დასტრიალებს: სად გაქრა კირბისები, რომლებზეც ჯერ კიდევ უხსოვარ, ოდინდელ, (ოდი-უძველესი წარმართული ღვთაებაა. აქედანაა ალბათ ნაწარმოები ოდი-ში და ოდინდელი) დროში წერდნენ, არა, კი არ წერდნენ დღევანდელი გაგებით, არამედ წერა ქვით – ამოტვიფრავდნენ ხოლმე ქვებსა და ბოძებზე ასო-ნიშნებს.

მუზეუმის მიწის პატარა მონაკვეთზე გივი ელიავას აღუდგენია გადაშენების პირზე მისული 22 ჯიშის ყურძენი.

ყოველი თვის შესაფერი ღვინო მოჰყავდათ თურმე აქაურებს. იწყებოდა ივლისიდან – ნაადრევი ჯიშიდან – შონურით, ჩეშით და გრძელდებოდა დეკემბრის თვემდე, ოჯალეში აგვირგვინებდა მათ.

როგორც ცნობილია, საქართველოში ხარობს 500-ზე მეტი ყურძნის ჯიში. ყურძნის ჯიშის ასეთი იშვიათი სიუხვე – მევენახეთა თაობების დაუცხრომელი შრომის ნაყოფი – საქართველოს ბუნებრივი პირობების გასაოცარი მრავალფეროვნებითაც აიხსნება.

ამიტომაც ვენახის ჭეშმარიტი სამშობლო აქ ეგულებათ, «სადაც ისეთ ჩინებულ ღვინოს სვამენ, როგორც არსად». შარდენის აზრით კი «ქართულ ღვინოზე უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია». ხოლო რაც შეეხება, კერძოდ, კოლხურ ღვინოს, ყველა უცხოელი მოგზაური თუ კათოლიკე მისიონერი აღნიშნავს მათ მაღალ ღირსებას: დიუბუა დე მონპერე თავის «მოგზაურობაში» წერს: «აქ ისევე მშვენიერია ღვინო, როგორც ჰომეროსის დროს»-ო. ქრისტეფორე კასტელი შენიშნავს: «კოლხეთი მდიდარია ღვინით... ყველა მამაკაცი მსმელია, ბევრის დალევა დიდ ვაჟკაცობად მიაჩნიათ, ამის შემდეგ არც ენა ერევათ, არც გონებას კარგავენ და არც ფეხი ეშლებათო».

ერთი რუსი ავტორი კი წერს: «აქ სვამენ ზამთარ-ზაფხულ, სვამენ ყველგან და ყოველთვის, მაგრამ არავინ თვრება და ერთხელ დამთვრალი უკვე ლოთად ითვლება... აქ სვამენ იმდენს, რამდენსაც არ სვამენ და არც შეუძლიათ დალიონ არც ფრანგებმა, არც ესპანელებმა, არც იტალიელებმა, არც ბერძნებმა და მიუხედავად ამისა, არ ყოფილა შემთხვევა ლოთობის გაჩენისა». ვახუშტის თქმით: «სამეგრელოს (ოდიშის) ღვინო მსუბუქია და კარგი». მაგრამ დღევანდელ დღეზე უკვე ასე არ შეიძლება ითქვას, თუნდაც იმიტომ, რომ დავიწყებას მიეცა და თითქმის გადაშენდა მრავალი ძვირფასი ყურძნის ჯიში. ახლა უფრო იოლი და მარტივი გზით უნდათ ფონს გასვლა. ახლა სამეგრელოს სოფლებში მეტწილად «იზაბელას» ჯიშის ვაზი ხარობს. თუმცა, როგორც გივი ელიავას მაგალითზე ჩანს, არის ტენდენცია აღადგინონ ვაზის უძველესი სახეობანი.

საქართველო არა მარტო ვაზის, ხორბლის სამშობლოდაც ეგულებათ მეცნიერებს. როგორც ცნობილია, ბიჭვინთაში შემონახულია 40 ათასი წლის რელიქტიური ფიჭვნარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორმოცი ათასი წლის განმავლობაში კლიმატი აქ თითქმის არ შეცვლილა. გასაგებია აქედან ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზევეა ნაპოვნი ადამიანის უძველესი სადგომები და სამიწათმოქმედო იარაღ-ინვენტარები. 6 ათასი წლის წინანდელი ირმის რქა, რომელიც საქართველოში აღმოჩნდა, ტ. ჩუბინიშვილის აზრით, მიწის დასამუშავებელი იარაღი უნდა ყოფილიყო. საქართველოში როგორც არსად მსოფლიოში, გვაქვს გუთნის სხვადასხვა სახეები, რომლებიც გვიჩვენებენ ამ სახვნელი იარაღის განვითარებას უმარტივესიდან (კავწერა, საწერა) – ურთულესამდე (დიდი გუთანი). საქართველოში გვხვდება ხორბლის მსოფლიოში ცნობილი სახეობათაგან ყველაზე მეტი (12) – მათ შორის 6 ენდემური სახეობა. მხოლოდ ჩვენთან (და არსად სხვაგან) შემორჩა კულტურული ხორბლის ევოლუციის ინიციალური (საწყისი) ეტაპები.

***

...აქაურ მკვიდრთ მეტწილად ღია თეთრი კანი აქვთ და ცისფერი, თაფლისფერი თვალები, «იშვით შავგვრემან», როგორც ვახუშტი ამბობს ხოლმე. ტანაშოლტილი, ლამაზი გოგონები და ბიჭები თავისი რასის უტყუარ ნიშანს ატარებენ. პროფ. პ.

ზაქარაიაც იმ აზრის არის, რომ აქაურებმა ასეა თუ ისეა, შეინარჩუნეს თავისი უძველესი წინაპრების საქვეყნოდ განთქმული გარეგნული იერსახე. ამავე შეხედულების არის მეცნიერება, კერძოდ, ანთროპოლოგია. პროფ. მ. აბდუშელიშვილის გამოკვლევით, ამ რეგიონში უცვლელია თავის ქალის ანთროპოლოგიური ტიპი.

პროფ. თ. მიქელაძის აზრით კი: «კოლხეთის სამეფომ უძველესი დროიდან შეძლო შეენარჩუნებინა პოლიტიკური თავისთავადობა და თავისი კულტურის თვითმყოფობაც, რაც ასე ნათლადაა არეკლილი მდგრად და გენეტიკურად მემკვიდრეობით ნივთიერ კულტურაში» და შემდეგ: «ხოლო კოლხეთში, ყოველ შემთხვევაში III ათასწლეულის დასასრულიდან ერთგვაროვან მოსახლეობასთან გვაქვს საქმე, აქედან ნათელია, თუ რატომ უნდა ეწოდოს ამ კულტურას «კოლხური» და არა «კოლხეთის».

მარტვილში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მოწყვეტილი ვიყავი დანარჩენ სამყაროს, თითქოს აღარც არსებობდა სადმე ქალაქის ხმაური. საოცრად მშვიდი, წყნარი, უცნაურობამდე მყუდრო ჩანდა აქ ყველაფერი. ასე მეგონა, აქედან უსაზღვროდ შორს არის არამცთუ თბილისი, არამედ სოხუმიც, გალიც... ალბათ როგორი მკვეთრი და მძაფრი იყო ეს შეგრძნება ძველად, კომუნიკაციის შეზღუდულობის ვითარებაში!

ისევ გვხვდებიან ქუჩაში პირმშვენიერი ყმაწვილები... საოცარი კია, რომ ძირითადად შემოინახა კოლხთა ტიპები. თავი რომ დავანებოთ განუწყვეტელ ომებს, რბევა-წიოკობას საუკუნეების განმავლობაში, ეს მხარე თითქმის სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში იცლებოდა ულამაზესი გოგო-ბიჭებისაგან. გარდა იმისა, რომ თურქები და სხვანი იტაცებდნენ და მიჰყავდათ, თვით ადგილობრივი მკვიდრნიც იჩენდნენ «ინიციატივას» და აჩაღებდნენ ვაჭრობას ადამიანებით... არჩევდნენ სწორედ ლამაზებს და ჯანსაღებს, რომ უფრო სარფიანად გაეყიდათ ისინი და მეტი მოგება ენახათ. ხოლო, ვინ იცის, შაჰებს და სულთნებს ისე, ფეშქაშად რამდენი ულამაზესი ქალ-ვაჟი ეგზავნებოდა ყოველწლიურად. «ამოცანად დარჩა, როგორ შერჩა ქართველს ტომს ასეთი შნო და მიმზიდველობა. ეს შეიძლება მართლაც გასაკვირალი იყოს. ჩვენ ხომ მთელი საუკუნეების განმავლობაში უსაშინლეს ხარკს ვაძლევდით სპარსეთის შაჰს და ოსმალეთის ხონთქარს... ჩვენმა ლამაზმა ქალ-ვაჟებმა გააკეთილშობილეს წინააზიის დაბალხარისხოვანი რასები. ჩვენ კი თუმცა დავძაბუნდით და დავქვეითდით, სავსებით მაინც არ დაგვიკარგავს სხეულის ელასტიური ძალა»... – გერონტი ქიქოძის ეს სიტყვები ძალაუნებურად მაგონდებოდა ახლა.

მოვიდა მეცხრამეტე საუკუნე, რომელმაც მოიტანა მშვიდობა და მოსპო ეს საშინელი სენი, მაგრამ უფრო «ცივილიზებული» დამპყრობელი უკვე სხვა ტაქტიკას მიმართავდა ადგილობრივ მკვიდრთა გადასაგვარებლად და გადასაჯიშებლად: მოსახლეობის აჭრელება ან მასიური აყრა და გადასახლება – აი, მთავარი ხერხი და საშუალება მიზნის მისაღწევად.

ყველაფერი ეს კი ხდებოდა თურმე ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ, მისი ეკონომიკური «აყვავებისა» და «გაფურჩქვნისათვის».

დემაგოგიური, ლამაზი ფრაზების მიღმა იმალებოდა მტაცებლის მგლური ბუნება. ჯერ კიდევ დიდმა შოთამ ბრძანა: «მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია, არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია»-ო.

შავი მხედრიონი

შორს, თვალსაწიერზე ცის სილაჟვარდეს შერწყმია ხმელეთის მუქი სიმწვანე. ჰაეროვან, მსუბუქ გორაკებს რაღაცნაირი, ენით უთქმელი სინაზე და სევდა გადაჰკრავს თითქოს. ზღვა აქედან არ ჩანს, მაგრამ იქეთ, ჰორიზონტს მიღმა მეგულება იგი. ჩრდილოეთით ბასტიონებივით აღმართული კავკასიონის მთაგრეხილები გამჭვირვალე, ლილისფერში ამოვლებულა, მოლიცლიცებულ ცაზე აქა-იქ დაყიალობენ სიფრიფანა ღრუბლების ფთილები. ჰაერში ჩაღვრილა მათრობელა სურნელი, სითბო და სინაზე, ადამიანს თავბრუს რომ ახვევს და არეტიანებს, სულ ახლოს «ჩივის შავი შაშვი». – გინდა, დაუსრულებლივ უყურებდე და სტკბებოდე ამ კალმით აუწერელ მშვენებას. გინდა უსასრულოდ უსმენდე სიჩუმის ამ სათუთ მელოდიას, სულში რომ გეღვრება.

წარმოუდგენელი ჩანს ამ რბილი და გასაოცრად მშვენიერი ბუნების წიაღში, ასეთ ცისქვეშ დაიბადოს რაიმე სიავე, გაჩნდნენ ბოროტი, სასტიკი ადამიანები... არადა, ჩნდებოდნენ და ჩნდებიან, იბადებოდნენ და იბადებიან და... თავიანთ სისხლიან, ავბედით კვალს სტოვებენ ისტორიის გზა-სავალზე.

...თმაგაწეწილი, შეშლილი თვალებით, პირისხოკვითა და წივილ-კივილით მისდევს მავნე სულებს. ცხენების ფლოქვების თქარა-თქური. თოფების ხათქა-ხუთქი. თითქოს დედის გულზე გადარბიან უკეთურები.

«ხვიჩა, შვილოო!»

დედის კივილი და მოთქმა-გოდება ავსებს ირგვლივეთს. მწუხარედ გარინდებულა არე-მიდამო. ნიავიც კი არ იძვრის. და ამ შემაზრზენ სიჩუმეს ისევ ისე დედის კივილი არღვევს: «ხვიჩა შვილო, ხვიჩაა! მიშველეთ ხალხო!»

ვცდილობ, არ ვიფიქრო წარსულის ამ შავბნელ მონაკვეთზე, თავიდან ვიშორებ ჩვენებებს, აგრე რომ მეძალებიან.

...გვირაბის კიბით ჩავდივარ ტეხურის ნაპირზე. გაღმა ხიდზე ბავშვები ჟრიამულობენ, ზოგი მდინარეში ბანაობს.

ტეხურა აქ ძალიან ღრმაა და მომწვანო-მოლურჯო ფერი დაჰკრავს. ამ ხიდიდან ხტებოდაო კარტოზია მდინარეში, მითხრეს აქაურებმა. (ცნობილი მოჭიდავეა). განსაკუთრებულად გამბედავი და უშიშარი უნდა ყოფილიყავი, ეს რომ მოგემოქმედა. სხვათაშორის, ამ კუთხიდან არის ბევრი სახელგანთქმული ადამიანი, და არა მარტო სპორტსმენი, არამედ დასტაქრები, მეცნიერები, მწერლები, პოეტები...

უნებურად მახსენდება ის სიტყვები, პოეტმა და შესანიშნავმა ადამიანმა თამარ ერისთავმა რომ მითხრა ერთხელ თბილისში. ზურაბ სოტკილავასა და მაყვალა ქასრაშვილის კონცერტისთვის მოესმინა და აღტაცებას ვერ ფარავდა: საოცარია ჩვენი ერის ნიჭიერება, აბა, სად, როდის გამოჩენილა ასეთი გვარები წარსულში, არადა, რამხელა პოტენცია აქვს თურმე თითოეულ მათგანსო;

ეს მიმალულ-მიჩქმალული ნიჭიერება იყო ალბათ იმის მიზეზი, უბრალო მამელუქი უცხო ქვეყანაში ხშირად მბრძანებელი რომ ხდებოდა, ხოლო უბრალო, ყმა-გლეხის გოგონა დედოფლობას ისე დაიმშვენებდა, თითქოს მთელი მისი მოდგმა და საგვარეულო მარტო სუფთა სისხლის არისტოკრატებისგან ყოფილიყო შემდგარი. ეს ნიჭიერება, სიავისკენ მიდრეკილი, საშინელ ბოროტებასაც ბადებდა ამავდროულად.

...გადავცქერი მდინარის კამკამა, მდორე ტალღებს და გონებით ვცდილობ იმ ტრაგედიის წარმოდგენას, აქ რომ დატრიალდა VIII საუკუნის დასაწყისში... ტრაგედიისა, რომელმაც ეგრისის უძველესი, მტერთაგან აქამდე აუღებელი დედაქალაქი მიწასთან გაასწორა და მასთან ერთად წელში გაწყვიტა მთელი ქვეყანა... და ეს მოხდა მერამდენედ!

***

...არაბთა გამხეცებულმა ურდომ გადაჯეგა, გადათქერა იბერიის სამეფო და მერმე ეგრისსაც უწია. ის, რაც ვერ ქნეს ვერც სპარსეთმა, ვერც ბიზანტიამ, შესძლეს არაბებმა – სამზღუდიანი, მიუვალი და აქამდე აუღებელი მძლავრი ციხე-სიმაგრე აიღეს, შელეწეს, შეანგრიეს და ნაცარ-მტვრად აქციეს. მოვუსმინოთ «ქართლის ცხოვრების» მემატიანეს. აი, როგორ აღწერს იგი მურვან ყრუს შემოსევას: «ვითარ ცნა რამეთუ მეფენი, ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად... შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისასანიცა. და ციხე-ცა იგი შემუსრნა რომელ არს ციხე-გოჯი... და ვერავინ შემძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყუნეს სპანი მისნი უფროსადა უმრავლეს ჭალაკთა ეგრისისათა». აქაც სიმრავლე ჯარისა – აი, რამ გადაწყვიტა ეგრისის ბედი! მაგრამ განგებამ მაინც დაუსჯელი არ დატოვა მომხდურნი. აბაშის პირას დაბანაკებულთ, სტიქიური უბედირება დაატყდათ თავს: ანაზდათ ადიდდა მდინარე და უამრავი ჯარისკაცი დაახრჩო. გააფთრებული მურვან ყრუ ქართლის მთავრების კვალს მიჰყვებოდა. როგორც ცნობილია, ქართლის მთავრის სტეფანოზის შვილები მირი და არჩილი, არაბებს გამოექცნენ და ეგრისს შეაფარეს თავი. ეგრისიდან აფხაზეთს გადავიდნენ და მთავარ ლეონთან იმყოფებოდნენ. მურვან ყრუ, ციხე-გოჯის დანგრევის შემდეგ, აფხაზეთისკენ გაეშურა. შემუსრა კლისურა, ცხუმი (სოხუმი) და ანაკოფიის ციხეს მიადგა, სადაც ქართველი მთავრები იყვნენ თავშეფარებული.

«ქართლის ცხოვრების» მემატიანე ასე აღწერს ამ ამბავს: «და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოს, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფიისა (დღევანდელი ახალი ათონი), რომელსა შინა არს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, არა კაცობრივითა ხელითა დაწერილი, არამედ ზეგარდმო, რომლისათვის არავინ უწყის-ვინა იგი მოსრული იპოვა თავსა ზედა მის გორისასა, რომელსა მოსდგამს სამხრეთ ზღუა... მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ. ხოლო მამა მათი გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრსა შინა. და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა და ვერავინ შემძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყუნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჭალაკთა ეგრისასა». ძმებმა გადაწყვიტეს შებრძოლებოდნენ მტერს: «ვეწყუნეთ ზღვით კერძოსა ამას გუელსა შინა. და თუ ენებოს ღმერთსა, ერთითა იოტის ათასი და ორითა ბევრი». მერმე ძმებმა ილოცეს იმ წმინდა ხატის წინაშე: «და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და პიტიახშთა, ათასი ოდენ, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი... და მოსცა უფალმან ძლევა მცირედთა ერთა ქრისტიანეთა და მოსწყდა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახვილითა – სამი ათასი... ხოლო ქრისტიანეთაგან მას დღესა შინა მოკლეს კაცი სამოცი...»

უკუ იქცა მტერი, სტიქიამაც ხელი შეუწყო ქართველ-აფხაზთა რაზმს: «და ჩაიარა უღმერთომან მურვან ყრუ ზღვის პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღვის პირისანი, და ოხერ და უვალ ყო ყოველი ქუეყანა ზღვის პირისა»... ვიდრემდის, «მიიწია ქალაქსა მას, რომელ არს კონსტანტინეპოლი».

დაჭრილი მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილს, მის ძმას ერგო მეფობა, ხოლო აფხაზთა მთავრის დამსახურება, მათი ერთობლივი თანადგომა და ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთ-ერთი ნიშანდობლივი მომენტი იყო იმ ძმობისა და მეგობრობისა, მაშინ რომ სუფევდა ამ ორ მხარეს შორის და სხვათა შორის, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველობა ერთპირ და ერთსულ იყო საერთო მტრების წინააღმდეგ თუ საერთო საქმეში საზოგადოდ. მემატიანის თქმით, არჩილმა უთხრა ლეონ მთავარს: «კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშვიდობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს.

აწ ითხოვე თავისა შენისათვის რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა». ხოლო ლეონმა მიუგო». «...ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელი ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად... შემრთე მონათა შენთა თანა, რომელნი – ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს... მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ და გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთვის და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტრობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილსა ყოველთა დღეთა მისთა».

...ნოქალაქევის ციხე-სიმაგრის შემოსასვლელ ბჭესთან არქეოლოგებმა იპოვეს თავგაჩეხილი, ისარგარჭობილი კოლხის ჩონჩხი.

იყო თავისთვის ქვეყნიერების პატარა ყურეს შეყუჟული პატარა სამეფო, მცირერიცხოვანი ერით – ხნავდა, თესავდა, საქონელს მწყემსავდა, მღეროდა თავისებურ, სევდიან, ხანაც ომახიან სიმღერებს, ქმნიდა, აშენებდა, ლოცულობდა – ჰქონდა მრავალი ტაძარი – ქრისტიანული კულტურის კერები, გააჩნდა აკადემია, მუზეუმის ტაძარს რომ ეძახდნენ, სადაც ადამიანის სიყვარულს, მშვენიერებისა და სილამაზის სიყვარულს ასწავლიდნენ. მომხვდურებს ვაჟკაცურად უხვდებოდნენ, იგერიებდნენ ურიცხვ მტრებს დასაბამიდან, გაჩენის დღიდან: მაგრამ ვეღარ მოიგერიეს. სძლია ბოროტმა კეთილს და მშვენიერს, ბნელმა – სინათლეს. უკვე მერამდენედ!

შავი მხედრიონი – ვით ქაჯთა უთვალავი ლაშქარი – შეესია ამ მზიურ ველ-მინდვრებს, მზის შვილთა შთამომავლებს თავს დაატყდათ შავი დელგმა, წარღვნა და მეხთა ტეხა! წინ ვეღარაფერი დაუდგა მურვან ყრუს ლაშქარს: ვეღარც ციხე-სიმაგრე და ვეღარც სტიქიონი! გადათელეს და გადაჯეგეს – მიწასთან გაასწორეს ირგვლივ ყველაფერი. კაცობრიობის მთელი ისტორიაც ხომ სისხლიანი ომების, რბევის, ხოცვა-ჟლეტის, ფიზიკურად ძლიერის და მრავალრიცხოვანის მიერ უფრო სუსტის, მაგრამ მშვენიერის ძლევის, ღვთის მიერ გაჩენილ ადამიანში მტაცებლური ბუნების აღზევების, სისასტიკისა და სიძულვილის თესვის და მძლავრობის ნუსხაა: მხოლოდ აქა-იქ, ვით ოაზისი უდაბნოში – გამოანათებს ხოლმე სიკეთე, მზიანი ნათელი, მაგრამ რა ხანმოკლე და დღენაკლულია იგი იმ დაუსრულებელ სისხლიან მარულაში, ისტორიას რომ გაუმართავს!

***

ნოქალაქევის ეზოში, დიდი კაკლის ჩეროში ვსხედვართ და ვსაუბრობთ. პროფ. ნოდარ ლომოური მიყვება იმ ენთუზიაზმზე, რასაც აქაური მკვიდრნი იჩენენ გათხრების მიმართ, იმ საერთო ინტერესსა და ყურადღებაზე, დიდი თუ პატარა, თანამდებობის პირი თუ უბრალო მუშა თუ გლეხი რომ ავლენს არქეოლოგების საქმიანობის მიმართ.

ნაშუადღევს ექსკურსანტებით სავსე ავტობუსი მოადგა ბაზას. სოხუმელები აღმოჩნდნენ. თუმცა მზე გადახრილი იყო, მაინც საკმაოდ ცხელოდა. ამის მიუხედავად პროფ. პარმენ ზაქარაია ჩვეული დაუზარებლობით წაუძღვა სტუმრებს ნაქალაქარის დასათვალიერებლად. ცნობისმოყვარე ახალგაზრდები გამოდგნენ. ყველაფერი აინტერესებდათ: ეგრისი – ლაზიკა, აფხაზეთი – რა მიმართებაში არიან ისინი ერთმანეთთან, რატომ ხდება ზოგჯერ ისტორიის გაყალბება და რატომ არ ისმის მეცნიერთა გადამწყვეტი ხმა სადაო პრობლემების გადაჭრაში. რატომ ხდება... ერთი სიტყვით, როგორც ახალგაზრდობას სჩვევია, მეტად ფიცხად და დაუფარავად მოითხოვდნენ ყოველ საჩოთირო თუ სათუო საკითხებზე პასუხის გაცემას. აინტერესებდათ სიმართლის გაგება ისეთი კომპეტენტური პირისაგან, როგორიც პროფესორი ზაქარაია ბრძანდება.

ისტორიაში საკმაოდ გათვითცნობიერებული ჩანდნენ ეს ახალგაზრდები, რაც, სამწუხაროდ, მეტად იშვიათი მოვლენაა ჩვენში.

ფრანგი ისტორიკოსი ოგიუსტენ ტიერრის თქმით: «მშობლიური ქვეყნის, მშობლიური ხალხის ისტორია ერთადერთია, რომელიც ჩვენს სულში პატრიოტულ ინტერესს აღვივებს. სხვა ისტორიები შეიძლება მოგვეჩვენონ საინტერესოდ (თავშესაქცევად), ჭკუის სასწავლებლად, გაოცების ღირსად, მაგრამ ჩვენ ისინი იმდენად არ გვაღელვებენ», დიდი ილია კი ბრძანებდა: «არ ვიცი სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს», ივიწყებს თავის დიდბუნებოვან კაცთა უწმინდეს ხატთ, რამეთუ ამ დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია «სწურთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უმაგრებენ, უკეთებენ მოქმედებისთვის, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარი ისტორიისანი არიან. ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებითა უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა სურს» და შემდეგ:

დიდი იაკობ გოგებაშვილი კაკლის ხის მოვლა-გაზრდას უდარებს პატრიოტულ, ეროვნული გრძნობის აღზრდას და სად უნდა ხდებოდეს ამ გრძნობის აღზრდა, თუ არა სკოლებში, თუ არა, კერძოდ, საქართველოს ისტორიის გაკვეთილებზე, თუ არა «საკუთრივ საქართველოს დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებზე»? ჩვენს სკოლებში საქართველოს ისტორიას თითო საათი აქვს დათმობილი კვირაში, მეოთხე კლასელი კი სხაპასხუპით მოგიყვებათ კულიკოვოს ბრძოლის შესახებ, დიმიტრი ნეველზე და ა.შ. და წარმოდგენა არა აქვს დიდგორის ომზე, დავით აღმაშენებელზე, თამარზე და სხ. ძნელი მისახვედრი არაა, რა ვითარება იქნება ამ მხრივ არაქართულ სკოლებში. დღემდე გაუგებარია ბევრისთვის, რა მოტივით, რა მოსაზრებით ამოიღეს სკოლებიდან ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიერ შედგენილი ბრწყინვალე სახელმძღვანელო?

ვთქვათ შეიქმნა საჭიროება მისი შემოკლების. რას წარმოადგენს ეს შემოკლებული სახელმძღვანელო? აწ განსვენებულ მეცნიერს შოთა მესხიას და ვიქტორ გუჩუას,

ცხადია, დიდი შრომა გაუწევიათ სახელმძღვანელოს შესადგენად, მაგრამ ჩემთვის ამჟამად ეს არ არის მთავარი. მთავარი გახლავთ ის, რომ 315 გვერდიან წიგნში არ შეიძლება ცოტაოდენ ნორმალურად მაინც აისახოს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, ხანგრძლივი ისტორია ისე, რომ ძალაუნებურად იგი სქემატური, ზერელე, კონსპექტური ხასიათის არ აღმოჩნდეს.

რა მდგომარეობაა ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკებში ამ მხრივ, არ ვიცი, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს – უარესი თუ უკეთესი – ჩვენთვის ეს ნუგეში არ გახლავთ. გამოდის დამხმარე სახელმძღვანელოებიც, გვეტყვიან ალბათ. მაგრამ ჯერ ერთი, მოგეხსენებათ, რა მცირე ტირაჟით იცემა ასეთი წიგნები და რაც მთავარია, ისევ და ისევ ისმება კითხვა: როგორ მოასწროს მასწავლებელმა ბავშვის ცოდნის შემოწმება, მით უმეტეს, რომ კარგად ვიცით, როგორი კვალიფიკაციის მქონეა ზოგი ჩვენი პედაგოგი. რატომღაც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება ჩვენში, რომ პედაგოგად ყოფნა ყველას შეუძლია, რომ საამისოდ ყველა გამოდგება. გერმანიაში პედაგოგიურზე რომ მიიღონ, ჯერ გარეგნულადაც არჩევენ თურმე ახალგზრდას. დიახ, პედაგოგი გარეგნულადაც წარმოსადეგი უნდა იყოს, ჰქონდეს სათანადო დიქცია, მანერები, თავი რომ დავანებოთ ცოდნას და მოწოდებას. ჩვენ ყველამ კარგად ვუწყით, რამდენად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს ჩვენი პედაგოგების უმრავლესობა, თუ რასაკვირველია, განგებ თვალს არ მოვუხუჭავთ სინამდვილეს და ყურებს ძალით არ დავიხშობთ. როგორც ცნობილია, უმაღლესი სასწავლებლები სკოლებს აბრალებენ ამ გარემოებას, სკოლები კი უმაღლეს სასწავლებლებს და იკვრება ჯადოსნური წრე. უბედურება ის არის, რომ გამოსავალი თითქოს არ ჩანს, თუმცა სჯა-ბაასი და მრგვალი მაგიდები არ გვაკლია. არადა, მომავალი თაობის, ჩვენი ბავშვების ბედი, მისი სულიერი თუ ზნეობრივი სრულყოფა ამ საკითხების მოგვარებაზე ბევრად არის დამოკიდებული. თუმცა ზოგის ნება რომ იყოს, ამ კუდმოკვეცილ სახელმძღვანელოსაც ამოიღებდა ჩვენი სკოლებიდან და საერთოდ, აკრძალავდა საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის სწავლებას – თუ ამას სწავლება ჰქვია, რასაკვირველია, აკრძალავდა თვით ქართულ სკოლას და ქართულ ენასაც, მაგრამ რაკიღა კონსტიტუციით სუვერენული რესპუბლიკა ვართ და რაკიღა სახელმწიფო ენად ქართული ითვლება, ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენს ბავშვებს უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ისტორია ვასწავლოთ საფუძვლიანად, რამეთუ თუ ადამიანმა თავისი წარსული არ იცის, არ იცის, ვინაა და საიდან მოდის მისი ფესვი და ძირი, არ იცის, «ვისი გორისაა» იგი, ვერც სხვას შეიყვარებს. მაგრამ ჩვენში ხომ ჯანსაღი, პატრიოტული გრძნობა ხშირად ნაციონალიზმად ინათლება. საოცრად მარჯვე იარლიყი გახლავთ იგი... პარადოქსი კია, სამმილიონიან ერს, რომლის ტერიტორიაზე მილიონნახევარი სხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, ნაციონალიზმი უკიჟინო! ცნობილია, რომ ფრიად მრავალრიცხოვან ერებშიც კი, როცა უცხო ელემენტი ხუთ-ათ პროცენტს აღწევს, განგაშს ტეხენ: არიქა, ვიღუპებით, გადაშენების საფრთხე გვემუქრებაო. ჩვენში კი ის ამბავი, რომ არ გსურს აითქვიფო სხვა ხალხში, გინდა დაიცვა შენი ჯიში და ჯილაგი, დაიცვა შენი თავისთავადობა-ნაციონალიზმად აღიქმება და ეს მაშინ, როდესაც დიდმპყრობელურ შოვინიზმზე ხმას არავინ იღებს. თუმცა ჩვენ უკვე «მივეჩვიეთ» ასეთ «ლოგიკას» და ამის შედეგია, სსრკ ისტორიის სახელით ბავშვებს მხოლოდ რუსეთის ისტორიას რომ ასწავლიან.

ქართველი საზოგადოება მიეჩვია იმ აზრსაც, რომ ყველას აქვს უფლება ასეა თუ ისეა, დაიცვას თავისი თავი, ქართველის გარდა, თუნდაც საქმე ეხებოდეს ისეთ უაზრობას, როგორიცაა საკავშირო ტელევიზიით თელავის სომხურ ტოპონიმად გამოცხადება და სხვ. ისღა დაგვრჩენია «ქვებმა იღაღადონ», ილიას თქმის არ იყოს, მაგრამ, შესაძლოა, მალე იმ ქვებსაც აღარ ჰქონდეთ საღაღადებელი, რადგან ან

დაამტვრევენ, გადაფხეკავენ, გადათითხნიან წარწერებს, დაანგრევენ, ეკლესიებს... როგორც არა ერთხელ მომხდარა ჩვენში ჩვენივე წაყრუებითა და უპასუხისმგებლობით.

როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა რიცხვი დანაშაულობათა, რომელსაც ახალგაზრდები სჩადიან. საგანგაშო მდგომარეობაა და ტყდება კიდეც განგაში. პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები, სტატიები ამ დანაშაულობათა გამო, ტელევიზიაც თითქოს გულგრილი არ რჩება მათ მიმართ. თავიანთ აზრს გამოთქვამენ სოციოლოგები, პედაგოგები, თვით ახალგაზრდები. «სოკოსავით მრავლდებიან ძნელადაღსაზრდელნი, მოსვენებას რომ უკარგავენ, პირველ რიგში, მშობლებს, შემდეგ კი სკოლის პედაგოგებსა და მილიციის მუშაკებსო», – ჩივიან ჟურნალისტები. წერილებში, სტატიებში ხან ოჯახს აბრალებენ ამ გარემოებას, ხან სკოლას, ხან ორივეს ერთად და ა.შ. მეტწილად ხდება ფაქტების კონსტატაცია, ხოლო გამომწვევი მიზეზების ძირისძირში ჩახედვას თითქმის ყველა გაურბის. ბევრს იმის დანახვაც არ უნდა, რომ აბსტრაქტული ქადაგებანი პატიოსნებაზე, წესიერებაზე, სიკეთეზე – არ ეკარება მოზარდის სულსა და გულს, რადგან ისინი მეტწილად ჰაერშია გამოკიდებული, არ არის ცოცხალი მაგალითებით ხორცშესხმული.

შემთხვევა მქონდა გამოვლაპარაკებოდი ამ ე.წ. ძნელად აღსაზრდელ, არასრულწლოვან, აგრეთვე საშუალო და უმაღლესდამთავრებულ დამნაშავეებსაც კი. ამ ახალგაზრდებს, როგორც წესი, სული ცარიელი აქვთ, უბადრუკი მიზნები და მისწრაფებები ასულდგმულებთ, შემაძრწუნებლად ღატაკია მათი გონებრივი თვალსაწიერი, აზროვნება. საქართველო და ქვეყანა მათთვის ცარიელი სიტყვებია. რაში ესაჭიროება თავისი ფესვისა და ძირის ცოდნა, ან ვინ ასწავლა იგი, ვინ გაუღვიძა სიყვარული, ვინ აღზარდა გოგებაშვილის კაკლის ხესავით, მათი პატრიოტული გრძნობა? ერთ მათგანს «არგუმენტირებული» უმეცრებით მოჰქონდა კიდეც თავი. რატომ უნდა ვიცოდე, როდის მიიღო საქართველომ ქრისტიანობა? ან როდის აშენდა ჯვრის მონასტერი? ჯვრებს, ხატებს და საეკლესიო ნაგებობებს აკი წვავდნენ, ანგრევდნენ, ეკლესიის მსახურნი ხომ ბნელეთის მოციქულები იყვნენო.

ჩემი ღრმა რწმენით, ახალგაზრდა, რომელიც აღზრდილია, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ისტორიისა და ლიტერატურის სიყვარულით, ახალგაზრდამ, რომელმაც იცის «ვისი გორისაა» იგი, ვინც ხუთი წუთი მაინც მდგარა ყინწვისის ანგელოზთან, არ წავა და სპეკულაციას არ დაიწყებს და როგორც მაღალფარდოვნად იტყვიან ხოლმე, არ შეარცხვენს რესპუბლიკის სახელს, არ წავა და თავისსავე ტოლს ჯინსის გულისთვის დანას არ გაუყრის, მორფს არ შეიყვანს ძარღვებში და სხვ.

იაკობ გოგებაშვილი საჭიროდ მიიჩნევდა არა მარტო საქართველოს ისტორიის ცოდნას საზოგადოდ, არამედ მისი ცალკეული კუთხეებისაც. ცნობილია, თუ როგორაა მიმოხილული საქართველოს თითოეული კუთხე მის გენიალურ «ბუნების კარში», როგორი ცოდნითა და სიყვარულითაა დაწერილი, და როგორი დიდი ინტერესით იკითხება. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ამბავი: სარფელი ლაზი სტუდენტი მიამბობდა: – სადაურობას და გვარტომობას რომ მკითხავენ და ლაზი ვარ-მეთქი, რომ მივუგებ, აზრზე ვერ მოდიან. უკვე მივეჩვიე ამას და ახლა როცა მეკითხებიან, ხუმრობაში გადამაქვს, ლაზი რომ არის მანქანები, იქაური ვარ-მეთქი.

ამ ხუმრობაში მწარე სიმართლეა. ჩვენმა ბავშვებმა თავიანთ კუთხის ისტორია ხომ არ იციან (არადა, რა ანთებული თვალებით ისმენენ, როცა ვინმე უყვება მათ), ვერც სადმე წაიკითხავენ, თუ არადა ისევ გოგებაშვილის წიგნში. აქედან, ამ უცოდინარობიდან მოდის ის ამბავიც, რომ საქართველოს ცალკეული კუთხეების ახალგაზრდები ზოგჯერ უპირისპირდებიან ხოლმე ერთმანეთს და ადგილი აქვს შუღლსა და ქიშპობას.

უმეცრების შედეგია ისიც, რომ ჩვენი ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა არ იცის, ქრისტიანობა რომ ჩვენთვის არა მხოლოდ რწმენა იყო, არამედ ფარიც, რომლის სახელითაც და რომლის გამო ჩვენი ერი ღვრიდა სისხლს და იცავდა თავის მეობას, რომ ჩვენი დიდი მეფეები, ისეთები, როგორიც იყვნენ ბაგრატ III თუ ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი თუ თამარი, დიმიტრი თავდადებული თუ გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე დიდი თუ ერეკლე მეორე, მარტო მეფენი როდი იყვნენ, ამ სიტყვის ჩვეულებრივი ვიწრო გაგებით, არამედ დიდი ეროვნული გმირები, ხმალშემართულნი რომ იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, და შემთხვევითი არც ის გარემოება გახლავთ, რომ არც ერთ ქვეყანას არა ჰყავს იმდენი მოწამე, რამდენიც ჩვენ.

რასაკვირველია, არიან ახალგაზრდები, კარგად რომ იციან საქართველოს ისტორია, უყვართ იგი და სხვებსაც აყვარებენ, მაგრამ ასეთებს მეტწილად ოჯახური გარემო უწყობს ხელს, ანდა ისტორიის თუ ფილოლოგიის ფაკულტეტებზე სწავლობენ, მათი რიცხვი კი, სამწუხაროდ, არც ისე ბევრია.

არადა, საკუთარი ქვეყნის ისტორიის არცოდნას და აქედან გამომდინარე მის უპატივცემულობას მიჰყავს ხოლმე ადამიანი მშობლიური ენის უგულებელყოფამდე. სწორედ ასეთებს შეჰყავთ თავიანთი ნაშიერები არაქართულ სკოლებში, რამეთუ ერთობ «ევიწროებათ» მშობლიური ენის ასპარეზი თავიანთი მერკანტული «მიზნების» მისაღწევად, და ამით ნებსით თუ უნებლიეთ, სჩადიან ღალატს საკუთარი ერის წინაშე.

***

ნოქალაქევიდან ავტობუსით მივემართები აფხაზეთს.

როცა ბათუმიდან მანქანით მიწევს ხოლმე მგზავრობა სოხუმამდე, ყოველთვის ღიმილს მგვრის გადალახვა აჭარა-გურიის, იმერეთის, სამეგრელოს და ბოლოს აფხაზეთის საზღვრების. რა უცებ მთავრდება ერთი და იწყება მეორე!

რამდენ თავისებურებათა შემცველი უნდა ყოფილიყო ეს ციცქნა მიწა-წყალი, ასე ახლოს, გვერდიგვერდ მდებარე, რომ ცალკე სამთავროებად მოგვლენოდა.

გურამ ასათიანი თავის შესანიშნავ წიგნში ერთგან შენიშნავს, რომ ერთხმოვანება, ერთფეროვნება, ერთსახოვნება საფუძველშივე მიუღებელია ჩვენი ესთეთიკური მსოფლმხედველობისათვის, ხოლო ქართველთა ტომების ხასიათები ხომ ნამდვილი პოლუსებისგან შედგებაო. და მართლაც: მოვუსმინოთ, აბა, აჭარულ-გურულ, მეგრულ, იმერულ და ქართლ-კახურ სიმღერებს, როგორი სხვაობაა მათ შორის და მაინც... როგორ ერთიანია ისინი.

ეს გარემოება უცხოელებსაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი.

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტელევიზიით გამოსული კანადელი ელჩი, რომელმაც სულ სამი დღე დაჰყო აქ და იმოგზაურა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, დაუფარავი აღტაცებით ლაპარაკობდა ყოველივე იმაზე, რაც ნახა და მოისმინა. საოცარიაო, ამბობდა იგი, დედამიწის ასეთ პატარა მონაკვეთზე ბუნების ესოდენი მრავალფეროვნება. ახლა გასაგებია ჩემთვის ქართული ხელოვნების ეგზომ გამორჩეული თავისთავადობა, მისი განუმეორებელი ინდივიდუალობაო.

გ. ქიქოძეც თავის «ეროვნულ ენერგიაში» სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, იგი წერს: «თვითეული კუთხე განსაკუთრებულ სულიერ ბეჭედს ატარებდა და საქართველოს კულტურა უფრო დრამატულად მძაფრი და მოქნილი და

მოძრავი იყო, ვიდრე იმ ერებისა, რომელნიც ერთფეროვან ბუნების წიაღში სცხოვრობენ. ერთობილ ქართლში არ ჩაჩრდილულა ტომობრივი, თემობრივი და პიროვნული განსხვავებანი. პირიქით, შეერთებულმა და ძლიერმა სამეფომ სხვა და სხვა კუთხის მკვიდრთ ფართო ასპარეზი მისცა შეჯიბრებისა და დაწინაურებისათვის»-ო, და შემდეგ: «ჩვენი კულტურა არასოდეს არ ყოფილა ვიწროდ ცენტრალისტური. ჩვენი კულტურა ყოველთვის გაფანტული იყო. ყოველ პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა და ყოველს ხევსა თუ მაღლობს ტაძარი ან ციხე-კოშკი ამშვენებდა. ხალხიც არ იყო დაშორებული გონებისა და განათლების ცენტრს და კულტურაც უფრო ფართო, უფრო ხალხოსნური იყო. ამიტომაც არის, რომ დღეს ასე ძნელია ჩვენი მოთავსება ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ კალაპოტში... ამ გასაოცარ თავისებურებებში არის ალბათ ჩვენი ერის საოცარი გამძლეობის ერთ-ერთი მიზეზი».

...სენაკს რომ ჩავუარეთ, უსიამო ფიქრები მომეძალნენ ერთბაშად.

რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდა თავში აზრად მარტვილისა და სენაკის რაიონებისათვის სახელები გადაერქმია და გეგეჭკორი და ცხაკაია ეწოდებინა? ვით ეგებოდა ამ უძველესი ტოპონიმების, ისევე როგორც ხონის, ოზურგეთის და სხვათა, შეცვლა?

...ზუგდიდს როცა უახლოვდები, ხელმარჯვნივ ცაიშის დიდებული ტაძრის გუმბათი გამოჩნდება ხოლმე. ჯერ კიდევ ნოქალაქევში ყოფნისას გავიგე, რომ პროფ. პარმენ ზაქარაიასთან მისულა ამ ტაძრის მცველი თუ დარაჯი ქალი, სამწუხაროდ, გვარს ვერ ვიგონებ – ძეგლის თავგადაკლული ჭირისუფალი და შეუჩივლია, გუმბათი დაზიანებულია, სახურავიდან წყალი ჩამოდის და ეგებ გვიშველოთ რამეო.

ამდენი ლაპარაკია კულტურის ძეგლების დაცვაზე, ცაიშის შესანიშნავი ტაძარი კი ასეთ გასაჭირში ყოფილა, რომ არაფერი ვთქვათ თვით მარტვილისა და ბედიის ტაძრებზე.

...ცაიშ-ზუგდიდის გზა! ამ გზაზე შეეგებნენ დიდ ილიას სამეგრელოს საზოგადოების წარმომადგენლები – დარჩეული ქალი და კაცი, ეტლიდან გამოხსნეს ცხენები, თავად შეებნენ მას და ასე მიაბრძანეს საქართველოს დიდი მოჭირნახულე, მისი უგვირგვინო მეფე-ზუგდიდში.

დახვეწილი, დარბაისელი, ნატიფსახიანი, ბრწყინვალედ მოქართულე საზოგადოების ხილვამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თურმე ილიაზე და ყოველივე ამან ათქმევინა მაშინ ილიას თავისი ცნობილი ფრაზა, სამეგრელოში ჩამოვედი და დიდი საქართველო აქ ვნახეო.

დღევანდელ ზუგდიდში კი, ისევე როგორც გალში და ზოგან სხვაგანაც, აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია ამ ბრწყინვალე მოქართულეთა რიცხვის კლებისა, ხოლო ისტორიულ სოფელ ჯვარზენში უნუგეშო მდგომარეობაა ამ მხრივ. ენგურჰესის მშენებელთა წყალობით, აქ ერთობ მწყრალად ბრძანდებიან მშობლიური ენის მიმართ. ბევრ მათგანს პრესტიჟულადაც კი მიაჩნია არაქართულ სკოლებში შეიყვანოს ბავშვი, ისევე როგორც შერეული ქორწინება ლამის «ინტერნაციონალიზმის» გამოვლენად აქციონ.

დღევანდელ კვერცხს გამოდევნებულნი, არაფრად მიიჩნევენ თანამედროვე მეცნიერების დასკვნებს, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ. არად დაგიდევენ მეცნიერებისა და, კერძოდ, ფსიქოლინგვისტიკის მონაცემებს ორენოვნებაზე, რომ ორენოვნების პირობებში იზრდება თაობა, «რომლისთვისაც მიწა, სადაც ის ცხოვრობს, მხოლოდ ძნელად წარმოსათქმელი გეოგრაფიულ სახელწოდებათა წყებას, ხოლო კულტურული ცხოვრება შორეულ მოვლენას წარმოადგენს, რომ ფსიქოლინგვისტური განვითარების მხრივ ორენოვანი ბავშვი საგრძნობლად ჩამორჩება

ერთენოვანს, რომ ორენოვნებასთან დაკავშირებული უარყოფითი მოვლენები განსაკუთრებით საშიშია როგორც საშუალო და დაბალი დონის ნიჭიერების, აგრეთვე სუსტი ფსიქიკური წყობის მოზარდებისთვისაც» და ა.შ.

...რუხის ციხის კედლები შორიდან უფრო დიდი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. რუხის ციხე-სიმაგრე ძალაუნებურად მაცი ხვიტიას ასოციაციას იწვევს მნახველში. ასეთი ძალა აქვს ლეგენდას და მწერლის კალამს, რომელსაც ძალუძს ისტორიულ სინამდვილეზე უფრო მეტყველი და შთამბეჭდავი იყოს.

ესეც სახელგანთქმული ენგური!

ოდესღაც მქუხარე, ლეგენდარული მდინარეს ახლა, მეოცე საუკუნის ტექნიკური და ეკონომიკური მოთხოვნილებათა შესაბამისად, თავისთავადობა დაუკარგავს და წელში გაწყვეტილი, მდორედ მიიზლაზნება ზღვისკენ, რათა მის მძლავრ ტალღებში ჩარეცხოს სირცხვილის გრძნობა.

როგორიც არ უნდა იყოს «ტექნიკისა და პროგრესის» მოთხოვნები, საშინელი საყურებელია ასე დაგლახავებულ-გასაცოდავებული ენგურის ხილვა!

რომანტიკულ განცდებს რომ თავი დავანებოთ, რეალურად რა სიკეთე მოგვიტანა ბუნებაში ესოდენ უბოდიშო ჩარევებმა?

რამდენადაც ცნობილია ჩემთვის, ევროპის მთაგორიან ქვეყნებში პატარა ელსადგურებს აგებენ, რომლებიც სავსებით უზრუნველჰყოფენ მცხოვრებთა მოთხოვნილებებს ელექტროენერგიაზე. ჩვენც მთაგორიანი ქვეყანა ვართ, მაგრამ ციმბირის უშველებელი მდინარეების კაშხალების ასლებს ვაშენებთ. ამასთან, არც იმაზე ფიქრით ვიწუხებთ თავს, რამდენად კანონზომიერია ისედაც ნესტიან და წვიმიან მხარეში ასეთი უზარმაზარი წყალსაცავების არსებობა, თანაც ერთის კი არა, რამდენიმესი! აკი ამიტომაცაა ამ ბოლო წლებში ასე მოხშირდა წყალდიდობანი, ზვავები და ასე საგრძნობლად შეიცვალა კლიმატი.

ბუნებამ მშვენივრად იცის თავისი საქმე. მდინარე იქ მიედინება, სადაც უნდა მიედინებოდეს, წყარო იქ ამოდის, სადაც უნდა ამოდიოდეს და როცა უგუნურად ჩაერევი მის საოცრად მოწესრიგებულ განჩინებაში, დაუსჯელს არ დაგტოვებს. მაგრამ ბუნების ამ გამაფრთხილებელ სიგნალებს ზომაზე მეტად გაყოყოჩებული და გადიდგულებული ჰომო საპიენსი აინუნშიაც არ აგდებს და ჯიუტად არ იშლის მის მიმართ «მბრძანებლობას». არადა, ხომ ცნობილია, რომ ენგურს დიდძალი შლამი შეჰქონდა შავ ზღვაში, ხოლო რაკი ეს «საკვები» მოაკლდა ზღვას, მან ძალუმად შემოუტია ნაპირებს. ჰოდა, ახლა მილიონები იხარჯება მათ გასამაგრებლად და არავინ უწყის დანამდვილებით, ვინ მოიგებს საბოლოოდ ამ ორთაბრძოლას: ბუნება თუ ადამიანი. ზღვას ისედაც ეყოფა თავისი უბედურება, მისი გაჭუჭყიანება-გაბინძურებით რომ არის გამოწვეული, ჩვენ, ადამიანებმა ვიკითხოთ, რა გველოდება მომავალში, რა საბედისწერო ზიანს მოგვიტანს ეკოლოგიური ცვლილებები. მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ ბატონი ნიკო კეცხოველი გამოვიდა ტელევიზიით. ბატონი ნიკო სწორედ ეკოლოგიაზე ლაპარაკობდა და, კერძოდ, ენგურჰესის ავკარგზე. მან დაუფარავად და პირდაპირ თქვა, თუ რა ზიანს მოიტანს ენგურჰესის ვეება წყალსაცავი, როგორ შეიძლება დაირღვეს ბუნების წონასწორობა და ა.შ. მაგრამ ეს განცხადებაც დარჩა «ხმად მღაღადებლისა უდაბნოს შინა». ის კი არადა, ახალი, უფრო მძლავრი ჰესების მშენებლობაც წამოვიწყეთ და პატარა ხანში ალბათ ხელიდან გამოგვეცლება განუმეორებელი მშვენიერება და თავისთავადობა სვანეთისა, რომელმაც ათასწლეულებს გაუძლო. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ხდება პროგრესისა და ცივილიზაციის სახელით, ხოლო «რუტინიორად» და «რეტროგადად» ყოფნა არავის სურს. პარადოქსი კიდევ ის გახლავთ, რომ თუმც ასეთი უშველებელი და უნიკალური

ელექტროსადგური გვაქვს ენგურჰესის სახით, ელექტროენერგიის ნაკლებობას მაინც განვიცდით, უფრო მეტიც: როგორც ამბობენ, ჩვენი ელექტროსადგურების უმეტესობას, ინტენსიური დასილვის შედეგად მწყობრიდან გამოსვლის საფრთხე ემუქრებათ. მარტო შაორის წყალსაცავის მაგალითი რად ღირს. სხვა მრავალ «სიკეთესთან» ერთად, მან ნიკორწმინდის ჩუქურთმების დაშლას შეუწყო ხელი: ნესტისაგან გაჩენილი მატლები ნელ-ნელა «სჭამენ» ამ უბადლო ჩუქურთმებით შემკულ ტაძარს, საშველი კი – არსაიდან ჩანს.

შორს გამიტყუეს ფიქრებმა. ავტობისით მგზავრობა ძალაუნებურად განგაწყობს «ფიქრებისა და მსჯელობისთვის»... საკუთარ თავთან!

...შევდივართ გალის რაიონის ანუ ძველი სამურზაყანოს, უფრო სწორად, საბედიანოს საზღვრებში და პირველი, რაც თვალში გვხვდება – ესაა ბორცვზე აღმართული სათანჯოს ციხის ნანგრევები, ქვევით, საბერიოს შესახვევში კი – ოცარცეს ციხის ნაშთია. ძველად თურმე ციხიდან ციხეს გადაეცემოდა უბედურების მაუწყებელი სიგნალი ცაში ავარდნილი ცეცხლის ალის სახით. ანაკლიის ციხე-სიმაგრე «აგვირგვინებდა» ავბედითობას: ზღვის ამ ყურედან გაჰყავდათ მოტაცებული ტყვეები (რკია მეგრ. ნიშნავს კივილს. ანარკია-ანუ-ნანაში რკია-დედის კივილი – ასე ხსნის ხალხური ეტიმოლოგია ამ სიტყვებს), გამწარებული დედის კივილი მიაცილებდა ამ გოგო-ბიჭებს თურქეთის ბაზრებისკენო.

პირველივე სოფელი ჭუბურხინჯი – წაბლის ხე – საინტერესოა თავისი სახელწოდებითაც. მთელ საქართველოში ტრადიციული იყო მცენარეთა სახელების შერქმევა ადგილ-მდებარეობისთვის. რკონი, მუხნარი, მუხათგვერდი, თელიანიდან-თელავი და მრავალი სხვა, – აღმოსავლეთ საქართველოში, ჭყონდიდი, ფიჭვინთა – (ბიჭვინთა დღევანდელი), სოჭი, ბზიფი-ბზიდან, ცხუმი – (მეგრ, სვანურად რცხილიანს რომ ნიშნავს – სვანეთში დღესაც არის სოფელი ცხუმარი, ხოლო მეგრ. ცხიმური რცხილას ნიშნავს), ხუმუშქური, წიფელთა-წებელდა, ა-ჭანდარა – და ა.შ.

ჭუბურხინჯის ხელმარცხნივ, ბორცვზე მდებარეობს სოფელი დიხაზურგა

(ზურგ გვხვდება ო-ზურგ-ეთში, ზუ(რ)გდიდშიც). – ზურგამაღლებულ, ბორცვიან ადგილს ნიშნავს. ხელმარცხნივაა ისტორიული მნიშვნელობის სოფლები: თაგილონი, ნაბაკევი, ოტობაია... თაგილონსა და ნაბაკევს შორის უნდა იყოს საგულვებელი წიფურია (წიფური მეგრ. წიფელს ნიშნავს) – მე-XVII ს. კულტურის კერა ოდიშში. აქ მოღვაწეობდნენ კათოლიკე-მისიონერები: არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, უფრო გვიან ქრისტეფორე კასტელი, დონ მარი ჟოზეფ ძამპი და სხვ. წიფურიას მისიონი აღწერა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმაც. კასტელიმ ოცდაექვსი წელი დაჰყო საქართველოში და შექმნა უზარმაზარი ალბომი... «მთელი კოლხეთის ანუ დღევანდელი სამეგრელოს აღწერილობა მდინარე კორაქსიდან (კოდორიდან) მოკიდებული ფასისამდე» (რიონამდე), შეადგინა რუკა, ხოლო არქანჯელო ლამბერტის მიერ დაწერილი წიგნი «წმინდა კოლხიდა», სამწუხაროდ, დღესაც არ არის თარგმნილი ქართულად. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ჩოლოყაშვილ-ირბახს წიფურიას მისიონის დაარსებაში.

გალი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე გოგიელის სახელწოდებით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაუკაცრიელებულ გოგიელში გუდაუთიდან ჩამოსახლებულა აფხაზი თელებღან ქეცბა-მამაჩემის ბაბუა დედის მხრიდან, – ღელის პირას ჩაუდგამს ფაცხა, შეურთავს მეგრელი ქალი და მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი გამხდარა, ხოლო იმ ღელეს ახლა ძველი მკვიდრნი თელებღანის ღელეს ეძახიან. დღევანდელი გალის სახელწოდებაც შესაძლოა ღალიდან

მოდის (ღალი-ღელეა მეგრ). მაგრამ რაკი რუსულს არ გააჩნია **ღ** ასო-ნიშანი, იგი ადვილად იქცა გ-დ. ეს პროცესი, რასაკვირველია, მიმდინარეობდა აფხაზეთ-სამურზაყანოს ინტენსიური რუსიფიკაციის პერიოდში.

გალის რაიონის ტერიტორიაზე – ყოფილ სამურზაყანოში ანუ ძველ საბედიანოში – არის სოფელი გუდავა. შუასაუკუნეებში აქ იყო საეპისკოპოსო კათედრალი. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე იგი ზიგანის ციხე-სიმაგრედ მოიხსენიება. გვიან ანტიკური ხანისა და ადრინდელი შუასაუკუნეების გუდავა – ქალაქის ტიპის დასახლებაა – ცნობილი ზიგანიოსის სახელწოდებით.

IV–V საუკუნეების მიჯნაზე აქ რომაელთა კოჰორტები მდგარა.

VII–X სს. ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრალიდან ერთ-ერთი იყო გუდავაში. ახლა აქ წაშლილა ეკლესიის ყოველივე კვალი. ასევე საინტერესოა სოფელი წარჩე, რომელშიც ნანგრევებიღა შემორჩენილა IV–VII საუკუნის ციხისა.

ზღვისპირა სოფ. ფიჩორში რამდენიმე წელია მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც ატარებს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. არქეოლოგიურ ექსპედიციას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს მალხაზ ბარამიძე.

ფიჩორის დიხაგუძუბები მოიცავს დაახლოებით რვა-ცხრა ჰექტარ ფართობს. ამ კომპლექსში გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი. როგორც ჩანს აქ, ბორცვზე პატარა დასახლება იყო, რომელიც თანდათან ითვისებდა მიმდინარე ტერიტორიებს.

გათხრების დროს გამოიყო რვა კულტურული ფენა. ყველაზე ადრეული ფენა 23-22-ე საუკუნისაა ჩვ.წ. აღრიცხვამდე. ამ დიხაგუძუბებში შეინიშნება ცხოვრების უწყვეტი კვალი ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე. ასეთი დასახლებების შექმნას განაპირობებდა ჭაობების არსებობა. როგორც თვით დასახლების შიგნით, ისე მეზობლად მდებარე დასახლებას შორის კავშირი ხორციელდებოდა არხების მეშვეობით. (კოლხეთის არხებზე საინტერესო ცნობას გვაწვდის მედიცინის მამა ჰიპოკრატე).

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ფიჩორის დასახლების არხები უერთდებოდა გაგიდის წყალმდინარეს. აქვე ახლოს არის სოფელი ნაკარღალი (ნაკარღალი, ანუ სადაც კარმიდამო და ღელე იყო).

ფიჩორის კომპლექსში წარმოდგენილია როგორც ადრე ბრინჯაოს მიწურულის, ისე შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნივთები. ასეთი უწყვეტი განვითარების ჯაჭვი სხვაგან კოლხეთის ტერიტორიაზე არსად გვხვდება. გათხრების შედეგად ნაპოვნია პროტოკოლხური კერამიკა და რაც მთავარია, აღმოჩენილია უნიკალური ხის სახნისი – ჩვ.წ. აღრიცხვამდე 23 საუკუნისა! მსგავსი რამ არ დასტურდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა რომ ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედების მხარეა, რომ აქ, უხსოვარ დროში მისდევდნენ მიწის დამუშავებას.

ფიჩორის კომპლექსში ნაპოვნია აგრეთვე სხვადასხვა ნივთების – ცულის, სატევრის, თოხების დასამზადებელი ყალიბები მე-2 ათასწლეულის მეორე ნახევრისა. ძველი სამყარო კოლხურ ტომებს აკი მეტალურგიის მამამთავრებად მიიჩნევდნენ.

გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზეა სახელგანთქმული ბედიის ტაძარი.

«ვისაც გენებოს განიცადოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ»-ო, გვაუწყებს «ქართლის ცხოვრება».

ძველებური ბრწყინვალების თითქმის არაფერი შერჩენია ამ მართლაც დიდებულ ნაგებობას, ისეა გაპარტახებული და მოუვლელი აქაურობა.

...ჩემს ბავშვობაში ასეთი გადმოცემა გამიგია ტაძრის აშენების თაობაზე:

ერთიანი საქართველოს პირველი დიდი მეფე ბაგრატ III თავისი მხლებლებითურთ ნადირობდა ოდიშის უღრან ტყეში. და აი, დღევანდელი ბედიის სანახებში მონადირეებს გზა დაებნათ. ბევრი ხეტიალის შემდეგ იმ ადგილზე გამოვიდნენ, სადაც ახლა ტაძარი მდებარეობს. აქედან უკვე კარგად ჩანდა კოლხეთის ვრცელი დაბლობი და ზღვა. ერთ-ერთმა დიდებულმა მიახარა თურმე მეფეს: – ბედი გქონია, მეფევ ბატონო, გადავრჩითო!

მეფე კარგა ხანს მდგარა მდუმარედ. მერე უბრძანებია: ამ ალაგას ჩვენი გადარჩენის აღსანიშნავად აიგოს დიდი ეკლესია და მას ბედია ეწოდოსო!

სულ მალე აშენდა დიდი საკათედრო ტაძარი – ქართული არქიტექტურის მშვენება – ბედიის სახელით რომ იხსენიება ჩვენს საისტორიო წყაროებში.

***

ბაგრატ III – სრულიად საქართველოს პირველი დიდი მეფე – დავით კურაპალატის შვილობილი, გურგენ მეფეთა-მეფის ძე, შთამომავალი ტაოს ბაგრატიონთა, რომლებიც, «ქართველთა მეფეებად» იწოდებოდნენ და რომელთაც სათავე დაუდეს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას – დედით აფხაზთა მეფის ასულის, გურანდუხტის შვილი იყო. დავით კურაპალატი ქართლის წარჩინებულის იოანე მარუშის ძის დახმარებით დაეუფლა ქართლს და აქ თავისი შვილობილი გააბატონა. მცირეწლოვანების გამო ბაგრატს თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნა.

აფხაზთა მეფეს თეოდოსს, გურანდუხტის ძმას, შვილი არ ჰყავდა, დავით III უშვილო იყო. ამრიგად, ბაგრატ III დედით დასავლეთ საქართველოსა და ქართლის, მამით და მამობილით სამხრეთ საქართველოს კანონიერი მემკვიდრე გახლდათ.

978 წ. დავით კურაპალატმა და იოანე მარუშის ძემ, ამ დაუღალავმა, ენერგიულმა და გამჭრიახმა დიდებულმა და დიდმა მამულიშვილმა – ბაგრატი აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოში გაამეფეს, გურანდუხტი კი ამ დროს ქართლს განაგებდა. 80-იანი წლების დასაწყისში ბაგრატ III დაამარცხა ქართლის ფეოდალთა აჯანყება, რომელსაც ქავთარ ტბელი ედგა სათავეში. 979 წ. დაამარცხა აგრეთვე გაერთიანების პოლიტიკის მოწინააღმდეგე კლდეკარის ერისთავი რატი რატის ძე ბაღვაშიც და შემოიერთა კლდეკარის საერისთავო. გურგენ მეფეთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მემკვიდრემ, შემოიერთა ტაოს ჩრ. ნაწილიც (ამიერ ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი). ამ დროიდან ბაგრატ III «აფხაზთა და ქართველთა» მეფის ტიტულს ატარებდა. 1010 წელს მან კახეთ-ჰერეთიც დაიკავა. ამრიგად, ბაგრატ III საფუძველი ჩაუყარა გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ მონარქიას.

ვინ არიან ისტორიული აფხაზები, რომელთა სახელწოდებით იწყება ჩვენი მეფეების ტიტულატურის ჩამოთვლა? რა კავშირი აქვთ მათ ძველ აბაზგებთან და აფშილებთან, ვინ არიან აფსუები?

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით, აბაზგები და აფშილები დღევანდელი აფხაზების (აფსუების) წინაპრები არიან. სხვათა აზრით, ისინი ქართველური მოდგმისანი გახლავან. ერთი რამ კი ცხადია: აბაზგებსა და აფშილებს მხოლოდ I–II საუკუნეებიდან მოიხსენიებენ ისტორიული წყაროები და მათი განსახლების ადგილი არასოდეს ყოფილა არამცთუ დღევანდელი გალის, ოჩამჩირის თუ გულრიფშის რაიონები, არამედ ცხუმისაც. ს. ჯანაშიას აზრით, აბაზგებსა და აფშილებს მათ

დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე «წინ უსწრებდა ერთი მხრით, სვანური, მეორე მხრით ჭანურ-მეგრული მოსახლეობა». შემდეგ: ევსევი კესარიელის, იპოლიტე პორტელის და სხვათა მიხედვით, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სანიგები ყოველთვის დაკავშირებული არიან სებასტოპოლისთან-ცხუმთან და, საერთოდ, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. იმავე ს. ჯანაშიას აზრით, «სანიგი» არის სახელწოდება იმ მეგრული ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარესად არის საგულვებელი. ამ დებულების ერთ-ერთი უტყუარი საბუთი სწორედ ტოპონიმიკაც გახლავთ, არქეოლოგიურ მასალებთან ერთად – ესოდენ უგულებელყოფილი რომ არის ზოგი მეცნიერის მიერ დღეს და რის გამო ასე გააფთრებით ებრძვიან ხოლმე პ. ინგოროყვას, რომელსაც, სხვათა შორის, თითოეული ტოპონიმის ასახსნელად მოჰყავს ოთხი თუ ხუთი წყარო მაინც როგორც უცხოური, ისე ქართული.

როგორც ცნობილია, არაბთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად დაეცა ეგრისის სამეფო. სამეფო დინასტიამ თავშესაფარი ჰპოვა უფრო დაცულ ჩრდილო-დასავლეთში, მომძლავრებულ აფხაზეთის სამთავროში. (ტერმინი «აფხაზეთი» მხოლოდ მე-7 – მე-8 სს. ჩნდება, როცა ბიზანტიამ გააუქმა ლაზიკის ანუ ეგრისის (იგივე კოლხეთის) სამეფო ხელისუფლება და მდ. კოდორის ჩრდილოეთით შექმნა აფხაზეთის საერისთაო). მერვე საუკუნის ბოლოსათვის აფხაზთა მთავარი ლეონ II განთავისუფლდა ბიზანტიაზე დამოკიდებულებისგან და მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. საზღვარმა ანაკოფიიდან მდ. კელასურზე, ანუ კლისურაზე გადაინაცვლა, ხოლო ეგრისის დაუძლურების გამო ეგრისის მთელი ტერიტორია მთლიანად შევიდა ამ ახლადჩამოყალიბებული სამეფოს ფარგლებში.

ვინ იყო ეთნიკურად ლეონ II, არაა ცნობილი (შესაძლოა ეგრი იყო, აფხაზი ან სულაც ბერძენი), მაგრამ ეს არცაა მთავარი. (ისტორიას მრავალი უცხოური წარმოშობის დინასტიის მეფობა ახსოვს სხვადასხვა ქვეყნებში). მთავარია, რა საქმეს ემსახურებოდა ლეონი, რისთვის იბრძოდა, რისთვის იღვწოდა. ხოლო მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანი, როგორც ცნობილია, გახლდათ საქართველოს გაერთიანება. მან თავის სამეფოს დედაქალაქად ქუთაისი აქცია, თავგამოდებით იღვწოდა ქართული კულტურისათვის, აგებდა ქართულ ტაძრებს, რომელთაც ამშვენებდა ქართული წარწერებითა და ფრესკებით.

ამგვარად, აფხაზეთის სამეფო დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად შეიქმნა. მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები (ქართები, მეგრელები, სვანები) შეადგენდნენ. სახელმწიფოს, ეკლესიისა და მოსახლეობის დიდი უმეტესობის სალაპარაკო ენა ქართული გახლდათ.

მე-10 საუკუნეში, ზოგი მკვლევარის ვარაუდით კი, უფრო ადრე მე-8 საუკუნეში აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრალო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყდრად იწოდებოდა, ბიჭვინთაში იყო. აფხაზეთის კათალიკოსი ბიჭვინთის კათალიკოსადაც იწოდებოდა და საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარებოდა.

ქართული ენა და კულტურა დასავლეთ საქართველოში მოსახლეობისათვის «მძლავრი იარაღი იყო უცხოელი ასიმილატორების, კერძოდ, ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ბიზანტიისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტენდენცია, რაც ასე სასიცოცხლო იყო ამ მხარის მოსახლეობისა და მისი მმართველი წრეებისთვის, თან სდევდა ენასა და კულტურაში ბერძნულისგან

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაც. ეს უკანასკნელი შეუძლებელი იყო საკმაოდ განვითარებული ენისა და კულტურის დაპირისპირების გარეშე, რაც მხოლოდ ანტიკური ხანის მძლავრი იბერიის ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება ყოფილიყო».[11]

ის გარემოება, რომ, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა ანდა მხარე პოლიტიკურად ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ქადაგება ხალხისთვის გაუგებარ, ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, რომ დასავლეთ საქართველოში მხოლოდ მერვე თუ მეცხრე საუკუნეში «შეაღწია» ქართულმა დამწერლობამ, ენამ და კულტურამ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს.

უნდა ითქვას ჯერ ერთი ის ამბავი, აღმოსავლური ქრისტიანული მართლმადიდებლობა იმითაც გამოირჩეოდა დასავლურისგან, რომ იმთავითვე მოითხოვდა ქადაგებას და წირვა-ლოცვის ჩატარებას მშობლიურ ენაზე, რათა გასაგები და უფრო ახლობელი ყოფილიყო მოსახლეობისთვის ქრისტიანული სარწმუნოება და შემდეგ: თუკი მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ბერძნულ ენაზე ისმენდა ქადაგებასა და წირვა-ლოცვას, წესით და რიგით ამ ხნის განმავლობაში იგი სულიერად მაინც უნდა «გაბერძნებულიყო» და თუკი ეს ასეა, როგორღა იმძლავრა მერვე თუ მეცხრე საუკუნეში ქართულმა ენამ და კულტურამ ჯერაც დაქუცმაცებულ ქვეყანაში?

დიდი ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე ყველა ქართველ ტომთათვის კულტმსახურების ენა ქართული იყო: «ცხადი ხდება, რომ არამცთუ საზოგადო ქართული ყველა ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ, რომ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც – ქართული ჰქონდათ».

მაშასადამე, ქართული ენა სრულიად გასაგები და დედა ენა იყო ყოველი ქართველი ტომისათვის, ხოლო «მეგრელებსაც და სვანებსაც და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლა ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ»-ო, – ბრძანდება დიდი მეცნიერი. იგივე ივანე ჯავახიშვილი წერს: «ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამწერლო ენაც ჰქონდა და აბადია ეხლაც, რომელიც ეს თავად აკად. ნ. მარსაც კარგად მოეხსენება, და თვითონაც არა ერთხელ დაუდასტურებია, მეგრელებისთვისაც და სვანებისთვისაც ერთადერთ სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის ახლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსაც და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი».

როგორც ცნობილია, ეს საერთო ქართული ენა ფარნავაზმა აქცია ერთადერთ საერთო, სახელმწიფოებრივ ენად და არა იზრახებოდა სხვა ენა, თვინიერ ქართულისა: გასაგებია აგრეთვე ისიც, ქუჯი ერისმთავარმა რისთვის შესთავაზა ქვეშევრდომობა ფარნავაზს – ამით ხომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ჩაეყარა საფუძველი, უფრო სწორად, ამით განხორციელდა ერთიანი, მთლიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა. ეს იდეა კი ყოველთვის ცოცხლობდა ქართველ ტომებში დასაბამიდან, რამეთუ ხსოვნა ერთიანობისა, ერთიანი წარმომავლობისა და ერთ დიდ სახელმწიფოში ერთად ყოფნისა, არასოდეს წაშლილა ხალხის მეხსიერებაში. როგორც ცნობილია, ქართულ-ზანური ერთობის დაშლის დასაწყისი მე-8 საუკუნით (ჩვ. წ. აღრიცხვამდე) თარიღდება. ცხადია, ფარნავაზის დროს მეგრული და ქართული ენა ძლიერ ახლოს იქნებოდა ერთმანეთთან, ისინი ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ.

[11] საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. I. 1970, გვ. 34-34.

ასე რომ, საკვირველი არ უნდა იყოს ის გარემოება, ქრისტიანობის მიღების შემდეგაც, რომელიც თითქმის ერთდროულად მოხდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მღვდელთმსახურების ენა ყველასათვის გასაგებ ქართულ ენაზე რომ ყოფილიყო.

ხომ არ ხდება ზოგჯერ ისე, რომ ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელს ამოფარებული, ნებსით თუ უნებლიეთ ებრძვის სწორედ დიდი მეცნიერის კონცეფციებსა და იდეებს, ილიას და მის თანამზრახველთა ნააზრევს რომ ეფუძნება? მაშ, რით უნდა აიხსნას ის ამბავიც, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბების პერიოდი მეცხრე-მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებით თარიღდება ზოგი ისტორიკოსის მიერ? ნუთუ კოლხეთისა და იბერიის დიდი კულტურა შექმნილია არა მაღალგანვითარების საფეხურზე მდგარი, სულიერად და კულტურულად ერთიანი ერის, არამედ ცალკეული ეთნიკური ჯგუფების მიერ?

...ერთიანი, მთლიანი საქართველოს დაშლის პერიოდში (XV ს.) აფხაზეთი შედიოდა სამეგრელოს სამთავროში და ერთი მთავარი ჰყავდათ – ბედიანი.

ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, კულტურულ-ისტორიულად საქართველოში «აფხაზი» იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართლელი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, ეგრი, სვანი და სხვ. ან კიდევ «კახელი», «ქართლელი, «გურული», «მეგრელი», «იმერელი», «აჭარელი» და ა.შ. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ ქართული შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად «ქართველი» იყო.[12]

ამ მხრივ არაფერი არ შეცვლილა საქართველოს დაქუცმაცების დროსაც.

ბედიანის სამფლობელოში – სამეგრელოსა და აფხაზეთის გარდა, შედიოდა გურია და სამი ქალაქი: ცხუმი, ფოთი და ციხისძირი (პეტრა), აგრეთვე ბათუმი.

1660 წელს, როცა გიორგი VIII ელჩები გააგზავნა ევროპაში, ბედიანის ტახტი ეჭირა ლიპარიტ I დადიანს. იგივე სურათია მე-17 საუკუნეში, მაგრამ ამ დროისათვის უკვე ძლიერდება შარვაშიძეთა გვარი, რომელიც იწყებს ბრძოლას სამეგრელოს სამთავროს წინააღმდეგ (შარვაშიძეთა გვარის წარმომავლობაზე სხვადასხვა ვერსია არსებობს. პირველად ეს გვარი მოხსენიებულია მე-12 საუკუნეში. ერთი ვერსიით, ის თითქოს შარვან-შაჰისაგან მომდინარეობს, მეორე ვერსიის თანახმად კი – იგი ლაზური წარმოშობისაა. საინტერესოა, რომ ყველა მისიონერი შარვაშიძის ნაცვლად ხმარობს მის მეგრულ ფორმას – შარაშიას, ში კი, როგორც ცნობილია, მეგრულ-ლაზური ფორმაა გვარის დაბოლოებისა: (ბაღუა-ში, ხალვა-ში, ჯა-ში, გაგოში-ძე, აბა-ში-ა და სხვ. ისევე როგორც **ბა** გახლავთ ლაზურ-მეგრული გვარების დაბოლოება. (ბა-ია, უა, ხი, ბერე ნიშნავს მცირეს, პატარას. აქედან **ბაია – ბა-ვშვი** ქართულში და სხვ.).

საუკუნეების განმავლობაში როგორც დადიანების გვარი, ისე შარვაშიძეთა – მთავრის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა (გვიან ფეოდალურ ხანაში ამ ტიტულის მატარებლად ჩაჩბას გვარი ჩანს აფხაზეთში).

შარვაშიძეები იწყებენ ბრძოლას სამეგრელოს სამთავროს წინააღმდეგ: ბრძოლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ტყვეების შეძენა, ტერიტორიის გაფართოება და დამოუკიდებელი მმართველობის მიღება.

მე-17 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა დამოუკიდებელი სამთავრო, რომლის სამხრეთის საზღვარი ხდება მდ. კოდორი (კორაქსი), ასეა ეს არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზეც (1645 წ) და მის წიგნში «წმინდა კოლხიდა» (ასეა სხვა

[12] ნ. ბერძენიშვილი, საქ-ოს ისტორიის საკითხები. ტ. III, 1956 წ. გვ. 250.

უცხოელი მოგზაურებისა, მისიონერი ბერებისა და ისტორიკოსების ნაწერებშიც: ფეჩევი, ჩელები, კასტელი, შარდენი, ლამბერტი და სხვ.).

ამ საუკუნიდან იწყება ბრძოლა საზღვრების გაფართოებისათვის: ჩვეულებრივი, ფეოდალური მოვლენა, რაც ესოდენ დამახასიათებელია დაშლილი, დასუსტებული სახელმწიფოსათვის. ხან დადიანები იმარჯვებენ ამ ბრძოლა-ქიშპში, ხანაც შარვაშიძეები. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აფხაზთა ინტენსიური თავდასხმები სანაპიროებზე. ვახუშტის ცნობითაც და მისიონერების ჩანაწერებითაც ირკვევა, რომ დიდძალ ტყვეებს იტაცებდნენ გურიის სანაპიროებიდანაც. «აფხაზები თავს ესხმოდნენ შურისძიების მიზნით სამეგრელოს საზღვრებს, მთლიანად ააოხრეს ის, ხოლო მცხოვრებნი გაყიდეს მონებად და გადაასახლეს აფხაზეთში», წერს ლამბერტი. სამეგრელოდან, გურიიდან მოტაცებული ტყვეები ხდებოდნენ მეტწილად მონები (აფხ. აგრუა – მეგრელს ნიშნავს, ხოლო აგურუა – გურულს). და სახელწოდებაც აგრუა – ტყვის, მონის საერთო ტერმინად იქცა. რაციონალური იყო მონის გადაქცევა ყმა-გლეხად, რომელიც ვალდებული იყო გადაეხადა ღალა თავის მებატონისათვის, სამაგიეროდ იღებდა მიწის ნაკვეთს, უფლება ჰქონდა შეექმნა ოჯახი და ა.შ. ტყვე აგრუებს თუ აგურუებს ბუნებრივია, თან მოჰქონდათ თავიანთი ადათ-წესები, სულისმიერი კულტურა, სიმღერები, ცეკვები და ისინი ნელ-ნელა ერწყმოდნენ თავიანთ მონათესავე აფხაზებს. აქედანაა აფხაზურ-მეგრული სიმღერების ასეთი მსგავსება. ეს ნათესაობა ბევრ რამეში იჩენდა თავს და ესეც ბუნებრივი იყო, რადგან ორივე ტომი საერთო-კოლხ-იბერიული ფესვით საზრდოობდა და იკვებებოდა. ამგვარი გზით გააფხაზებულთა რაოდენობა შემდეგშიც იზრდებოდა (აქედანაა დღეს ამდენი აფხაზი ფაჩულიები, კობახიები, ხვარწკიები, გურგულიები, გვარამიები, გოგუები, დოლიძეები, თაყაიშვილები და ა.შ.). ხდებოდა პირუკუ პროცესიც. ცნობილია ლევან დადიანის ბრძოლები იმერეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ. დადიანის მიერ აყრილი ტყვეები ექცეოდნენ მეგრულ გარემოცვაში, ასე ვთქვათ, მეგრელდებოდნენ. მთავარი, როგორც ჩანს, მაინც ენა იყო. ენა იყო ის ფენომენი, რომელიც განსაზღვრავდა ამა თუ იმ ტომის ეროვნულობას. იმ დროისთვის კი სალაპარაკო ენა როგორც აფხაზური, ისე მეგრული ტომებისთვის – კოლხური ენა გახლდათ. ოდნავ განსხვავებული კილო-კავით (კოლხი კრებითი სახელია. იგი აერთიანებს მეგრულ-ლაზურ ანუ ჭანურ, სვანურ და ძველ აფხაზურ ეთნიკურ ჯგუფებს). თუმცა იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვეხებით, ყმა-გლეხის მოვალეობა მხოლოდ ღალის გადახდა გახლდათ. სხვა რამ მას არ ეკითხებოდა, რამეთუ ეს ფეოდალური შინა ომი და შუღლი იყო თუმცა დაშლილი, მაგრამ მაინც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. შემდეგ ამ ფაქტორებს მე-19 საუკუნეში დაემატა ცარიზმის პოლიტიკა: დაჰყავი და იბატონე, დაემატა «ჩინ-მენდლების» სიყვარული, სავარძლის სიყვარული... ეროვნულობის სასწორმა იქითკენ იწყო გადახრა, საითკენაც მეტი იყო გამორჩენა – პირადული, ცხადია, მაგრამ ამაზე შემდეგ.

მივუბრუნდეთ ისევ მე-16-17 საუკუნეების ამბებს, დასავლეთ საქართველოს. იმერეთის სამეფო ფორმალურად ერთიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ. სწორედ ამ პერიოდში რუსეთის მეფემ მიხაილ თევდორეს ძემ გამოგზავნა ელჩობა სამეგრელოში. ელჩები აღწერენ სამეგრელოში შემავალ ღირსშესანიშნაობებს. აღწერილია ილორისა და მოქვის ეკლესიები, ე.ი. ყველაფერი ის, რაც კოდორამდე იყო. მაგრამ ლევან დადიანის შემდეგ ვითარება შეიცვალა: უფრო გააქტიურდნენ აფხაზეთის ფეოდალები. განსაკუთრებით სუსტარ შარვაშიძე. შარდენი აღწერს მის თავდასხმებს სამეგრელოზე. სორეხ შარვაშიძის დროს აყრილ ტყვეთა ადგილზე ასახლებენ აფხაზებს. საზღვარმა ჯერ ღალიძგამდე გადაიწია, ხოლო მე-17 საუკუნის 80-იან წლებში საზღვარი ხდება ენგური. გამარჯვებით

ფრთაშესხმული სორეხი ცდილობს ენგურის მარჯვენა ნაპირიც შემოიერთოს. მიუხედავად ამ ომებისა, აფხაზეთი, ისევე როგორც სამეგრელო და გურია, ნომინალურად მაინც იმერეთის სამეფოში შედიოდა. მერე თვით აფხაზეთის სამთავრო დაიყო ძმების – როსტომსა, ჯიქეშიასა და ყვაპუს შორის (ზეღნაყ შარვაშიძეების შვილები).

«ხოლო უმრწემესსა ძმას ყვაპუს ჰრგებია ტერიტორია მდინარე ღალისძგიდან მდინარე ენგურამდე... ყვაპუ გადაცვალებულა რა, დაშთენია ძე მისი მურზაყან» – ვახუშტი. (მურზაყანის სახელი დარჩა მერე მთელი ამ მხარის სახელწოდებად).

სამთავროთა შორის ამ გაუთავებელი ომებით სარგებლობდა თურქეთი და სპარსეთი. «საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავალ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარი», – შენიშნავს ქართველი მემატიანე. არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასო, ხოლო ამით მტერმა «უფრო ძალაწამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც ამას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ».

თურქეთი მარტო იარაღით რომ ვერაფერს ხდება, მიმართავს თავის ნაცად ხერხს – ფეოდალთა გადმობირებას, მოსყიდვას. სწორედ ამ მოსყიდულ ფეოდალებზე დაყრდნობით გაჩაღდა უზარმაზარი მასშტაბით ტყვეთა სყიდვა, მაჰმადიანობის გაძლიერებული ქადაგება და დანერგვა, უძველესი მატერიალური და კულტურის ძეგლების მოსპობა, ადგილობრივი ტრადიციების დევნა, ენის შევიწროება და ა.შ. ყოველივე ამას, თურქეთის მთავრობის აზრით, უნდა მოჰყოლოდა ეკონომიკისა და კულტურის სრული განადგურება, ხალხის სულიერი და ფიზიკური გადაგვარება. ცნობილია, როგორ ბარბაროსულად წვავდნენ და სპობდნენ თურქები საეკლესიო ნივთებს, ძვირფას წიგნებს. ასე მაგალითად, 1703 წელს თურქებმა ილორის ეკლესიაში დაწვეს ძვირფასი საგნები, ხელნაწერები...

ეს მეთოდები განსაკუთრებით ძლიერდება მე-17, მე-18 საუკუნეებში, როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ისე განსაკუთრებით აფხაზეთის მიმართ: საჩუქრებით, დაწინაურებით, ალერსით მოსყიდული ფეოდალები გადადიან თურქეთის მხარეზე და იღებენ ისლამს (სხვათა შორის, დედაჩემის წინაპრები ჩაჩბები – სამთავროს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები გამაჰმადიანების შიშით ბზიფიდან გამოიხიზნულან და შიდა სამეგრელოსთვის შეუაფარებიათ თავი).

თურქეთს თავად არ გააჩნდა, მაგრამ ევროპიდან შეძენილი საქონელი შემოჰქონდა დასავლეთ საქართველოში: მარილი, ქსოვილები, პისტოლეტები, დენთი და სხვ. ამ ნივთების შესაძენად საჭირო იყო ფული. ფულის მაგივრობას ეწეოდა ადამიანი – ტყვე. პირადი გამორჩენის მიზნით რწმენის, შეხედულების ცვლას ამ უკიდურეს სისაძაგლემდე მიჰყავდა ფეოდალი. თურქ დამპყრობლებს «ყველგან მოჰქონდათ მხოლოდ სიკვდილი, ნგრევა და გაველურება» (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი). ყოველწლიურად მარტო სამეგრელოდან გაჰყავდათ 12 ათასი ტყვე. «არც ერთს ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს არ მიუყენებია საქართველოსთვის ისეთი ზიანი, როგორც ტყვეთა სყიდვამ» (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია). რეაქციული თავადობა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელს უწყობდა ამ ბარბაროსობას. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა თურმე ყვაპუ შარვაშიძე, ხოლო მანუჩარ შარვაშიძე გლეხმა მაჯი კვარაცხელიამ მოჰკლა კიდეც ცოლის გაუპატიურებისათვის.

ამ საშინელ ბოროტებას ებრძოდნენ მოწინავე ადამიანები. იმერეთის მეფემ ბაგრატ III (1540-49 წ.) საგანგებოდ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც დააწესა მკაცრი

სასჯელი სახელმწიფო წესრიგის დამრღვევთათვის. «ამ დროს, – წერს ვახუშტი – იმერეთში გახშირდა გაყრა, კაცთაკვლა და ტყვეთა ფარული სყიდვა... შეიკრიბნენ კათალიკოსი ქართლისა მალაქია, აფხაზეთისა ევდომენი და იმერეთისა და ოდიშის ყველა ეპისკოპოსი: ეპისკოპოსები იყვნენ: ქუთათელი სვიმონი, გაენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგარელი კოზმანი, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმე, ცაიშელი კირილე».

მე-17 საუკუნის 80-იან წლებში უკვე აღარ არსებობს არც მოქვისა და არც დრანდის საეპისკოპოსო, თურქთა მოძალეობის გამო ბიჭვინთიდან ზაქარია ქვარიანმა (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) კათალიკოსის კათედრა გადაიტანა გელათს (1657-1660). თუმცა თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობდა მოსახლეობის გასამაჰმადიანებლად, ის მაინც ცდილობდა შეენარჩუნებინა ქრისტიანობა. საყურადღებოა, ერთი გარემოება: როცა რუსთა ჯარმა დაიკავა ბიჭვინთა, საკურთხეველზე იპოვეს ქართული სახარება მე-15 საუკუნისა და სხვა საეკლესიო ნივთი. ვერც ქართული ენის ამოძირკვა შესძლეს თურქებმა: XVI–XVII სს. აფხაზეთში (როგორც მანამდე) ქართული ენა დარჩა ეკლესიის, წიგნისა და თავადური დაწესებულებების ენად.

მე-XVIII საუკუნეში ძლიერდება ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ აფხაზეთში. როგორც ცნობილია, იმერეთის მეფემ სოლომონ I გამოსცა კანონი ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. თურქეთმა მოითხოვა ამ კანონის გაუქმება. ბრძოლა ხრესილთან მოხდა 1775 წ. სოლომონის ლაშქარში იბრძოდა სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე და კაცია დადიანი. ხუტუნია შარვაშიძე შეიჭრა თურქთა რიგებში და დაღუპვამდე მოასწრო 16 თურქის მოკვლა. გასაჭირის ჟამს საქართველოს არ ელეოდა ასეთი თავგამოდებული გმირები, რომელთათვისაც ქვეყნის ღირსება და თავისუფლება უწმინდესი მცნებათაგანი იყო, თვით სიცოცხლეზე ძვირფასი. ეს განსაკუთრებით მკვეთრად ჩანდა ღალატისა და გაუტანლობის ფონზე: იმავე ბრძოლაში მეფის და ჯარის საიდუმლოება გასცა ლევან აბაშიძემ. ამისდა მიუხედავად, ქართველთა გამარჯვება ამ ომში სრული იყო სწორედ ხუტუნია შარვაშიძისნაირი გმირების წყალობით...

სოლომონ I 1759 წელს ფიცი დაადებინა ყველა მთავარსა და ფეოდალს ტყვეთა სყიდვის აღკვეთაზე. მიტროპოლიტმა მაქსიმემ დასწყევლა კაცია ჩიჩუა ბიჭვინთის გლეხთა გაყიდვისათვის.

თურქეთი, რაკი იარაღით ვეღარ სძლია სოლომონს, ცდილობდა ერთმანეთისათვის გადაემტერებინა მთავრები, ცალკეული ფეოდალები, თვით სამთავროშიც მოეძებნათ მოღალატენი. სწორედ ამ გზით მოიკლა აფხაზეთის მთავარი ქელეშ-ბეი შვილისგან-ასლან ბეისაგან.

ამასობაში მომძლავრებული რუსეთის დაწოლისაგან ჩრ. კავკასიელთა ტომებმა იწყეს საქართველოს ბარად ჩამოსახლება: ადიღეელები, ოსები, დაღესტნელები მძლავრ ნაკადებად მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ – გაპარტახებული საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში. უკვე კულტურულად, რელიგიურად და ისტორიულ-პოლიტიკურად დაშორიშორებული ტომების ჩამოსახლებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი გაუცხოების, ურთიერთუნდობლობისა და სეპარატიზმის ტენდენციების გაძლიერებას. ასე მოხდა აფხაზეთშიც. ადიღეური ტომის – აფსუების ჩამოსახლება და მათი მომძლავრება გამოწვეული იყო ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით გლეხობის დიდი ნაწილის აყრით და გაწყვეტით.[13]

[13] სწორედ იმ პერიოდში ლევან დადიანმა ჩრ. კავკასიელ ტომთა შემოსევებისგან სამთავროს დასაცავად კელასურის გასწვრივ ააგო დიდი კედელი; ამ კედლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

მაჰმადიანური რელიგიის შემოტევებმა, ეკონომიურმა და კულტურულმა დაქვეითებამ, რაც ოსმალთა გამუდმებულ შემოსევებს მოჰყვა, შეარყია მძლავრი ქართული კულტურული ნაკადის სიმტკიცე. ამას დაერთო აოხრება, გაპარტახება. გაწყდა კავშირები დასავლურ სამყაროსთან.[14]

თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში ხმლის ქნევამ დააკნინა ერთიანი, მძლავრი ქართული სული, დააძაბუნა ერის თვითმყოფობა, შემოქმედებითი უნარი და შესაძლებლობა. სულიერ-მორალურ-ზნეობრივი გადაგვარება მოედო ფართო ფენებს... სოციალური უთანასწორობა უფრო გამოიკვეთა და გამძაფრდა. და მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში იფურჩქნებოდა ცალკეული ერების შემოქმედებითი ენერგია, ყვაოდა რენესანსი – მისი წამომწყები – აღმოსავლეთის დესპოტურ ტირანებს შორის მომწყვდეული პატარა ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, სულს ღაფავდა აგონიაში ჩავარდნილი. მაშინ ყველა მეზობელმა, შინაურმა თუ გარეშემ ისარგებლა მომენტით და თითოეულმა წაჰკრა თითო ხიშტი დაცემულსა და წელში გაწყვეტილს. ასეთი დაძაბუნებული ქვეყნის ხელში ჩაგდება უფრო უპრიანი იყო ჩრდილოეთელი მეზობლისათვის, რამეთუ მაშინ უფრო ადვილად მოხერხდებოდა მისი «ათვისება»: ათვისება ფიზიკურად, სულიერად, ზნეობრივად. ის, რაც ყაბარდო-ჩერქეზეთში განხორციელდა, უნდა გატარებულიყო საქართველოში, მაგრამ საამისოდ იგი კიდევ უფრო უნდა გამწყდარიყო წელში. ყველაზე მარჯვე ხერხი იქნებოდა მახვილის მოულოდნელი ჩარტყმა ზურგში. დაჰყავი და იბატონე – აი, ძირითადი ფორმულა, რაც ასე ბრწყინვალედ აითვისეს, შეისისხლხორცეს, შემდგომ დახვეწეს, განავითარეს და გაატარეს რუსეთის თვითმპყრობელმა მონარქებმა.

დაჰყავი...

უნდა დაეწყოთ იქიდან, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი! და გამოჩნდნენ საიმისოდ გაწაფული, დაქირავებული პროპაგანდისტები ე.წ. მეცნიერები.

– აფხაზეთი არ არის საქართველო! მით უმეტეს – ჩრდილოკავკასიელ ტომებს – ადიღებს არაფერი აქვთ საერთო ქართველურ ტომებთანო.

მაგრამ ესეც არ იკმარეს. საჭიროა უფრო მეტი: ადიღეურ-ჩერქეზული ტომი უნდა დაუპირისპირდეს ქართველურს. ადიღეური მოდგმის ხალხი უფრო ძველია ქართველურზე და მათ მთელი დასავლეთ საქართველო ეკავათ ტრაპეზუნტის ჩათვლით (ლაზ-მეგრელები და სვანები სადღა არიან? ისინი მერე მოვიდნენ, გვიან; საიდან გამოჩნდნენ? სადღაც აღმოსავლეთიდან თუ სამხრეთ-დასავლეთიდან თუ... ვინ უწყის, საიდან. მთავარია ადგილობრივი მკვიდრნი არ არიან. ხოლო დამხვდურები – აბორიგენები ადიღეურ-ჩერქეზული ტომები არიან. და მთელი კულტურაც კოლხეთისა, შესაბამისად, შექმნილია მათ მიერ. საბუთი? თითო-ოროლა ტოპონიმი თურმე დასავლეთ საქართველოში იშიფრება მხოლოდ ადიღეური ენის მეშვეობით. ქართულ-მეგრული ტოპონიმების აბსოლუტური უმრავლესობა თურმე მერეა გაჩენილი. საბუთი? არავითარი. ბერძნულ-ბიზანტიურ თუ რომაული წყაროების იგნორირება ისე შეიძლება, ვითომც არაფერი მომხდარა. მთავარი ხომ სიმართლე არ არის. მთავარია მარჯვედ გაასაღო ტყუილი სიმართლედ. მიზანი ამართლებს საშუალებას. მიზანი კი ღირს იმად, რომ გამოიყენო და არ დაერიდო არანაირ ხრიკებსა და სიცრუეს – მიზანი ქართველობის მოთხრაა, მიწასთან გასწორება, როგორც იტყვიან, კვირტში ამოყვანაა. ილიას კითხვა: ვის რა დავუშავეთ, ვის რა ვირი შევუწვითო, ჰაერში გამოკიდებული რჩება: ამაზე თვით ქართველებმა იმტვრიონ თავი, უკეთ – ილიასნაირმა პატრიოტებმა,

[14] Ир. Антелава – Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. АН ГССР, Сухуми, 1949 г.

ხოლო მუხრანსკები, ვორონოვები და ძმანი მათნი, პირიქით, ამ «თეორიას» უხვად დაასხამენ წყალს, გაანაყოფიერებენ, გააპოხიერებენ, მიზანი ხომ თითქმის მიღწეულია: ისტორიულ-პოლიტიკურ ასპექტში მოხერხდა ამ მოძმე, ერთი ფესვიდან და ძირიდან წამოსული ტომების დაპირისპირება. ახლა საჭიროა კულტურის სფეროშიც მოხდეს იგივე: ჩრდილოკავკასიელი ტომები და სამხრეთის კავკასიელები ერთმანეთს ჰგვანან გარეგნულად, ჩაცმულობით, ადათ-წესებით, ფსიქიკით, სულიერი წყობით, ზოგადი საერთო კავკასიური კულტურით. ერთ დროს კიდეც მოხდა მათი დიდი ნაწილის კონსოლიდაცია ქართლის გარშემო, ქართულ ენაზე შეიქმნა პირველად კავკასიის ტომთა შორის დამწერლობა, მდიდარი სასულიერო თუ საერო ლიტერატურა, რაიც საერთო და ახლობელი იყო ყველა კავკასიელი ტომისათვის, რამეთუ თითოეული მათგანი ღებულობდა მონაწილეობას ამ საერთო კოლხ-იბერიელ-კავკასიური კულტურის შექმნაში.

მაგრამ ეს აშკარა ნიშნები მსგავსებისა უნდა წაიშალოს, უგულებელყოფილ იქნას. და აქაც, ამ სფეროში ჩნდება ათასგვარი «თეორიები» – ამ საერთო, ზოგადი კავკასიურ-იბერიული რასისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებათა უარსაყოფად, მათ გასაცალკავებლად, დასაშორისებლად და ერთმანეთის დასაპირისპირებლადაც კი. ისტორიული საბუთები? არავითარი. წარწერები? ისევ ილიას კითხვა: ქვანი ხომ ღაღადებენო. ნურას უკაცრავად. არ ღაღადებენ თურმე ქვანი. ის წარწერები ქართული კი არა, «აფხაზური» დამწერლობითაა შესრულებული, მართალია, ქართულ ენაზე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს და საერთოდ, ის რაც ქართულის სასარგებლოდ მეტყველებს, თურმე ყველაფერი მოგონილია, სიცრუეა. აქამდე მაშტოცს მიაწერდნენ ქართული ანბანის გამოგონებას – კაცს, რომელმაც თურმე ქართული არ იცოდა, მაგრამ მაინც თავის ერზე უფრო სრულყოფილი ანბანი «შეუქმნა» სხვას. ახლა – «აფხაზურიც» გაჩენილა, ოღონდ, საძიებელია ძირძველობა ამ «თეორიებისა»: რომელი უფრო ძველი სიცრუეა? მაგრამ ამქვეყნად რა დალევს ვაიმეცნიერებს ან იმათ, ვისაც გაუყიდნია მეცნიერის სინდისი? თუკი მაცხოვრის გაყიდვა შესაძლებელი იყო ოცდაათ ვერცხლად, რა ესე წარმოუდგენელია საქართველოს გაყიდვა, ვთქვათ, მეცნიერის ხარისხზე? ანდა რა ისეთი დანაშაული უნდა იყოს სინდისის წინაშე ძლიერის მხარეზე ყოფნა, მით უმეტეს, როცა სინდისი საერთოდ არ გაგაჩნია?

«რაც მან დედამიწის ზურგზე თავი შეისწავლა, მის დევიზად თავის დღეში არ ყოფილა ქელვა, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონება, მიწასთან გასწორება რომლისამე ერისა. ჩვენი ერის ხმალი მღელვარებდა მხოლოდ თავის თავისუფლების დაცვისათვის და დამოუკიდებლობის მოუსპობლობისათვის. თუ ოდესმე დროთა ვითარება იძულებულს ხდიდა შემოერთებინა თავისთან რომელიმე უცხო ქვეყანა, ჩვენი ერი ანიჭებდა მას სრულს თვითმმართველობას და ხელუხლებლად იცავდა ყოველს მის უფლებასა. თვით საქართველოშიც სხვა სარწმუნოების მიმდევნი სარგებლობდნენ სრულის თავისუფლებით და თანასწორობით ქართველებთან. როდესაც განათლებულს საფრანგეთში ჰუგენოტებს ართმევდნენ კაცის ყოველს უფლებასა და ბარბაროსულად ჟლეტდნენ მათ კათოლიკები, როდესაც სახელოვანს ინგლისში კათოლიკები იდევნებოდნენ უწყალოდ და ულმობლად, იმ დროს საქართველოში შემოხიზნული სომხები იყვნენ ყველაფერში გათანასწორებულნი ქართველებთან, ჰქონდათ მინიჭებული ყოველი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება და ხშირად მემკვიდრეობით ეჭირათ უმაღლესი ადგილები ჩვენს სამეფოში. ამ გვარივე თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული თვით ებრაელებსაც. იგინი... ყოველთვის სარგებლობდნენ ჩვენში სრული მყუდრო ცხოვრებით და მათ ერთხელაც არ გამოუცდიათ ის დევნა და ჟლეტა, რომლის მსხვერპლად ხდებოდნენ და ხდებიან

ახლაც ევროპაში»... – ჩვენი ერის სასიქადულო შვილის, იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებში წარმოჩენილია ქართველი კაცის დიდსულოვნება, შემწყნარებლობა და ლმობიერება უცხო ერის წარმომადგენელთა მიმართ, მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობილება ყოველი დევნილი და დაჩაგრულის მიმართ: ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ამბავი: როცა მრავალრიცხოვანი და დიდი ერები მიწის ერთ გოჯსაც არ თმობენ უსისხლოდ და უომრად, ქართველობამ, თავისი საუკეთესო პროვინციის ნაწილი – სამაჩაბლო და საერისთავო დაუთმო ოსებს, რომელსაც შემდგომ, ჩვენდა დაუკითხავად, სამხრეთ ოსეთი ეწოდა (არადა, 1921 წ. ცხინვალში სულ სამიოდე ოსის ოჯახი ცხოვრობდა). როდესაც აფხაზებს თავის მიწა-წყლიდან ასახლებდნენ, ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა, ერის ღირსეულმა შვილებმა აღიმაღლეს ხმა უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ... საქართველო უკვე პოლიტიკურად არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ერთეულს, მას უკვე არავინ ეკითხებოდა მის ნება-სურვილს, საქართველოს სახელი წაშლილი იყო პოლიტიკურ რუკაზე. და ამდენად, არც ხელეწიფებოდა რაიმე შეეცვალა დიდმპყრობელური, იმპერიალისტური სახელმწიფოების ზრახვებში.

პირველი საბუთი, რითაც საქართველო და ქართველობა მიიწევდა რუსეთისაკენ, იყო მისი ერთმორწმუნეობა, მაგრამ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, როცა კახეთში პირველად გამოჩნდნენ მეფის რუსეთის მიერ გამოგზავნილი მღვდლები, ნათლად გამოიკვეთა მათი «მისიონერული მოღვაწეობის» ნამდვილი შინაარსი და მიზანი. დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს: რუსთა მიერ გამოგზავნილი მღვდლები «როგორც კარგი გამომძიებელნი და მეძებარნი, იმ წამსვე ეკლესიების ჩხრეკას შეუდგებოდნენ ხოლმე და წირვაზე უარს ამბობდნენ, საკურთხეველს სხვანაირი სამოსი უნდა ჰქონდესო, სახარების ყდას და ბარძიმს ესა და ეს სახე აკლია და გამოყვანილი არ არისო, ეკლესიები ხელახლა უნდა ვაკურთხოთო. თავდაპირველად კი, სადაც რუსი მოძღვრები გამოჩნდებოდნენ, სიხარულით ხვდებოდნენ ყველგან, ვითარცა თანამორწმუნეებს, რომელთაც ქართველების დახმარება სწადიათ «ურჯულოთა» წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო მათ სიყვარულისა და მშვიდობიანობის დამყარების მაგიერ თავიანთი მედიდური და მძულვარებით გამსჭვალული ქცევით ყველაგან უსიამოვნო გრძნობა დატოვეს».[15]

ხოლო მე-19 საუკუნეში, როცა რუსეთი უკვე სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა საქართველოსი და უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო დაწესებულებებიდან განიდევნა ქართული ენა, ჯერი მიდგა ეკლესიაზე: პირველ რიგში მოისპო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა, კათალიკოსის ნაცვლად ახლა ეგზარქოსი განაგებდა ქართულ ეკლესიას. თუ რას წარმოადგენდნენ ეგზარქოსები და როგორ «განაგებდნენ» ისინი ქართულ ეკლესიას, ამის შესახებ თვით რუსი ისტორიკოსი ბრაილი აღნიშნავს: «რუსი ეგზარხოსები ევლინებოდნენ საქართველოს არა იმისთვის, რათა ემწყემსათ მათთვის მინდობილი ეკლესია, არამედ ეძარცვათ და გაენიავებინათ ძველი ივერიის საეკლესიო ქონება, შეურაცხეყოთ მის მცხოვრებთა ენა, მერე კი ნაძარცვი საეკლესიო ქონებით და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში. სინოდს საშინელი ბოროტებისა და ზიანის მეტი არაფერი მოუტანია საქართველოს ეკლესიისთვის. მისთვის ეს ეკლესია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იყო ბარბაროსული ქვეყნის ეკლესია. უგულებელჰყო რა ყველა საეკლესიო კანონი და დადგენილება, რომელიც ქართულ ეკლესიას ეხებოდა, მისცა რა ცეცხლს მრავალი უძველესი საეკლესიო დოკუმენტები, სხვები კი – გაზიდა პეტერბურგში, სინოდის მმართველებმა წაართვეს საქართველოს ეკლესიას

[15] ივ. ჯავახიშვილი – «ქართველი ერის ისტორია, ტ. II. 1983 წ. გვ. 297.

ავტოკეფალობა, დახურეს ოცზე მეტი ეპარქია, რომელთაგან ზოგიერთი არსებობდა ქრისტიანობის მიღების დროიდან, ე. ი. დაახლოებით 15 საუკუნის განმავლობაში, გაანადგურეს მრავალი ძველი მონასტერი და მიაღწიეს იმას, რომ ხაზინისთვის გადაეცათ ქართული საეკლესიო მამულები და ამით ქართული ეკლესია მიიყვანეს ისეთ სავალალო მდგომარეობამდე, რომ ამჟამად 860-ზე მეტი ეკლესია უმოქმედოა.

რუსის ეგზარხოსები, რომელთაც საქართველოში აგზავნიან, ამ ქვეყანას უყურებენ, როგორც საძარცავ მხარეს, რამეთუ ღვთის მადლით, იგი ჯერ კიდევ არ არის მოკლებული ფასდაუდებელ საუნჯეებს (დაახლოებით იგივე ამბავია, რაც ესპანელმა კონკისტადორებმა ჩაიდინეს ინდიელთა მიმართ! ც. ა.). როცა საქართველოში ისეთ ეგზარხოსებს ნიშნავენ, როგორიც პავლე, პალადი და ვლადიმერია, ჩვენი სასულიერო უწყება საქართველოს ართმევს საშუალებას ილოცოს თავის მშობლიურ ენაზე (განსაკუთრებით გამოირჩევა ამ საქმეში მცირე განათლების მქონე სოხუმის ეპისკოპოსი არსენი)».

ერთობ გამწვავდა მდგომარეობა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, იმავე ბრაილის სიტყვებით რომ ვთქვათ: «ამჟამინდელმა რუსის ეგზარხოსმა ვლადიმერმა ნადირის მსგავსი ყოფილი ეგზარხოსის პავლეს დარად... წაართვა ქართველებს უფლება ილოცონ მშობლიურ ენაზე საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საფლავზე... ამ ბოლო დროს კი იგი საეპისკოპოსო კათედრებზე ნიშნავს რუს ეპისკოპოსებს, რომელთაც არა სურთ იცოდნენ თავიანთი მრევლის ენა და ამის გამო სასაცილონი ხდებიან უკანაკნელთა თვალში».

როგორც ცნობილია, სწორედ ამ ერთ-ერთმა «ნადირისმსგავსმა» ეგზარხოსმა პავლემ იყო ამბიონიდან რომ დასწყევლა ქართველი ერი – უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში! საჯარო წყევლასაც აღარ თაკილობენ «ერთმორწმუნე» ქვეყნის სასულიერო პირნი. ამ გაუგონარ შეურაცხყოფას შეეწირა კიდეც საქართველოს საუკეთესო შვილი დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც არ მოუთმინა თავგასულ შავრაზმელ «ღვთის მსახურს» ერის აბუჩად აგდება, ერის შეგინება.

მაშ ასე: სახელმწიფო დაწესებულებებში, სასამართლოებში, სკოლებში, ეკლესიებში აიკრძალა ქართული ენა, გიორგი მუხრანსკის ტიპის დაქირავებული დამქაშები განსაკუთრებული სიბეჯითით ამტკიცებდნენ ქართველი ერის გადაშენების აუცილებლობას. მაგრამ კიდევ რჩებოდა ერთი დაბრკოლება: ტერიტორიული მთლიანობა. უნდა გამოსცლოდა მიწა ადგილობრივ მკვიდრთ და კოლონიზატორთა ხელში გადასულიყო: «როცა ქართველობა დაჰკარგავდა ისედაც მცირე მამა-პაპეულ ტერიტორიის დიდი ნაწილს, როცა მას ოდნავადაც გამოეცლებოდა ფეხქვეშიდან საქართველოს მიწა-წყალი და ნიადაგი, მაშინ მისი როგორც ეროვნების, არსებობა შეუძლებელი იყო», («მოამბე».) «თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალს, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება... მიწა-წყალი ნამდვილი ფესვია ერის ცხოვრებისათვის და როგორც ხე მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე იღუპება ერი, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია», – იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებში ნათლად და მკაფიოდ არის წარმოჩენილი, რა საშიშროების წინაშე იდგა ქართველი ერი. «ტერიტორია ის ძალაა, რომელიც ეროვნებას აკავშირებს და გარკვეულ სახეს აძლევს. იმ ძალის უქონლობა ერმა უსათუოდ როგორმე უნდა აინაზღაუროს: წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარება და გაქრობა მოელის», – ამას მოგვიანებით აღნიშნავს გერ. ქიქოძე: «განა ასეთმა შიშმა არ შეაერთა პოლონელები, როცა ბისმარკმა მოიწადინა პოლონელების მსხვილ მემამულეთა მიწების სახელმწიფო ხარჯზედ ყიდვა და მანდ გერმანელების დასახლება პოლონელთა გასაგერმანებლად. განა ასეთმა გარემოებამ არ

გამოიწვია მოძრაობა «პოლონეთი პოლონელებისათვის»? მაშასადამე, ქართველობას რომ ვამბობთ, უნდა ვგულისხმობდეთ საქართველოს მიწა-წყალს ქართველობის ხელში» («მოამბე»).

ქართველ თავად-აზნაურების ბედოვლათობისა და ქარაფშუტობის წყალობით, ქართული მიწა-წყალი უცხო ერის წარმომადგენელთა ხელში ვარდებოდა, მაგრამ ცარიზმის ვერაგული და ცბიერი პოლიტიკა უფრო შორს უმიზნებდა: უნდა აეჭრელებინათ მოსახლეობა და შემდეგ მარჯვედ გამოეცლიათ ტერიტორია მის მკვიდრთათვის. ასე მოხდა სამცხე-ჯავახეთშიც. გასახლებული 30 ათასი ქართველი მაჰმადიანების ნაცვლად თურქეთიდან დევნილი 30 ათასი სომეხი ჩამოასახლეს. ამ «ინიციატივის» მოთავენი პასკევიჩი, ბებუთოვი და სომეხთა მთავარ-ეპისკოპოსი კარაპეტა იყვნენ! ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა ამ მხრივ აფხაზეთში შეიქმნა. მკვლევარი ს. ცაიშვილი თავის საინტერესო წიგნში «პეტრე ჭარაია» წერს: «მეფის რუსეთის ხელისუფლებას დიდი ხნიდან ჰქონდა განზრახული საქართველოსთვის სავსებით ჩამოეშორებინა აფხაზეთი მისი სრული დენაციონალიზაციის გზით. ამიტომ სათანადო თადარიგი თავიდანვე იქნა მიღებული, რაც გამოიხატა აფხაზთა მოსახლეობის იძულებით გასახლებაში და ცარიელ, დაუსახლებელ ადგილებზე უცხო ელემენტების (გერმანელების, ესტონელების, მალაკნების, ყაზახების, სომხების და სხვ.) დასახლებაში», ანუ ის, რასაც იგი აკეთებდა საქართველოს სხვა პროვინციების მიმართ. მაგრამ ამჯერად განსაკუთრებით აფხაზეთი იდგა დღის წესრიგში, აქ საამისოდ უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. «იმპერიის მოსახლეობასთან აფხაზთა სრული შერწყმისათვის, აუცილებელია აფხაზეთის ეკლესიებში გვყავდეს განათლებული მღვდლები, რომელთაც კარგად იციან რუსული ენა, ხოლო ბლაღოჩინები უსათუოდ რუსები უნდა იყვნენ. ყველა სკოლაში, როგორც სახალხო განათლების სამინისტროს, ისე საეკლესიო – სამრევლოში, უნდა იყვნენ რუსი მასწავლებლები, და ბოლოს, ყველა უწყების მოხელეები არაქართული ეროვნებისანი უნდა იყვნენ». ამ მიზნით ქუთაისის სახალხო სკოლების მეთვალყურემ ლევიცკიმ დაავალა ხონის სემინარიის მასწავლებელს პეტროვს და ამ სემინარიის მაშინდელ მოწაფეს აფერისტ აშორდიას მეგრული ანბანის შედგენა რუსული ასოებით, ხოლო ანაფორაში ჩაცმული დეკანოზი შავრაზმელი ვოსტორგოვი, რომელიც იმ ხანებში სასულიერო სკოლების მთავარ მეთვალყურედ იყო მოწვეული, «ამტკიცებდა», რომ მეგრელებს არავითარი ნათესაობა არა აქვთ ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენენო. მას მაშინვე ბანი მისცა სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა. ეს ის არსენია, რომელმაც მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომლის ძალით სოხუმის ოლქის სკოლებში აღიკვეთა ქართული ენის სწავლება, ხოლო ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვა. შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი არ მალავდა იმპერიის მიზანს და თავის მოგონებაში წერს: «У них (у грузин), к сожалению, есть национальные традиции и самосознание, но мы везде возбуждали племенные чувства, уповая на то, что племя поднимется на племя, и брат на брата».

კავკასიის მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ზედამხედველად ამავე ხანებში დაინიშნა შავრაზმელი მღვდელი იოვანე ქავჟარაძე, რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ენას და მის ქომაგ მასწავლებლებს, ესეც ნაცადი ხერხი იყო ცარიზმისათვის: გადაგვარებული «ინოროდცები» ყოველთვის მეტ გულმოდგინებას იჩენდნენ ცარიზმის პოლიტიკის გასატარებლად.

«აშორდიზმის» ერთგულ გამტარებლად სამურზაყანოში ვინმე ხორავა გამოჩნდა. თ. სახოკიას მოგონებიდან: «ბატონ ბორის ხორავას... შეუდგენია მოხსენება სოხუმის

ეპისკოპოსთან, სადაც ამტკიცებს, მეგრელთათვის ქართული ენა უფრო ძნელი გასაგებია და შესათვისებელი, ვიდრე რუსულიო». მართლაც ძნელი წარმოსადგენია შავრაზმელი მთავრობის წინაშე მეტი ლაქიობა და მლიქვნელობა! ბორის ხორავა იმ ტიპის ნაძირალებს განეკუთვნება, კარიერისთვის საკუთარ დედას რომ გაჰყიდის. სამწუხაროდ, ასეთი შვილებიც ჰყავდა საქართველოს ივანე გეგიას, თედო სახოკიას, პეტრე ჭარაიას გვერდით. მათ თავიანთი «გასამართლებელი იდეოლოგიაც» ჰქონდათ: ყოველთვის ძლიერის მხარეზე უნდა იყო, რომ მიაღწიო წარმატებას ცხოვრებაში, გაინაღდო კარგი თანამდებობა, სხვებზე უკეთ არჩინო ცოლ-შვილი და თავადაც იცხოვრო დოვლათიანად და მაძღრად. ბოლოსდაბოლოს, ადამიანი ამ ქვეყნად ერთხელ მოდის და ხელიდან როგორ უნდა გაუშვას კარგი ჭამა-სმის ანუ მაძღრისად ცხოვრების საშუალება, ანუ ქართველი მემატიანის თქმით: «..რამეთუ პატივსა-თვის და როქთათვის იქმნებოდიან მაჰმადიან და მიიღებდიან ყეენისაგან როჭიკს». პატივისა და როჭიკისათვის ანუ საზრდოსათვის, ულუფისათვის ხდებიან მაჰმადიანიო.

ასე და ამგვარად: «როჭიკისთვის სულგაყიდული» ქართველები გულმოდგინედ ასხამდნენ ცარიზმის წისქვილზე წყალს. ცარიზმი კი აშკარა შეტევაზე იყო გადასული. იმავე რაპორტიდან, ქუთაისის გუბერნატორს რომ წარუდგინა მისმა შავრაზმელმა ქვეშევრდომმა:

«Вследствие включения Абхазии и Самурзакани в состав губернии, населенной представителями Картвельского племени, ближайшие из них мингрельцы стали переселяться в пределы Сухумского округа и стремиться к огрузинению Абхазцев, парализуя меры правительства, клонящиеся к ассимиляции этих горцев».

რაკი ეს «კარტველსკი ელემენტი» უშლის ხელს აფხაზების ასიმილაციას, საჭიროა, თვით მასში მოხდეს დაყოფა. აქედან – აშორდიზმის გაჩენა და «ზრუნვა» მეგრული ენისათვის. გარდა ამისა:

«При отрицательных вообще чертах характера в стремлении Картвельского элемента в Сухумский округ, его, по-видимому, своевременно ослабить и одной из мер к последнему, способных привести к цели, было бы абсолютное административное отделение Сухумского округа от Кутаисской губернии».

დიახ, არც მეტი, არც ნაკლები: ქუთაისის გუბერნიიდან ჩამოშორება სოხუმის ოლქისა და შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან მისი შეერთება, მაგრამ ეს შეერთება: «აუცილებელია, უდაოა გუმისთისა და გუდაუთის რაიონებისთვის. მით უფრო, რომ უკვე აფხაზეთის ნაწილი შევიდა შავი ზღვისპირა გუბერნიის ფარგლებში – გაგრის რაიონის შემადგენლობაში». მაშასადამე: «შავი ზღვისპირა გუბერნიისა და სოხუმის ოლქის შერწყმა მხოლოდ დროის საქმეა». გადაწყვეტილია ყველაფერი. ახლა მხოლოდ დროის ამბავია სამურზაყანოს და მთელი აფხაზეთის გარუსება და შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან მისი შეერთება. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა «მეცნიერულად» დასაბუთდეს ქართველური მოდგმის ტომების ერთი ფესვიდან, ერთი ძირიდან წარმომავლობის «სიმცდარე». საამისოდ დაგეშილი ე.წ. «მეცნიერებიც» გამოჩნდებიან სარბიელზე. ვინმე ვორონოვი თავის წიგნის სათაურშივე ამჟღავნებს გულის ხვაშიადს:

«Абхазия – это не Грузия!».

***

«გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მთელ იმპერიაში თითქოს დიდიხნით პოლარული ღამე დამყარდა. თვით ყველაზე გულგაუტეხელ ადამიანებს შეიძლებოდა

ჩვენებოდა, რომ ყოველი ბრძოლა ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ სრულიად ამაო იყო და ერთ-ერთი კეთილგონიერ პოლიტიკას მორჩილების და შეგუების პოლიტიკა წარმოადგენდა...

...საქართველოს სახელი წაშლილი იყო პოლიტიკური გეოგრაფიის რუკაზე, ქართული ენა განდევნილი იყო ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან, სასამართლოდან, საშუალო სკოლიდან (ეკლესიიდან), მეფის მთავრობა ერთმანეთს უპირისპირებდა ქართლ-კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, აფზახებს» (გ. ქიქოძე).

სრული პოლარული წყვდიადი!

აშკარა, დაუფარავი შეტევა საქართველოს მოსასპობად, მის გასაქრობად. კიდურებმოგლეჯილი, აჭრელებული, დასუსტებულ-დაკნინებული, მუხრანსკებით, ქავჟარაძეებით, აშორდიებით «დამშვენებული» საქართველო უკვე მერამდენედ დადგა ყოფნა-არყოფნის პრობლემის წინაშე – მარტოდმარტო შერჩენილი გაუმაძღარ იმპერიას – უთვისტომო, უმეგობრო.

«სულიერად თავისუფალ ეროვნებას შეუძლია ბევრი მშვენიერი და დიადი რამ შექმნას თვით პოლიტიკურ მონობაშიც კი, სულიერად დამონებული და დამახინჯებული კი მონად დარჩება თვით უთავისუფლეს ეროვნულ სახელმწიფოში». ქართველულ ერს უნდა დაემტკიცებინა, რომ ის სულიერად დამონებული და დამახინჯებული არ იყო, ვინაიდან ერი – ეს უწინარეს ყოვლისა არის სწორედ სული, ფსიქიკური ერთეული.

«ადამიანი, თუ მთელი ერი იმისთვის კი არ არის, რომ პური სჭამოს, პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურკაცად აცხოვროს თავის შთამომავალი», – ბრძანებდა დიდი ილია.

მაგრამ ახლა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ბევრად უფრო მძიმე და რთული ვითარება შექმნილიყო, ვიდრე ოდესმე. რა დაუპირისპირა ქართველობამ ამ ერთობლივ სასტიკ და გაუგონარ შემოტევას?

ერთ-ერთი მძლავრი იარაღი, რაც უნდა დაუპირისპირდეს ძალმომრეობას – არის ენა, ღვთივკურთხეული ქართული ენა.

ენა, რომელიც ი. გოგებაშვილის თქმით, ისეთივე «მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა...»

ენა, რომელიც «დამარხულ არს... დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა... და ეს ენაი მძინარე არს დღესამომდე... და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა...

ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს... და წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე...»

გოგებაშვილის ლაშქარი სამურზაყანოში

ივანე გეგია

ენაზე ზრუნვა, მისი დაცვა, ბრძოლა მის შესანარჩუნებლად – აი, ის უმთავრესი მიზანი «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი» საზოგადოების ლაშქრისა აფხაზეთში, და, კერძოდ, სამურზაყანოში. ვინაიდან აფხაზეთ-სამურზაყანოს მოსახელობას, როგორც განაპირა ტერიტორიის მცხოვრებთ, კიდევ უფრო მწვავე და

დაუნდობელი ბრძოლა მართებს ცარიზმის წინააღმდეგ, რადგან ცარიზმმა საბოლოოდ განიზრახა ამ ულამაზესი, დოვლათიანი, ყოველმხირვ შემკული მხარის დედა-სამშობლოდან სამუდამო მოწყვეტა, აქ უფრო მძლავრად მოქმედებს დევიზი: დაჰყავი და იბატონე!

...მდინარე ოქუმის ულამაზეს ხეობას მიუყვება ფართო, მოასფალტებული გზა (ქუმუ მეგ. სელის ნაყოფის სახელწოდებაა). ოქუმში ალბათ ოდესღაც სელს აწარმოებდნენ, იმ სელს, რომლითაც განთქმული იყო სწორედ ძველი კოლხეთი. ახლა მხოლოდ სოფლის სახელწოდებას შემორჩა მისი კვალი. მდინარის შხუილთან ერთად თან მომდევს მუქმწვანე ბორცვების სილუეტები.

ოქუმი სამურზაყანოს ცენტრი იყო 1841 წლიდან; სამურზაყანო, რომელიც მუდამ ცილობის ობიექტი იყო დადიანებსა და შარვაშიძეებს შორის, ჩამოერთვა შარვაშიძეებს და საბოქაულოდ გამოცხადდა – აქ დამყარდა რუსული ბიუროკრატიული მმართველობა – სრულიად უცხო როგორც აფხაზეთის, ისე ოდიშისათვის.

ოქუმში მოღვაწეობდა ივანე გეგია... ახლაც იქ დგას მისეული სახლი, თავადაც ამ სოფლის სასაფლაოზეა დაკრძალული.

«კავკასიაში შავი ზღვის ნაპირებზე... უნდა ფლობდეს მხოლოდ და მხოლოდ რუსის ეკლესია, რუსული ენა და რუსულად სწავლებაო», – ბრძანებდა ვინმე უფალი ვერეშჩაგინი, შეუნიღბავი შავრაზმელი. იგი დაუფარავად გამოხატავდა ცარიზმის პოლიტიკის არსს. დედამიწის «ამ უმშვენიერეს კუთხეს» უნდა დაეპატრონოს რუსეთი. და ეს უნდა მოხდეს ადგილობრივ მკვიდრთა გასახლებით, დარჩენილთა გარუსებით და ა.შ.

რას წარმოადგენდა ამ დროისათვის ეს კუთხე? «სამურზაყანოს კარი და სავაჭრო ცენტრი» ოჩამჩირე[16] ერთი პატარა, მივარდნილი ნავთსადგური გახლდათ. აქედან გაჰქონდათ სიმინდი, აბრეშუმი, ხორცი, ხილი, ხე-ტყე და ბზის ხე. მეგრელებსა და აფხაზებს გარდა, აქ მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები, თურქები, ბერძნები, ლაზები, სომხები. ამ თითქოს ღვთისაგან დავიწყებულ მხარეში არ იყო არც ერთი სკოლა. არც ერთი ბიბლიოთეკა, არც ერთი კულტურული დაწესებულება. მცხოვრებთა ერთადერთ საზრუნავ საგანს შეადგენდა – საარსებო საშუალებათა მოპოვება. არსაიდან ჩანდა სინათლე, ნათლის სხივი. გამუდმებული თავდასხმებისა და ფეოდალთა შინა ომებისაგან გაოხრებულ-გატიალებული მხარე წყვდიადს მოეცვა. წირვა-ლოცვას გადაჩვეული მისი მკვიდრნი, ეროვნულ თვითშეგნებას მოკლებულნი – მხოლოდ ფიზიკურად გადარჩენის სურვილსღა შეეპყრო. დაქვეითება გონისა და მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლა – საშინელ სურათს ქმინდა ოდესღაც სწავლა-განათლებით მოსილ მხარეში.

მხოლოდ აქა-იქ, თავადაზნაურთა ძალიან მცირე ნაწილში იყო შემორჩენილი ტრადიციული ქართული სწავლა-განათლება. ესენი იყვნენ უწინარეს ყოვლისა: ანჩაბაძეების ოჯახი ოტობაიაში, ჩქოტუებისა – საბერიოში, ემუხვარებისა – ოქუმში. აქა-იქღა ბჟუტავდა ჯერაც ჩაუმქრალი კულტურული კერები თითო-ოროლა ოჯახში. ასეთ ვითარებაში 1851 წელს ოქუმში, პირველად მთელს აფხაზეთში, ისხნება სამრევლო სკოლა. მისიონერი მღვდელი დ. მაჭავარიანი, რომელიც მთიელებში ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად იქნა მოვლინებული ამ მხარეში, თაობს ამ საშვილიშვილო საქმეს. მაგრამ როგორი იყო ეს სკოლა, რას ასწავლიდნენ და ვინ სწავლობდა მასში? ამ სკოლის ერთ-ერთი ყოფილი მოსწავლე კ. მაჭავარიანი მოგვითხრობს: «...ამ სკოლაში დიდი სურვილით მოდიოდნენ პატარებიც და დიდებიც –

[16] ო-ჩამ-ჩირე – მეგრ. ნიშნავს ჭაობიან ადგილს – ყანას.

ყველა წოდების წარმომადგენელი. ისინი ერთნაირი მოწყურებით სწავლობდნენ კითხვას, სიმღერას და წერას რუსულ და ქართულ ენებზე: სკოლის შენობა თავისი მოწყობილობით წარმოადგენდა ისლით დახურულ ფაცხას... სასწავლო-აღმზრდელობითი საქმე ტარდებოდა პატრიარქალური წესების მიხედვით, სწავლის მეთოდებზე, სახელმძღვანელოებზე და სასწავლო თვალსაჩინოებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. საკლასო სწავლება გრძელდებოდა დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდე. ბევრ ბავშვს ზამთარში კი 5-7 ვერსის გავლა უხდებოდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მაძღრები, ჩაცმულები ვყოფილიყავით. ხდებოდა ისიც, რომ შიშით ვუყურებდით ვაშლისა და მსხლის წკნელებს, რაც ჩვენთვის იყო განკუთვნილი... ჩვენთან, პატარებთან სწავლობდნენ 20-25 წლის კაცები... გვიხდებოდა წერა საკუთარ მუხლებზე, ვწერდით ბატის ფრთით და ქაღალდის ნაგლეჯებზე. ხოლო მელნის მაგივრად ვხმარობდით წყალში გახსნილ მურს». შემდგომში ეს სკოლა გადაკეთდა ორკლასიან სამრევლო სკოლად. 1860 წელს იგი გადაეცა «კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას».

იმ დროისათვის, როცა ივანე გეგია დაიბადა, ე.ი. 1861 წლისათვის, ოქუმში 2,511 სული ყოფილა. სოფელში ორი ეკლესია მდგარა. ოქუმში, ისევე როგორც ოქუმის თემის სოფლების – ღუმურიშისა და ჩხორთოლის მთელი მიწები, თავად ემუხვარებისა იყო.

ორსართულიან, დიდ ლამაზ ოდა-სახლში, გეგიებს რომ ეკუთვნოდა, ახლა სოფლსაბჭოა მოთავსებული. პირველივე შემხვედრმა მოხუცმა გვიამბო ივანე გეგიას შესახებ ყველაფერი, რაც იცოდა. ივანჩას (ასე ეძახდნენ შინაურობაში ივანეს) შემოტანილია ოქუმში ყურძნის სხვადასხვა ჯიში. ქვემო სართულში მარანი ჰქონდათ. ქვემო სართულშივე ჰქონია სახელოსნოც, სადაც მოზარდებს ასწავლიდაო სხვადასხვა ხელობას...

იქნებ პატარა კუთხე მაინც იყოს ამ დიდ სახლში, სადაც ივ. გეგიას შესახებ იქნებოდა დაცული მასალები? არაფერი ამის მაგავსი. სოფლის ბიბლიოთეკაში ერთი წიგნი არ აღმოჩნდა გეგიას გახმაურებული წიგნთსაცავიდან: არც რაიმე ლიტერატურა მასზე. როგორ არ გაისარჯნენ ჩემი თანმხლებელნი გალის ქალაქის ბიბლიოთეკისა და ოქუმის ბიბლიოთეკის მუშაკები, მაგრამ ვერავითარი მასალა ივანე გეგიაზე ვერ იპოვეს.

გადავწყვიტე, სკოლაში მივსულიყავი, დირექტორი ან ისტორიის მასწავლებელი მენახა, იქნებ მათგან რამე დამატებითი ცნობები გავიგო-მეთქი.

საშუალო სკოლის წინ ძველი სასაფლაოა და გვიან ნაგები ეკლესია. ვნახე ივანე გეგიას საფლავი – ჯაგნარით დაფარული. ამ მხარისთვის ესოდენ ღვაწლმოსილი პიროვნების მოუვლელი საფლავის ხილვა გულსატკენი იყო. იგივე აზრი გამოვთქვი სკოლის პედაგოგებთან (დირექტორი არ დაგვიხვდა) – დამეთანხმნენ. ხომ შესაძლებელია მოეწყოს შაბათობა და მოაწესრიგონ ბავშვებმა საფლავი-მეთქი. გავაკეთებთო. ვგრძნობდი, რომ განაგონით, ყურმოკვრით თუ იცოდნენ ივანეს ღვაწლი, მისი ამაგი და დამსახურება მშობლიური კუთხის წინაშე.

«საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?» – ხმიანობს ჩემს გულში პოეტის სტრიქონი, მით უმეტეს, ჩემო პატარა კუთხე-ალაგო, შენ ვინ მოგცა დასავიწყებელი და ფერფლმისაყრელი საზოგადო მოღვაწე, როგორი რანგისაც არ უნდა იყოს იგი?

სამშობლოს სიყვარული რანგს არ მოითხოვს, იგი არავისთვის არ წარმოადგენს პრივილეგიას. თევდორე მღვდლისთვის არ უკითხავთ, რა მოხელე ხარო. თავი წააჭრა მტერმა, როგორც მამულისთვის თავდადებულ გმირს. ხოლო იმ ხანაში, როცა ივანე გეგია და პეტრე ჭარაია მოღვაწეობდნენ სამურზაყანოში, საქართველოს, ქართული ენის სიყვარული, მისი ქომაგობა – გმირობას უდრიდა.

ასეთმა ადამიანებმა გადაარჩინეს სამურზაყანოში ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნების გრძნობა.

ამ უკომპრომისო ბრძოლის გამო პეტრე ჭარაია, ივანე გეგია და მათი თანამზრახველები სოხუმის ოლქის მმართველებმა მონათლეს «ქართულ პარტიად» და დაუპირისპირეს აფხაზებს. ქუთაისის სამხედრო გუბერნიის მოადგილე 1897 წ. ატყობინებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს:

«Грузинское движение в Сухумском краю служат тормозом к обрусению края!»

ივ. გეგიას მოგონებიდან: «...აი, ამ გარემოებამ დამაახლოვა ილიასთან. ვინახულებდი და მთელი საათობით მეკითხებოდა ქართული ენის ავსა და კარგს აფხაზეთ-სამურზაყანოში და ნაწილობრივ სამეგრელოსაც შევეხებოდი ხოლმე. იმ დროს სამეგრელოში მთავრობის დახმარებით მძვინვარებდა აშორდიზმი...

რაც შეეხება აფხაზეთ-სამურზაყანოს გარუსების პოლიტიკას, თვით მთავრობის გავლენით ვითარდებოდა. აქ, დაწყებული უბრალო ურიადნიკიდან ,უმაღლესი სამღვდელოებისა და ადმინისტრაციამდე, ქართულს სდევნიდნენ, ქართულ ენას სპობდნენ სკოლებში, ქართული ენის სწავლებას რომელ მასწავლებელსაც შენიშნავდნენ, ადგილიდან ითხოვდნენ. მე თვით ორგზის შემხვდა ამნაირი დასჯა... როდესაც ილიას გადავსცემდი აქ ნახულ და მომხდარ ამბებს, ღრმად ამოიხვნეშებდა და მეტყოდა: არაფერია, ყმაწვილო... ყველაფერს მოევლებაო».

«სახალხო სკოლა მაშინ ხდება საშიში, როცა საგნები ისწავლება არა დედა-ენაზე», – იაკობ გოგებაშვილის ეს სიტყვები იქცევა ამოსავალ დებულებად ივანე გეგიასთვის, მთელი მისი პედაგოგიური მოღვაწეობა მიმართულია ამ დებულების დასაცავად. სწორედ ამ პერიოდისთვის აიკრძალა გოგებაშვილის «დედა-ენა» და «რუსკოე სლოვო». ივანე გეგია პრესის საშუალებით იბრძვის ამის საწინააღმდეგოდ. ამ ხანებში მართლმადიდებული ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ზედამხედველად ინიშნება შავრაზმელი მღვდელი იოვანე ქავჟარაძე.

თედო სახოკიას მოგონებიდან: «ქართულ ენას სწორედ მამა ქავჟარაძის ზედამხედველად დანიშვნის შემდეგ დაუდგა შავი ორშაბათი ამ სკოლებში... პირველი მსხვერპლი მამა ქავჟარაძისა ოქუმის სკოლის მასწავლებელი ივანე გეგია შეიქმნა, კაცი ერთგული თავისი საქმისა, ყოვლად უანგარო, ყველასი საყვარელი და ყველასგან პატივცემული. ეს მასწავლებელი თავისი თანამდებობიდან მაშინვე იქნა გადაყენებული, როგორც კი მამა ქავჟარაძე აქეთკენ გამოჩნდა».

სწორედ ივანე გეგია აარსებს ამ მხარეში პირველ წიგნთსაცავს. ამ დიდმნიშვნელოვან ამბავს აღფრთოვანებით ეხმაურება ქართული მოწინავე საზოგადოება. «ივერია» ათავსებს ამის შესახებ ინფორმაციას. ოქუმის წიგნთსაცავს უცხო პირნი უგზავნიან 322 სხვადასხვა ქართულ წიგნს. ივანე გეგიას სწერენ: «...თქვენ კარგად გესმით, თუ რა იარაღია ეხლანდელ დროში კაცის ხელში წიგნი. მაშ, მიაწოდეთ იგი ყველას! გაუმკლავდით მოღალატეებს, ვინაიდან ჩვენ, თუ ერთმანეთის გატანა და ერთი პირი გვექნება, მეტრი ვერას დაგვაკლებს... ეს ის ხანია, როცა დიდი მეცადინეობა გვჭირია, თორემ თუ, ჩვეულებისამებრ, ქართულად ძილს თავი არ დავანებეთ, სამუდამოდ დავიღუპებით. თქვენგან დაწყებული საქმე დიდი საქმეა და დარწმუნებული იყავით, რომ თქვენც გექნებათ წილი დადებული ტაძრის აშენებაში».

«ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმავო, შეუვალს უკუნეთში განათლების სხივი მოგეფინოს...»

თ. სახოკია, რომელმაც მოინახულა ოქუმი და ეს ბიბლიოთეკა, თავის «მოგზაურობაში» წერს: «წიგნთსაცავის თაროებს ამშვენებს მშვენივრად დაკაზმული თხზულებანი ჩვენი სახელოვანი მწერლებისა: ალ. ყაზბეგისა, აკაკისა, ილ. ჭავჭავაძისა,

რაფ. ერისთავისა და სხვ. ამ წიგნებში ურევია მთელი ბიბლიოთეკა თვითონ დამაარსებლისა – 200-მდე წიგნზე მეტი. ქართულის გარდა წიგნთსაცავს აქვს რუსული განყოფილებაც. შიგ ნახავთ დოსტოევსკის, ლერმონტოვისა და სხვა თხზულებებს».

ი. გეგიას მოგონებიდან: «რაც დრო და ხანი გადიოდა, ჩემი ბიბლიოთეკა საერო და უფრო სასულიერო საქმეში მოკალათებულ რუს მოხელეებს თვალში ეკალივით ეჩხირებოდათ და მე, პოლიტიკურად არასაიმედო პირს, ეჭვის თვალით მიყურებდნენ».

1890 წელს ივანე გეგია სოფ. ოქუმში აარსებს სცენისმოყვარეთა წრეს, მთავარ როლებს თამაშობს მისი მეუღლე და თვითონ. სდგამენ დ. ერისთავის «სამშობლოს», გ. ერისთავის «უჩინმაჩინის ქუდს» და სხვებს. ურმით, ხშირად ატალახებულ გზებზე დადიან საგასტროლოდ ოჩამჩირეში, გალში, ზუგდიდშიც კი და ყველგან დიდ მოწონებას და სიყვარულს იმსახურებენ. საქმისთვის უანგარო თავდადება ყოველგვარ დაბრკოლებას და გასაჭირს აძლევინებთ. ივანე გეგია არის აგრეთვე მოთავე კულტურული მევენახეობისა სამურზაყანოში, მისივე თაოსნობით განვითარდა მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა (ჯიშიანი ღორების მოშენება). სამაგალითო მეურნეობა მოაწყო თავის კარმიდამოში. მანვე ითავა ჩაის ბუჩქის გავრცელება სამურზაყანოში.

«ის ხდება ყოველგვარი კულტურული წამოწყების ინიციატორი და ხელმძღვანელი», – წერს ივანე გეგიას ცხოვრების და მოღვაწეობის მკვლევარი ო. ჭურღულია.

ასეთი პიროვნებების მოშორება უპირველესი ამოცანა უნდა გამხდარიყო ადმინისტრაციისათვის და ასეც მოხდა: 1904 წელს მოღალატეების ხელშეწყობით რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ ი. გეგია სამუდამოდ გადაასახლა რუსეთის შიდა გუბერნიაში.

«მსხვერპლი იყავით სამშობლოს და დედა-ენის», – ეს სიტყვები ეკუთვნის ივანე გეგიას, მისი ლექსების კრებული გამოიცა 1890 წელს, სახელწოდებით «ლექსების კონა».

«მწამს, ვემონები ვისაც სინდისი
კაცობის ქუდად დაუხურია,
ქვეყნიერების წინ წასაწევად
ვის აზრს კეთილად უმსახურია».

ივანე გეგია თავის მრწამსს საქმით ემსახურებოდა...

ღალატთან ერთად არ ილეოდა არც თავის მსხვერპლად მიტანის მსურველნი. ამის ცოცხალი მაგალითი იყო ივანე გეგიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. (რევოლუციის შემდეგ იგი მიიწვიეს გალის ცხრაკლასიანი სკოლის აგრონომ-მასწავლებლად. მისი გაკვეთილები სანიმუშო და მისაბაძი ყოფილა. ივანე გარდაიცვალა 1940 წ.).

...აფხაზეთსა და სამურზაყანოში, მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, არ თმობდა პოზიციებს გოგებაშვილის ლაშქარი. თითოეული მათგანი იბრძოდა, იღვწოდა, იწვოდა და ენთო ჩაუქრობელ ლამპრად.

ნიკო ჯანაშია (აკად. სიმონ ჯანაშიას მამა), რომელმაც თავიდან ერთი სიტყვაც არ იცოდა ქართული, ისე შესანიშნავად დაეუფლა მას, რომ ბოლოს სოხუმის ქართული სკოლის გამგედაც დანიშნეს: აფხაზური და ქართული (მეგრული) ეთნოგრაფიის და ხალხური შემოქმედების ჩინებული მცოდნე თანამშრომლობს «ივერიაში», «კვალში», «მოამბეში», «ჯეჯილში», «დროებაში», «აკაკის კრებულში». ბეჭდავს მასალებს ეთნოგრაფიიდან, ფოლკლორიდან... ამ მასალებიდან კვლავ და კვლავ ირკვევა, რომ აფხაზებსა და ქართველებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რომ მათი კულტურა ერთმანეთთან მჭიდროდ იყო გადახლართული და ა.შ.

ნიკო ჯანაშია 1898 წელს წერდა: «დროა აქაურმა ქართველმა გამოიღვიძოს, გარდა თავისი პირადი საქმეებისა, საზოგადო საქმესაც ერთად თანხმობით მოჰკიდოს ხელი. გულგრილობა, ზარმაცობა საზოგადო საქმეში აწ მაინც მოიშოროს თავიდან და დანარჩენთ ქართველთ აჩვენოს, რომ ისიც ქართველია გულით, საქმით და არა უაზრო სიტყვით».

კ. მაჭავარიანი, თედო სახოკია – ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები: პეტრე ჭარაია, ივანე გეგია, ნიკო ჯანაშია, სოხუმის სამთო სკოლის მასწავლებელი ანთიმოზ ჯუღელი, ოქუმისა და დრანდის აფთიაქების პროვიზორები: გრ. კანდელაკი, ივ. ბურჭულაძე, ოჩამჩირებლები: ფარნა დავითაია და სპირიდონ ნორაკიძე და სხვები და სხვები – ხმალამართული დგანან ქართული ენისა და ქართული კულტურის სადარაჯოზე.

სამრევლო სკოლის დაარსება ითავა დურიფშის მედავითნემ სვიმონ წულაიამ, მღვდლებმა იონა ნაჭყებიამ, ამბაკო თოფურიძემ, სამსონ კვაჭანტირაძემ, გუდაუთში ბიბლიოთეკის დაარსება ფოსტის მოხელემ – თეოფილე გოგოტიძემ იკისრა, რომელიც ამავე დროს «ივერიის» კორესპოდენტიც იყო. შეიქმნა სცენის მოყვარეთა დასი ბაგრატ მჭედლიძის, ბესარიონ ჩიქოვანის, პეტრე ბარკალაიას, ნიკოლოზ წერეთლის, მისი მეუღლის ელენეს და ქალიშვილის ანასტასიას შემადგენლობით.

ი. ჭავჭავაძის «ივერიაში» სისტემატურად ქვეყნდებოდა საყურადღებო ინფორმაციები, საისტორიო მასალები აფხაზეთის შესახებ. «ივერიის» თანამშრომლად ადრე მიწვეული იყო ნიჭიერი ახალგაზრდა, გიორგი შარვაშიძის ძუძუმტე დავით ჩქოტუა. მას ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ გადაუკეტა გზა და თითქმის ოცი წელი იმყოფებოდა ციმბირში, გადასახლებაში, თუმცა იქაც არ შეუწყვეტია ლიტერატურული მუშაობა და მრავალი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე...

ილიას «ივერიის» ერთ-ერთ რედაქტორად თანამშრომლობდნენ: გ. შარვაშიძე, დ. ანჩაბაძე. აფხაზეთიდან თანამშრომლობდნენ აგრეთვე: პ. ჭარაია, ნ. ჯანაშია, ა. ჯუღელი, ივ. გეგია, ალ. გოგოხია, დ. და კ. მაჭავარიანები, გრ. დადიანი.

აფხაზეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გავლენიანი მესვეური იყო აღათი დადიანი-შარვაშიძისა. «ივერია» წერდა: «როგორც თავის დროზე გაზეთებში მოხსენებული იყო, კნეინა აღათი შარვაშიძისამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართულ იქნეს ქართულად წირვა-ლოცვა სოხუმის საკრებულო ტაძარში».

1903 წელს ილია ჭავჭავაძე ესტუმრა სოხუმს. თ. სახოკია იგონებს: «სოხუმის საზოგადოებამ ძვირფას სტუმარს დიდებული შეხვედრა მოუწყო, სუფრაზე ილიას გვერდით მოუსვეს ღრმად მოხუცებული გრიგოლ შარვაშიძის მეუღლე აღათი დადიანის ასული. სამადლობელო სიტყვაში ილიამ სხვათაშორის აღნიშნა: «რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების სურვილი და მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ... გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად»

და შემდეგ: «თქვენ რომ გიყურებთ... გულს იმედი და სასოება ჩამესახა: მტერს ასე ადვილად არ დავეჩაგვრინებით!».

მარიამ დადიანი-ანჩაბიძის თაოსნობით გრ. შარვაშიძისა და სხვათა მონაწილეობით სოხუმში ჩამოყალიბდა 1904 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1910 წელს მისივე თაოსნობით დაარსდა ქართული სკოლა. დირექტორად მარიამ ანჩაბაძის დაჟინებული მოთხოვნით მოწვეულ იქნა ნიკო ჯანაშია. იმავე მარიამ დადიანი-ანჩაბაძის კატეგორიული მოთხოვნით სოხუმის საქალაქო სკოლებში შემოღებულ იქნა ქართული ენა. 1914 წელს სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზურ-ქართული მომღერალთა გუნდი, ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით. ბევრი კულტურული თაოსნობის მოთავე იყო ეს შესანიშნავი ქალი, «რომელიც არ იშურებდა არაფერს: ცოდნას, ძალასა და ენერგიას ორი მოძმე ხალხის ქართველებისა და აფხაზების დასაახლოებლად».

მებრძოლი რაინდი

პეტრე ჭარაია

...სიჩუმეს ხანდახან შაშვის გალობა თუ დაარღვევდა. შარაგზას ირგვლივ დაბურული, უსიერი ტყე გასდევდა. მხოლოდ იშვიათად, აქა-იქ სიმინდის ყანა თუ დაილანდებოდა, ანდა ისლით გადახურული სამზადის სახურავი. ადრიანი შემოდგომის მზიანი დარი იდგა, ჰაერში სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა დამწიფებული ხილისა და დატაროებული სიმინდის ფუჩეჩებისა.

ცხენი ზომიერი, თვინიერი ნაბიჯებით მიუყვებოდა ნაცნობ შარაგზას. მხედარს ლაგამი თითქმის მიეშვა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ეს წყნარი გზა, მდუმარება, ირგვლივ რომ გამეფებულიყო, ისედაც ფიქრისათვის განაწყობდა მგზავრს, მით უმეტეს ახლა, როცა გული დამძიმებოდა და გონებას სევდის ნისლი გადაფარებოდა. ეს სევდა-ნაღველი ბავშვობიდანვე თან დაჰყოლოდა, მწუხარე სახის რაინდის ხატება პატარაობიდანვე აღბეჭდილიყო მის სულში და წუხილი და დარდი განუყრელ, მუდმივ თანამგზავრად ქცეულიყო, თუმცა გარეგნულად მშვიდ, სათნო სახეზე მხოლოდ სიკეთე და კეთილმოსურნეობა იხატებოდა. მთელი მისი შინაგანი არსიდან წამოსული სიკეთის შუქი ჩუმ, წყნარ ღიმილად გაციაგდებოდა ხანდახან თაფლისფერ, დიდრონ თვალებში და ბაგის კუთხეებში ჩანაოჭდებოდა ხოლმე.

მაგრამ ახლა სახე უჩვეულოდ გამკაცრებოდა. გულში ჩაგუბებული მძიმე ნაღველი სახეზეც მკვეთრად გამოხატვოდა და ხალხური ლექსის მოტივიც, ასე რომ აკვიატებოდა, როგორღაც განსაკუთრებული ინტონაციით იმარცვლებოდა და ბაგის უხმო მოძრაობაში მეტ სიმკვრივეს იძენდა თითქოს:

«ახავაი ჩქიმი შენი, გურ ჯაბენსუ დარდიანი,
სი მირსხი დო სი მიშველი, ღორონთი დო მარდიანი...
ეშმაკი ძალენს ჯინიშენი, ეშმაკი, უჩა ღართიანი,
სი მირსხი დო სი მიშველი, ღორონთი დო მარდიანი»...[17]

[17] ვაი ჩემი ბრალი. გული ოხრავს დარდიანი, შენ მიხსენ და შენ მიშველე, ღმერთო, შენი მადლით. ეშმაკი მძლავრობს ჯინით, ეშმაკი შავჩოხიანი, შენ მიხსენ და შენ მიშველე, ღმერთო, შენი მადლით.

«ეშმაკი უჩაღართიანი»... ანაზდად მწარე ღიმილმა. შეუტოკა ტუჩები. შავანაფორიანი მამა სერგი დაუდგა თვალწინ.

ეპისკოპოსის ცივმა, წყლისფერმა თვალებმა შეფარული სიძულვილით შემოანათა მის სულში და იგრძნო, სისხლის ყოველი ძარღვი, ყოველი უჯრედი დაეძება და დაეჭიმა. უსიამო, ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა სხეულში. გარეგნულად ეს შეკრთომა მხოლოდ თვალების უეცარ გაყინვაში გამოეხატა, მზერა სადღაც შორს, მიღმიერ სამყაროში გაექცა, გახევდა, ქანდაკად იქცა...

«ბავშვებო, უნდა იცოდეთ და მტკიცედ აღიბეჭდოთ გონებაში, გულსა და სულში უნდა ჩაიბეჭდოთ ერთხელ და სამუდამოდ: არსებობს დიდი რუსეთის იმპერია. და რუსული ენა, საღვთო სჯული და კატეხიზმი უნდა ისწავლოთ მტკიცედ, რათა ამ იმპერიის ღირსეული შვილები გამოხვიდეთ, ნასწავლი და განათლებული. რუსული ენის გარეშე თქვენთვის არ არსებობს არანაირი სიკეთე, არანაირი სულიერი სიმდიდრე. ამ ენის გარეშე ვერ ეზიარებით ცოდნის წყაროს, ღვთის სიბრძნეს და ჭეშმარიტებას, ვერასოდეს გახდებით მართლმორწმუნე ქრისტიანები ამ ენის გარეშე. ქართული ენა კი თქვენ არ დაგჭირდებათ. ის მხოლოდ აკვნის პერიოდის ენაა. ამ ენას თქვენ ცხოვრებაში ვერ გამოიყენებთ, რადგან ყველგან სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებსა და ეკლესიებში გაბატონებულია რუსული ენა. თქვენი მამა-მეფე ამ ენაზე ლაპარაკობს, ამ ენაზე სცემს კანონებს და განკარგულებებს. ამიტომ ამთავითვე უნდა ისწავლოთ იგი კარგად. გაკვეთილებზე, კარში, შინ თუ გარეთ მხოლოდ ამ ენაზე უნდა ილაპარაკოთ ერთმანეთში. შემოიღეთ ფირფიტა, ვინც ქართულად დაილაპარაკებს იმათთვის...»

პეტრე ერთად შეყრილი ბავშვების სახეებს წამით მოავლებდა ხოლმე მზერას და მერე ისევ უძრავად გაყინული სახით იცქირებოდა ფანჯარაში. ბავშვების ფართოდ დაღებული, უმანკო თვალები გულს მტკივნეულად ჩხვლეტდა. ხედავდა, როგორ ეფარებოდა მათ ნათელ, ლამაზ სახეებს შავი ჩრდილი. თანდათან ბურუსში იძირებოდა ყოველივე და მხოლოდ «უჩაღართიანი» უხსენებლის სისინი ყურში შხამს აწვეთებდა... შავანაფორაში ჩაცმული სატანა ქრისტეს სახელით, სათნოების, კაცთმოყვარეობის ნაცვლად ბოღმას და სიძულვილს ანთხევდა და არც სცნობდა საჭიროებას, შეენიღბა თავისი ბოროტი ზრახვა: არავის და არაფერს ერიდებოდა.

მეორე დღეს გალის სკოლის ყველა კლასში შევიდა თავად პეტრე და ბავშვებს სიტყვით მიმართა...

«გუშინ თქვენ ეპისკოპოსმა სერგიმ სიმართლე გითხრათ, ბავშვებო. ქართული ენა მართლაც განდევნილია სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სკოლებიდან. ეს სინამდვილეა. მაგრამ სინამდვილე მწარე და უკუღმართი. ძალმომრეობის შედეგია ქართული ენის ასეთი დამცირება და შეურაცხყოფა, მაგრამ ეს ასე არ იქნება ყოველთვის. რუსის მეფე ხალხის მამა კი არა, მჩაგვრელია. მოძალადეა. დამპყრობელია. მაგრამ მალე დადგება დრო, როცა განიკითხებიან მოძალადეები და მჩაგვრელები, ხალხი იერიშს მიიტანს თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრეზე, დაამსხვრევს და ნაცარ-მტვერად აქცევს მას. გჯეროდეთ, ბავშვებო, რომ სიმართლის ნერგი იხარებს და მაშინ ბორკილაწყვეტილი ქართველი ხალხი აღადგენს უფლებებში თავის მშვენიერ, ტკბილ ქართულ ენას, თავის მდიდარ ლიტერატურას...»

თავად გრძნობდა, რომ ასეთ წუთებში განსაკუთრებული აღმაფრენა იპყრობდა, თავდავიწყებით და გატაცებით შეეძლო ელაპარაკა ქართულ ენაზე, ათასწლოვან ქართულ ლიტერატურაზე. ჩვეულებრივად დინჯი, თავდაჭერილი, ასეთ წუთებში იქცეოდა ოქროპირად, ზეშთაგონებულ ორატორად. გრძნობდა ენერგიის უჩვეულო მოზღვავებას, თითქოს გონებას ახალი, მძლავრი შუქი უნათებდა, ნათელმხილველის თვალით უზმერდა მომავალს და წარსულსაც, ქართული ენის დიდი მომავლისადმი

რწმენა თითქოს ფრთებს ასხამდა, დიდი იაკობის სიტყვები შთაგონებით ჟღერდა მისი ბაგიდან: «ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზღვიდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპოკულს მცენარეულობას, და სადაც რამდენს ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის». –

...ეპისკოპოს სერგის ქედმაღლური იერისა, მასწავლებელთა ფორიაქისა და შიშის მიუხედავად, გრძნობდა, რომ ყველას ყურადღება ჩუმად, ფარულად თუ აშკარად მაინც მისკენ, პეტრე ჭარაიასკენ იყო მიმართული. რას იტყოდა, როგორ მოიქცეოდა პეტრე ჭარაია – ქართული სიტყვის, ყოველივე ქართულის ქომაგი და რაინდი და როდესაც სამასწავლებლოში შემობრუნებული მამა სერგი პეტრეს ირონიაჩამდგარ თვალებს წააწყდა, უმტყუნა ნებისყოფამ, წონასწორობა დაკარგა ერთბაშად, გაავებული, ბოროტად აელვარებული თვალები მიანათა, თითი მიაშვირა და დაისისინა:

«Это вы и вам подобные мешают правительству Его Величества провести мероприятия для благоденствия туземцев».

პეტრე წარბშეუხრელად, კვლავ ირონიული, წყნარი ღიმილით უყურებდა სახეში. ნირწამხდარი შავრაზმელი ბერი ანაფორის კალთების ფრიალ-ფრიალით გავარდა დერეფანში, გამოუმშვიდობებლად ჩაჯდა ეტლში და წავიდა.

***

შავჩოხიანი ეშმაკი... გონებაში პირჯვარი გადაისახა და ერთბაშად ჩაესმა: «ნეტარ იყვნეს, რომელთა შიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ... ნეტარ იყუნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ. ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანა»...

მამის ხმა იყო, ესოდენ ნაცნობი და საყვარელი ხმა: ტკბილი, ღუღუნა, ბავშვობიდანვე რომ სულსა და გულში ჩაეღვარა, სამუდამოდ გაიდგა იქ ფესვი, სამუდამოდ დაიბუდა და დამკვიდრდა.

სიტყვების აზრი და მნიშვნელობა არ ესმოდა მაშინ, არ იცოდა, რას გამოხატავდნენ ისინი, მაგრამ მათი მელოდიურობა, გასაოცარი რიტმი და სიტკბო მაგიურად ზემოქმედებდა ბალღზე... უბრალო, ხის მაგიდასთან მჯდარი მამა ხმამაღლა კითხულობდა ამ სტრიქონებს ლამფის ან ხშირად კვარის შუქზე და მოედინებოდა რუს ნაკადივით ჯადოსნური სიტყვები და პირთამდე ავსებდნენ პატარა ფიცრული ოთახის სივრცეს და ივსებოდა, ივსებოდა ირგვლივ ყოველივე ამ საოცარი მუსიკით. ამ მუსიკას არ ჰქონდა არც ბოლო, არც დასასრული... მერე, როცა ხარის ბეჭის ტყავზე ნახშირით გამოჰყავდა ასოები, სიტყვის ეს ზეშთაგონებული ძალა თითქოს ხელშესახებად განცხადდა უმშვენიერესი მოხაზულობის მქონე ანბანში და პირველი შეგონება, რაც გამოიყვანეს ამ ასოებმა, იყო: «გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი». უკვე გაერთმთლიანდა სიტყვის და ასოების მნიშვნელობა. ეს პირველი შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ გაოგნებული, გაბრუებული დიდხანს დაბორიალობდა ეზოში, მერე სიმინდის ყანა გადაჭრა, გაიარა ჭალა და მდინარის პირზე, რიყის ქვაზე

ჩამოჯდა. დიდხანს ჩაჰყურებდა ტალღების დინებას და მდინარის მელოდიურ შხუილში კვლავ ჩაესმოდა ასო ნიშნებში განცხადებული სიტყვების მაგიური ძალისხმევა: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი...

ბავშვობისდროინდელ ამ მძაფრ შეგრძნებასთან ერთად ყოველთვის მოდიოდა მეორე, არანაკლებ მძაფრი: ნიკოიას ტომარა სიმინდი მოუგდია ზურგზე და მუხლებამდე ტლაპოში მიაბოტებს. ცრის. შემოდგომის ნესტიანი ქარი ძვალ-რბილში ატანს. თავჩახრილ ნიკოიას არც უგრძვნია როგორ წამოადგა ორი მხედარი. როცა აიხედა, უკვე გვიან იყო: – ჰაიტ, შე წვირიანო ყაზახო, ზრდილობა სად დაკარგე? – და გაიტყლაშუნა მათრახმა ნიკოიას ტომარაზე. ნიკოია ტალახში ჩაჯდა ერთბაშად, ტომარა გადაიფხრიწა და სიმინდის მარცვლები თქრიალით გადმოცვივდა ძირს. იქვე, ტყრუშულ ღობესთან მიმდგარი პატარა ბიჭის გული მტკივნეულად გაკაწრა ნიკოიას თვალებმა: და გასაოცარი სიცხადით გამოიკვეთა ნაცრისფერი დღის ფონზე დამცირებული, შერცხვენილი და სასოწარკვეთილი ნიკოიას სახე და ორი მოხარხარე ახალგაზრდისა, «ჩერქეზკებში» გამოწკეპილი თავადი ემუხვარებისა – შეზარა ყმაწვილი ამ სურათმა. ღამეც ჩაჰყვა და ძილი დაუფრთხო.

«ყველანი ღვთის შვილები ვართ ჩვენ. უფალმა სახედ თვისად გამოძერწა ადამიანი და ჩაბერა მასში ღვთაებრივი სული. ყოველ ადამიანში ღვივის ეს ღვთაებრივი ნაპერწკალი. მაშ, რა უფლება აქვს ერთ ადამიანს დაჩაგროს, დაამციროს მეორე, მასავით ღვთის შვილი და ღვთის გაჩენილი? საიდან არის ასეთი უსამართლობა?»

«ბატონის და ყმის ურთიერთობა ადამიანის მიერაა მოგონილი და ადამიანივე დაამსხვრევს მას. მხოლოდ სიკეთე და ბოროტება ანსხვავებს, შვილო, ადამიანებს ერთმანეთისაგან. ყოველი უსამართლობა სატანის მოგონილია. ღმერთი, უფალი ჩვენი ყველა გაჭირვებულთა, დაჩაგრულთა, დამცირებულთა, ქვრივთა და ღატაკთა, სნეულთა და გლახაკთა მფარველი და ქომაგია. ყველა მოძალადეს, ყოველგვარ უსამართლობას მიეზღვება თავისი წილი... ღმერთი მოწყალეა და შემბრალებელი»...

« – ის უბედური, საცოდავი ნიკოიაც ღვთიური ნაპერწკლის მატარებელია, ბაბაია?»

« – უსათუოდ, შვილო. ყველანი ღვთის შვილები ვართ. ჩვენი უფლისთვის არ არსებობს მდიდარი და ღარიბი, თავადის თუ გლეხის შვილი..»

«არა არს ურიაება, არცა წარმართება: არ არს მონება, არცა აზნაურება, არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ – ბრძანებს მაცხოვარი ჩვენი».

მაშ, ის უბედური, საცოდავი ნიკოიაც ღვთის ნაპერწკლის მატარებელი ყოფილა? საკმარისია, თავად შეიცნოს ეს და ის ნაპერწკალი გაღვივდებაო, კოცონად აბრიალდებაო. მაშინ უძლეველი ხდებაო ადამიანის სული, ქედმოუდრეკელი!

პატარა ბიჭის წარმოსახვაში ნიკოიას უკვე ახალი ჩოხა-ახალუხი აცვია, აზიურები მჭიდროდ შემოწკეპია წვივებზე, თავზე ყაბალახი წაუკრავს. სახეც დამშვენებია. ლაღად მოაქროლებს ყორანა ცხენს... უხდება და მერე როგორ ეს ფერისცვალება!

ყველა ადამიანი ღვთის შვილია!

– სდექ! არ გაინძრე!

ცხენმა დაიფრუტუნა, შედგა. პეტრე ფიქრებისგან გამოერკვა. ყაბალახით პირაკრული ოთხი მხედარი გარს შემორტყმოდა. ერთს ხელში ნაგანი ეჭირა და პეტრესთვის დაემიზნებინა. მეორემ სწრაფად ააფათურა ხელი მის ჯიბეებში.

პეტრეს ღიმილი შერჩენოდა ბაგეზე, ძლივს შესამჩნევი ღიმილი. ყაჩაღმა საგულეს ჯიბიდან პორტმანი დააძვრინა.

– ყმაწვილო, საფულეში, სამწუხაროდ, ცოტა ფული დამრჩა, მაგრამ... რაკი ისე გაგჭირვებიათ, რომ უიარაღო ადამიანს ძარცვავთ, იქნებ ის ცოტაც გამოგადგეთ.

– რატომ გაქვს მერე ასე ცოტა? – დაუღრინა ნაგანიანმა.

– რაც მქონდა, აიმ წიგნებზე დავხარჯე! – კვლავ დინჯად, მშვიდად მიუგო პეტრემ და ცხენის გავაზე დაკრულ აბგაზე თვალით ანიშნა.

– რა მოხელე ბრძანდებით თქვენ? – იკითხა ანაზდად მეორე ყაჩაღმა.

– მასწავლებელი გახლავართ, ჩემო ბატონო!

– მასწავლებელი? – ნაგანიანმა ყაბალახი ნახევარზე გადაიძრო, სახეში ჩახედა: – თქვენ პეტრე ჭარაია ხომ არ ბრძანდებით?

– პეტრე გახლავართ, ჭარაია, ჩემო ბატონო! – დაუდასტურა იმას, ვინც თუმცა მეგრულად, მაგრამ შესამჩნევი აფხაზური კილოთი ლაპარაკობდა.

– პეტრე ჭარაია? – ახლა დანარჩენებმაც გაიმეორეს ხმადაბლა და ერთმანეთს გადახედეს. ნაგანიანმა იარაღი ჯიბეში ჩაიდო.

– უკაცრავად ვართ, ჩემო ბატონო, ვეღარ გიცანით ერთბაშად! – აფხაზურკილოიანმა ახალგაზრდამ გულზე ხელი მიიდო, მერე ყაბალახი მოიძრო და თავი დახარა. უწვერული, პირტიტველა ბიჭი იყო, ასე 19-20 წლის თუ იქნებოდა. სხვებმაც მას მიბაძეს და ყაბალახები მოიხსნეს. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ, ცქვიტი, ცოცხალთვალება, მოქნილი, სხარტი ბიჭები. ცეცხლსა და წყალში რომ ჩავარდებიან, თუ საჭიროებამ მოითხოვა – აი ისეთები;

– საიდან მიცნობთ, ყმაწვილო? – მიმართა პეტრემ იმას, ვინც პირველად ახსენა მისი სახელი.

– თქვენ სახელს ვინ არ იცნობს, ბატონო, ჩვენს მხარეში... პირველი ნასწავლი, განათლებული კაცი ბრძანდებით... ბაბუა და მამაჩემისაგან გამიგონია თქვენზე. საწყალი და გაჭირვებული კაცის მოსარჩლე ბრძანდებით თქვენ და მამათქვენიც ასეთი ყოფილა.

– აფსუა ხარ? – აფსუურად ჰკითხა ანაზდად პეტრემ მას.

– კი, აფსუა ვარ, ბატონო! – დაუმოწმა ახალგაზრდამ.

– სადაური? – ბიჭი წამით შეყოყმანდა, მერე გამოკვეთილად და მოჭრილად მიუგო:

– გუფიდან ვარ, ბატონო, თქვენი მეზობელი სოფლიდან.

– ესენიც აფსუებია?

– ეს ერთი – კი. ორი დანარჩენი მეგრელია. მეზობლები ვართ ჩვენ ყველანი.

ყაჩაღები თავდახრილები, დარცხვენილი სახით იდგნენ, მათრახს უანგარიშოდ ათამაშებდნენ ხელში. პეტრე ფიქრიანი თვალებით შეჰყურებდა მათ. «მიუშვი ესენი სასიკეთო საქმეებზე, ქვეყანას გადაატრიალებენ. რამდენი ენერგია, ცეცხლი და ტემპერამენტია მათ მიხვრა-მოხვრაში. რამდენი სასიკეთო საქმე შეუძლიათ გააკეთონ ქვეყნისთვის, ესენი კი... რაში იხარჯებიან...»

– გამოტეხილად უნდა გითხრათ, ყმაწვილებო, ვერ მოგიკიდიათ კარგი ხელობისათვის ხელი, – მძიმედ, ჭირისუფლის კილოზე ამოთქვა ბოლოს მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ. ბიჭები დუმდნენ მზერადახრილები.

– სკოლაში არასოდეს გივლიათ?

– ეჰ, ერთი წელი დავდიოდი, ბატონო, ოჩამჩირის სკოლაში, – აფხაზმა ყმაწვილმა მათრახის ტარით გაისწორა ყაბალახი, – ვერაფერი ვისწავლე, უტვინო, რეგვენიაო, მითხრეს და გამომაგდეს. მე მათი რუსული არ მესმოდა, იმათ ჩემი აფხაზური. ასე დამთავრდა ჩემი სწავლის საქმე... ამათ კი საერთოდ არ უნახავთ სკოლის კარები...

პეტრე გაუნძრევლად იჯდა, მაგრამ მთელი მისი გონება საოცარი სისწრაფით მუშაობდა. ახლა საჭირო იყო არაფერი არ შეშლოდა. არც ერთი სიტყვა. არც ერთი ჟესტი. ხმა. კილო. იქნებ გადაერჩინა ეს ბიჭები – ერთმანეთზე უკეთესნი შეხედულებით, სიმკვირცხლით და უთუოდ გონებითაც.

პეტრე ცხენიდან ჩამოხტა ანაზდად. ცხენის გავაზე დაკრულ აბგასთან მივიდა, გახსნა, იქიდან პატარა წიგნი ამოიღო, გადაშალა.

– აბა, მოდით ბიჭებო, ახლოს და შეხედეთ ამას.

ყაჩაღები პეტრეს გარშემო შეჯგუფდნენ.

– დააკვირდით ამას: რა არის ეს?

ახალგაზრდებმა პეტრეს თითის მოძრაობას გააყოლეს თვალი.

– ესა?

– ჰო, ესა.

– ეს... ეს ია-ია გახლავთ, ბატონო. – დაასწრო სხვებს ნაგანიანმა და უზომო გაკვირვებით გადახედა დანარჩენებს.

– კი. ჩვენებური ია-იაა, – დაუდასტურეს სხვებმაც.

...ვერც ერთი მხარე უკვე ვერ გრძნობდა დროს, ადგილს, იმ უჩვეულო გარემოს, რომელშიც იმყოფებოდნენ. საოცრება იბადებოდა მათ თვალწინ, სახელდახელოდ, ერთბაშად, მოულოდნელი სიცხადით. გაჩნდა ქაღალდი, ფანქარიც... პეტრეს გასაოცარმა უნარმა – დაეტყვევებინა მსმენელი, ახლა ასკეცად იმძლავრა. მომნუსხველი, მომაჯადოებელი იყო ყოველი მისი სიტყვა, სახის გამომეტყველება; ეს ყმაწვილები უნდა გადაერჩინა; ისინი ნებსით თუ უნებლიეთ უნდა დამორჩილებოდნენ მაგიური ძალის მატარებელ ასო-ნიშნებს.

...და როცა ბინდი წამოეპარათ, მაშინღა მიხვდნენ ყაჩაღები, რომ ამიერიდან არსებობდა მხოლოდ ერთი, ერთადერთი გზა! და ეს გზა მიდიოდა პეტრე ჭარაიას კარმიდამოში, სოფელ ფოქვეშში. და ეს გზა იაკობ გოგებაშვილის დედა-ენით იყო განათებულ-გასხივოსნებული და ნაკურთხი!

იძლია ეშმაკეული. იძლია შავღართიანი უხსენებელი – სიყვარულისა და სიკეთის სახელით.

***

ადამიანების გულისკენ მიმავალი გზის პოვნა – მამისგან გადმოეცა მემკვიდრეობით – სოფლის უბრალო მღვდლისგან, რომელმაც გამაჰმადიანებული აფხაზების ისევ ქრისტიანობაში მოქცევას შეალია მთელი თავისი ჯანი და უნარი. სიყვარულისა და სიკეთის ქადაგება მხოლოდ კონკრეტული საქმით, ცხოვრებისეული ყოველდღიური საქმიანობით თუ იკურთხებოდა, სხვანაირად იგი არ მიეკარებოდა უნდოდ ქცეულ გულს აფხაზისას, თვალი მუჰაჯირობისკენ რომ ეჭირა...

მამის მაგალითი მუდამ ცოცხლად ედგა თვალწინ – მამის სიკეთის ნაყოფი იყო მისი შეძენილი ძმა-ძიკი ინალ-იფა (ინალიშვილი). ობლად დარჩენილი, უპატრონო ბიჭი იშვილა გიორგი ჭარაიამ და თავის სამ შვილში არ გამოერჩეოდა. ერთად იყოფდნენ ღარიბულ ლუკმა-პურს, ერთად ეძინათ, ერთად იყვნენ განუყრელად. ჭირსა და ლხინში. ხოლო როცა ძიკი ნაადრევად გარდაიცვალა, მისი სამი შვილის გაზრდა და პატრონობა იკისრა პეტრემ და როგორც ჩვეოდა საერთოდ, აქაც პირნათლად შეასრულა მოვალეობა, ნებაყოფლობით რომ იტვირთა: მოვალეობა «ადამიანობის წინაშე, ძმობისა და კაცთმოყვარეობის წინაშე...»

ფოქვეში პეტრეს ბავშვობისდროინდელ მახსოვრობაში შემოვიდა, როგორც მივარდნილი, გაპარტახებული სოფელი, დასახლებული გატყიურებული მცხოვრებლებით... პატარა ხის ეკლესია და რამდენიმე მორწმუნე ადამიანი, აი, სულ ეს იყო, რაც ებადა ამ გავერანებულ სოფელს.

მაგრამ რა ძალა და მადლი ჰქონდა ამ ყრუ ალაგას უბრალო მღვდლის პირიდან წარმოთქმულ სიტყვებს: არა კაც ჰკლა. არ იქურდო. გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი...

და ეს იმ დროს, როცა ახლად დამყარებული რუსული ბიუროკრატიული მმართველობა – სრულიად უცხო და აუტანელი ადგილობრივ მკვიდრთათვის – ყოველნაირად ცდილობდა მის აყრას და გასახლებას – ამისთვის ათასგვარ ხრიკებსა და მზაკვრულ მეთოდებს ხმარობდა, თესავდა შურს, მტრობას და ღვარძლს ორ მონათესავე ხალხს შორის – აფხაზებსა და ოდიშარებს შორის.

რა მართალი და ჭეშმარიტი უნდა ყოფილიყო გიორგი ჭარაიას სიტყვა-ქადაგება, როგორი მადლით და სიკეთით გაცისკრებული, რომ ეპოვა გზა ადამიანის გულისაკენ. გაერღვია უკუნეთი და ბნელში აეციმციმებინა კაცთმოყვარეობის, სიყვარულისა და სიბრალულის შუქი... უბრალო, მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით გადმოეცა მარადიული, უკვდავი ჭეშმარიტებანი.

სიკეთის მადლი კი გენებიდან გადმოეცა მის შვილებსაც, იგი, ეს მადლი ხელახლა აღორძინდა, გაპოხიერდა და განძლიერდა შვილების გულში, მათ სისხლში აჩქამდა მოუსვენარ ნაკადულებად და სადინარი იპოვა სიყვარულისა და სიკეთის მდინარეში. როგორი ძლიერი უნდა ყოფილიყო ის მარცვალი – ბავშვობიდანვე ჩაგდებული პატარების გულში, რომ არ დამჭკნარიყო, არ ჩაფერფლილიყო იმ სასწავლებლებში, სადაც იდევნებოდა ყოველივე ეროვნული, კაცთმოყვრული, იდევნებოდა ის, რასაც სწორედ მოყვასის სიყვარული ერქვა.

უფროსმა ძმამ ნიკომ – თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო პეტრემ სამურზაყანოს მიაშურა, მანაც მასწავლებლობას მიჰყო ხელი.

ეს ის დროა, როცა შავრაზმელი ვერეშჩაგინები აშკარად მოითხოვენ: «კავკასიაში შავი ზღვის ნაპირებზე... უნდა ფლობდეს მხოლოდ რუსის ეკლესია, რუსული ენა და რუსული სწავლებაო». ხოლო ე.წ. «ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოება» მიზნად ისახავდა ადგილობრივ მკვიდრთა გარუსებას.

ქრისტიანობის ე.წ. აღმდგენელი სკოლები განსაკუთრებით აფხაზეთში იღვწოდნენ თავდაუზოგავად, გარუსების პროგრამა უნდა განხორციელებულიყო სკოლიდან.

1890 წლიდან სოხუმის ოლქის სამრევლო სკოლები ეპარქიაში შექმნილ «საეკლესიო ძმობის» გამგებლობაში მოექცა, «ძმობა» კი მიზნად ისახავდა ბავშვებისათვის მხოლოდ რუსული ენის სწავლებას...

«დირექციამ აფხაზური სკოლები გამოიყენა დასაყრდენ პუნქტად, სადაც ფეხი უნდა მოეკიდა და უნდა განვითარებულიყო სწავლების ეს ყველაზე უბადრუკი სისტემა და საიდანაც ის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო ყველა დანარჩენ მთიულთა სკოლაში», – წერდა იაკობ გოგებაშვილი.

ცარიზმის ვერაგულ ზრახვებს წინ აღუდგა სწორედ გოგებაშვილის ლაშქარი. ამ ლაშქრის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები სამურზაყანოში იყვნენ ივანე გეგია და პეტრე ჭარაია.

მკვლევარ ს. ცაიშვილს თავის წიგნში «პეტრე ჭარაია» დაწვრილებით აქვს აღწერილი პეტრეს საქმიანობა: პეტრე ჭარაიას «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან» მოსდიოდა წიგნები, იგი თავის მოსწავლეებს უფასოდ ურიგებდა მათ, ასწავლიდა სოფლის ყმაწვილებს თავისუფალ საათებში ქართულ წერა-კითხვას. თანამედროვეთა გადმოცემით, იგი ყოველ შაბათობით ჰკრებდა თავის ბინაში ახლომახლო სოფლის მასწავლებლებსა და თანამგრძნობ ინტელიგენტთა

წრეებს, მართავდა ლიტერატურულ საღამოებს, აწყობდა შეჯიბრებას ქართული ლიტერატურის ნიმუშების კითხვასა და დეკლამაციაში. სანიმუშოდ ყოველთვის პირველად თვითონ კითხულობდა თურმე ლექსებს, მოთხრობებს, საგაზეთო სტატიებსა და სხვ. შემდეგ სხვებსაც აკითხებდა და ახდენდა წაკითხულის ენობრივ და შინაარსობრივ გარჩევას და ამგვარად, იმდროინდელ, მხოლოდ რუსული განათლებამიღებულ მასწავლებლებს ქართულ ენაში სწვრთნიდა, ქართულ ლიტერატურას აყვარებდა და შემდეგ ავალებდა მათ, თავიანთ სკოლაში გაევრცელებინათ იგი, ესწავლებინათ ბავშვებისათვის ქართული წერა-კითხვა და ლიტერატურა.

არა ერთხელ მიიწვიეს ქუთაისსა და თბილისში სამუშაოდ, მაგრამ პეტრე ირჩევდა სამურზაყანოში დარჩენას, რადგან აქ უფრო საჭირო იყო როგორც ავტორიტეტული სახალხო მასწავლებელი, გლეხების მრჩეველი და დამცველი... სიმართლისა და სამართლიანობის სიყვარული, რომელიც მას იმთავითვე დაჰყვა, ვლინდებოდა ყოველ მის საქმეში. იგივე გრძნობა კვებავდა მის სიყვარულს სამშობლოსადმი. ჯერ კიდევ მარტვილის სასწავლებელში ყოფნისას, პეტრე ხარბად ეწაფებოდა ილიას ნაწერებს. სწორედ მაშინ, ხელშესახები სიცხადით, თვალნათლივ შეიცნო ჯვარზე გაკრული სამშობლოს ხვედრი, მისი მოწამეობრივი გზა-სავალი და მაშინ მოვიდა ალბათ ქვეყნისა და ერის წინაშე უსაზღვრო მოვალეობის შეგრძნებაც. ყოველი დაჩაგრული და დამცირებული მასში იწვევდა ღრმა თანაგრძნობისა და თანადგომის წყურვილს. სწორედ ეს წყურვილი განაპირობებდა მის აქტიურ ქმედებასაც. აქედან გამოიკვეთა მიზანიც – სახალხო მასწავლებლობა, რამეთუ უფრო ცხადლივ უნდა ეჩვენებინა ადამიანებისათვის ყოველგვარი ჩაგვრის უკუღმართობა, აქედანვე იღებდა სათავეს მისი შინაგანი მრწამსიც – ერისა და ქვეყნის ერთიანობა და თავისუფლება. ამ მრწამსმა გამოკვეთა მის ხასიათში შინაგანი ღირსების ის შეგრძნება, რაც მას ასე გამოარჩევდა თავადთან თუ უმაღლეს მოხელესთან ურთიერთობისას: ყოველ ასეთ ჭარაიაში თუ გეგიაში ჩაბუდებულიყო ამჟამად დაჩაგრულ-დამონებულ ერისშვილთა მძლავრი პოტენციალი; ის ფუნქცია, რაც დროთა ვითარებამ დააკისრა შარვაშიძეებს, დადიანებს, ემუხვარებს, ანჩაბაძეებს და სხვათა და სხვათა, ახლა უნდა შეესრულებინათ ამ გლეხის შვილებს, რამეთუ ეს მოიტანა დროებამ და საჭიროებამ. რადგან პეტრეს ღრმა რწმენით, ღვთის წინაშე, ერისა და ქვეყნის წინაშე ყველანი თანაბარნი იყვნენ; ქვეყნისთვის თავგანწირვა რანგისა და წოდებისდა მიხედვით არ ხდებოდა – მთავარი იყო სურვილი და წყურვილი თავგამოდებისა, რამეთუ «ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღნენ».

ეს შიმშილი და წყურვილი სიმართლისათვის იყო ის ჩაუმქრალი ლამპარი, გზას რომ უნათებდა უკუნეთ სიბნელეში.

«მაცხოვარი მოითხოვს ჩვენგან საქმესა და არა მხოლოდ სიტყვასა, მოითხოვს ჩვენგან მოქმედებასა, მოძრაობასა და არა მხოლოდ უქმსა გულის სიტყვასა და უნაყოფო გრძნობასა. იქნებ, შენ ძმაო, სარწმუნოება და სასოება გაქვს, გარნა ესენი არიან უნაყოფონი, იქნება შენ მრავალი კეთილი განზრახვა გქონდა გულში, მრავალი პატიოსანი სიტყვა სთქვა. მშვენიერი სურვილნი გამოიჩინე, გარნა თუ განზრახვა შენი არ აღასრულე, სიტყვა საქმედ არ აქციე, სურვილი სისრულეში არ მოიყვანე, მაშინ ვერ გაერევი მარჯვენით მდგომარეთა და ვერ ცხონდები», – დიდი მოძღვრის გაბრიელ ეპისკოპოსის ეს სიტყვები მის გულსა და სულს ეხმიანებოდა, და სამოქმედოდ აღაგზნებდა, ხოლო სამურზაყანო იყო სწორედ ის მძაფრი ასპარეზი, სადაც დაუნდობლად ეჯახებოდა ერთმანეთს ცარიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდევართა ინტერესები. მის ეროვნულ

თვითშეგნებას ასაზრდოებდა დიდი ილიას და აკაკის პიროვნება, მათი შემოქმედება. «ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა»-ო, ეს სტრიქონები გულს სამუდამოდ ჩაებეჭდა უკვდავ, უბერებელ მცნებად და მთელი მისი ცხოვრების დედა-აზრი გახდა.

ილია და აკაკი – ეს ორი ბუმბერაზი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა – იქცა დროშად და სიმბოლოდ მამულისთვის თავგანწირვისა, მისთვის უანგარო სამსახურისა; როგორი გაფაციცებით, რა სულმოუთქმელად და ხარბად ეცნობოდნენ ჯერ კიდევ მარტვილის სასწავლებელში ყოფნისას «ივერიის» ყოველ ახალ ნომერს. რა დღესასწაული, რა აღდგომა უთენდებოდათ, როცა ილიას ნაწერს – მის წერილსა თუ ფელეტონს ნახავდნენ დაბეჭდილს: ბასრი, მკვეთრი და ღრმა აზრის შემცველი იყო ყოველი მისი სიტყვა თუ სტრიქონი, ნათელი და გასაგები – მოქმედების პროგრამა, «ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც ძელმა ჭეშმარიტებისამ, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანას. ამ ძელზედ სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზედ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

...ამ კაცთმოყვარე ღმერთისთვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზე, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავპირდასისხლიანებულმა, ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა, ჩვენ, შვილებს, გადმოგვცა-ეხლა თქვენ იცითო... ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამორჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცთმოყვარეობისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა და პატიმართა შველისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყნარებისათვის – ნუთუ ყოველივე ეს იგივე თვალ-მარგალიტები და უფრო უკეთესიც არ არიან?

დიდი წამება დიდ-ბუნებოვანების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება».

მარტვილში, სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროსვე განსაკუთრებული სიცხადით და სიმკვეთრით წარმოჩინდა საქართველოს დიდი სულიერ მამათა სახეები.

...ხშირად ღამის სიბნელეში, როცა მარტოობის შეგრძნება მკვეთრად შეახსენებდა თავს, როცა თვალახილული იწვა და ათასგვარი ფიქრები არ ასვენებდნენ და ძილს უფრთხობდნენ, ერთი აკვიატებული, მძაფრი კითხვა წამოყელყელავდებოდა: მაინც ვინა ვართ ჩვენ? სადაურები? საიდან მოვედით? რა ასაზრდოებდა, რა კვებავდა ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას, ჩვენს მრწამსს, ჩვენს მეობას, ჩვენს სულს!

დადიოდა სოფელ-სოფელ. კარდაკარ. კრებდა და იწერდა ხალხურ ლეგენდებს, თქმულებებს, ზღაპრებს, ანდაზებს, სხარტულებს, ნაკვესებს...

იწერდა მეგრულს, აფხაზურს... უდარებდა ერთმანეთს და ზოგად ქართულს... ეცნობოდა სხვების ნააზრევს ამ ენათა ნათესაობის თაობაზე.

ერთი ძირიდან და ფესვიდან იკვებებოდნენ ზოგადი ქართული, ზოგადი კოლხ-იბერიული ტომები. ერთი დიდი მუხის შტოებად ჩანდნენ ისინი, ერთი მძლავრი ნიადაგი კვებავდა ამ სულისმიერ ნათესაობას, რაც ვლინდებოდა სიმღერებსა თუ ცეკვებში, ლეგენდებსა თუ თქმულებებში, ხასიათსა თუ ფსიქიკურ წყობაში. სულისმიერი ძალისხმევა ამ ტომებისა ერთ საერთო რგოლზე იყო ასხმული და მრავალფერ ხმებს გამოსცემდა – გასაოცარს, თვითმყოფადს, სხვა ერებისაგან

გამორჩეულს და ეს ბადებდა უთუოდ იმ გასაოცარ ინდივიდუალიზმს, რაც ასე საცნაური იყო თითოეული კოლხ-იბერიული ტომისათვის, თითოეული პიროვნებისათვის, გლეხი იქნებოდა ის თუ თავადი, თუ აზნაური...

რამდენად შორს იდგა კოლხ-იბერიელის ბუნება იმ დოგმატური ჩარჩოსაგან, რაშიც მის მოქცევას ცდილობდა ქრისტეს ჯვრით ხელში შემოსული ყველაზე ვერაგი და სასტიკი მტერი, რაც ოდესმე უნახავს. რა განსხვავებული იყო სარწმუნოების შემეცნება აქაურთა იმათგან, ვინც თავს ახვევდა ძალით თავის გაგებას და მრწამსს. და ეს განსხვავებულობა ფსიქიკისა, სულიერი წყობისა, ეს ინდივიდუალიზმი, რაც ასე საცნაური იყო მის ხასიათში, ბადებდა ალბათ იმ საშინელი მარტოობის გრძნობასაც, რასაც ასე თვალნათლივ შეიგრძნობდა და განიცდიდა პეტრე და რასაც ცოტა მოგვიანებით ერთი მისი თანამემამულე მწყობრ კონცეფციაში ჩამოაყალიბებს: «ჩვენ რომელ რასას ვეკუთვნით? ეს არავინ იცის. ჩვენ არა ვართ ეთიოპები უეჭველია. მაგრამ თეთრი კანის მიუხედავად, არც ინდოევროპელები ვართ, არც სემიტები, უდედმამოდ გაჩენილი, ციდან ჩამოვარდნილი არსებას ვგევართ. ჩვენი ენა საოცრად განსხვავდება ყველა ცნობილი ენისაგან. თავისებურია მისი ლექსიკონიც, მისი სინტაქსიც, მისი ფონეტიკაც და ენა ხომ სულის გარეგანი სახეა. მაშასადამე, ჩვენი ხასიათიც, ჩვენი მგრძნობიერობა და აზროვნებაც»[18].

ქართული ენის საოცარი თავისებურება, მისი მრავალფეროვნება სულ უფრო და უფრო იზიდავდა და ატყვევებდა პეტრეს. რაც უფრო ღრმად იჭრებოდა მის ფენებში, მით უფრო იპყრობდა განცვიფრება და თაყვანება. წარმოუდგენლად მდიდარი და თავისებურად ელასტიური ზმნა ანალოგს ვერ პოულობდა მისთვის ნაცნობ არც ერთ ინდოევროპულ ენებში. ხარბად ეწაფებოდა ყოველს ნაწერს, რომელიც კი ქართული ენის წარმომავლობის საკითხს შეეხებოდა. რაც ღირებულად მიაჩნდა, ითავისებდა და იმეცნებდა. ასეთ დამოკიდებულებას იჩენდა მარის თეორიების მიმართაც. რასაც არ ეთანხმებოდა, მაინც უყურადღებოდ არ ტოვებდა. ჭეშმარიტების მარცვალს, რაც მათში იყო, თავის სულის ქურაში ადნობდა.

კვლავ დაუზარებლად დადიოდა სოფლიდან სოფელში და დაუცხრომლად კრებდა და იწერდა მოხუცთაგან ძირძველ კოლხურ სიტყვებს, რომელშიც დაცული და შემონახულია უძველესი ქართული ფორმა, აწ გადავიწყებული, ან შეცვლილ-გადასხვაფერებული დროთა ვითარების გამო, ან უცხო ენების ზეგავლენით. მუდამ აგონდებოდა და სამოქმედოდ აქეზებდა აკაკის სიტყვები: «მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად თათრულ-სომხურ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეჩხირება და გულსა სწყენს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერალ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი...»[19] კოლხურის მეშვეობით სწორედ რომ შესაძლებელი ხდებოდა აღდგენა იმ ძირძველი, საწყისი ფორმისა, იბერიულ-კავკასიურს რომ გააჩნდა უხსოვარ დროში. ისინი საკრალური მნიშვნელობის შემცველად ეჩვენებოდა, მაგიური ძალის მატარებლად.

მათში ცნაურდებოდა უძველესი მითოსის ნიშატი. ოცნებობდა კოლხურ-ქართული ლექსიკონის შექმნა-გამოცემაზე, უამრავი მასალა ჰქონდა უკვე საამისოდ დაგროვილი. ხიბლავდა ენის უმდიდრესი ლექსიკა, რიტმიკა, ლექსთწყობა – კოლხური სიმღერის

[18] გ. ქიქოძე, ეროვნული ენერგია. თბ. 1918 წ. გვ. 48.

[19] ა. წერეთელი, თხზ. ტ. VI. 1952 წ. გვ. 326.

ბადალი და სწორფერი და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოდ ეჩვენებოდა – ეს იყო ვერსიფიკაცია. ერთი შეხედვით თანაბარ მარცვლოვანი ჩანდა კოლხური ლექსი, სინამდვილეში ასე როდი იყო. ასიმეტრიულობა ქართული ხალხური სიმღერის, ხუროთმოძღვრების, ქართული ხელოვნების ძირითადი, დამახასიათებელი ნიშანთვისებაა საერთოდ. ვით ქართულ გუნდში მთავარი თავისთავად თანხმიერება კი არ არის, არამედ ის, რომ ეს არის პოლიფონიური თანხმიერება – ანუ ისეთი თანხმობა, რომელიც თავის თავში აუცილებელ სხვადასხვა გვარობას გულისხმობს... აოცებდა ალიტერაციების სიუხვე... ლექსთწყობის მრავალფეროვნება.

წარმართულმა სიმღერებმა ხომ თითქმის უცვლელად მოაღწიეს ჩვენამდე. საინტერესოა, რომელი ერი მღერის ორიათას თუ ორიათას ხუთასი წლის წინანდელ სიმღერებს ისე უცვლელად, როგორც ეს საქართველოშია? ოდოია, თუ იოვო იო, ლილე თუ ჰარალე, კვირია თუ დილა ვორგილ, თუ დელი დელას? აკაკის თქმით, ჩვენი წინაპრები თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა მთიებს, ვარსკვლავთა გუნდს, ცის ბურჯებს, დილას, განთიადს და ყველაფერი ეს აისახა მის სიმღერებშიც: «მზე-შინა», «თინა, «ოდილა», შავ-დილა» და სხვ. – ანარეკლია ამ თაყვანებისა. სრულებით შეუსწავლელი იყო ქართული წარმართული პანთეონი, ქართული მითოსი. ზღვა სამუშაო იყო და ყოველივე ამას სჭირდებოდა ერუდირებული მკვლევარი, შთაგონებული ერისა და მამულის სიყვარულით, სამშობლო ქვეყნის წარსულით გულანთებული პიროვნება და ამას სჭირდებოდა აგრეთვე დრო, მოცალეობა, რის ნაკლებობასაც ყოველთვის განიცდიდა პეტრე ჭარაია.

მრავალჯერ უფიქრია იმაზე, თუ რა ნაცნობი და ახლობელი იყო ნართული ეპოსი მეგრელისთვისაც, გურულისთვისაც, კახელისთვისაც და საერთოდ, ყველა ქართველური თუ ჩრდილო კავკასიელი ტომებისთვის! მაგრამ თვით სიტყვა ნართი რას ნიშნავს? ხომ არ მომდინარეობს იგი ქართული ნართიდან? ე.ი. რაღაც უძველესი, იქნებ წარღვნამდელი ამბების დანართად ხომ არ გვევლინება ის? ან დახვეული გორგლის (ამბის) გადმოცემა ხომ არ არის?

აფხაზური აბრსკილ – ამირანი – აფხაზურ-მეგრული სიტყვების კომპოზიტიც ხომ ამ მჭიდრო სიახლოვეს და ნათესაობას მიგვანიშნებს: აბრ-სკილ (მზის შვილი). სინათლის აღმნიშვნელი მარცვალი აბრ ხომ ქართულშიც გვხვდება უამრავ სიტყვებში: ბრ-იალებს, ბრ-წყინვალება, ბარბალ-ცეცხლის ქალღმერთი, აქედან მეგ. ბარბალ-ბორბალი ანუ წრე-მზის ნიშანი! და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სულისშემტაცი სიმღერები, – მეგრულ-აფხაზური სივარადა (სხვათა შორის, ადიღეურ-ჩერქეზული ტომებიდან მარტო აფხაზეთში ჩამოსახლებული აფსუა მღერის მრავალხმიან სიმღერებს).

და შემდეგ, ის ენობრივი თანადამთხვევები, რის დანახვაც არ უნდა ზოგ ვაიმეცნიერს!

პეტრემ იცის, საიდან დაიწყო ყოველივე ეს.

ამ ტენდენციას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა მოიშალა სკოლებში ქართული ენის სწავლება და როცა აფხაზურის ნაცვლად დაწყებით კლასებში აფხაზ ბავშვებს რუსულად დაუწყეს სწავლა. ამის თაობაზე იაკობ გოგებაშვილი წერდა: «ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს, ერთნი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადაიბირონ თავისკენ. მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან».

სოხუმში მოიპოვებიანო როგორც ქართველი, ისე აფხაზი პედაგოგები. ამათ ადვილად შეუძლიათ რამდენიმე თვის განმავლობაში შეადგინონ შეერთბეული ძალით აფხაზური დედაენა და დაბეჭდონ იგი არა მახინჯური ანბანით, რომელიც

შეუთითხნიათ პოლიტიკანებს, არამედ ისტორიული აფხაზური ანბანით, რომელიც ქართული ანბანიცაა და რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი უსლარიც აღიარებს «უუსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის». ეს ანბანი ხატავს ყოველ ხმას აფხაზური ენისას და ზედგამოჭრილია მასზე. იგი იხმარებოდა საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში და შესისხლხორცებულია მასთან. ყველა ამის გამო ის მეტად გაუადვილებს აფხაზებს წერა-კითხვის შესწავლას, განათლების მიღებას და იხსნის მათ იმ მავნებელი განმარტოებისაგან, რომელსაც მათ უმზადებენ პოლიტიკანები მახინჯური ანბანით... აფხაზმა პედაგოგებმა ქართველთა დახმარებით უნდა გადათარგმნონ საუკეთესო ქართული საყმაწვილო და სახალხო მოთხრობები და გამოსცენ. აგრეთვე უნდა შეკრიბონ აფხაზური ხალხური ლექსები, არაკები, ზღაპრები, გამოცანები და დაბეჭდონ».

საერთოდ ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა აფხაზეთის საკითხს. სწორედ სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში დაიბეჭდა მისი სტატია: «აფხაზეთის შესახებ».

საიდან მოდიოდა ჭირი და რა იყო მიზეზი ყოველივე იმისა, რაც მთელ საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში ხდებოდა, იცოდა ყოველმა გათვითცნობიერებულმა პიროვნებამ და მით უმეტეს, პეტრე ჭარაიამ უწყოდა ყოველივე. პეტრე ჭარაია სისტემატურად აქვეყნებს გაზეთ «ივერიაში», ჟურნალ «კვალში», «Обозрение-ში», «ცნობის ფურცელში», «Кавказское обозрение-ში», ჟურნალ «განათლებაში», «სახალხო გაზეთში», და სხვ. თავის წერილებსა და გამოკვლევებს ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ. ბეჭდავს წერილებს აფხაზეთსა და აფხაზებზე, მას როგორც ლინგვისტს და ეთნოგრაფს იცნობენ ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვ. (მის კვალს შემდგომში მიყვებიან ნ. ჯანაშია, თ. სახოკია და სხვ).

პეტრე ჭარაია აქვეყნებს ნარკვევებს ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობიდან, ეთნიკური ურთიერთდამოკიდებულების, ენობრივი ურთიერთობის შესახებ. მისი თანამედროვენი მასში ხედავენ ქართულ მესამოციანელთა ღირსეულ მემკვიდრეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლთაგანს აფხაზეთ-სამურზაყანოში. ე.წ. მამათა და შვილთა პაექრობის შემდეგ, იგი პირველად აყენებს ლიტერატურული ენის ნორმების ხელახლა გადასინჯვის საკითხს. ბოლომდე ამხელს ვაიმეცნიერის რიბინსკის წიგნს, რომელშიც ავტორი ვითომ «ესარჩლება» აფხაზებს და უსაფუძვლოდ და უსინდისოდ აძაგებს მეგრელებს.

გრიგოლ შარვაშიძე მოითხოვდა, სკოლებში პირველდაწყებითი სწავლება უეჭველად ქართულ ენაზე იყოსო, რადგანაც «ძველის დროიდან ეს ენა ჩვენთვის სამოქალაქო და საეკლესიო ენაა». ორი აზრი კვლავ დაუპირისპირდა ერთმანეთს: ერთი – ეროვნული, მეორე – შავრაზმული.

1915 წელს «წერა-კითხვის საზოგადოების» გამგეობის მეცადინეობით გალის სკოლაში შემოიღეს ქართული ენის სწავლება, როგორც საგნისა. მასწავლებლად გამწესებულ იქნა პეტრე ჭარაია.

მოგონებიდან: «გალის სკოლაში ყველაფერს ასწავლიდნენ, გარდა ქართული ენისა. ადვილად წარმოსადგენია, ქართული ენის უცოდინარი მასწავლებელი როგორი დამცველი იქნებოდა ქართული ენის ინტერესებისა». და აი, პეტრე ჭარაია ეწია საწადელს: იგი ქართულ ენას უკვე ოფიციალურად ასწავლიდა ბავშვებს.

ბაგრატ ხორავას მოგონებიდან: «...ორი წლის განმავლობაში გვასწავლიდა ქართულ ენას ჭარაია. ამ მოკლე დროში მან შესძლო აენთო ჩვენს გულში ქართული ენისა და

ლიტერატურისადმი უშრეტი სიყვარულის გრძნობა». (შემდგომში ბაგრატ ხორავა თავად ასწავლიდა გალის [1]1 საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას. სპეტაკი, უანგარო, მართალი და მცოდნე პედაგოგი თავის მასწავლებლის მარადდაუვიწყარ ხატებას ატარებდა გულში და ცდილობდა, მისი ხსოვნის უკვდავყოფას იმით, რომ ქართული ენისა და ლიტერატურისადმი უშრეტ სიყვარულს უღვივებდა თავის მოსწავლეებს (სხვათაშორის, მისი ქალიშვილიც და ვაჟიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია გალის [1]1 და @[1]2 სკოლაში).

პეტრე ჭარაიას ნამოწაფარის, გიორგი ტორუას მოგონებიდან: «ეს იყო არაჩვეულებრივი პიროვნება. კრისტალურად სპეტაკი, დინჯი, აუჩქარებელი, ენამახვილი და გაბედული. მახსოვს, როცა აკრძალულ დედა-ენას» გვიკითხავდა, თვალები ცრემლით ევსებოდა. ხმა აუთრთოლდებოდა ხოლმე».

პეტრე ჭარაიას ნამოწაფარის შ. ჩეხერიას მოგონებიდან: «პეტრე ჭარაიას სალაპარაკო ენა შინ თუ გარეთ მხოლოდ ქართული ენა იყო. უცოლშვილოდ გადაგებული, მატერიალურ დახმარებას უწევდა ღარიბსა და ნიჭიერ მოსწავლეებს».

პეტრე ჭარაიას ყოფილი მოწაფეების მოგონებიდან: «არ ყოფილა შემთხვევა, პეტრეს ოდესმე საჯაროდ დაეტუქსოს მოსწავლე, ან აწეული ხმით გაჯავრებოდა ვინმეს რაიმე შემთხვევისათვის, არ ყოფილა ოდესმე ისეთი შემთხვევაც, რომ პეტრეს რომელიმე მოსწავლის ნამუშევარი მთლიანად დაეწუნებინოს... ის ცუდად დაწერილ ნამუშევარსაც მოუძებნიდა რაიმე დადებითს და ამით გულდაწყვეტილ მოსწავლეს მდგომარეობიდან გამოიყვანდა... არასოდეს შეგვხვედრია მოსწავლეებისათვის ისეთი საყვარელი პედაგოგი, როგორიც პეტრე ჭარაია იყო...

პეტრეს ეწყინებაო, ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. მოსწავლე სიკვდილს ირჩევდა, ვიდრე რაიმე ეწყენინებინა მისთვის.

...რუსეთში მყოფ მოსწავლეებს უგზავნიდა ქართულ წიგნებს, გამოცემებს, ჟურნალებს, გაზეთებს.

...გალის სკოლის მოსწავლეებისათვის, სკოლის ადმინისტრაციის საწინააღმდეგოდ, მოაწყო ქართული ბიბლიოთეკა...

იყო უშიშარი პიროვნება და მოქალაქე, რომელიც სასტიკად ამხელდა თვითმპყრობელობას.

...არ სვამდა, არ ეწეოდა, ქაღალდს არ თამაშობდა. მთელი მისი ფულის დანაზოგი ხმარდებოდა საქველმოქმედო საქმეს...»

«უბედური ქვეყნის ყმა»

1888 წელი.

დიდი ფაციფუცია ქუთაისში და არა მარტო ქუთაისში. ორივე გუბერნია და მთელი ამიერკავკასია ფეხზე დგას. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III «გააბედნიერა» აქაურობა თავისი სტუმრობით.

ქართულ თავადაზნაურობაში უკვე აღარ ჭაჭანებს 1832 წლის შეთქმულების სულის ნატამალიც კი. თითქმის ყველანი ქცეულან რუსეთის მეფის ქვეშევრდომად, რომელნიც, დიდი ილიას თქმით, «наплечоба» გვასწავლეო, მთავრობას ეხვეწებოდნენ. დიდი ილიას თქმითვე, სწორედ რომ «ჩვენისთანა ბედნიერი განა არის კიდევ ერი?.. მტვერწაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არ გამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი,

არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი, ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?!»

ქართული ენა რიღას მაქნისია – მსჯელობდნენ კიდეც ასეთი «ბედნიერი» თავადაზნაურობის წარმომადგენელნი – ქართული ენით პურს ვეღარ სჭამს კაცი, ქართულმა ენამ თავისი დრო გაათავა, ეხლა რუსობა არის, რუსული ენა ვისწავლოთ და არა ქართულიო. ჩვენი მთავრობის ენაც ხომ ეს არის. და აბა, ამის ღალატი როგორ იქნება. რომელი ქართველი რუსულ ენას არ ისწავლის, ის ქართველი ნასწავლ კაცად ვერ ჩაითვლება. ამიტომაც საქართველოში ჩვენს აუცილებელს – რუსული ენა შეადგენს და არა ქართული... «რუსის მთავრობის პოლიტიკამ და ჩინ-ორდენებმა ქართველნი ისე გარდაქმნეს, ისე ძირს დასცეს, რომ ქართველთ სანატრელად მხოლოდღა გარუსება იქმნა გამოცხადებული... ბოროტებამ ქართველ თავად-აზნაურობაში ისე გაიდგა ფესვები, ისე შეიქმნა მისი მონატრებული და მღაღადებელი, რომ მის შვილს უსათუოდ რუსული ესწავლა და არა ქართული, სასწავლებლებში ეხვეწებოდნენ მასწავლებლებს ასე: «ჩვენს შვილებს რუსული ასწავლეთ, ჩვენ მარტო რუსული ენის შესწავლა გვინდა, ქართული საჭირო აღარ არის!» (ზ. ჭიჭინაძე). ქრთამებითა და ორდენების მიღებით რომ ნერგავდნენ გარუსების ტრფიალებას და გადაგვარებას, ეს მუხრანსკის მაგალითიდანაც გამოჩნდა.

ასეთი საერთო ზნედაცემულობის ვითარებაში ქუთაისის გუბერნატორმა გამოიძახა გიორგი შარვაშიძე – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი და სთხოვა დაეტოვებინა ქუთაისი. ქუთაისის გუბერნატორმა ალექსანდრე III ჩამოსვლასთან დაკავშირებით შეადგინა სია იმ პირთა, რომელთა ყოფნა ქუთაისში სასურველი არ იყო. ერთ-ერთი პირველი გახლდათ გიორგი შარვაშიძე ნიკო ნიკოლაძესთან ერთად.

გიორგი შარვაშიძემ მოიძრო თავისი ფლიგელ-ადიუტანტის ბაფთები და ფეხებში მიუგდო გაოგნებულ, სახტად დარჩენილ გუბერნატორს და ღირსეული იერით, წარბშეუხრელად დატოვა დარბაზი.

ეს იყო ბომბის გავარდნასავით იმ ტაკიმასხრულ კარნავალში, რასაც ქართველი თავად-აზნაურობა უმართავდა რუსეთის იმპერატორს, ვის კარზეც ესოდენ მიღებული და დაფასებული იყო გიორგი შარვაშიძე.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი 18 წლის იყო, როცა მამა – მიხეილ შარვაშიძე დაუპატიმრეს, ხოლო თავად გიორგი რუსეთის შიდა გუბერნიაში გადაასახლეს. მაგრამ მალე «დანაშაული» აპატიეს და მოიწვიეს პეტერბურგის სასახლეში. მომავალი მეფე ალექსანდრე III განსაკუთრებით წყალობს. მისი არისტოკრატიული წარმოშობა, საუცხოო გარეგნობა, ფართო განათლება დიდებულ სარბიელს უხსნის მას იმპერატორის სასახლეში. მას აძლევენ ფლიგელ-ადიუტანტის მაღალ ხარისხს და მეფის ამალაში რიცხავენ. ასეთი წარჩინებისათვის თავს დასდებდა მისი წრის უდიდესი ნაწილი, მაგრამ ჭაბუკი გიორგისთვის მარად დაუვიწყარია და მარად ცოცხლობს მისი დაჩაგრული სამშობლოს ხატება, აჯანყების დახოცილ მეთაურთა სახეები. მასში ბობოქრობს მამის უტეხი სული და ის შეურიგებლობა, რომლითაც იგი გამსჭვალული იყო მეფის რეჟიმისადმი.

მოწყალე უფლისწული – რუსეთის იმპერიის მომავალი იმპერატორი, მოწყალე სასახლე, დიდებული, თავბრუდამხვევი სიმდიდრე, ფუფუნება და გართობა, ულამაზესი ფრეილინების თაყვანება და ალერსი... რაღას ინატრებს მისი წრის ადამიანი უკეთესს?

მაგრამ გიორგი შარვაშიძე ნატრობს. იგი ნატობს მშობლიურ ცას და მიწას. მშობლიურ ხალხში ყოფნას, ნატრობს თავის მშობლიურ «ვარადას».

«განგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდახან დავიღუღუნო,
მამაპაპური ვარადა.

გიორგი შარვაშიძემ თავისი ჩაგრული ქვეყნის მოქალაქეობა ამჯობინა პეტერბურგის სასახლეს, მის ბრწყინვალებას.

რაკი აფხაზეთში ცხოვრება ეკრძალებოდა, ქუთაისში დასახლდა. მეგობრობდა აკაკი წერეთელთან, მამია გურიელთან.

«გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ერთადერთი გამონაკლისი მაგალითი იყო მთელი ჩვენი საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრების მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარა, მცირეოდენადაც არ დაიმცირა ღირსება თავის ერის მჩაგვრელ, თავის ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მისი წრის ოჯახობა დიდი ბედნიერებად და საოცნებო ნეტარებად სთვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც გიორგი ზიზღით უარყოფდა. ვინ არ იცის, თუ რამდენი მსხვერპლით და ტანჯვა-წვალებით მიისწრაფოდნენ ყველა ჩვენი არისტოკრატიის წევრები სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისაკენ, გიორგის კი ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა». (სიტყვა, წარმოთქმული გ. შარვაშიძის დასაფლავებაზე, ჟურ. «თეატრი და ცხოვრება»). სამაგიეროდ, გიორგის ორი ქცევა მიწა ენატრებოდაო თავის ქვეყანაში, (სამაგიეროდ, გ. დ. შარვაშიძე, სამთავროს უმცროსი შტოს წარმომადგენელი, ჰოფმაისტერი, უშველებელი მაიორატის მფლობელი იყო აფხაზეთში). გიორგის აგრეთვე აკრძალული ჰქონდა აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება და იგი მალულად, ჩოხაში გამოწყობილი მოგზაურობდა თურმე თავის მხარეში.

მეფის მთავრობა ამასაც არ სჯერდებოდა: ყოველნაირ პროვოკაციაზე მიდიოდა, იქნებ როგორმე გაესვარათ გიორგის სახელი. ასეთი ბინძური პროვოკაცია იყო ჩქოტუას საქმე. სამურზაყანოს ერთ-ერთ პატარა სოფელში, საბერიოში, ზურაბ ჩქოტუას დაკისრებული ჰქონდა მეტად საპატიო მისია – მთავრის შვილების აღზრდა. ამ ოჯახში გაიზარდა გიორგი შარვაშიძე. დავით ჩქოტუა თითქმის მისი თანატოლი იყო. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით. უსახსრობის გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება პეტერბურგში და იგი გიორგი შარვაშიძემ, როგორც უახლოესი ადამიანი, თავისი და მეუღლის მამულების მოურავად დააყენა. დავითის მოურაობის დროს უცნაურ გარემოებაში დაიღუპა გიორგი შარვაშიძის ცოლის და. მეფის მთავრობამ ეს მკვლელობა დააბრალა დავით ჩქოტუას. თუმცა სავსებით დაუსაბუთებელი იყო ბრალდება, მაგრამ ახალგაზრდა, ნიჭიერი პუბლიცისტი და ჟურნალისტი ციმბირში გადაასახლეს...

გიორგი შარვაშიძე აღზრდით, განათლებით მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს ეკუთვნის. «ქართული ენა გიორგისათვის არის არა მარტო მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის განსაკუთრებული საგანიც. ამ დამოკიდებულებას ქართული ენისადმი კვებავდა ის ღრმა ცოდნა ძველი და ახალი ქართული მწერლობისა, რომელიც გიორგის ჰქონდა» (ს. ჯანაშია). ხოლო რაც შეეხება რუსთაველს, რუსთაველის ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელი პირობა იყო განათლებულობისა. გიორგის ძიძიშვილი და სიყრმის მეგობარი დავით ჩქოტუა წერს: «ამ ნაწარმოებთან ურთიერთობაში ვარ ბავშვობიდან. ჯერ ვისმენ მის კითხვას მშობლების ოჯახში. უფრო გვიან თვითონ ვეცნობი; კიდევ და კიდევ ვკითხულობ და

ვსწავლობ ზეპირად». აღსანიშნავია, რომ ჩქოტუას დედა, ისევე როგორც გიორგის – დადიანის ქალი იყო, რომელმაც შვილი ქართულ ეროვნულ კულტურას აზიარა.

აკად. სიმონ ჯანაშია თავის ბრწყინვალე გამოკვლევაში გ. შარვაშიძეზე, ნათლად წარმოაჩენს იმ ოჯახურ გარემოს, წრის როლს გიორგი შარვაშიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში, სადაც ის აღიზარდა. და განსაკუთრებით გამოყოფს აღმზრდელი ქალების ზეგავლენას გიორგიზე. მკვლევარის თქმით, დადიანების სახელგანთქმულმა გვარმა და ოჯახმა განსაკუთრებული როლი ითამაშა, როგორც ქართული ეროვნული კულტურის კერამ სამეგრელო-აფხაზეთის სამთავროებში, ხოლო ქალები ამ მხრივ სწორედ რომ საგანგებო როლს ასრულებდნენ.

გიორგის დედაც, ,,დიდი ნიკოს'' შვილიშვილი ალექსანდრაც თანამედროვეთა გადმოცემით, მშვენიერი ქალია, რომელიც ,,ქართულს ლაპარაკობს თავის მამასავით ჩინებულად''. იგიც საზრდოობდა იმ წყაროთი, რითაც პაპა მისი, მამა, მამიდები და ბიძები.

სამშობლო ისტორიის ცოდნა, მწიგნობრობა და წიგნის სიყვარული, შაირმთქმელობა, ზმა, მუნასიბი, ანუ კაფია – საერთო მოვლენა იყო.

ს. ჯანაშიას მოჰყავს სამთავროს სახლის ერთ-ერთი ქალის მზითვის წიგნი: სამზითვო ნივთებს შორის ყველაზე ადრე დასახელებულია წიგნები, ჯერ საეკლესიო, შემდეგ – საერო. მათ შორის, «ქართლის ცხოვრება» სრული, ხრონოგრაფი, რომელ არს ბერძენთ ცხოვრება, ლექსიკონი საბასი, ვეფხისტყაოსანი, სიბრძნე სიცრუისა, ვისრამიანი, გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, კატიღორია და სხვ.

დადიანთა გვარს მრავალი შესანიშნავი მოღვაწე ჰყავს და ერთ-ერთი მათგანია ნიკო დადიანი-დავითისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, გიორგი შარვაშიძის თაობის წარმომადგენელი. მისმა ჩარევამ შეაჩერა მთავრობის რუსიფიკატორული განზრახვა – სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და მის მაგიერ თვალთმაქცურად მეგრულის შემოღებისა.

,,... მე წავიკითხე ის სტატიები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეგრული ენის შუა და ქართველთ ენის შუა სიმსგავსეც არ არისო. ჩემი ამბავი ხომ იცი, მე ვერაფერი გამაკვირვებს... მე ოღონდ ამას ვიტყვი, რომ ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულს და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი. ჯერ ჩვენი ენა ისწავლონ და მერმედ სწერონ... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვარწმუნებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინ წაწევას. ხალხს მაშინ გაიცნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს ან იმ ხალხის ენას ლაპარაკობს. ამას გარდა ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ, როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის ან არც უნდა იყოს: ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები. ესღა გვაკლია ახლა, რომ ვინმე ჩინეთელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ძველ ენაზედ ან გვასწავლოს ქართული. ეგების ამასაც მოვესწროთ...'' – წერს ნიკო დადიანი ,,ივერიაში'', (სხვათაშორის, გრ. ორბელიანმა თავის დროზე მისწერა ეკ. ჭავჭავაძეს: ,,სამეგრელო და თქვენ ეკუთვნით ერთმანეთს და ხართ განუყრელნი, კნიაზმა ნიკომ ახლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად, შეურყევლად აღაშენოს ოჯახი თვისი. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურგსა. მანდ დათესოს ყოველივე კეთილი და მით დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა'').

დადიანთა გვარიდან ყველაზე შესანიშნავი კაცი მე-19 საუკუნეში იყო მესამე ნიკო, ნიკო ,,ფილოსოფოსი'', ცნობილი მწერალი, ქართული ენის ცოდნაში

თანამედროვეთაგან მას იშვიათად თუ ვინმე შეედრება. (შალვა და მარიამ დადიანების მამა).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს დაშლა-გათიშვის გამო განსაკუთრებით ძლიერი იყო სეპარატისტული მიდრეკილებანი და ამ დროს სამეგრელო აღწევს განსაკუთრებულ ძლიერებას, ლევან დადიანის დესპანი ასეთ განმარტებას აძლევს რუსთა მთავრობას: ,,სარწმუნოება იგივე გვაქვს, რაც ქართლ-კახეთის მცხოვრებთ. ჩვენი მწიგნობრობა ქართულია. მხოლოდ ენაცა გვაქვს შინაურობაში სასაუბროდ...'' დაქუცმაცებისა და დაშლის დროსაც კი, როცა სამთავროები ერთმანეთს ებრძოდნენ კიდეც პირველობისთვის, მაშინაც კი, აკაკის თქმით... ,,...არც ერთ სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს და არც სვანეთსა და სამეგრელოს არ დავიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ!... წირვა- ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი ყველასი იყო ქართული და ქართული... მართალია, ერთმანეთში, შინაურობაში, ხშირად ჰქონდათ კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ ავიწყდებოდათ თავისი ერთტომეობა, სისხლხორცობა და კავშირის განუწყვეტლობა...'' ხოლო ერთი შეკრებულობის შესახებ აკაკი წერს: ,,უნდა გაგეგონათ იქ მეგრელების მჭევრმეტყველება და მათი განმტკიცული, განწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით, აი სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო''.

მაშ ასე: გიორგი შარვაშიძის კულტურული და მოქალაქეობრივი მრწამსის სათავე ნათელია, მაგრამ ეს კულტურული ორიენტაცია, სიმონ ჯანაშიას თქმით, როდი ნიშნავს იმას, რომ გიორგი შარვაშიძე მოწყვეტილი იყო თავის მშობლიურ ბუდეს: ,,ქვეყანა მისი მშობელი», თავისი ადგილობრივი სპეციფიურობით გიორგი შარვაშიძეს ღრმა სიყვარულით უყვარდა. განსვენებულმა კონსტანტინე ერისთავმა, გიორგის მეგობარმა, გვიამბო, რომ როცა გიორგი ქუთაისში ცხოვრობდა, ზაფხულობით ის ხშირად მიდიოდა აფხაზეთში, გამოეწყობოდა ჩოხაში და მთელ აფხაზეთს მოივლიდა ისე, რომ კუნჭულს არ დატოვებდა დაუთვალიერებელს მთაში და ბარში, გზაზე თუ გზის გადაღმა. ასეთი ხეტიალისაგან სამოსშემოძარცული ბრუნდებოდა უკანო...» (ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, სოხუმი, 1946).

თავის კუთხესა და ტომთან კავშირი გადასკვნილი იყო გ. შარვაშიძეში ხალხთან სიახლოვესა და დემოკრატიულობასთან. მის სადარბაზო ბარათზე მარტივად არის ქართულად აღნიშნული: ,,გიორგი შარვაშიძე», არც ტიტულები, არც გვირგვინები, ჩვეულებრივი ბუტაფორია...» თავის დროისთვის დიდად განათლებული, დასავლურ-ევროპული ენების და რუსულის საუცხოო მცოდნე, იგი პოლიგლოტად წარმოგვიდგება, ხოლო ქართულის ტრადიციულ ცოდნაზე უკვე იყო ნათქვამი – აფხაზურისა და მეგრულთან ერთად. თანამედროვეთათვის იგი იყო მოქცევისა და ზრდილობის ძველებური წესების ნიმუში: Eiegantiai arbiter».

...ფიზიკურადაც ის საუკეთესო ტიპი იყო თავის რასის საყოველთაოდ განთქმული სილამაზისა; ,,ვეფხისტყაოსანის'' დამსურათებელი, ცნობილ მხატვარ ზიჩის გიორგი თურმე ულამაზეს კაცად მიაჩნდა და ტარიელის ხორციელი განპიროვნებისათვის უფრო შესაფერ ობიექტს ვერ პოულობდა''. ხოლო ამ ტრადიციულ სადინართან, რომელიც ს. ჯანაშიას თქმით, შორეულ ისტორიულ გარემოში პოულობდა სათავეს, შერწყმული იყო თანაგვარი კულტურული ტრადიციები, ,,რომელიც დროთა შორეთიდან, მამის ოჯახში იყრიდა თავს''.

***

როგორც ცნობილია, მე-8 საუკუნეში ჩამოყალიბებული აფხაზთა სამეფო მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს ეგრისითურთ. ეს ახლად წარმოქმნილი სამთავრო სხვა დანარჩენ ქართულ სამთავროებთან ერთად ,,შეადგენს საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და მთლიანად არის მოქცეული ქართული კულტურის წრეში... აფხაზთა სამეფოში სახელმწიფოს, მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა არის ქართული. ყოველ შემთხვევაში მე-9 საუკუნიდან მაინც, თუმცა,

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ეგრისშიც და შემდეგ აფხაზეთის სამთავროში არ შეიძლებოდა ქართული ენა წამყვანი არ ყოფილოყო, რამეთუ ორივე სამთავროს მკვიდრი მოსახლეობა ქართველური იყო წარმოშობით, თუმცა თითქოს ბერძნული ენა მოძალებული ჩანს... (,,ქართულ ენას ეს როლი არ დაუკარგავს მაშინაც, როდესაც, საქართველოს სამეფოს დარღვევის შემდეგ წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო... ეკლესიურად აფხაზეთი უკანასკნელ ხანამდე იმერეთ-სამეგრელო-გურიასთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენდა, ერთი საეკლესიო ქართული ენით. ქართულივე არის სამთავრო დაწესებულებათა და საზოგადოდ, მწიგნობრობის ენა... რუსული ოფიციალური ცნობებითაც კი, უკანასკნელი მთავარი მიხეილი კავკასიის მმართველობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს. ქართულის ცოდნა, რა თქმა უნდა, უმთავრესად თავადაზნაურობას ახასიათებდა: ვახუშტი წერდა: ,,ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართულიო''.

ეს ტრადიციები, რასაკვირველია, თვით შარვაშიძეების სამთავრო სახლში იყო დამკვიდრებული. ამის ნათელი დასტურია, რომ ოსმალების მოძალების ჟამსაც, როდესაც ნაწილმა თავად-აზნაურობამ მიიღო ისლამი, მათ შორის სამთავრო სახლის წარმომადგენლებმაც, ამ პერიოდშიც ქართული ენა კულტურის მთავარი ენაა როგორც სამთავროსათვის, ისე თვით მიხეილისთვისაც.

მთავრის ოჯახის წევრების მიწერ-მოწერის ენაც ქართულია. ასე მაგალითად, მიხეილი ცოლს ქართულად წერს ბარათებს და ა. შ. ,,ქართული ენის ასეთი ფუნქცია აფხაზეთში ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების ნაყოფი იყო... სათანადო ტრადიციები გადადიოდა თაობიდან თაობაში, ისტორიულ პირობებთან შეფარდებით, დაუბრკოლებლად ან მცირედი შეფერხებით, რაკი რეალური ინტერესების სფეროში აფხაზეთის მიზიდულობა საქართველოს დანარჩენი ნაწილებისადმი საბოლოოდ არასოდეს არ გაწყვეტილა. კერძოდ, მთავრისა და სხვათა დაწინაურებული ოჯახებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა უთუოდ ჰქონდა პირადს ნათესაურ კავშირს ამ ნაწილებთან, პირველ რიგში, სამეგრელოსთან, ასე, მაგ: მიხეილის როგორც დედა, ისე ცოლი დადიანის ქალები იყვნენ''. მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ვითარება შეიცვალა...

გიორგი შარვაშიძე ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც ამ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს აგრძელებდა და თავგამოდებით იცავდა. იგი ხმალშემართული იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. მჭრელი და ბასრი იყო გიორგი შარვაშიძის კალამი, როცა იგი ეროვნული მეობისა და კულტურის დაცვას შეეხებოდა. ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეს თავგამოდება-თავგანწირვა და მისი ისტორიული სიტყვები; ,,მართალია, ჩვენს სამშობლოს ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას

გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მივიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსებობა. შემოსული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვით არსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, გონება-შეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში''. საყურადღებოა ერთი ეპიზოდიც გ. შარვაშიძის ცხოვრებიდან: იოსებ გრიშაშვილის ცნობით, ცარიზმის ჩინოსნობის მაძიებელ ქართველებთან ბრძოლის მიზნით, გიორგი შარვაშიძემ ერთხელ მამია გურიელს წინადადება მისცა თურმე: დავაარსოთ ხელის არჩამორთმევისა და სალმის არმიცემის საზოგადოება. ვინც ორჭოფი იქნეს, ხელი არ ჩამოვართვათ და სალამიც არ მივსცეთო. მამიამ უპასუხა: ჩემო გიორგი, მაშინ მე და შენ დავრჩებით, დავიკრიფოთ გულზე ხელი და ვიაროთო''.

არსებული ვითარებით გულდაკოდილ გიორგის მწარე გოდება აღმოხდება: ,,ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი, ჰოი, მამულო, სინათლეს გისპობს!''

***

I მსოფლიო ომის დროს მეფის მთავრობამ უკვე აშკარად მოიწადინა აფხაზეთის მოკვეთა დედა საქართველოდან და ჩერნომორიის გუბერნიასთან მისი მიერთება, აფხაზეთის ეკლესიის – სოხუმის ეპარქიის – საქართველოს ეგზარქატისგან ჩამოცილება და უშუალოდ პეტერბურგში არსებულ ე. წ. უწმინდეს სინოდისადმი დაქვემდებარება. ფეხზე დადგა მთელი აფხაზეთის მოწინავე ადამიანები. გრიგოლ შარვაშიძეს ინიციატივით წინ აღუდგნენ ამ პროექტს. შედგა დეპუტაცია ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძის მეთაურობით, დეპუტაციაში შედიოდნენ: ექიმი ვარლამ შარვაშიძე, ასთამურ ინალიფა, მელიტონ ემუხვარი, გრიგოლ ზუხუბაია, გლეხები: ზ. ეზუგბაია და ა. ჩუკბარი. დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე პეტრე ანჩაბაძე – ევროპულად განათლებული კაცი. იგი თავგამოდებით ებრძოდა ცარიზმს და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობის აქტიური წევრი იყო. აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქართული ორიენტაციისათვის, ქართული კულტურის დანერგვისათვის ბრძოლას ჭეშმარიტად გმირული შემართულობა, ვაჟკაცობა და თავგანწირვა სჭირდებოდა. ერთ-ერთი ასეთი მამულიშვილი იყო პეტრე ანჩაბაძე, ხოლო მისი ოჯახი ოტობაიაში-მატარებელი ქართული კულტურისა და ეროვნული თვითშეგნებულობისა (ამ ოჯახშია ნაპოვნი მე-19 საუკ. დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი და უცნობი ქართველი პოეტების ნაწარმოებთა ,,ანთოლოგია'', ,,გუთნისდედად და გლეხად დაბადებული თავადის'' – გიორგი შარვაშიძის მრავალი ლექსი).

დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა და მეფის ნაცვალს წარუდგინა პროექტი, რომელიც გრიგოლ შარვაშიძის მიერ იყო შედგენილ-შემუშავებული.

დედააზრი ერთი იყო ამ პროექტისა: ,,ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელთაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით''. აფხაზეთის დეპუტაციამ კავკასიის მეფის ნაცვალს წაუყენა ეროვნული მოთხოვნები: აფხაზეთ-სამურზაყანოში ქართული სკოლების გახსნა, გზების

კეთილმოწყობა და ა. შ. დეპუტაცია წარუდგა აგრეთვე საქართველოს ეგზარხოს პლატონს.

,,თეატრი და ცხოვრება» წერდა: ,,სამშობლო იღვიძებს, წყლულების გამრთელებას ცდილობს, დიდი ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ – დედა ქართლის გარშემო – ვიკრიბებით. გვეყო, რაც უერთმანეთოდ, ერთი მეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით. ქართლ-კახეთი, იმერეთ-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა-სვანეთი რომ ერთ დედ-მამის შვილნი ვართ. განა ამას მტკიცება უნდა! შავ დროთაგან გაგარეულნი ქართველი მაჰმადიანები უკვე გვიბრუნდებიან.

ახლახან გაბედულად ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენებამ – აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა, მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა-საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მოწოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლა.

ვაშა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ხალხს, სიბნელეს სავსებით არ უძლევივართ, გარიჟრაჟი შემოგვღიმის და მომავალს გვიქადის. სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტ საკინძს – ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათ პირველ ნაბიჯს''.

აკი გიორგი შარვაშიძესაც – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის პირმშოს – ,,აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა''. ,,უბედური მამულის ყმის'' გულიდან ამოხეთქილი ამონაკვნესი იყო: ,,იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა, იქ კვნესის სული, არ გესმით განა? ღირსია, ძმაო, შებრალებისა, ის უბედური ჩვენი ქვეყანა!''

,,სიზმარეული ხილვა»

თითქოს სიზმარეული ხილვა იყო: ოდესღაც, უხსოვარ დროში ნანახი და განცდილი. უსაზღვროდ მაღალი, ია-იისფერი, კრიალა ცა, ასვეტილი, წვერწამახული კვიპაროსები, ნარინჯის ბუჩქებით დამშვენებული გორაკების კალთები და... ზღვა – ლურჯი, კამკამა-თეთრაფრიანი ფელუკებით თოლიებივით მოფენილი. თვალს ჭრის Dდღის სიკაშკაშე, მზის ბრჭყვიალა, მცხუნვარე სხივები.

ასეთი სილამაზე თითქოს არ შეიძლება იყოს რეალური. რაღაც არის ამაში ზღაპრისმიერი, იმქვეყნიური, ილუზორული. – ეს ღრუბელთა სიფრიფანა ფთილები თითქოს ფიქრებია, ნათელი სევდით დაფერილი. –

ლაზეთის მაღალი ზეცა...

და გულის რომელიღაც კუნჭულში ჩარჩენილი ნაღვლიანი რეფრენი: ,,ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას». –

ლაზეთის ზეცა!

...არგონავტები ნაპირზე გადმოდიან. თამაშდება თვალთმაქცობის კლასიკური სცენა. მშვენიერი მედეას ჯადოსნური ძალის წყალობით – არგონავტები იტაცებენ ოქროს საწმისს და... გარბიან. გარბიან ლაჩრულად, მხდლურად, უკანმოუხედავად. მოვიდნენ ქურდულად – მოყვრის ქურქში გადაცმულნი, ყალბი ღიმილი დააფრქვიეს, ცბიერი ალერსით ააჟუჟუნეს თვალები, მერმე ვერაგულად, ხრიკებით და ფანდებით წარიტაცეს ერის საუნჯე და...

გაიქცნენ. აწი წყალსაც და მეწყერსაც წაუღია კოლხეთი და მისი მკვიდრნი. მთავარია, საუნჯე – ერის სულიერი განძი, ხელთ აქვთ, შეიძინეს ის, რაც აკლდათ და

რაც ასე უხვად ჰქონდათ ღმერთებისაგან ნაბოძები კოლხებს. მტაცებლობისა და კეთილშობილების არსი არ იცვლება ათასწლეულებში: მოგვიანებით, საუკუნეების შემდეგ ერთი უცხოელი დასწერს ქართველებზე: ,,აგრე სიწრფელით და ადვილად დაენდობიან ხოლმე ქართველები სხვას''. და შემდეგ: ,,ქართველები... არ არიან ისე ამაყნი, როგორც ბერძნები, არც ჟინიანები, არც ცუღლუტები ან მატყუარანი საქმეებში, არამედ არიან მშვიდნი, წყნარნი, კეთილის გულისა, წრფელნი. მათი დაჯერება და რაიმე საქმეში დაყოლიება ისე ადვილად შეიძლება, რომ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მარტო ამ თვისების გამო იმათ ბევრი ზარალი ნახეს მტრებისაგან''.

სულიერად და ფიზიკურად გაძარცვული კოლხეთი და იბერია! ისტორიის გრძელ გზაზე წყება-წყება ჩნდებიან მეკობრეები, რომელთაც ერთი მიზანიღა ასულდგმულებთ: ნაძარცვი თავად შეირგონ, თან იმგვარად, რომ კვალი არ დარჩეს ძარცვა-გლეჯის. წაიშალოს ავაზაკობის ყოველგვარი ნიშან-საბუთი, რომ მერმე, დროთა ვითარებაში თვით გაძარცული გამოჩნდეს უპოვარი, გლახაკი, სხვათა სიმდიდრეს თუ ცოდნას დანატრული და მსასოებელი.

(საოპერაციო მაგიდაზე გაშოტილა მშვენიერი შიშველი ქალის სხეული. გარს შემოხვევიან მაიმუნები იარაღ-ხელსაწყოებით და ღრმააზროვნად ცდილობენ ამოიცნონ მშვენიერების არსი! – ლ. გუდიაშვილის ნახატი).

ინსცენირება მთავრდება. ანტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები, სარფელი მკვიდრნი არიან. სწორედ მათი თაოსნობა იყო ახალი ზეიმის ,,კოლხობის'' დამკვიდრება.

ზეიმი ახლა სოფლის შუაგულში იმართება. ,,არგონავტები'', ,,იაზონი'', და ,,მედეა'', კოლხი მეომრები ახლა ამ სახელდახელოდ ნაგებ ფიცარნაგზე ცეკვავენ, მღერიან. გამოდიან აჭარის სხვადასხვა კოლექტივები, სარფის მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი. ისინი ასრულებენ ლაზურ სიმღერებსა და ცეკვებს, ხალხური მთქმელები ამბობენ ლექსებს – ლაზურად და ქართულად.

მრავალი სტუმარი ეწვია ამ ზეიმზე სარფს. სიტყვით გამოდის კომპოზიტორი გრიგოლ ჩხიკვაძე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სარფისა და სარფელების ხალხური გუნდის მიმართ.

ვახუშტი კოტეტიშვილი და ალექსი ჭინჭარაული მომავალი ხალხური პოეზიის საღამოსათვის არჩევენ ლაზ მთქმელებსა და მომღერალ-მოცეკვავეებს.

სარფი ზეიმობს. ამდენი სტუმარი მას ალბათ არც ახსოვს არასოდეს. რადიო-გამაძლიერებლების მეშვეობით მთელ სოფელს ეფინება ეს ჟრიამული, ხმაური და ხალისი. ორადგაყოფილ სოფელში, ღელეს იქითა მხარეს გამოღმელთა ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, მამიდაშვილებს, ახლო ნათესავებს, მოკეთეებს, გულისყური უთუოდ აქეთკენ აქვთ: მელენარები (გაღმელები), მოლენარებს (გამოღმელებს) უთვალთვალებენ... ისინი ხომ საზღვრის მიუხედავად ისმენენ და ხედავენ თანასოფლელების ზეიმს. მაგრამ უცნაური რამ არის თურმე საზღვარი: ბევრი რამ, რაც უბრალოდ, ადამიანის ცნობიერებისათვის უცხო და გაუგებარია, ,,გასაგები'' უნდა გახდეს საზღვრის წყალობით.

ესმით თუ არა? ხედავენ თუ არა? – ეს ნაჩუმათევი აზრი უტრიალებს გამოღმელებსაც გულისგულში.

სოფლის შესასვლელთან აღმართულ დიდ ლოდთან, რომელსაც აქაურნი ,,ქვაომხაზეს'' ეძახიან, იწყება სარფის მორთულობა – უზარმაზარ ლოდებს ამშვენებს ნახატები – კოლხების საქმიანობისა და ცხოვრების ამსახველი; შუბებითა და მახვილით შეიარაღებული, ძველ საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკები გაუნძრევლად

დგანან სადარაჯოზე. მაგონდება დიდებული ,,გარეჯობა'' – იქაური შუბოსანი ყმაწვილები!

შესანიშნავად ორგანიზებულ ამ ზეიმს სწორედ ახალგაზრდული ენთუზიაზმი და მოწადინება ამკობს და ამშვენებს. ისინი არიან სული და გული ამ დღესასწაულისა. სწორედ ისინი ქმნიან იმ განწყობილებას, რაც ასეთ მომხიბლავ იერს აძლევს მთელ ამ ზეიმს. კომპოზიციის ავტორი, ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი გურამ აბესაძე ამბობს, რომ სწორედ ახალგაზრდობის ენთუზიაზმა განაპირობა მუშაობის არაჩვეულებრივი სტიმული: შეეძლოთ მთელი ოცდაოთხი საათი რეპეტიციები ჩაეტარებინათ და მაინც ვერც ერთი დაღლას ვერ გრძნობდაო. ამ ენთუზიაზმს კვებავდა უჩვეულო პასუხისმგებლობის გრძნობა: მრავალი სახალხო დღესასწაული დაწესდა ამ ბოლო დროს, მაგრამ ,,კოლხობა'' მაინც თავისებურების შემცველი დღესასწაულია, ვინაიდან მას სათავე დაუდო ორად გახლეჩილი სოფლის ახალგაზრდობამ, თითქოს ისტორიის ბედუკუღმართობის გამოწვევის ნიშნად.

ოთხი საუკუნეა ლაზეთს, ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს პროვინციას, არ მიუღია მონაწილეობა ერთიანი საქართველოს სულიერი საგანძურის შექმნის პროცესში. ოთხი საუკუნეა მოწყვეტილია დედა-საქართველოს, მოწყვეტილია თავის ძირეულ ფესვს, სულიერი კულტურის საერთო სათავეს და ახლა იმ დიდი კუთხის ერთი პატარა სოფლის – შუაზე გაგლეჯილი სოფლის ახალგაზრდობა თავობს ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორიცაა ზოგადი დღესასწაულის – ,,კოლხობის'' შემოღება, თავობს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ,,ლაზეთის'' დაარსებას. სარფში სტუმრად მყოფი მხცოვანი კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე გრიგოლ ჩხიკვაძეს მიმართეს დახმარებისათვის. ისიც ჩვეული გულისხმიერებითა და ყურადღებით მოეკიდა მათ თხოვნას. პროფესორი ჩხიკვაძე კმაყოფილია იმ შედეგით, რასაც ახალგაზრდა ანსამბლმა მიაღწია.

მაშ, ისევ თავის საწყის ფორმისკენ დაბრუნება, თავისი საკუთარი ძირისა და ფესვისკენ ლტოლვა – აი, რით გამოირჩევა ამჟამად ეს კუთხე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხოლოდ მცირე ნაწილი... ოქტომბერში აღნიშნავენ ტბელ აბუსერიძის დღეობას ,,ტბელობა''-ს. რუსთაველის უმცროსი თანამედროვე და აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სახლის შთამომავალი ტბელი აბუსერისძე თავისი დროის დიდი მწერალი და მოაზროვნეა, იგი უკვე ავბედობაგამოვლილი ქვეყნის შვილია, დამარცხებებითა და განადგურებით თუმცა შეშფოთებული, მაგრამ არ დათრგუნული. კვლავაც მებრძოლი, ამაყი და შემართული ერთიანი, ძლიერი საქართველოსა და მისი ცენტრალური ხელისუფლებისათვის, ერთგული ქვეშევრდომი მეფეთა, მაშინაც, როცა ბევრი დიდებული ავბედობის ჟამს განუდგა მათ. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ტბელ აბუსერიძის კალენდარულ-ასტრონომიული თხზულება.

,,საშუალო საუკუნეების პირველ ნახევარში საერთოდ მესხეთი და კერძოდ, ტაო-კლარჯეთი ჩვენი ქვეყნის მეთაური იყო. მესხი სჭარბობდა ამერსა და იმერს არა მარტო ნივთიერი და სულიერი კულტურით, არამედ მამულიშვილური შეგნებითაც...'', მაგრამ ,,უკუღმართმა ისტორიულმა პირობებმა გაანადგურეს მესხეთის ფაქიზი კულტურა. თურქებმა მონღოლების მიერ დაწყებული საქმე დაამთავრეს და ძველი, ამაყი მესხეთი წელში მოჰხარეს''. იგივე დაემართა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს – ლაზეთსაც. იმავე გერონტი ქიქოძის თქმით: ,,არ შეიძლება შეგნებული ქართველის სული უსაზღვრო მელანქოლიამ არ მოიცვას, როცა ის მესხეთის ისტორიულ ბედზე ფიქრობს, მის დიდებულ წარსულს მისივე ბეჩავ აწმყოს ადარებს. ძნელია უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა. მაგრამ დღეს გვჭირია არა მელანქოლია და არა ფილოსოფიური ბჭობა ბედისწერის შესახებ, არამედ ცხოველი და მოქმედი

სიყვარული. გაღვივებულმა ენერგიამ ხელახლა უნდა შეადუღოს საქართველოს გაბზარული სხეული''. ეს სიტყვები 1916 წელსაა დაწერილი.

მით უფრო ახლა გვმართებს ამ გაბზარული სხეულის გამთლიანება. ამის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი იყო თუნდაც ლაზი თვითნასწავლი მხატვრის ხასან ჰელიმიშის ნახატების გამოფენა თბილისში, ხელოვნების მუზეუმში. საოცარი ბიოგრაფიის კაცი იყო გაღმელი– მელენარი ლაზი... ამ დღეებისათვის გამოცემულ პატარა ცნობარში, რომლის ტექსტი ჟურნალისტ ნუგზარ ჯაფარიძეს ეკუთვნის, ვკითხულობთ: ,,საზღვრისპირა სოფელ სარფშია ,,ქვაომხაზე''. უზარმაზარი, ციკლოპური ლოდი კლდეს მოსწყვეტია უხსოვარ დროში და ზედ ნაპირთან ზღვაში ჩამხობილა. მას მერე აქაურ მცხოვრებთა, ლაზთა მრავალი ზღაპრისა თუ ლეგენდის თემად ქცეულა იგი, ხასან ჰელიმიშის ცხოვრებაც ლეგენდაა, რამეთუ, ჩვენი თანამედროვე, პოეტი, და ბოლოს მხატვარი, იგი ისევე უცნობია დღემდე, როგორც მაშინ, 1931 წლის გაზაფხულზე იყო, როცა სწორედ ,,ქვაომხაზეს'' მოადგა გამთენიისას ნავით. მართალი სიტყვისთვის მებრძოლი 24 წლის ყმაწვილი კაცი იქვე, საზღვარს იქეთ, მეზობელ სოფლიდან გამოექცა მდევარს... მაშინ ბევრს არ სჯეროდა მისი გულწრფელობისა, უნდოდ უცქერდნენ ლტოლვილს. დრო იყო ისეთი...''

ხასანი ხარაზად იწყებს მუშაობას ბათუმში, მერე განათლების სახალხო კომისარიატმა ლენინგრადში გააგზავნა ნაციონალურ უმცირესობათა ინსტიტუტში. იმავე ცნობარში წერია: ,,მისი სტუდენტობის მეგობრები პროფ. მამია მეგრელიძე და სარფელი მამია მემიშიში იგონებენ, ერთობ გულალალი, კაცთმოყვარე და პრინციპული იყოო. ასეთ კაცად დარჩა იგი სიკვდილამდე, თუმცა ბედისწერამ არაერთხელ მისეული მახე დაუგო და გარიყა ცხოვრებიდან. პირველი დიდი ტრავმა იქვე, ლენინგრადში მიიღო – კატასტროფაში მოჰყვა და ფეხი დაკარგა. ამის შემდეგ სოხუმში ცხოვრობდა, მერე კვლავ ბათუმს დაუბრუნდა, ოჯახს მოეკიდა''.

ჰელიმიშის სული ჩაქსოვილია მის ნახატებსა და ლექსებში. მის ნახატებში, ამ საოცარ თბილ, ნათელ ფერებში ჩაღვენთილია სიკეთისკენ სწრაფვა და სევდა ზღვაზე – სულისშემძვრელი ზღვა – მხოლოდ მისეული, ჰელიმიშისეული. ლაზი კაცის სულისმიერი ძალისხმევა იგრძნობა მათში. და სადაც ზღვაა, იქ უცილობლად სახლიცაა, კოლხური სახლი: ,,სახლი, სადაც დავიბადე'', ,,სახლი, რომელიც ავაგე ვასიუგანში'' (გადასახლებისას მისი ოცნების საგანი კვლავ და კვლავ ზღვა იყო, რასაკვირველია, და ოცნება საკუთარ სახლზე, ისეთზე, მის ბავშვობისდროინდელ ხსოვნაში რომ აღიბეჭდა), და ისევ და ისევ ზღვა: ,,ზღვის ანაბრად», ,,მთვარის ჩასვლის მოლოდინი'', ,,ღამე ზღვაში'', ,,ხოფის სანაპირო'', ,,აღელვებული ზღვა'', ,,ქალაქი ზღვიდან'', ,,ადიდებულ ზღვაში გასვლა'' და ა. შ.

ერთხანობას უნივერსიტეტში თურქული ენის პრაქტიკული მიჰყავდა თურმე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მერე სტუდქალაქის წინ, ერთ პატარა ჯიხურში მჯდარა და ფეხსაცმელებს ამძვრალ ლანჩებს აკერებდა. საღამოთი კი თავის სენაკში მობრუნებული, მუყაოს წინ დაიდებდა და ხატავდა. ფიროსმანივით მასაც არც ერთ მხატვართან არ უსწავლია, არც ერთი სკოლა არ გაუვლია. საღებავებსაც თავისებურად აზავებდა თურმე. თავის თავს უიარაღოს უწოდებდა, უსაზოდ მომღერალს. ,,მეწაღის პროფესია ჰქონდა და შესანიშნავი მზარეული იყო, უაღრესად ლირიკულ ლექსებს წერდა და პერსპექტიულ თეორიას უზიარებელი, შესაშური ბუნებრიობით ქმნიდა მრავალპლანიან ტილოებს. მის სიმღერებს დღესაც მღერიან ლაზები სარფის სასოფლო გუნდში. ახსოვთ და უყვართ ბედისგან ნამუხთალი მეზობელი და მოყვარე.

სიკვდილის წინ, 1976 წელს, თბილისელ ლაზებს დაუბარა თურმე ხასან ჰელიმიშმა, სარფში დამმარხეთ, თანაც ისე, ზღვას რომ უცქერდეს ჩემი საფლავიო. აუსრულეს სარფელებმა ანდერძი. სარფის სასაფლაოზე, ყველაზე ლამაზ ადგილას, ათასწლოვანი ჭყონის, ნამუხარის ძირში, მიუჩინეს სამარადისო განსასვენებელი. ,,აქედან კარგად მოჩანს მთელი სანაპირო და ,,ქვაომახზე'', – ჩვენებური ლაზების ადგილის დედა, ხ. ჰელიმიშის ცხოვრებისეული ზეაღსვლებისა და უკიდურესი გასაჭირის უტყვი მოწმე, საფლავის მარმარილოს ქვას მისივე ლექსის სტრიქონები გასდევს: «საიქიოზე არ ვნაღვლობდი სააქაოში, ჩემი კუთვნილი წყალი შევსვი სოფლის წყაროში».

პროფ. ი. მეგრელიძემ ითავა ნახატების პატრონობა და მათზე მზრუნველობა, მისივე თაოსნობით სარფს გადაეცა ჰელიმიშის მემკვიდრეობა.

ახლა სარფის საშუალო სკოლაშია გამოფენილი ხასანის ნახატები. შესცქერი მათ და თითქოს ზღვის ტალღების შრიალი გესმის. გამოხვალ გარეთ და ნამდვილი, ჰელიმიშისეული ზღვა შემოგეგებება ლურჯი, კრიალა ტალღების ლივლივით. თ. სახოკია თავის «მოგზაურობის» წიგნში ერთგან წერს: «ლაზები საშიშროებით და ტანჯვა-წვალებით სავსე ცხოვრებას ისე შეჩვევიან პატარაობიდანვე, ისე შეუსისხლხორცებიათ, რომ მუდამჟამ შიშში ყოფნა ლაზთათვის მეორე ბუნებად გადაქცეულა. ამათ ვერ წარმოუდგენიათ თუ ზღვის გარეშე რამე სიამოვნება არის, ვერ წარმოუდგენიათ მიწის მუშის მყუდრო ცხოვრება, ვერ წარმოუდგენიათ თავის თავი უნავოდ. ნავია მათი აღმზრდელ-აკვანი, ნავი არწევს მთელი თავისი დღენი და ერთ დღეს თავის საყვარელ ნავთან ეხუტება ლაზი ზღვის ფსკერსა. ქართველებს ჯერხანად მარტო ლაზებიღა გვყავს მენავენი. ამასთან თამამნი, შეჩვეულნი პატარაობითვე ზღვას გამწყრალ-განრისხებულს და ზღვას დამშვიდებულსაც».

იგივე თედო სახოკია ავტობიოგრაფიაში ყვება თავის თავგადასავალს, ლაზ მენავეებთან რომ გადახდა და წერს: «მიმაყენეს ერთ ლაზურს სოფელს, ხოფაზე ორის კილომეტრით დაშორებულს. გამიყვანეს ნაპირად, თან ხოფა თითით მანიშნეს: აჰა, შენი ხოფიო!.. ხოფაში ჩასვლამდე ეს სოფელი დავათვალიერე... ერთის წამით სამეგრელოში მეგონა ჩემი თავი, – ისეთი გასაშტერებელი მსგავსება იყო ამ ორი მხარის სოფლებს შორის! ახლა მცხოვრებნი იკითხეთ!.. იმგვარივე ზიდვა ქალების მიერ წყაროდან კოკებით წყლისა, იმნაირივე გაჯავრება ატირებულ ბავშვებისა... ხეებზე აშვებული ვაზები, როგორც სამეგრელოში!.. ჩემდა სამწუხაროდ, ვერ შევიძელ მათს სახლშიაც შემეხედნა, მენახა, როგორა ცხოვრობდნენ ჩვენი ძმები შინ... ვწყევლიდი ჩვენს უბედო ბედს, რომელიც იმთავითვე სდევნიდა მოსისხლე მტრებით გარშემოვლებულ საქართველოს განაპირა ადგილებს, ამ ადგილებს მტრების სათარეშოდ ხდიდა, გულიდან გვგლეჯავდა, მათში მცხოვრებლებს ენას, სარწმუნოებას, აზროვნებას უცვლიდა და გუშინდელ ქართველს დღეს საზოგადოდ ქართველისათვის უცხოსა და მტრად გადაკიდებულ ადამიანად ხდიდა... ოცნებამ გამიტაცა: იქნებ მოვესწრო იმ დღეს, როცა უკუღმა დატრიალებული ჩარხი ბედისა წაღმა დატრიალდეს და ეს გულიდან მოწყვეტილი, სამოთხისებური და თან უსაზომოდ ტანჯული და გაწამებული მხარე ისევ დაუბრუნდეს საქართველოს, ისევ ჩაეკრას თავის დედას გულში, ისევ ხელიხელს ჩაკიდებულნი, ერთმანეთს მხარში ამომდგარნი შევებრძოლოთ ცხოვრების უკუღმართობას, რომ ოდნავადაც არი, დავიამოთ სიცოცხლე ჩვენი-მეთქი».

***

ზეიმის მეორე დღეს სარფის სანაპირო ისევ ისევ მშვიდი და წყნარი იყო. ზღვაც ისეთი რბილი და ალერსიანი ჩანდა, თითქოს თავის დღეში არ განრისხებულიყოს, ცოფი არ ეყაროს და უთვალავი ადამიანის სიცოცხლე არ შეეწიროს.

სხვაგან არსად მინახავს ასეთი კამკამა, სუფთა ტალღები, მოლურჯო-მომწვანო ფერი რომ გადაჰკრავს. არც ასეთი მყუდრო სანაპირო. თბილი ტალღები მსუბუქად, უჩუმრად ელამუნებიან ნაპირს, საამო შარიშურით ეფინებიან ქვიშიან-ღორღიან ზოლს და ასევე ნელი შარიშურით უბრუნდებიან თავის წიაღს, რათა ხელახლა აღიძრან და... ამ დაუსრულებელ ლტოლვაში არის რაღაც კოსმიური, დიადი.

...სარფის წყნარი, მშვიდი, რაღაცნაირად ღვთაებრივი სიმყუდროვის შემდეგ, როცა მართლაც შინაგანად შეიცნობ უსასრულობის სიდიადეს, სოხუმის ხალხმრავალი პლაჟი მეორედ მოსვლას მაგონებს, ანდა ბოსხისეულ მირაჟებს. გამორიყული თევზებივით ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილან შიშველი სხეულების გროვა. ანტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი არგონავტების ნაცვლად უხმლო, უიარაღო, ტიტლიკანა დიაცები შემოსევიან კოლხეთის სანაპიროს. ტანსაცმელი, ვაგლახ, არსს ვერ ცვლის! ეს დედიშობილა სხეულები გახელებული ჟინითა და აღტკინებით მიესწრაფიან თითქოს მხურვალე მზეს, თითქოს ხელაპყრობილნი შესთხოვენ ზეცას, გვიწილადეო შენი მადლი და სითბო, გაახურეო ჩვენი ბლანტი, წყალწყალა სისხლი შენეული უშრეტი ენერგიითა და ძალით.

სარფის პირველქმნილი სილამაზითა და უბიწოებით ყელთამდე სავსეს, მართლაც რომ საოცრად კონტრასტული მეჩვენება აქაურობა. თითქოს სულ სხვა განზომილებაში აღმოვჩნდი, თითქოს უცხო სტუმარი ვარ და ამ ზღვა ხალხში მხარნაქცევი დავბორიალობ მარტოსული, ეული. თითქოს ეს ჩემი ქალაქი არაა, არც არასდროს მიცხოვრია აქ, თითქოს ლეჩქოფისა და კელასურის სასაფლაოებზე არ განისვენებენ ჩემი ბაბუა – დედის, ხოლო ბებია – მამის მხრიდან. ისეთი განცდა მეუფლება, რომ აგერ-აგერ ვიღაცა მტაცებს ხელს და მკაცრად გამომკითხავს ვინაობას, გამოიძიებს: სადაური ვარ, რა სულიერი! რა უფლების ძალით დავდივარ ამ ქუჩებში? შემოგზავნილი მსტოვარი ხომ არ ვარ – ავი ზრახვით შეპყრობილი! მომთხოვს პასპორტს, ვინაობის მოწმობას...

...მახსოვს, ოჩამჩირეს რომ გამოვცდი, «უბედური ქვეყნის ყმის» – გიორგი შარვაშიძის აჩრდილი ამედევნა უჩუმრად. კვალდაკვალ მომყვებოდა თითქოს კარგა ხანს და ყურში ჩამესმოდა მისი სევდიანი «ვარადა», ჩამესმოდა მისი გულიდან ამოხეთქილი ამონაკვნესი: «იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა, იქ კვნესის სული, არ გესმით განა? ღირსია, ძმაო, შებრალებისა, ის უბედური ჩვენი ქვეყანა!»

მოქვის გადასახვევამდე მომყვა – მომაცილა უხილავად, მერე უსიტყვოდ, თავის დაკვრით დამემშვიდობა და ისევ გაუჩინარდა. თავის განსასვენებელს მიაშურა მოქვის დიდებულ ტაძარში.

...და, აი, ახლა უეცრივ, მოულოდნელად სოხუმის ქუჩებში, ამ მოზიმზიმე უცხოტომელთა თუ ტურისტთა ნიაღვარში კვლავ დავლანდე შავჩოხიანი რაინდი, თითქოს მისი კალთების ფრიალსაც ვკიდე თვალი. ერთბაშად გამომიკეთდა მოჟამული გუნება. გონება გამინათდა. შვება იგრძნო დამძიმებულმა გულმაც. არ დამშორებია თურმე მთელი ამ ხნის მანძილზე შავჩოხიანი რაინდი, თურმე აქვე ყოფილა, ჩემს გვერდით!

და ერთბაშადვე მოვიდა იმის შეგრძნება, რომ დავაბიჯებ **ჩემს** ქალაქში, **ჩემს** მიწაზე, **ჩემიანებს** შორის და რომ აქვე, ლეჩქოფისა და კელასურის სასაფლაოებზე განისვენებენ ჩემი აფხაზი ბებია და მეგრელი ბაბუა!

1979-80 წწ.

«აფხაზეთის ლაბირინთი»

«შემწყდარა ჩვენი გულის სიხარული, გლოვად გადაიქცა ჩვენი ფერხულები... სამუდამოდ რისთვის დაგვივიწყე, ასე ხანგრძლივად რისთვის მიგვატოვე, უფალო?» – გოდებდა იერემია თავისი ერის ტრაგიკული ხვედრის გამო. აგერ უკვე მეშვიდე წელია ასევე გოდებენ აფხაზეთიდან დევნილნიც. დიახ, ისევ ისე ღია, მოუშუშებელი ჭრილობაა აფხაზეთი. მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, კვლავაც გადაუჭრელი რჩება პრობლემა – აფხაზურ-ქართულ კონფლიქტად რომ მოინათლა – სინამდვილეში კი, რუსულ-ქართული რომ გახლავთ. ბუნებრივია, ბევრი რამ დაიწერა და ალბათ მომავალშიც დაიწერება ამ უბედურებაზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, ომის მიმდინარეობაზე, შედეგებზე და ა. შ. გამორიცხული არ არის სპეკულირებაც ამ თემაზე (სამწუხაროდ, უკვე არის ამის სიმპტომებიც!) მავანთა და მავათაგან. ამიტომ ყოველი ღირებული, მართალი, მიუკერძოებელი და გულწრფელი სიტყვა-ნათქვამი ამ შემზარავ ტრაგედიაზე – საზოგადოებრივი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. ერთი ასეთი მართალი წიგნთაგანია ავტორთა კოლექტივის (ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, თ. ჭახრაკია) მიერ ახლახან გამოცემული ნაშრომი – «აფხაზეთის ლაბირინთი».

მთავარი, რაც ამ წიგნს გამოარჩევს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მისი მიუკერძოებლობაა.

სწორედ ეს მიუკერძოებლობა, ობიექტურობა აკლია ბევრ ნაშრომს, რაც აფხაზეთზე დაწერილა აქამდე. არადა, აფხაზეთის ტრაგედია მართლაც რომ სამარადჟამოდ შავ ლაქად შევა საქართველოს ისტორიაში. მსგავსი უბედურება საქართველოს შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ არ განუცდია. ხალხის მასობრივი გასახლება, რბევა, ხოცვა-ჟლეტა ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ – გენოციდი – სახეზეა! 300 ათასამდე ქართველს (და არა მარტო ქართველს) ძალით დაატოვებინეს მშობლიური მიწა-წყალი, მამაპაპეული კერა და საკუთარ ქვეყანაში ხიზნებად აქციეს. ერთ ჩემს ადრინდელ წერილში («ძე-შეცთომილი») ვწერდი: «განხორციელდა დიდი ხნის ნატვრა-ოცნება სეპარატისტთა და მათ ზურგს უკან მდგომი რუსეთის შავბნელი იმპერიული ძალებისა – აფხაზეთი უქართველებოდ. აფსუა სეპარატისტებმა, რუსეთის მხარდაჭერით და წაქეზებით მე-20 საუკუნის მიწურულს, ცივილიზებული, დემოკრატიული მსოფლიოს თვალწინ დახოცეს პოეტები, ჟურნალისტები, ექიმები, პედაგოგები, თუ უბრალო მშრომელი ადამიანები მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ქართველები იყვნენ – არანაირი გარჩევა ბრალეულის თუ უბრალოსი – ქართველი ხარ და, მაშასადამე, დამნაშავე» (ასეთი რამ ერთობ ნაცნობი სურათი გახლავთ საქართველოს ხანგრძლივი, სისხლიანი ისტორიიდან).

ნაშრომის წინათქმაში ვკითხულობთ: «ჩვენი წიგნი, რომელსაც ოდნავადაც არა აქვს კონფლიქტთან დაკავშირებით ყველა საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემის პრეტენზია, შეიქმნა საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებით კომისიაში თავმოყრილი ობიექტური წყაროების საფუძველზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აფხაზეთის მოვლენების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი ავტორების პირად არქივებზე დაყრდნობით». წიგნი საკმაოდ მოზრდილია – იგი ცხრა

თავისგან შედგება – თავისი ილუსტრაციებით, ფოტოებით, დემოგრაფიული ცხრილებით თუ რუქებითურთ.

არ ვაპირებ, ჩვეულებრივი გაგებით, ნაშრომის რეცენზირებას, მინდა მკითხველს გავუზიარო მხოლოდ ის განცდები და შთაბეჭდილებები, მისმა წაკითხვამ რომ გამოიწვია ჩემში. არადა, გულახდილად უნდა ვთქვა, ასე არასდროს გამჭირვებია წიგნის ბოლომდე ჩამთავრება, რადგან ამ წიგნში მოთხრობილი ბევრი ამბის თვითმხილველი და მონაწილე (მეტნაკლებად) მეც გახლავართ (ომის დაწყების დღიდან 1993 წლის აგვისტომდე ჩემს მშობლიურ გალში ვიმყოფებოდი ოჯახური პირობების გამო, ხოლო მანამდე, როგორც ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა პერიპეტიაში ვიღებდი მონაწილეობას, ამიტომაც წიგნის თითქმის ყოველი გვერდი ჩემში იწვევს განსაკუთრებულ მღელვარებას, უზომო ტკივილს, მწარე განცდას უძლურებისა – ბოროტების ვერ მორევის გამო...).

ავტორთა მიზანია ითქვას «ის, რაც სინამდვილეში იყო, რის გამოც ურთულეს, ბნელ ლაბირინთში აღმოვჩნდით, სადაც მზესა და სინათლეს ჭრაქით დავეძებთ ჯვარცმული აფხაზეთის ბედკრული შვილები». და რომ, სანამ გვიან არ არის, აფხაზეთის ლაბირინთიდან გამოსავალი უნდა მოინახოს: «აღდგეს დარღვეული ბუნებრივ-ისტორიული და ეთნიკური არეალი, რომელსაც ერთიანი საქართველო ჰქვია. ყველა დევნილი დაბრუნდეს მშობლიურ ადგილებში. გამთლიანდეს მტრობით ჩატეხილი ხიდები; დამწვარ-განადგურებული ქალაქები და სოფლები... შედგეს დიდი შერიგება აფხაზთა და ქართველთა შორის».

სიმართლის, მხოლოდ სიმართლის თქმა – ამ მიზანს ისახავენ ავტორები და უნდა აღინიშნოს – აღწევენ კიდეც მიზანს. ამიტომაც ეს წიგნი – წასაკითხია. ამიტომაც იგი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იდოს.

წიგნის პირველი თავი – წარსული – მცირე ექსკურსი გახლავთ ისტორიაში.

თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებისა და არქეოლოგიური მასალების მონაცემთა შეჯერებით სწორად, მართებულადაა გადმოცემული ისტორია აფხაზეთისა, სადაც ოდითგანვე ქართველები ცხოვრობდნენ. ამის დასტურია უძველესი დროიდან შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები.

ანტიკური ავტორების თანახმად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებს შორის უპირატესი მდგომარეობა ეკავათ კოლხებს (ქართველური ტომი). ძვ. წ.აღ. VI ს. მათ შექმნეს კოლხეთის სამეფო. კოლხი, როგორც ცნობილია, კრებითი სახელია. იგი აერთიანებს მეგრულ-ლაზურ ანუ ჭანურ, სვანურ და ძველაფხაზურ ეთნიკურ ჯგუფებს. კოლხურ ტომთა ჩამონათვალში აბაზგები და აფსილები (აფშილები), რომლებსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი დღევანდელ აფხაზთა (აფსუების) ანუ ადიღეთა წინაპრებად მიიჩნევს, ისინი პირველად მოიხსენიება I-II სს. ჩ.წ.აღ (არიან ფლაბიუსი). ესაა და ეს! არანაირი სხვა ისტორიული საბუთი ან არგუმენტი არ არსებობს ადიღეურ ტომებად მათი აღიარებისა. ამისდა მიუხედავად, ზოგი ჩვენი რანგოვანი მეცნიერი შესაშური სიჯიუტითა და დაჟინებით მაინც ადიღეელებად ნათლავს ამ ტომებს, თუმცა, ვიმეორებ, არანაირი წყარო არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე ამ დებულებას რომ ამტკიცებდეს (ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული არაერთსულოვნება რიგ საკითხებზე, რაც აფხაზეთს შეეხება, ნოყიერ ნიადაგს ჰქმნის ვაიმეცნიერთაგან ათასგვარ ფალსიფიკაციისა და სიყალბისთვის. ასეა თუ ისეა, ერთი რამ ცხადია: აბაზგებისა და აფსილების განსახლების ადგილი არასოდეს ყოფილა არამცთუ დღევანდელი გალისა თუ ოჩამჩირის რაიონები, არამედ ცხუმისაც. ს. ჯანაშიას ზრით, აბაზგებსა და აფშილებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ერთი მხრით, სვანური, მეორე მხრით – ჭანურ-მეგრული მოსახლეობა». შემდეგ, ევსევი კესარიელის, იპოლიტე პორტელის და სხვათა

მიხედვით, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სანიგები ყოველთვის დაკავშირებული არიან სებასტოპოლისთან – ცხუმთან და, საერთოდ, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. იმავე ს. ჯანაშიას აზრით, «სანიგი» არის სახელწოდება იმ მეგრული ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარესად არის საგულვებელი. ამ დებულების ერთ-ერთი უტყუარი საბუთი სწორედ ტოპონიმიკაც გახლავთ, არქეოლოგიურ მასალებთან ერთად – ესოდენ უგულებელყოფილი რომ არის ზოგი მეცნიერის მიერ. ამასვე ადასტურებენ უფრო გვიანდელი უცხოელი მოგზაურ-ისტორიკოსები, მისიონერები: ფეჩევი, კასტელი, შარდენი, ლამბერტი და სხვ. ტერმინი აფხაზეთი მხოლოდ მე-VII – მე-VIII სს. ჩნდება, როცა ბიზანტიამ გააუქმა ლაზიკის ანუ ეგრისის (იგივე კოლხეთის) სამეფო ხელისუფლება და მდ. კოდორის ჩრდილოეთით შეიქმნა აფხაზეთის საერისთაო. უძველესი ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების თანახმად კოლხეთ-ეგრისის ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი გადიოდა მდინარე ყუბანის მთელ სიგრძეზე სათავიდან – შესართავამდე. ისტორიკოს ზ. რატიანის გამოკვლევის თანახმად, მდ. ყუბანის მთელი მარცხენა ნაპირის მხარე, მისი მიმდგომი შავი ზღვის სანაპიროთი, ტამანის ნახევარკუნძულამდე საქართველოს ისეთივე შემადგენელი ნაწილი იყო, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული მხარე... ასე რომ, ეს მხარე გახლდათ პირიქითა საქართველო. ჯიქები ანუ ჩერქეზები, ე. ი. ადიღეელების, ყაბარდოელების და აბაზა-აფსუების უშუალო წინაპრები – თავდაპირველად მომთაბარეობდნენ ვოლგა-დონის ველებზე და XI ს.-ში დამკვიდრდნენ მდ. ყუბანის ქვემო დინების გაღმა მხარეს – ყუბან აზოვის დაბლობზე (ზ. რატიანი, პირიქითა საქართველო 1993 წ. გვ. 66).

როგორც ცნობილია, VIII ს-ში არაბთა გამანადგურებელი შემოსევების გამო ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო დინასტიამ თავშესაფარი ჰპოვა მტრებისგან უფრო დაცულ ჩრდილო-დასავლეთში, თავის მონათესავე კოლხურ ანუ აფხაზეთის სამთავროში (მეგრულად აფხა ნიშნავს ბეჭს, რაც ზუსტად ასახავს მაშინდელ გეოგრაფიულ ვითარებას). სწორედ ამ კუთხის მთავარმა ლეონ II, რომელიც ბიზანტიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა – აფხაზეთის მეფის ტიტული მიიღო. მან თავისი სამეფო დედაქალაქი ანაკოფიიდან უძველეს კოლხურ ქალაქში – ქუთაისში გადაიტანა. ეგრისის ანუ ლაზიკის ტერიტორია მთლიანად შევიდა მის სამეფოში და ამდენად მოხდა მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება აფხაზეთის სამეფოს სახელწოდებით. უცხო, ბერძნული ენის ნაცვლად ლეონ II ქართული დამწერლობა და ენა, რომელიც მანამდეც იყო გავრცელებული, ვინაიდან მისი სამეფოს მოსახლეობას სწორედ ქართველური ტომები შეადგენდნენ, სახელმწიფო ენად გამოაცხადა. ქართული ენა და კულტურა დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის სამეფოსთვის: «მძლავრი იარაღი იყო უცხოელი ასიმილატორების, კერძოდ, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში» (საქ. ისტ. ტ. III. 1970 წ. გვ. 33, 34). ამდენად, ასკეცად უფრო ამაზრზენია, როცა არძინბამ ქართველთა ჟლეტისთვის ლეონ II სახ. ორდენი შემოიღო (როგორც ირკვევა, თვრამეტამდე ქართული წარმოშობის პირმა მიიღო თურმე ეს ორდენი!). როგორც არაერთხელ მითქვამს და დამიწერია, ალბათ საფლავში გადაბრუნდებოდა ქართველთა ერთიანობისთვის თავგამოდებული მებრძოლი ამ ორდენის დაწესების გამო!

სწორედ აფხაზეთის ჯერ სამთავრომ, შემდეგ სამეფომ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს სრული გაერთიანებისთვის (ეს მოვლენა აისახა კიდეც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში: მეფე აფხაზთა, ქართველთა... საინტერესოა სად, რომელ ქვეყანაში ყოფილა მეფეს თავისი ტიტულატურის ჩამოთვლა უცხო ტომის დასახელებით დაეწყო?.. ანდა ისტორიის დღევანდელმა ფალსიფიკატორებმა ეგებ ერთი სიტყვა, ან ნაკაწრი მაინც იპოვონ ლეონ II-ის თუ მის მემკვიდრეთა მიერ აგებულ ტაძრებსა და ნაგებობებზე – ან რომელიმე დოკუმენტში – აბაზას ანუ აფსუურ, ან სხვა რომელიმე ენაზე – ქართულის

გარდა? არამცთუ აფხაზეთში ამ ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე, არამედ ჩრ. კავკასიის მრავალი ისტორიული ძეგლების ნანგრევებზე აღმოჩენილია მხოლოდ ქართული წარწერები. ტოპონიმიკური მასალები, არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრები, ზეპირსიტყვიერება თუ ისტორიული, უტყუარი წყაროები – როგორც ქართული, ისე უცხოური – უეჭველობით ადასტურებენ ქართულ ანუ კოლხ-იბერიული ცივილიზაციის არსებობას არა მარტო სამხრეთში, არამედ ჩრ. კავკასიაშიც და ეს ბუნებრივია, რადგან კოლხ-იბერიული კულტურა უხსოვარ დროში იღებს სათავეს და მისი გავრცელების არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ კავკასიით.

მონღოლ-თათართა (მე-13 ს.) და თემურ ლენგის (მე-14 ს.) შემოსევებით დასუსტებული საქართველო მე-15 საუკუნის ბოლოს დაიშალა. მე-17 საუკუნემდე აფხაზეთის სამთავრო ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. მე-17 ს. 80-90-იან წლებში აფხაზეთის მთავრებმა, შერვაშიძეებმა, ჯერ კოდორამდე, შემდეგ ღალიძგამდე და ბოლოს, მე-18 ს-ში ენგურამდე ტერიტორიები წაართვეს დადიანებს. «თუ კოლხეთ-ეგრისის სამეფოს დროს ქართველების (ლაზ-მეგრელების, სვანების, მესხების) ეთნიკური საზღვრები ტუაფსე-ყუბანამდე ვრცელდებოდა, შემდეგ ადიღე-ჩერქეზების ტომებმა (ჯიქებმა-ქაშაგებმა, უბიხებმა და სხვ.) დაიპყრეს და დაიკავეს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე (ტუაფსე-ნიკოფსია) – სოჭი, ადლერის მიდამოები და მთელი აფხაზეთის ხელში ჩაგდებასაც ლამობდნენ. ქართველთა წინააღმდეგობის გამო ეს პროცესი ნელა ან საერთოდ ვერ ხორციელდებოდა. მაგრამ გარკვეული ტერიტორიების (უპირატესად მთების) დაკავებას ჩრდილო კავკასიელები მაინც ახერხებდნენ და ზღვის სანაპირო – დაბლობებისკენაც მოიწევდნენ».

ქვესათაურში – ეთნიკური და დემოგრაფიული ასპექტები აფხაზეთში – სრული და რაც მთავარია, მართებული სურათი იხატება იმისა, თუ როგორი დემოგრაფიული ვითარება იყო აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზე მოყოლებული მე-17 საუკუნიდან დღემდე. მარტო ეს დოკუმენტური მასალა რად ღირს იმის საჩვენებლად, თუ რა უპირატესი ადგილი უჭირავს ქართულ მოდგმას ჩრ. კავკასიიდან ჩამოსახლებულთა წინაშე.

«თანამედროვე აფხაზები გენეტიკურად ორი სხვადასხვა ეთნიკური ხალხისაგან შედგება: საკუთრივ აფხაზების ანუ ძველი ქართველებისაგან და აფსუებისაგან, ანუ ადიღე-ჩერქეზებისაგან (უპირატესად აბაზებისგან). ამიტომაა, რომ აფხაზთა ამ ნაწილის თვით სახელწოდება «აფსუა» მხოლოდ მე-18 საუკუნის შემდეგ გაჩნდა და განმტკიცდა. ამასთან, თანამედროვე აფხაზების ენა ადიღურ-ჩერქეზულ ენათა ოჯახში შედის» (ზოგი მეცნიერის, მათ Oშორის აკად. ნ. ლომოურის აზრით, აფსუას სახელით მოხსენიება აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისა – თითქოს შეურაცხმყოფელია მათთვის. არადა, თავიანთ მოდგმას ისინი სწორედ აფსუას ეძახიან, ხოლო აფხაზეთს – აფსნის. აფხაზეთის სახელწოდებით, სხვათაშორის, ჩვენი წყალობით გაიცნო მსოფლიომ ეს მხარე. ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რატომაა აფსუა აფსუასთვის მიუღებელი და რაც მთავარია, ქართველი მეცნიერისთვის ესოდენ გამაღიზიანებელი თვითწოდება!).

მეცნიერების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ «აფხაზეთში ადიღურ-ჩერქეზული ტომების ჩამოსახლება რამდენიმე ნაკადად განხორციელდა. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ნაკადი – საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის (XVI-XVII სს.) პერიოდში მოხდა, როცა მათ ადგილობრივი მოსახლეობისგან მიიღეს, შეითვისეს და დაიმკვიდრეს აფხაზობა». შემდეგ ავტორები იმოწმებენ აკად. ვ. ალექსეევს: «ანთროპოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ აფხაზებს მეტი ისტორიული კავშირები ჰქონდათ ქართველებთან, ვიდრე ადიღურ სამყაროსთან. აფხაზების შესვლა ადიღურ ენათა ოჯახში გვიან განხორციელდა, რაც თავისთავად მეორედ მოვლენას წარმოადგენს მათ ეთნიკურ ისტორიაში».

წიგნში საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოტანილია აფხაზეთის მოსახლეობის სიები თემების მიხედვით, სადაც უეჭველობით დასტურდება, რომ აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ასე მაგალითად, XIX ს. 30-იან წლებში შედგენილი ლიხნის თემის მოსახლეობის სიაში ირიცხებოდა 400-მდე კომლი (სახელი ლიხნი ქართული სიტყვაა. საბასთან იგი განმარტებულია, როგორც ბუჩქნარი!). ამ პერიოდისთვის დაფიქსირებულია შემდეგი გვარეულობები: თორნავა, ქველია, გუნბა, უგულავა, ჯოღორია, ყურუა, ჯორჯიკია, ჰალვაში, თარბაია, ჯოჯუა, ფილია, საქანია, ძერი, მახარია, კანკია, ხურხუნძია, გვასალია, ლოლუა, ცუშბაია, ჯიქია, ბუკია, გვაზავა, ქავთარაძე, ჭანტურია, ჯინჯია, შეყრილავა, გერსამია, ქირია, ცაავა, ჯერგენია, მარგალია, ღურწკაია, ბარციცი, ფერცვანია, ინალიშვილი, ლასურია, მარშანია, პაპასკირი, ფაცია, ჩარგაზია და სხვ. 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულია, 35-მდე აფსუური, 13 კაზაკური, ჯიქური, თურქული და ა. შ. ქართველები კიდევ უფრო ჭარბობენ «აბჟუის» საზოგადოებაში ანუ ე. წ. კოდორის უბნის: კვიტოულის, ტამიშის, კინდღის, შქარწყარის, ლუხინოს, მოქვის, ხინოსა და სხვა თემებსა და სოფლებში. ქართველთა სრული უპირატესობას მოწმობს 1837 წ. ქრისტიანულად მონათლულთა სიებიც. მაგალითად, კვიტოულში ცხოვრობდნენ: ჭილია, თორია, წუნარია, ყურშია, თუთაშხია, ლატარია, ჭაბაია, კვიცინია, ჯინჯოლია, ხურცილავა, აგრბა, კოღონია, გერსამია, ჭედია, ღვინჯია, ანუა, პაჭიჭი, ხალვაში და სხვ. ქართველთა და აფსუათა თანაფარდობის თვალსაზრისით, თითქმის იგივე სურათია გუდაუთის დურიფშის თემში, სადაც 400-მდე კომლი ცხოვრობდა და ძირითად მოსახლეობას კობახია და აგრბა შეადგენდა, ხოლო ბა-ზე დამთავრებულ გვარებს რაც შეეხება: ზოგ მეცნიერს იგი აფსუურად მიაჩნია. თუმცა ცხადზე უცხადესია (და ამაზე მრავალი მეცნიერის გამოკვლევა არსებობს), რომ ბა-სა და ში-ზე დაბოლოებული გვარები ლაზური გახლავთ. სხვათა შორის, ჩრ. კავკასიაში მცხოვრები არც ერთი ადიღური ტომის წარმომადგნლები, მათ შორის აბაზები – ამგვარი ფორმის გვარს დღემდე არ ატარებენ. ისევე, როგორც უცხოა მათთვის მრავალხმიანი სიმღერები, დღევანდელი აფხაზები ასე თავმოწონებით რომ მღერიან.

ავტორთა მიერ გამოყენებული საარქივო მასალები (ბიჭვინთის საკათალიკოსო დავთარი თუ იადგარი), სამწუხაროდ, არ არის დამოწმებული ამ ნაშრომში. არადა, ბიჭვინთის საკათალიკოსო იადგარი ასევე უტყუარ და ზუსტ დემოგრაფიულ სურათს ასახავს მე-16, მე-17, მე-18 სუკუნეების აფხაზეთისა.

დოკუმენტური მასალების მონაცემებით ავტორები ასკვნიან, რომ გვიან საუკუნებში აფხაზეთში ნაკადებად შემოსახლდნენ აფსუა-აბაზები, რომლებიც განუწყვეტელი ომებისგან შეთხელებულ მოსახლეობას შეერივნენ, მიიღეს მათი გვარ-სახელები, კულტურა... იგივე პროცესები მიმდინარეობდა საქართველოს სხვა რეგიონებში, კერძოდ, შიდა ქართლში – ოსების ჩამოსახლება, დაღესტნელებისა – კახეთში და ა. შ. ნიშანდობლივია ისიც, რომ საარქივო მასალები აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებამდელ ვითარებას ასახავს. და ამდენად, აფსუებისა და ქართველების (მეგრელების) ისტორიულ თანაფარდობას სწორად გამოხატავს.

წიგნში დოკუმენტურად, ლაკონურად მოთხრობილია ცარიზმის ვერაგული პოლიტიკის შესახებ, როგორ ხდებოდა აფხაზეთის აჭრელება (და არა მარტო აფხაზეთის!), «სამურზაყანოელების» (მე-XVIII ს-ში მურზაყან შერვაშიძისგან მომდინარე ძვ. საბედიანოს სახელწოდება), მეგრელების, ლაზების ცალ-ცალკე გამოყოფა, ქართველებისგან იმერლებისა და გურულების გამიჯვნა, როგორ მოუმატეს აფსუებს (აწ უკვე აფხაზებს) ჩერქეზები, უბიხები, ჯიქები, წებელდელები და ფსხუველები, ცალკე ეთნიკურ ჯგუფებად როგორ განაცალკევეს და ა. შ.

წიგნში მოტანილია 1886 წლის აღწერის მონაცემები – ცხრილი, საიდანაც ირკვევა, რომ აფხაზეთში 14.300 კომლი ცხოვრობდა, რომელიც 67.371 სულს შეადგენდა. აქედან მეგრული 3.474 ცალკე აღირიცხა, 30.604 «სამურზაყანოელი» – ცალკე, ე. ი. საერთო ჯამში 34.078 ქართველი: «ამგვარად, უამრავი ისტორიული საარქივო და ფაქტობრივი წყაროს, ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემების მიუკერძოებელი ანალიზი, ავტორიტეტულ მეცნიერთა შრომები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ თანამედროვე აფხაზეთის... დიდი უმრავლესობა ყოველთვის ლაზ-მეგრული ანუ ქართველური იყო. ხოლო ეთნიკური ხასიათის პრობლემები ძირითადად ჩნდება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ რეგიონში რუსეთის გაბატონების შემდეგ, რომელიც თანმიმდევრულად, მეთოდურად ატარებდა «დაჰყავი და იბატონეს» პოლიტიკას (სხვათაშორის აფხაზეთის ამ პრობლემებზე თავის დროზე, უფრო ზუსტად კი 1979 წელს დავწერე ისტორულ-მხატვრული ნარკვევი: «ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით», რომელსაც მხოლოდ 1993 წელს ეღირსა დღის სინათლე და რომელიც სულ ათასიოდე ცალი ტირაჟით გამოვიდა! ც. ა.).

ცარიზმი და შემდეგ ბოლშევიკური იმპერია ძალღონეს არ იშურებდა, რათა განემტკიცებინა თავისი პოზიციები «ეთნიკურად განსხვავებული კავკასიელთა ურთიერთდაპირისპირების მეშვეობით». სწორედ ამ ძალებმა სხვადასხვანაირი მანიპულაციების მეთოდით ხელოვნურად შეაკოწიწეს «სოციალისტური აფხაზი ერი».

წიგნში ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით შესანიშნავად არის ნაჩვენები სეპარატიზმის გენეზისი: 40-80-იანი წლების მოვლენები, ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა და სეპარატიზმი, «აიდგილარას» საქმიანობის პერიპეტიები და შედეგები, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ სამეგრელოს განეიტრალების მცდელობა (რაც ვერ შეძლეს 1989 წელს, მოახერხეს მომდევნო წლებში!). საყურადღებოა აგრეთვე წიგნში სრულად დაბეჭდილი ტექსტი მოხსენებისა (რუსულად), დეპუტატთა დავალებით რომ წაიკითხა აფხ. ასსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო შეკრებაზე 1990 წ. 31 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ყოლბაიამ, სადაც მოკლედ, მაგრამ ამომწურავად არის გაანალიზებული აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები, მიმოხილულია აფხაზეთის ისტორიული წარსული, გასაბჭოების წინა და შემდგომი პერიოდები და ა. შ. სხვათა შორის, ეს მოხსენება კმაროდა, რომ გარეშე მკითხველს (შინაურზე არაფერს ვამბობ) სრული თუ არა, საკმაოდ ნათელი წარმოდგენა შექმნოდა აფხაზეთის პრობლემებზე, იქ მიმდინარე პროცესებზე, მაგრამ რატომღაც «ინფორმაციული ომი» იმთავითვე წავაგეთ. მძლავრი რუსული მექანიზმის გარდა, იქნებ ჩვენი ბედოვლათობის, დაუდევრობის თუ სხვა რამ მიზეზთა გამოც, რითაც კარგად ისარგებლეს ჩვენმა მტრებმა. დღემდე გრძელდება ეს ამბავი. დღემდე ვიხარშებით საკუთარ წვენში და ვერა და ვერ გაგვირღვევია «ინფორმაციული ბლოკადა», ასე მარჯვედ რომ შემოგვარტყეს მტრულმა ძალებმა შინ თუ გარეთ.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო წიგნის IV თავი – სამხედრო კონფლიქტი, ომის ქრონიკა და ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტები. სეპარატისტთა და ამ ომის დამკვეთთა ვანდალიზმზე სრული სურათის ჩვენება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომ არის ალბათ შესაძლებელი. მაგრამ ის, რაც დაფიქსირებულია ამ წიგნში «საქართველოზე თავსდამტყდარი ტრაგედიის შემზარავი ფურცლებია». ეს ტრაგედია, რასაკვირველია, დიდ ხანს მზადდებოდა, სცენარი დიდი ხნის წინ იყო დაწერილი

უნდა ითქვას, თავს ძალა დავატანე და გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში, გალში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის უამრავი შემთხვევიდან, რაც წიგნშია აღნუსხული მემატიანის სიზუსტით, მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ და ტიპიურ

მაგალითს მოვიყვან: გაგრაში მთლიანად ამოწყვიტეს ბარამიძეების, ჩხეტიების, ბარამიების, გვაზავების, ძიძიგურების, შონიების, კუციებისა და სხვათა ოჯახები, ხოლო ასობით ქართველთა მოჭრილი თავებით გაგრის სტადიონზე რომ ფეხბურთი ითამაშეს – ეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

სოხუმში დახვრიტეს საქართველოს რესპ. პარლამენტის წევრი, აფხ. ავტონომიური რესპ. მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა და მრავალი სხვა კანცელარიის მუშაკი. ქალაქის პარკში დახვრიტეს 400 მშვიდობიანი მოქალაქე. აწამეს და დახვრიტეს ცნობილი ექიმები ბ. მგალობლიშვილი, ზ. დანელია, შ. ჯღამაძე, ვერა ყოლბაია (ქმართან, სოც. შომის გმირ ა. კავარცხელიასთან ერთად) და სხვ. მამის თვალწინ ყელი გამოსჭრეს ნ. დგებუაძეს. დახვრიტეს პოეტი ქალი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე...

გულრიფშში რ. ჭოლარია სახლში დახვრიტეს აფხაზი მეუღლისა და ბავშვების თვალწინ, შემდეგ ოჯახის დედას სცემეს, მოკლულ ქმართან ერთად ორმოში ჩააგდეს, ხოლო 14 წლის ქალიშვილი სამმა ბოევიკმა გააუპატიურა.

სოფ. ახალდაბას სტადიონზე შეყარეს 400-ზე მეტი ქართველი, რომლებიც საშინელი წამებით დახოცეს: ადამიანებს ჯერ თავები მოკვეთეს, ზოგი ცოცხლად დაწვეს, კიდურები მოაჭრეს, სკოლის მოსწავლეები და მცირეწლოვანი ბავშვები გააუპატიურეს. ასევე ვანდლურად მოსპეს სოფ. მაჭარაში, სოფ. ოქტომბერში, ქვემო ფშაფში, კოჩარაში თუ სხვაგან და სხვაგან მცხოვრებნი.

ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა განსაკუთრებული სისასტიკით ხორციელდებოდა და ხორციელდება დღემდე ჩემს მშობლიურ გალის რაიონში, სადაც ადრე სამხედრო დაპირისპირებულობას ადგილი არ ჰქონია და მოსახლეობა ეთნიკური შემადგნელობით ერთგვაროვანი – ქართულია.

1993-1997 წლებში გალის რაიონში ეთნიკურ წმენდას შეეწირა 1.246 მშვიდობიანი მცხოვრები, დაწვეს 5 ათასამდე საცხოვრებელი სახლი... რაკი უკვე გალზე მიდგა საქმე, მინდა საჯაროდ, ხმამაღალი სიტყვებით მივმართო მკითხველს: გალში შემოჭრილმა ბარბაროსებმა (გალიც ღალატით დაეცა და სხვათა შორის მისი დაცემის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ახლა «მაღალ სავარძელში» წამოსკუპებულა ურცხვად, უტიფრად!) დახვრიტეს თავის ეზო-კარში ფიზიკის ჩემი ყოფილი მასწავლებელი ხუტა ფირცხელავა, ისტორიის მასწავლებელი, ომგამოვლილი ვახტანგ ემუხვარი, ჩემი მეზობლები – ცოლ-ქმარი ჩქოტუები, ისტორიკოსი, პედაგოგი, შესანიშნავი პიროვნება ბიძინა ოთხოზორია მეუღლითურთ, ძმის თანდასწრებით გააუპატურეს 60 წელს გადაცილებული პედაგოგი ვერა სიგუა, ხოლო შემდეგ ერთად დახოცეს ძმა, რძალი, დები... დახვრიტეს ჩემი ახლო ნათესავები ჟილინი Oშონია, გენო ლაკირბაია, შოთა ყოლბაია, თანაკლასელი ლუიზა ანჩაბაძე სოხუმში შემოსვლისთანავე მოკლეს ვანდალებმა და რომელი ერთი ჩამოვთავლო?..

ჩემმა დაინვალიდებულმა ძმამ და რძალმა, რომლებიც სამთვენახევარი ჩარჩნენ ოკუპირებულ გალში, თავის თვალით იხილეს თითქმის ყველა ის საშინელება, რაც გალში ხდებოდა. შვილიშვილისადმი ჩემს მიერ ნაჩუქარ ქართველიშვილისეული გამოცემის «ვეფხისტყაოსანზე», რომელიც სასწაულებრივად გადარჩა და თბილისში ჩამოუტანა ჩემს ძმას, წაუწერია (მთლიანად მომყავს მისი სიტყვები, როგორც ერთ-ერთი უტყუარი, დოკუმენტური მასალა გალის რბევისა და აწიოკებისა): «ეს წიგნი ეკუთვნის ალეკო – აკო მამუკას ძე არდაშელიას, რომელიც აჩუქა მისმა დიდმა მამიდამ ციალა არდაშელიამ. მხოლოდ ამ წიგნის გადარჩენა შევძელი ჩვენი ბიბლიოთეკიდან. სხვა წიგნებთან ერთად ჩვენს თვალწინ განადგურდა ყველაფერი, რაც კი შეგვიძენია ჩვენი ცხოვრების მანძილზე. ირბევა და ნადგურდება გალი – მკვდარი ქალაქი. დღეს 29 ნოემბერია, 1993 წლის 29

ნოემბერი, ჩვენი გენოციდის ორი თვის თავი. მოვა დრო და ეს წიგნი გადაეცემა ადრესატს – ალეკო არდაშელიას ჩვენი ოჯახის დიდი მეგობრის ალიოშა ქარდავას მეშვეობით.

ჩემო ძვირფასო აკო, მე შენი ბაბუა ალიკო (ავთანდილ) ჯოტოს ძე არდაშელია და შენი ბებია ეთერ უბილავა დიდი მადლიერი ვართ ამ ოჯახის (მეზობლის, ქარდავას ოჯახში იყვნენ შეხიზნულნი. ც. ა.), თუ ჩვენი ვერ გადავურჩით აფხაზების ტყვიას, შენ გადაუხადე კეთილ ადამიანებს სამაგიერო, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ აუცილებლად გნახავთ შენ, მარიამს, მამუკას, ლელას, ნიკას და შენ დიდ მამიდას ციალას, შენს საყვარელ დედიკოს ნინოს და ჩვენ ერთად, ალიოშას ოჯახთან ერთად... ვიზეიმებთ ჩვენს განთავისუფლებას ჩვენი დაუძინებელი მტრებისაგან. ღმერთმა აღასრულოს ეს ჩვენი ნატვრა. გეხვევი. გკოცნი და გლოცავ ჩემო აკუნია, თუ ცოცხალს ვერ მომისწრებ, ჩემს სამარეში (თუკი მეღირსა დამარხვა) გულში მექნება ჩახუტებული შენი სურათი, რომელიც ტელევიზორზე იდგა. გაუმარჯოს მთლიან და ერთიან საქართველოს!

ამინ!

დაპყრობილი და განადგურებული ქალაქი გალი, 1993 წლის 29 ნოემბერი».

ეს წარწერა კომენტარს არ საჭიროებს!.. მერე, ჩემი ძმა და რძალი – სამთვენახევრის შემდეგ ძლივს რომ გადმოვიყვანეთ თბილისში, დაწვრილებით ყვებოდნენ ყველაფერს, რაც საკუთარი თვალით ნახეს, მოისმინეს, გაიგონეს...

...1998 წლის მაისში ტელევიზორში რომ ვუყურებდი გალის ე. წ. ქვემო ზონის აბრიალებულ სოფლებს – მათ შორის ჩემი მამა-პაპის შესანიშნავ, ღონიერ, ხალხმრავალ, საოცრად სტუმართმოყვარე თაგილონს – თავში, შესაძლოა, მკრეხელურმა აზრმა გამირბინა: კიდევ კარგი ეს საზარელი სურათი ვერ იხილეს ვერც მამაჩემმა და ვერც ჩემმა ძმამ-მეთქი. პატარაობისას მამას ხშირად დავყავდი თაგილონში და თავმოწონებით მეტყოდა ხოლმე, ეს შენი წინაპრების სოფელია, მათი სამკვიდროა. უნდა გიყვარდეს იგი. აქედანაა ჩვენი გვარი წარმოშობით. აქ არის არდაშელიების საჯიმალოო (საძმო) – სოფელი გვარის მიხედვით იყო დაყოფილი უბნებად.

მამაჩემი 1993 წლის მაისში გარდაიცვალა, სამი თვენახევრის შემდეგ გალი დაეცა. სიკვდილის წინ, სამი დღით ადრე, მამაჩემს შევუსწარი, ხელაპყრობით ღმერთს რომ ევედრებოდა: ღმერთო, საქართველო გადაარჩინეო. ღმერთი საქართველოს არ გაწირავსო, ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის მამას.

აქ, თბილისში, დევნილობაში გარდაიცვალნენ ჩემი რძალი და ძმა.

...ახლა, ცეცხლის ალში გახვეული ჩემი მამა-პაპის ულამაზეს სოფელს რომ ვუყურებდი, მინდოდა ხმამაღლა მეყვირა, მთელი ქვეყნიერების გასაგონად: რატომ? რისთვის? რა დავაშავეთ?

გარეშეებს ალბათ ვერაფერს შევაგონებთ, ვერაფერს შევასმენთ, როგორც ვატყობ, მაგრამ ჩვენ შინაურ, ვაიპოლიტიკოსებს, მინდა მივმართო კითხვით: დავუშვათ, რომ უხსოვარი დროიდან მართლაც არ გვიცხოვრია ამ მიწა-წყალზე, დავუშვათ, რომ მართლაც ჩამოსახლებულები ვართ აქ, თუნდაც ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ (აფხაზეთში დასახლების უფლება ყველას ჰქონდა: სომეხს, ბერძენს, კაზაკს, ესტონელს და სხვ. მხოლოდ ქართველს ეკრძალებოდა აქ ცხოვრება!), დავუშვათ, ყველაფერი ეს ასეა. ადამიანთა უფლებების, ერთა თვითგამორკვევის დამცველ ამ ვითომდა დემოკრატ ვაჟბატონებს ვეკითხები: რა უფლების ძალით გამოყარეს მოსახლეობა თავისი ოფლითა და შრომით ნაგები ახლ-კარიდან – მეოცე საუკუნის მიწურულს, ცივილიზებული და დემოკრატიული მსოფლიოს თვალწინ? ვისი ხელშეწყობით მოაწყვეს გენოციდი და ეთნიკური წმენდა აფსუებმა, მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტს რომ შეადგენდნენ და ახლა, რომელი სამართლით ითხოვენ დამოუკიდებლობას? ბაბურინებმა, ზატულინებმა, მიგრანიანებმა, ბონერებმა თუ სხვებმა და სხვებმა – ეგებ აგვიხსნან და

გაგვაგებინონ ჩვენ, არაუცხოურად განათლებულ, «ურაპატრიოტებს» – ვის ეკუთვნის დამოუკიდებლობა – გუდაუთის რამდენიმე სოფელს და მათგან არჩეულ «პრეზიდენტს»?.. ნუთუ არაფერს ეკითხებიან ასიათასობით დევნილ ხალხს? რომელ ჩაგრულ მხარეზეა ლაპარაკი? როგორც ჩანს, ციცქნა რეგიონების ციცქნა პრეზიდენტებით დახუნძლული კავკასია და, კერძოდ, საქართველო საამო საყურებელია მავანთა მზერისათვის!.. სწორედ ასეთმა განწყობილებამაც განაპირობა აფხაზეთის ტრაგედია. აგრეთვე ეროვნულ ძალთა ურთიერთდაპირისპირებულობამ და დაქსაქსულობამაც თავისი შავბნელი საქმე შეასრულა. წიგნში ამის შესახებაცაა ნათქვამი პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად.

როგორც ცნობილია, სოხუმში პერმანენტულად იმართებოდა დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგები, რომელთაც ვ. არძინბა აქეზებდა და მხარსაც უჭერდა ხოლმე. ამ აქციებზე ხშირად სტუმრობდნენ სეპარატისტთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ზ. აჩბა, ს. შანბა, ი. ვორონოვი და სხვ. ამ მიტინგებზე საჯაროდ წვავდნენ ე. შევარდნაძის ფიტულებს, შეურაცხყოფდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის პორტრეტს, აფრიალებდნენ დუდაევის დროშას.

სეპარატიზმს, წიგნის ავტორთა სწორი თქმით, ხელს აძლევდა აფხაზეთში ქართველთა შეტაკების პროვოცირება, რაც აადვილებდა საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების დაწყებულ პროცესს და რაც წიგნში ესოდენ მართებულად არის აღნიშნული და შეფასებული. ყველაფრის, ყველა დეტალის ერთ წერილში განხილვა შეუძლებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმ დროს მე თითქმის სულ გალში გახლდით და შემიძლია დავადასტურო წიგნში დაფიქსირებული ის მოვლენები, რაც მაშინ აფხაზეთში და კერძოდ, გალში ხდებოდა.

...14 აგვისტოს, როცა კიტოვანის შენაერთები შემოვიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, გალში ვიმყოფებოდი. მაშინაც და დღესაც მიმაჩნია, რომ ეს იყო დიდი პროვოკაცია (ვისაც ჩერვონაიას წიგნი აქვს წაკითხული, დამეთანხმება, ეს პროვოკაცია – დაგეგმილი მოსკოვში, რა დღეს, რა ხვალ, მაინც მოხდებოდა, რადგან ამისთვის დიდი ხანია ემზადებოდნენ!), მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ, «მიუხედავად წინასწარ შემუშავებული დეტალური გეგმისა, რაც ითვალისწინებდა სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილების შესრულებას «რკინიგზის ტრანსპორტზე საგნაგებო წესების შესრულების შესახებ» – აფხაზეთში შესვლა მოხდა მისი დარღვევითა და არაორგანიზებულად. ფაქტიურად, არ შესრულდა სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმა და მისი თავმჯდომარის ე. შევარდნაძის მიერ მიცემული დავალება» – ნათქვამია წიგნში. თ. კიტოვანმა გამოძიებას უჩვენა «შევარდნაძე რეკავდა თბილისიდან და ყველას აფრთხილებდა და აშინებდა, რომ თუ ჩვენ გავაგრძელებდით შეიარაღებულ მსვლელობას, მსოფლიო ფეხზე დადგებოდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო მეოცე საუკუნის უდიდესი ტრაგედია საქართველოში».[20]

ერთ ჩემს სტატიაში მიწერია: «საქართველოს მთლიანობისთვის მებრძოლ ბიჭებს სასიცოცხლო არტერია ჰქონდათ გადაჭრილი, ხოლო უზარმაზარ ძალებთან შეჭიდებულ და არასაიმედო ზურგის მქონე მებრძოლებს არსად, არასდროს გაუმარჯვია. აღარაფერს ვამბობ გალის შენობების კედლებზე გაკრულ პროკლამაციებზე – მეგრელებოო! – მოწოდებით რომ იწყებოდა. სიმართლე რომ ვთქვა, ბოლომდე ვერ წავიკითხე სუსლოვის თუ ბაკლანოვის სულისკვეთებით გამსჭვალული ეს ბინძური ნაწერები... უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ახლაც არიან ადამიანები პარლამენტში თუ მის გარეთ, სიმართლის თქმას მთელი სამეგრელოს შეურაცხყოფად რომ აღიქვამენ, თითქოს დღემდე არ

[20] შემთხვევითი არ უნდა იყოს კიტოვანის ეს ურჩობა, ისევე, როგორც 1991 წელს გვარდიის დაუმორჩილებლობა ხელისუფლებისადმი ბევრ კითხვას ბადებდა მაშინაც და, მით უმეტეს, დღეს.

მოქმედებდნენ სამეგრელოში თუ სხვა რეგიონში ძალები, ფარულად თუ აშკარად სეპარატიზმის გაღვივებას რომ ესწრაფვიან».

ზვიად გამსახურდიას ყოფილმა მცველმა, ჩემმა ახლო ნათესავმა, დათო ღვინჯილიამ, ბატალიონის მეთაურმა, თავის ძმასთან ერთად რომ იბრძოდა წინა პოზიციებზე და მძიმე დაჭრილი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, ერთხელ მითხრა: როცა ჩვენ, სოხუმის დამცველებს, ტყვიისთვის გვქონდა მკერდი მიშვერილი, როცა ჩვენს გვერდით იღუპებოდნენ დარჩეული ბიჭები, ამ დროს, მეორე ფრონტი გაიხსნა საქართველოში... არადა, ზ. გამსახურდიასგან ბევრი მისი მომხრეც მოელოდა, რომ იგი ჯარს აფხაზეთში საომრად მოაგროვებდა. მოხდა კი პირიქით – ქობალიას რაზმმა «რატომღაც» გეზი თბილისისკენ აიღო!

აჭანდარასთან თუ «შრომასთან» მებრძოლი ბიჭები თავიანთი თვალით უყურებდნენ ყველაფერ ამას და მერე რამდენჯერ მომხდარა ასეთი ღალატი! ამბობენ, ჩეჩენი «ბოევიკების» ერთი ნაწილი ნანობს, რომ აფხაზეთის ომში მონაწილეობა მიიღო. მაგრამ ჩვენში ნანობს კი ვინმე რამეს? ზოგიერთი ე.წ. ეროვნული მოღვაწე და «დიდი მამულიშვილი», გარდა იმისა, რომ ლეთას გააყოლა თავისი სამარცხვინო წვლილი აფხაზეთის ტრაგედიაში, – ეს ადამიანები ახლა პარლამენტში «მოღვაწეობენ».

მემატიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ამათ ერთი პირი რომ ჰქონებოდათ, ვერც რას უზამდნენ, ვერც სხვა მტერი წაართმევდა რასმეს. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს (შუღლს და მტრობას) არც მოკლებიან და არც დაუშლიათ!»

პირადად მე და ბევრი სხვაც დარწმუნებული ვიყავით, რომ 1991 წლის 22 დეკემბერს, შეთანხმებისამებრ, შეიკრიბებოდნენ მთავრობის სახლის წინ როგორც «ზვიადისტები», ისე ოპოზიციის წარმომადგენლები და მოხდებოდა დიდი შერიგება! მაგრამ «შავჩოხიან ეშმაკს» არ ეძინა, და სწორედ იმ დილით მოხდა საბედისწერო გასროლა... მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც ობიექტურად, მიუკერძოებლად ყოველმხრივ შეისწავლის არა მხოლოდ აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებს, არამედ 1991-92 წლების მოვლენებს, გამოიკვლევს მასში მონაწილეთა დანაშაულს თუ უდანაშაულობას, ნებსით თუ უნებლიედ, ცნობით თუ უმეცრებით ჩადენილ შეცდომებს. ეს კომისია დაადგენს, რა ძალები მოქმედებდნენ ხელისუფლებაში თუ მის გარეთ ქვეყნის საწინააღმდეგოდ, ანუ ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი!

მაგრამ მოხდება კი ეს ახლო ხანებში? ალბათ, არა. ვინაიდან მავანთ და მავანთ ხელს არ აძლევს სიმართლის წარმოჩენა. თუმცა... სიმართლე, შექსპირის თქმით, მაინც არ დაიმალება, თუნდაც დედამიწა რომ გადაეფაროსო.

«არა არს დაფარული, რაიც არ გაცხადდეს!»

«ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს, ან თვით ძმასა გამოაცხოს, მისი სული სატანამა თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?» – დავით გურამიშვილის ეს სტროფი მისი უკვდავი პოემიდან დღესაც აქტუალურად ჟღერს. აქტუალურია ეს წიგნიც – «აფხაზეთის ლაბირინთი»: თუ სულიერად არ გამთლიანდა ერი და ბერი, მთელი ქვეყანა – ვერასდროს დავიბრუნებთ აფხაზეთს. ესაა ამ წიგნის უმთავრესი ლაიტმოტივიც.

წიგნის ბოლოთქმაში ვკითხულობთ: «სახეზეა ლაბირინთი, აფხაზეთის ცარცის წრე, საიდანაც გამოსასვლელი დღემდე ვერ მოინახა... მიუხედავად ყოველივესი, მშვიდობიანი გზა ერთადერთია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ აირჩია აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად, თუმცა უეჭველია ისიც, რომ უცხო ძალის მფარველობის ქვეშ მოქცეული, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების ინერტულობაში დარწმუნებული სეპარატისტული რეჟიმი დროის მოგების პოლიტიკას კვლავაც განაგრძობს...

არ არსებობს არანაირი სამართლებრივი აქტი, მორალური ნორმა, უბრალოდ ძალაც, რომელიც აუკრძალავს დევნილ მოსახლეობას მშობლიურ ადგილებში, საკუთარ ეზოკარში დაბრუნებას... რაოდენი მტკივნეული და ძნელი არ იყოს, აფხაზებმა და ქართველებმა ერთმანეთთან მისასვლელი გზები უნდა მონახონ».

მაგრამ არა მარტო ქართველებმა და აფხაზებმა, არამედ თვით ქართველებმაც უნდა მონახონ ერთმანეთს შორის მისასვლელი გზები, თორემ გამოსასვლელს ლაბირინთიდან მართლაც ვერ ვიპოვნით და კვლავაც დავრჩებით სხვადასხვა ძალების სტრატეგიული ინტერესების სათამაშო ობიექტად.

P. S. ახლახან წავიკითხე სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერის ზ. აჩბას ინტერვიუ აფხაზი ჟურნალისტისთვის მიცემული. იგი ამბობს: «აფხაზეთი ეს არის ყულფი, რომელიც რუსეთმა ჩამოაცვა საქართველოს, რათა თავისი გავლენის სფეროში იყოლიოსო». ამაზე უკეთესად ვერ იტყვი რუსეთის ვერაგული პოლიტიკის არსის შესახებ.[21] აი, რა მიზანს შეეწირა ათასობით უდანაშაულო ადამიანი როგორც ქართველი, ისე აფხაზი. აი, რისთვის სჭირდებოდათ ომის პროვოცირება 1991 წელს აგვისტოში, აი, ვის და რას ემსახურება მორჩილად, მონურად არძინბა და მისი დამქაშები, რომლებიც მზად არიან ნებისმიერი დანაშაულის ჩასადენად, რასაკვირველია, არა უანგაროდ. აი, რატომ არის, რომ არ ერიდებიან არანაირ სიყალბეს, სიცრუეს, ისტორიის ფალსიფიკაციას, ქართველთა «დამპყრობელ და მჩაგვრელ» ერად გამოცხადებას და ა. შ.

მტერი იმის მტერია, რომ გიმტროს, მაგრამ ამდენ შინაურ გამცემს – საკუთარ «უძღებ შვილებს თუ შვილობილებს» – რა უნდა უყოს კაცმა?

აკი ღალატის წყალობით ხშირად დავმარცხებულვართ წარსულში. ამგვარი ღალატით დაეცა სოხუმიც. დღესაც გრძელდება ქვეყნის გაყიდვა სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა სახით. შეიძლება რიტორიკად მოეჩვენოს მავანთ ჩემი სიტყვები. ეს არცაა საკვირველი: ვისთვის ცრემლია და სისხლი აფხაზეთი და სრულიად საქართველო, ვისთვის – პოლიტიკური თამაშობანი!

გაზეთი. ”ლიტერატურული საქართველო”
2000 წ.

«ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით...»

დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: «...ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა სურს».

სწორედ ამ შეგნებითა და სულისკვეთებითაა დაწერილი მწერლისა და პუბლიცისტის ციალა არდაშელიას წიგნი, «ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით».

ავტორს ხსენებულ წიგნში ოთხი ისტორიულ-მხატვრული ნარკვევი აქვს წარმოდგენილი. კომპოზიციურად ერთ მთლიანობაშია განხილული საქართველოს სხვადასხვა კუთხეების: მესხეთის, აჭარის, აფხაზეთ-სამეგრელოს ისტორიულ-კულტურული ვითარება – უძველესი დროიდან დღემდე.

[21] ამ ინტერვიუს შემდეგ ზ. აჩბა მალე «გაურკვეველ» ვითარებაში დაიღუპა.

მწერალი შესანიშნავად ახერხებს ღრმად ჩაახედოს მკითხველი ჩვენი ქვეყნის წარსულში, საინტერესოდ წარმოუჩინოს მისი გმირული ისტორია, ავბედითობით აღსავსე ეპოქები, გამოავლინოს უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენები და დაუკავშიროს ისინი თანამედროვეობას, დღევანდელი საქართველოს საჭირბოროტო პრობლემებს.

მწერალი მაღალმხატვრულ ფერებში აღწერს არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში და იქ ნაპოვნ ძვირფას ნივთებს, ძველ-კოლხურ ძეგლებს, ჩვენი დიდი წარსულის უტყვ მოწმეებს.

ავტორი შესანიშნავად უსადაგებს ერთმანეთს ნაპოვნ არქეოლოგიურ, ფოლკლორულ თუ ეთნოგრაფიულ მასალას და აკეთებს საინტერესო დასკვნებს, რასაც უსათუოდ მეცნიერული ღირებულება გააჩნია.

«ლაზეთი – საქართველოს მოკვეთილი მარჯვენა. ლაზები – ქართული ჯიშისა და გენის, საქართველოსგან მივიწყებული, ობლად შთენილი ულამაზესი და უმშვენიერესი, უძველესი, კოლხური მოდგმის ხალხი, თამარ მეფის სახელზე მლოცველნი. სავსებით სწორად შენიშნავს ქ-ნი ციალა არდაშელია, როდესაც წერს: «ჩვენმა სასიქადულო მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ არსაკიძის ლაზად წარმოჩენით თავისი ეროვნული ვალი მოიხადა ლაზეთის წინაშეო».

მწერალს მოაქვს საინტერესო ცნობები ლაზების შესახებ, მოხმობილი აქვს ლაზური ფოლკლორული მასალა, რომელიც ძირითადად ამ კუთხის ბედკრულ წარსულზე მოგვითხრობს. შესანიშნავადაა ავტორისეული პოზიცია გამაგრებული ანტიკური თუ შუა საუკუნეების ავტორთა ცნობებით. ის ბრწყინვალედ იცნობს ქართულ და უცხოურ წყაროებს, რაც საშუალებას აძლევს თავის მწერლურ ფანტაზიას ხორცი შეასხას და ნაწარმოები უფრო ძარღვიანი, შინაარსიანი და მიმზიდველი გახადოს. ამიტომაც ყველა ნარკვევი დიდი ინტერესით იკითხება.

მწერალს მხედველობიდან არ რჩება არც ძველი კოლხი დიდმოღვაწენი. ესენია გუბაზ მეფე, იოანე ლაზი – პეტრე იბერის მასწავლებელი, გიორგი ჭყონდიდელი – დავით აღმაშენებლის მარჯვენა ხელი, მისი გამზრდელი და პირველი ვაზირი-მწიგნობართუხუცესი, სავსე სიბრძნითა და გონიერებით და სხვ.

ნარკვევი: «ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით» ეძღვნება ოსმალოს უღლისაგან აჭარის განთავისუფლების ასი წლისთავს. წიგნის ავტორს ამ ძირძველი ქართული მხარის ისტორიის ლაბირინთებში შეჰყავს მკითხველი, მოჰყავს ფრანგი მოგზაურის ჟან მურიეს სიტყვები, რომ აჭარლები სუფთა ქართულ რასას ეკუთვნიან და რომ ყველანი ქართულად ლაპარაკობენ, მაკრიალისა და ჩხალის გარდა, სადაც მოსახლეობის ენა თურქულ-ლაზურის ნარევია. მწერალი შენიშნავს, რომ ხულოელთა კილოს ფშაურსა და თუშურს ვამსგავსებო და იქვე შეგვახსენებს, რომ მეცნიერულადაც ზემო აჭარლები და თუშ-ფშავ-ხევსურები მოსხური წარმოშობის ტომები არიანო, სხვათა შორის, დაღესტნელებიც მათ მოსოქ-მოსექს ეძახიან დღემდე და იგი მესხ ტერმინს უკავშირდება (ჰუსლარი). ავტორი იქვე მოუწოდებს ქართველ ახალგაზრდობას: «საქართველოს სისხლითა და ცრემლით დაწერილი ისტორიას, ხალხის გმირულ წარსულს, მის თავგანწირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მის ჟამთა სიავესა თუ ბედკეთილობას ყოველი ქართველი ახალაგზრდა უნდა იცნობდეს – იცოდეს, ვინ ააშენა ეს დიდებული ხიდები, ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, უტყვ, მაგრამ ცოცხალ მატიანეებად რომ გვხვდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ვინ ვიყავით, საიდან მოდის ჩვენი ძირი და ფესვი. ეს უნდა იცოდეს ყველამ». შემდეგ აღწერს აჭარის სიძველეებს, ხიხაძირში ბარათაშვილების ოჯახის მასპინძლობას და გზადაგზა ისევ აჭარელთა ისტორიულ წარსულში გვახედებს. სამხრეთ საქართველოში გადატანილ ომებს შეგვახსენებს. ღალატისა და გმირობის მატიანის ფურცლებს გადაგვიშლის.

მწერლის გმირები ერთხმად ამბობენ: «ვერა მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, თუ ერთად ვიქნებით, თუ ერთმანეთს გავიტანთ, მხარში ამოვუდგებით ერთმანეთს, ჩვენი უბედურება ჩვენივე გათიშულებაა. შური და სიხარბეა... ჩვენვე მოვშალეთ ერთიანი საქართველო და საჯიჯგნად მგლებისა და აფთრების ხროვას გადავუგდეთ... ვერა, ვერ მოუნელებიათ ჩვენი ქალ-ვაჟის სიტურფე, ახოვანება, გულშემართება, სიმკვირცხლე, გონიერება თუ ნიჭიერება, ნიჭიერება, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ, სხვის კარზე იფურჩქნება და ჰყვავის ხშირად» (გვ. 71-72). ამით ყველაფერია ნათქვამი, წარსულიც და აწინდელიც.

მწერალი სამხრეთ-საქართველოდან ქართველთა აყრის შემზარავ სურათებს ხატავს. ათასობით, ათიათასობით ქართველს თავის მშობლიურ მიწა-წყალს გლეჯდნენ და ასახლებდნენ უშორეს ადგილებში. და ასე ხდებოდა პერიოდულად, ბარბაროსული მეთოდებით. ქართველების სისხლმა გააკეთილშობილა ახლოაღმოსავლეთის რიგი ხალხებიო, შენიშნავენ უცხოელი ავტორები. ქართველს, ოღონდ გურჯად არ დარჩენილიყო და ყველა ეროვნებასა და სარწმუნოებაზე მოქცევისაკენ უბიძგებდნენ, უფრო სწორად, აიძულებდნენ. ასეთნაირად XVII საუკუნეში ტრაპიზონში მოისპო ყოველივე ქართული. მუსლიმანმა ქართველებმა ოსმლური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ, ქრისტიანმა ქართველებმა – ბერძნული და გაბერძნდნენ, ნაწილი გაკათოლიკდა ანუ «ფრანგი» გახდა. ლაზების და ქართველების ნაწილი გრიგორიანელებს დაუკავშირდა და გასომხდნენ. მწერლის თქმისა არ იყოს – ოღონდ მართლმადიდებელი ქართველი ნუ იქნებოდა და ყოფილიყო ნებისმიერი კონფესიის მიმდევარი. მწერალი ეხება ქართველ მუსლიმანთა მუჰაჯირობის პრობლემას. იგი აღწერს სხალთას აბუსერისძეთა საგვარეულოს, მემედ აბაშიძის პატრიოტულ საქმიანობას, გმირ მამულიშვილთა უკვდავ სახეებს გამოიხმობს შორეთიდან:

«გამომივლია ჭირი ყოველი, ღიმილიც ვიცი, დარდის მოთმენაც... მე ჭოროხგაღმა ორი სოფელი დამრჩა ნახევარ ქართლის ოდენა».

ნარკვევში, რომელიც 1979 წელსაა დაწერილი, აფხაზეთ-სამეგრელოს ისტორიული თუ დღევანდელობაა მიმოხილული. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი ქართველი მეცნიერი დღესაც ისეა ბოლშევიკურ ქურაში გამოხარშული, ცრუ აფსუურ იდეოლოგიით დაკომპლექსებული, რომ აბორიგენი, ქართული გვარის მატარებელი აფხაზებიც ადიღეელებად წარმოუდგენია. ჭკადუა და არძინბა, მარღანია და წვიშბა, მარშანია და კუტარბა რომ ერთი ეთნოსის კუთვნილებაა, ამის გაგება არ შეუძლიათ. არ შეუძლიათ, ან არ სურთ იმის გაგებაც, რომ «აფსუა» ჩრდილოეთ კავკასიელია თავისი წარმოშობით, «აფხაზი» კი ადგილობრივი, რომ აფსუას და აბორიგენი აფხაზის (იგივე ქართველური მოდგმის) ერთ ხალხად ფორმირება დღესაც არ არის დამთავრებული, ამიტომაც არის, რომ გუდაუთელი აფსუები და ოჩამჩირელი აფხაზები ერთმანეთს დღემდე ეჭვის თვალით უყურებენ. მათ შორის ეთნიკურ ნიადაგზე შეტაკებები დღემდე გრძელდება. ყველა აფხაზის ადიღეელებად წარმოდგენა ის სიცრუე და მეცნიერული უმეცრებაა, რომელმაც აფხაზეთი დაგვაკარგვინა. ვიდრე ქართველ სწავლულთა ცნობიერებიდან ეს სიყალბე არ ამოიძირკვება, აფხაზეთში ქართველს არ გაახარებენ, მას ოკუპანტის იარლიყს არ მოაშორებენ და ამას მომავალში შესაძლოა კიდევ უფრო დიდი უბედურება მოჰყვეს.

ციალა არდაშელია ამ ნარკვევებით გვევლინება საქართველოს ისტორიული წარსულის ბრწყინვალე პოპულიზატორის როლში, რაც დიდი ეროვნული საქმეა, რამეთუ საქართველოს ისტორია მხოლოდ ისტორიკოსებისთვის არ უნდა იწერებოდეს. საქართველოს ისტორიის ასეთი პროპაგანდით ქართველი მკითხველი მაინცდამაინც განებივრებული არ გახლავთ. სასიამოვნოა, რომ ამ ბოლო დროს ამ მხრივ საქმეს გამოკეთება დაეტყო. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ასეთი წიგნები უცხო ენებზეც

გამოვცეთ, რომ სხვამაც გაგვიცნოს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საზღვარგარეთ ქართველთა ისტორიაზე ნაკლები ინფორმაცია გააჩნიათ, ვიდრე სრულიად მცირე და ზოგჯერ უისტორიო ეთნოსებზე, ტომებსა თუ ხალხებზე. სენკოვიჩების, ვორონოვებისა თუ დიაკონოვების შიშით სიმართლის გატანას არ უნდა მოვერიდოთ. კმარა დუმილი და მცირერიცხოვნების გამო თავის მოკატუნება. ხალხის, ერის ღირსება მისი ინტელექტუალური შესაძლებლობით, ნიჭით, კულტურითა და ცივილიზაციით ფასდება და არა რიცხობრიობით.

მწერალს ისტორიის ყველა დეტალის ცოდნას ვერ მოსთხოვ, მიუხედავად ამისა, ქალბაოტნი ციალა არდაშელია ბევრ ისტორიკოსს არ ჩამოუვარდება ფაქტების ანალიზის უნარით. უპირველეს ყოვლისა, მისი ისტორიული ნარკვევების ღირსებად მიმაჩნია ჩვენი ერის მდიდარი წარსულის მაღალმხატვრულ დონეზე წარმოსახვა, წარსულის თანამედროვეობასთან დაკავშირება და ერის გამთლიანებისკენ სწრაფვის წყურვილი, რაც ქვეყნის ძლიერებისა და ბედნიერი მომავლის უცილო გარანტიაა.

თეიმურაზ მიბჩუანი,
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.
«ლიტერატურული საქართველო»
1998 წ. თებერვალი

P. S. ისტორიული სიმართლის უგულებელყოფამ, ფაქტების გაყალბებისადმი შეგუებამ და წაყრუებამ, რასაც ათეული წლების განმავლობაში იჩენდა ზოგი ჩვენი ქართველი თუ არაქართველი ისტორიკოსი და რაც მთავარია, საკუთარი უძღები შვილების «როჭიკისადმი სულგაყიდულობამ» და არა მხოლოდ დამპყრობლის უხეშმა ძალამ – აწ გარდაცვლილი მეცნიერის თ. მიბჩუანის თქმით – უფრო დიდი უბედურება დაგვმართა, ვიდრე აქამდე გვჭირდა.

დიახ, ახლა საქართველოს ტერიტორიაზე ორი «დამოუკიდებელი სახელმწიფოა» შექმნილი! რუსეთის იმერიულმა ძალებმა, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს სანუკვარ მიზანს, რასაც დიდი ხნიდან მიელტვოდნენ. რუსი ოკუპანტები და სეპარატისტები არ დასჯერდნენ მხოლოდ ქართველების გენოციდს, არც მათ გამოყრას მამა-პაპათა მიწა-წყლიდან – ქვეყანას ურცხვად, მართლაც ყივჩაღურად და ჯაყოისტურად, მართლაც – დღისით-მზისით, 21-ე საუკუნეში, «დემოკრატიული და სამართლიანი» მსოფლიოს თვალწინ – წაგლიჯეს მისი განუყოფელი, ისტორიული კუთხეები: აფხაზეთი და შიდა ქართლი!

კვლავ (უკვე მერამდენედ!) უკუღმა დატრიალდა საქართველოს ბედის ჩარხი. კვლავ თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასისეული სისასტიკით მიწასთან გასწორებულია ქართული სოფლები. ისევ დადგა სისხლისა და ცრემლების ზღვა. საკუთარ სამშობლოში კვლავ ხიზნად იქცა ქართველი! ისევ ისე გრძელდება გარედან დაკვეთილი – საქართველო ქართველების გარეშე – პროგრამისთვის ხორცის შესხმა! როდემდის? როდემდის გაგრძელდება დაჭრილი არწივის ბორგვა და შფოთვა, «თვალბედითი შავი ყორანის ჩხავილი»? – არავინ უწყის!

ხოლო, რაც შეეხება «გამარჯვების» ეიფორიაში მყოფ ჩვენს თანამოძმეებს – დარწმუნებული ვარ, დღეს იქნება თუ ხვალ – სანანებლად ექნებათ საქმე (თუ უკვე არ ნანობენ!), რადგან მაგალითისთვის უბიხებისა და სხვა მრავალთა ტრაგიკული ხვედრიც კმარა! ოღონდ... შესაძლოა, გვიანიც კი აღმოჩნდეს «თითზე კბენანი».

მაგრამ... უფალი მოწყალეა, მიუტევებს და შეუნდობს ალბათ ცოდვებს როგორც იქითა, ისე აქეთა მხარის შემნანებელ ძე-შეცთომილებს!

«ნუ თანა ეზიარებით საქმეთა მას უნაყოფოთა ბნელისათა, უფროსღა ამხილებდითცა», «მხნე იყავნ და განძლივრდინ გული თქუენი ყოველნი, რომელნი ესავთ უფალსა!» – შეგვაგონებს პავლე მოციქული.

გვფარავდეს უფალი, ამინ.

ციალა არდაშელია,
2009 წ. ნოემბერი
თბილისი

სარჩევი

”ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი”;
”ახალი და უცნობი ცივილიზაცია”;
”სიო მოქრის შებინდების”;
უწყვეტი ჯაჭვი ;
ლაზეთი... ლაზეთი...;
გადარჩენილი სული კოლხეთის;
”ფხიზლად! — საქართველოს გარშემო უვლიან”;
”ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით...”;
”კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოგონება...”;
”ვინც დიადია, მისი ჯინი აქვთ...”;
”მაღლა ძახილივით მძაფრი ხიხანია...”;
მიწის ქვეშ დამარხული ქალაქი;
”... და მთვარე თეთრი სიასამური მირეკავს კრავებს...”;
”დაშთომილ ვართ ყურესა ამას...”;
შავი მხედრიონი;
გოგებაშვილის ლაშქარი სამურზაყანოში;
მებრძოლი რაინდი;
”უბედური ქვეყნის ყმა”;
”სიზმარეული ხილვა”;
”აფხაზეთის ლაბირინთი”;
”ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით...”.